

# ჩარლზ ბუკოვსკი

ფოსტა



ჩარლზ ბუკოვსკი

# ფოსტა



## შეერთებული შტატების ფოსტა

ლოს-ანჯელესი, კალიფორნია  
ეთიკის კოდექსი

ჩვენი სისტემის ყველა თანამშრომლის ყურადღებას მივაპყრობთ ფოსტის თანამშრომელთა ეთიკის კოდექსს და დოკუმენტს თანამშრომელთა ქცევის ნორმების შესახებ, რომლებიც ჩამოყალიბებულია ფოსტის თანამშრომელთათვის განკუთვნილი ზოგადი ინსტრუქციის 742-ე და 744-ე პარაგრაფებში.

უკვე მრავალი წელია, საფოსტო სისტემის თანამშრომლები განუხრელად იცავენ ქვეყნის ერთგულად მსახურების დიდებულ ტრადიციას, რაშიც ჩვენს სფეროს ბადალი არ მოეპოვება. თავდადებული მსახურების ეს ტრადიცია თითოეულ ჩვენს თანამშრომელს უნდა ეამაყებოდეს. თითოეული ჩვენგანი უნდა ცდილობდეს, ღირსეული წვლილი შეიტანოს საფოსტო მომსახურების წინსვლა-განვითარებაში, საზოგადოებრივი ინტერესების უკეთ დაცვის მიზნით.

ფოსტის ნებისმიერ მომსახურეს ამ საზოგადოებრივი ინტერესებისადმი სრული თავდადება და მაღალი ზნეობრივი პრინციპების ქონა მოეთხოვება; იგი უნდა იცავდეს შეერთებული შტატების კანონებს და საფოსტო დეპრატამენტის რეგულაციებსა და დადგენილებებს. მაგრამ ეთიკის ნორმების დაცვა საკმარისი არ არის. საფოსტო სამსახურის მოხელეები და დაქირავებული პირები ყველა ღონეს უნდა ხმარობდნენ იმ დაბრკოლებების ასარიდებლად, რომლებიც საფოსტო სამსახურს მისი მოვალეობის შესრულებაში უშლის ხელს. აღნიშნული მოვალეობა კეთილსინ-

დისიერად და ეფექტიანად უნდა სრულდებოდეს. საფოსტო სამსახური უნიკალურ პრივილეგიას ფლობს - მას ყოველდღე უხდება ურთიერთობა ქვეყნის უამრავ მოქალაქესთან და ხშირ შემთხვევებში ფედერალურ ხელისუფლებასთან მათი ყველაზე ახლო კავშირის განმახორციელებელ საშუალებად გვევლინება. ამგვარად, ფოსტის თითოეულ თანამშრომელს ეძლევა შესაძლებლობა და, ამავე დროს, ეკისრება პასუხისმგებლობა, რომ ღირსეული ქცევითა და თავდადებული შრომით მოიპოვოს საზოგადოების ნდობა. მოხელე, რომელიც ღირსეულად ემსახურება საფოსტო სამსახურის სისტემას, ფედერალური მთავრობის მიმართაც განამტკიცებს მოსახლეობის ნდობას.

ჩვენს ყველა თანამშრომელს მოეთხოვება ზოგადი ინსტრუქციების 742-ე ნაწილის ცოდნა, ეთიკური ქცევის ძირეული სტანდარტების, თანამშრომელთა პირადი ქცევის წესების, პოლიტიკურ საქმიანობაზე დაწესებული შეზღუდვების დაცვა.

საფოსტო განყოფილების უფროსი

# • ერთი •

## 1

ყველაფერი შეცდომით დაიწყო.

შობის დღეები იყო. ზემოთ, გორაზე მცხოვრებმა ლოთმა მითხრა, მაგ სამუშაოზე მგონი ყველა აჰყავთ, ვინც კი კარზე მიუკაკუნებთო. მეც არც ვაციე, არც ვაცხელე, პირდაპირ მივადექი და თვალის დახამხამება ვერ მოვასწარი, რომ ზურგზე უკვე ტყავის ჩანთა მეკიდა და გზას ვადექი. იფ, რა სამუშაოა-მეთქი, ვფიქრობდი - იოლი, კობტა, ნარნარი! ორი კინკილა კვარტალი მომაბარეს და თუ საქმეს დროზე ადრე მოვამთავრებდი, მორიგე ფოსტალიონი კიდევ ერთ კვარტალში გამიშვებდა; თუ ამასაც მალე მოვაბამდი თავს, კიდევ ერთი კვარტალი მელოდა წინ, მაგრამ საკეთებელი ბევრი არაფერი იყო - შემეძლო, ნება-ნება მევლო და საფოსტო ყუთებში საშობაო ბარათები აუჩქარებლად მეჩურთა.

ამ საშობაო გაწამაწიის, მგონი, მეორე დღე იყო, როცა ერთი ფაშფაშა ქალი ამეტორღიალა - სადაც რამე მქონდა მისატანი, ყველგან თან გამომყვა. ფაშფაშა-მეთქი, რომ ვთქვი - საჯდომი ჰქონდა დიდი და თახთახა, ძუძუები კი - ვეებერთელა, მოკლედ, რაც საჭიროა, ზუსტად ის ჰქონდა დიდი და ხორციანი. ცოტა შექანებული კი ჩანდა, მაგრამ მე თვალი მის სხეულზე დამრჩა, დანარჩენი რაში მეკითხებოდა.

ლაპარაკი რომ დაიწყო, აღარც გაჩუმებულა. მალე ყველაფერი გავარკვიე. ქმარი ოფიცერი ჰყოლია, სადღაც შორეულ კუნძულებზე მსახურობდა თურმე და ამას თავი მართოდ უგრძნია, ხომ იცით, როგორც ხდება ხოლმე... ცხოვრებით კი იქვე, ერთ-ერთ უკანა ქუჩაზე ცხოვრობდა რომელიღაც სახლში, სულ მართო.

აბა, რომელში-მეთქი, ვკითხე.

მისამართი ქალაქის ნაგლეჯზე დამიწერა.

- მეც შენსავით მართო ვარ, - ვუთხარი, - ამოვალ, წავიჭუჭუკოთ.

იმ დროს ერთი ქალი მყავდა, მაგრამ სულ გარე-გარე დაიარებოდა. მაშინაც სადღაც იყო გადაკარგული, ამიტომ გულწრფელად შემეძლო მეთქვა, რომ მართო ვიყავი. იმ უზარმაზარი გავისთვის, ახლა გვერდით რომ მეგულებოდა, ნამდვილად თავისუფალი ვიყავი.

- კარგი, - მითხრა, - მაშინ საღამომდე.

კაი ქალი იყო ნამდვილად, მაგრამ როგორც ზოგადად, ნაშების ამბავში ხდება ხოლმე, მესამე თუ მეოთხე დამის მერე ინტერესი საერთოდ დავკარგე და აღარც დავბრუნებივარ.

თუმცა იმ დღეს სულ იმას ვფიქრობდი, ღმერთო, ეს რა სამუშაო ჰქონიათ ამ ფოსტალიონებს - წერილებს დააჩიქჩიქებენ და ქალებს პირდაპირ ქუჩაში ჩანგლავენ-მეთქი. აი, ეგ კი ნამდვილად საჩემო სამუშაო იყო, იფ იფ იფ.

მოკლედ, გამოცდა ჩავაბარე, სამედიცინო შემოწმებაც გავიარე და მეორე დღეს უკვე ფოსტალიონის შემცვლელი გავხდი. საქმე იოლად აეწყო. უესტ ეივონის განყოფილებაში გამგზავნეს, იქ ყოფნა კი შობადლის ზეიმივით იყო, იმას თუ არ ჩავთვლით, რომ მისაქინძი გარშემო არავინ ჩანდა. ყოველდღე მოველოდი, რომ ვინმეს მიქინძვის საშუალება მომეცემოდა, მაგრამ არა და არ დადგა ეგ დღე. ფორმაც კი არ მქონდა, მარტო კეპი მომცეს. სამუშაოზე ის მეცვა, რაც ყოველთვის მაცვია ხოლმე. მე და ბეტი, ჩემი მაშინდელი ქალი, იმდენს ვსვამდით, ჩასაცმელის ფული ვის დარჩებოდა.

მერე ოუკფორდის ფოსტაში გადამიყვანეს.

დახარისხების განყოფილებაში ერთი ტახი მუშაობდა, გვარად ჯონსტონი. დახმარება სჭირდებოდათ იქაურებსო, ჰოდა, მივედი თუ არა, მაშინვე მივხვდი იმათ გასაჭირს. მუქი წითელი პერანგები უყვარდა ჯონსტონს - ხიფათის და სისხლის წყურვილად მენიშნავს ამბავი. შვიდი შემცვლელი ფოსტალიონი ჰყავდა - ტომ მოტო, ნიკ პელეგრინი, ჰერმან სტრეტფორდი, როუზი ანდერსონი, ბობი ჰენსენი, ჰაროლდ უაილი და თქვენი მონა-მორჩილი - ჰენრი ჩინასკი. სამუშაოს დილის ხუთ საათზე ვიბარებდით. ერთადერთი ლოთი იმათში მე ვიყავი. შუალამეს რომ გადასცდებოდა, სმას მაშინ ვამთავრებდი ხოლმე, არადა ხუთზე უკვე ფოსტაში უნდა ვმსხდარიყავით და დავლოდებოდით, როდის მოვიდოდა ჩვენი ჯერი, როდის გაირკვეოდა, რომ რომელიმე ფოსტალიონი ავადმყოფობის გამო მოსვლას ვერ ახერხებდა. როგორც წესი, ფოსტალიონები თავს მაშინ იმკვდარუნებდნენ, როცა წვიმდა ან პაპანაქება სიცხე იდგა, კიდევ - სადღესასწაულო დღეების მომდევნო დილას, მაინცდამაინც მაშინ, როცა ორჯერ მეტი ფოსტა იყო ხოლმე დასარიგებელი.

სულ ორმოცი თუ ორმოცდაათი ზოგადი სამოძრაო სქემა გვექონდა, ზოგჯერ ამაზე მეტიც, ხან რომელი გერგებოდა და ხან - რომელი, წინასწარ ვერ გამოიცნობდი. შენი ტვირთი უნდა აგეკიდებინა და რვა საათისთვის უკვე საფოსტო ფურგონთან ყოფილიყავი დარტყობილი. დაგვიანების შემთხვევაში ჯონსტონთან არანაირი თავის მართლება არ ჭრიდა. შემცვლელ ფოსტალიონებს თავ-თავიანთი წილი ფოსტის ქუჩის კუთხემდე მიტანა ევალებოდათ, სადილს ვინ აღირსებდათ, შიმშილით სული ხდებოდათ ქუჩაში. ჯონსტონი ნახევარი საათის დაგვიანებით გვამწესებდა ჩვენ-ჩვენს მარშრუტზე - წითელპერანგიანი ტორსით მბრუნავი სავარძლის საზურგეს მიეყრდნობოდა, ერთს დაბზრილდებოდა და - „ჩინასკი, 539-ე მარშრუტი!“ - დაიძახებდა. ოცდაათი წუთის დაგვიანებით კი ვიწყებდით, მაგრამ ფოსტა მაინც დროულად უნდა ჩამოგვეტარებინა და უკანაც დროზე უნდა დავბრუნებულიყავით. კვირაში ერთხელ, ხანდახან - ორჯერაც, კარგა მაგრად ნახმარებს და ქანცგაწყვეტილებს, ტვირთის ჩამოტარება ღამღამობითაც გვიწევდა, იმ სქემით ჩამოტარებას კი, რომელიც განყოფილებაში დაფაზე გვხვდებოდა დახაზული, ვერც ერთი ფურგონი ვერ მოახერხებდა ისე, რომ დროში ჩატეულიყო. პირველ გზაზე ოთხი-ხუთი ყუთის დატოვებას ვერ ვასწრებდით, მეორე შემოვლაზე ისინი უკვე ფოსტით გაძეძგილი გხვდებოდა, შენ კი ამ დროს უკვე ოფლის სუნად ყარდი, იმ ოფლში გახვითქული წინ და უკან დარბოდი და ამ ფოსტას ტომრებში ტენიდი. ქინძაობა მინდოდა და, ჯონსტონის წყალობით, კიდევ მეღირსა, ოღონდ მე თვითონ მიხმარეს.



შემცვლელეებმა თვითონ გააჯეჯილეს ჯონსტონი - აუსრულე-ბელ დავალებებზეც მორჩილად თანხმდებოდნენ, ერთხელაც არ ამოუღიათ ხმა. ვერ ვხვდები, ვის მოუვიდა აზრად იმ ადგილზე მისნაირი შეუბრალებელი კაცის დანიშვნა. საშტატო ფოსტალიონებს ეკიდათ, პროფკავშირების წარმომადგენელი კი ერთი უმაქნისი კაცი იყო. ამიტომ ერთხელ, დასვენების დღეს, ოცდაათ-გვერდიანი ანგარიში გავაშანშალე, ერთი ასლი ჯონსტონს ფოსტით გავუგზავნე, მეორე კი ფედერალურ განყოფილებაში ჩემი ხელით მივიტანე. კლერკმა მითხრა, აქ დაელოდეთო. მეც დავჯექი, ველოდე, ველოდე და ბოლოს, საათნახევრიანი ლოდინის შემდეგ, კაბინეტში გამომიძახეს. შიგნით ერთი დაბალი, შეჭადარავებული კაცი დამხვდა, ფერფლისფერი თვალები ჰქონდა. დაჯდომაც კი არ შემოუთავაზებია, ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, მაშინვე ღრიალი დამიწყო.

- ერთი ეს შებერტყილი ნაბიჭვარი ნახე! შენ, ეტყობა, თავი ძალიან ჭკვიანი გგონია, არა?

- ხმას თუ დაუწევთ და წესიერად ილაპარაკებთ, უკეთესი იქნება, სერ!

- შებერტყილი ნაბიჭვარი რა დღეშია! რაო, შენნარი ნაბობრები სხვა ლექსიკით მეტყველებენ? მომინდომა წესიერად ლაპარაკი!

ჩემი დაწერილი ანგარიში ცხვირწინ ამიფრიალა და მიღრიალა:

- მისტერ ჯონსტონი შესანიშნავი ადამიანია!

- თავს ნუ ისულებებთ. პირწავარდნილი სადისტია, - ვუთხარი.

- რამდენი ხანია, რაც ფოსტაში მუშაობთ?

- სამი კვირა.

- მისტერ ჯონსტონი კი ოცდაათი წელია, საფოსტო სისტემაში მსახურობს!

- მერე მაგას ჩემს ანგარიშთან რა კავშირი აქვს?

- გიმეორებთ, მისტერ ჯონსტონი შესანიშნავი ადამიანია-მეთქი!

მგონი ჩემს მოკვლავზეც არ იტყოდა იმწამს უარს. საწყალი. ალბათ მისტერ ჯონსტონი ქინძავდა ღამდამობით.

- კეთილი და პატიოსანი, - ვუთხარი, - მისტერ ჯონსტონი შესანიშნავი ადამიანია. დაივიწყეთ მაშინ ეს საქმე, - მერე მისი კაბინეტის კარი გამოვიხურე და ერთი დღით შვებულება ავიღე. ჩემი ხარჯით, რასაკვირველია.

მომკრა თუ არა ჯონსტონმა თვალი მეორე დილის ხუთ საათზე, ბორბლებიან სავარძელში ჩვეულებისამებრ დაბზრიალდა და სახეზე თავისი პერანგის ფერი დაედო. თუმცა, თქმით, ჩემთვის არაფერი უთქვამს. არ მეკიდა ჯონსტონი? დამის ორ საათამდე ვსვამდი და ბეტის ვქინძავდი. სკამის საზურგეს მივეყრდენი და თვალები დავხუჭე.

ორ საათში ჯონსტონი კიდევ ერთხელ დაბზრიალდა სავარძლიანად. ყველა სხვა შემცველელი უკვე სამუშაოზე ჰყავდა გამწესებული, ან იმ საფოსტო განყოფილებებში გაგზავნილი, სადაც დახმარება სჭირდებოდათ.

- სულ ეს იყო, ჩინასკი. დღეს შენთვის სამუშაო არ გვაქვს.

მითხრა და თვალი თვალში გამიყარა. ერთი მაგისიც, არ მეკიდა? ერთადერთი, რაც მინდოდა, საწოლში შეგორება და კარგად გამოძინება იყო.

- კარგი, ქვიჯა, - ვუთხარი. საშტატო ფოსტალიონები ზურგს უკან „ქვიჯას“ ეძახდნენ, მაგრამ მე პირველი ვიყავი, ვინც ამ სახელით მიმართა.

გარეთ გამოვედი, ჩემი დანჯღრეული მანქანა დავქოქე და მალე ისევ ბეტის შევუგორდი საწოლში.

- ოჰ, ჰენკ! რა მაგარია!

- დედაც ვატირე. აბა რა, თოჯინა! - ვუთხარი, თბილ კურტუმოზე მივეკარი და ორმოცდახუთ წამში უკვე მეძინა.

მაგრამ მეორე დილით ისევ იგივე გამეორდა:

- დღეს სულ ესაა, ჩინასკი. შენთვის დღეს სამუშაო არ გვაქვს.

ასე გრძელდებოდა ერთ კვირას. ყოველდღე, დილის ხუთიდან შვიდ საათამდე ფოსტაში ვყურყუტებდი, მაგრამ სამუშაოს არ მაძლევდნენ და ფულსაც არავინ მიხდიდა. ღამის მარშრუტის ფოსტალიონების სიიდანაც კი ამოიღეს ჩემი სახელი.

მერე კი ბობი ჰენსენმა, ერთ-ერთმა ყველაზე სტაჟიანმა შემცვლელმა ფოსტალიონმა, მითხრა:

- ერთხელ მეც გამიკეთა ეგეთი რამე. ეტყობა, უნდოდა, შიმშილით მოვეკალი.

- მკიდია. მე მაგისტვის ტრაკზე კოცნას არ ვაპირებ. სულ წავალ აქედან ან ვიშიმშილებ.

- არც ერთი მოგიწევს და არც მეორე. პრელის განყოფილებაში გზავნენ ანგარიშები ყოველ საღამოს. მისწერე, რომ აქ სამუშაო არ გაქვს. საგანგებო ფოსტის განყოფილებაში შემოიძლია შემცვლელად ვიმუშაო-თქო, შესთავაზე.

- მერე შეიძლება ეგრე? წესების დარღვევად არ ჩამეთვლება?

- მე ყოველ ორ კვირაში ერთხელ მიხდიდნენ მაშინ.

- კარგი. მადლობა, ბობი.

დამავიწყდა, რა დროს მეწყებოდა მაშინ სამსახური. დილის ექვს თუ შვიდ საათზე, ვეღარ ვიხსენებ.

ახალ ადგილას მარტო ის მევალებოდა, პეშვში რომ ჩამეტეოდა, იმდენი წერილი დამებინავებინა, მანამდე კი ქუჩების რუკას უნდა ჩავჯდმოდი და გასავლელი მარშრუტი წინასწარ დამესწავლა. უადვილესი სამუშაო იყო. მძღოლები თითოეულ მარშრუტს იმაზე მეტ დროს ახარჯავდნენ, ვიდრე საჭირო იყო, არც მე ვიცხელებდი დიდად თავს გზის შესწავლით. სამსახურიდან სხვებთან ერთად გავდიოდი და უკანაც მაშინ ვბრუნდებოდი, როცა ყველა სხვა ფოსტალიონს უწევდა დაბრუნება.

მერე მეორე მარშრუტზე გავდიოდი. კაფეებში ყავის დასალევად და გაზეთების საკითხავადაც მრჩებოდა დრო და თან თავს დარბაისელ კაცად ვგრძნობდი. სადილობასაც კი ვასწრებდი. როცა სამსახურიდან გათავისუფლება მჭირდებოდა, ვითავისუფლებდი თავს. ერთ-ერთ მარშრუტზე კაი ხორციანი ქალი მხვდებოდა ხოლმე, ყოველდღე იღებდა საგანგებო გზავნილს. რაღაც გამომწვევი კაბების და თეთრეულის მწარმოებელი ბრძანდებოდა და შინაც ყოველდღე თავის ნაწარმში გამოწყობილი მხვდებოდა. დილაობით, ასე თერთმეტ საათზე, მისი სახლის კიბებზე ავრობოდი, ზარს ვრეკავდი და თავის ამანათს ვაბარებდი. ჩემს ყოველ მისვლაზე რაღაც უსაშველო შორისდებული აღმოხდებოდა ხოლმე - ოოოოოოჰჰჰჰჰჰო, ამოიკვნესებდასავით, თან ძალიან, ძალიან ახლოს ამესვეტებოდა. სანამ თანდართულ წერილს არ წაიკითხავდა, ჩემს გამოშვებას არ ჩქარობდა, მერე კი ხელახლა ამოიგმინებდა: - ოოოოჰჰჰჰჰ, ღამე მშვიდობისა და დიდი მათადლოობა!

- თქვენც ასევე, მემ, - ვუპასუხებდი ხოლმე და კიბებზე ბულასავით შემართული ასოთი ჩამოვრბოდი.

მაგრამ ამ ჩემს განცხრომას დიდი დღე არ ეწერა. კვირა-ნახევარი იყო გასული მას შემდეგ, რაც, ბოლოს და ბოლოს, თავისუფლება ვიგემე, რომ ფოსტით წერილი მივიღე.

„ძვირფასო ბატონო ჩინასკი, სასწრაფოდ მოამზადეთ ანგარიში ოუკფორდის განყოფილებისთვის, თორემ დისციპლინარული სასჯელი ან სამსახურიდან დათხოვნა არ აგცდებათ.

ა. ე. ჯონსტონი, ოუკფორდის საფოსტო განყოფილების ხელმძღვანელი“.

ასე დამაბრუნეს კვლავ ჯვარცმაზე.

ჩინასკი! ჩაიბარე 539-ე მარშრუტი!

ყველაზე რთული მარშრუტი იყო ამ დროს. მრავალბინიანი სახლები, სადაც სადარბაზოებში საფოსტო ყუთებს პატრონების გვარები ან ნახევრად გადაფხევილი ჰქონდა ან ზედ საერთოდ არაფერი ეწერა; ჩაბნელებულ დერეფნებში თითო კინკილა ნათურა ძლივს ბჟუტავდა. მერე ყველგან - დერეფნებში, ქუჩის მთელ გაყოლებებზე - საითაც არ უნდა გაგვხედა, სულ მოხუცი ქალები იყვნენ გამოფენილები. იდგნენ და ერთი და იმავე კითხვით მაჯინდებოდნენ, ერთნაირი ხმით, გეგონებოდათ, ყველა ეს ერთი ადამიანიო:

- ჩემთვის არ არის წერილი, ფოსტალიონო?

ცოტა მაკლდა, ავყვირებულიყავი: - როგორ გგონიათ, ქალბატონო, დამესიბმრება თქვენი სახელი? შუბლზე გაწერიათ? ან მე მაწერია, რომ ფოსტალიონი ვარ? ვინმეს რამე აწერია საერთოდ?

ამ დროს ოფლი წურწურით ჩამოგდის, წინა დღის ნალოთავებს თავი გისკდება, სამუშაო გრაფიკი კომმარული გაქვს, ფოსტაში დაბრუნებულს წითელპერანგიანი ჯონსტონი უნდა დაგხვდეს, რომელმაც ყველაფერი იცის, ყველა შენი გასაჭირი კარგად მოეხსენება, მაგრამ კაიფობს, სიტუაციას ისე შემოგასაღებს, ვითომ ხარჯების შესამცირებლადაა საჭირო ამდენი წვალეა. არადა ყველამ კარგად იცოდა, რატომ გვაგდებდა ამ დღეში. ო, რა მურტალი ვინმე იყო.

ადამიანები, ადამიანები, ძაღლები...

ერთი ძაღლებისაც ვთქვა. ის დღეები იყო, სიცხე ასი გრადუსიდან ქვემოთ ფეხს რომ არ იცვლის. დავრბივარ ენაგადმოგდებული, ოფლში ვცურავ, თავი მისკდება - წინა დღეს ისევ დავლიე; ცუდად კი არა, ჭკუაზე არა ვარ. ერთ პატარა სახლთან გავჩერდი, მრავალბინიანთან. საფოსტო ყუთები გარეთ აქვთ გამოტანილი,

სადარბაზოს კარის გაყოლებაზე უკიდიათ. ჩემი გასაღებებით ვუწყებ გახსნას. გარშემო სიჩუმეა. უცებ ვგრძნობ, ფეხებშუა, ლა-ჯებში რაღაც გამომედო. გამომედო და თან წინ-წინ მიიწევს. მივიხედე, ვხედავ - გერმანული ნაგაზია, კარგა მოზრდილი, ცხვირი სანახევროდ ჩემს ტრაკში შეუყვია. ერთი რომ მოიგდოს ყბაში, მორჩა, კვერცხებს წამაგლეჯს. ვიფიქრე, გათავდა, ეს ხალხი დღეს თავის ფოსტას ვერ მიიღებს, არც ხელმეორედ ვარ-მეთქი აქ მომსვლელი. აზრზე მოდიოთ, დრუნჩი ბოლომდე შემიდო, მართლა. და მცნოსავს, მცნოსავს, არ მეშვება.

დასატოვებელი ფოსტა ისევ ტყავის ჩანთაში ჩავაბრუნე, მერე ნელა, ძალიან ნელა, წინ ერთი მოკლე ნაბიჯი გადავდგი. მომყვა, ცხვირი არ მოუშორებია. მერე მეორე ფეხით გადავდგი ისეთივე მოკლე ნაბიჯი. ცხვირიც თან მომყვა. ახლა ნელა, ძალიან ნელა, მაგრამ ძალიან დიდი ნაბიჯი გადავზომე. მერე კიდევ ერთი. მანდ ცოტა ხანს ადგილს მივეყინე. ცხვირი, როგორც იქნა, გამოიღო. ძაღლიც ჩემსავით იდგა და მიყურებდა. ალბათ, ეგეთი ჯერ არაფერი ეყნოსა და აღარ იცოდა, რა ექნა.

ფრთხილად გამოვეცალე და წამოვედი.



მეორე გერმანული ნაგაზიც იყო. ცხელი ზაფხული იდგა. ძალი რომელიდაც ეზოდან გამოვარდა, ეშვებგადმოყრილი დამეძგერა და ჩემი საძილე არტერიისგან სულ რამდენიმე მილიმეტრში ააკაწკაწა კბილები.

- აუ, - დავიღრიალე, - აუ, მიშველეთ, მომკლავს! მომკლავს! მიშველეთ! მკლავენ!

ის კაციჭამია ჩემკენ შემობრუნდა და ისევ მომახტა. ფოსტალიონის ჩანთა დავახვედრე და სანამ ჯერ კიდევ ჰაერში იყო, თავში ისე მაგრად ვგლიჯე, წერილები და ჟურნალები მიწაზე გადმოცვივდა. კიდევ აპირებდა, მომვარდნოდა, როცა ეზოდან ორი ბიჭი, მისი პატრონები, გამოვარდნენ და უკან გაათრიეს. მერე, სანამ ნაგაზი თვალმოუცილებლად მიღრენდა, დავიხარე და წერილებისა და ჟურნალების მოქუჩება დავიწყე, თუმცა ალბათ ჯობდა, უახლოესი სახლის პარმალთან დამეხარისხებინა.

- ვერა ხართ კარგად! ამის ნაბიჭვარი დედა... - მივაძახე იმ ორს. - კაცის მოკვლა შეუძლია მაგ ძაღლს. მოაშორეთ აქაურობას, ან დააბით, რომ ქუჩაში ვეღარ გამოვიდეს.

ორივეს მივთეთქვავდი, მაგრამ შუაში აღრენილი ძაღლი ედგათ და ეგრე აბა რის მაქნისი ვიყავი. მეზობელი სახლის პარმალს მივადექი და ჩემი ჩამოსარიგებელი ფოსტიდან ზოგი ხელებზე დავიწყვე, ზოგიც - მუხლებზე და ისე დავახარისხე.

სადილობის დრო, როგორც ყოველთვის, აღარ დამრჩა, მაგრამ ფოსტაში დაბრუნება მაინც ორმოცი წუთით დამიგვიანდა.

ქვიჯამ მაჯის საათზე დაიხედა.

- ორმოცი წუთით დაიგვიანე.

- მაგას თუ დაგვიანება ქვია, მაშინ შენ ჯერ საერთოდ არ მოსულხარ.

- ანგარიშში ჩავწერ მაგასაც.

- ჩაწერ, რას არა, ქვიჯა.

საბეჭდ მანქანაში უკვე ედო ანგარიშის ფორმა. თქვა და საქმესაც შეუდგა. სანამ მე ვიჯექი და შემოსულ ფოსტას ყუთებში ვაწაწილებდი, ბეჭდვა დაამთავრა, მომადგა და ბლანკი მომიგდო. მაგის ანგარიშების კითხვა ისედაც მობეზრებული მქონდა, თან ქალაქის ცენტრში ამასწინანდელმა სტუმრობამ დამარწმუნა, რომ მასთან შეკამათებას აზრი არ ჰქონდა. არც დამიხედავს, ისე მოვისროლე ნაგვის ყუთში იმისი ბლანკი.

ყველა მარშრუტს თავისი ხაფანგები ჰქონდა და მათ შესახებ მარტო საშტატო ფოსტალიონებმა იცოდნენ. ყოველდღე რაღაც ოხრობა უნდა დაგმართნოდა, ამიტომ თანდათანობით კარგად დავიხსომე, რომელ ადგილებში შეიძლებოდა გადაჰყროდი გაუპატიურების, ყელის გამოჭრის, ძაღლის თავდასხმის ან სხვა სახის საფრთხეს. საშტატო ფოსტალიონები თავიანთ პატარ-პატარა საიდუმლოებს არ გიმხელდნენ. ეგ იყო მაგათი ერთადერთი უპირატესობა - იმას თუ არ ჩავთვლით, რომ ზეპირად იცოდნენ, რა უნდა ეკეთებინათ. ახალმისული კაცისთვის ეს ყველაფერი ჩინური იყო, განაკუთრებით ისეთისთვის, ვინც მთელ საღამოებსა და ღამეებს ლოთობაში ატარებდა, ორზე წვებოდა, ხუთის ნახევარზე კი უკვე ფეხზე იყო, მთელი ღამის ნახერხავები, ნამღერი, და ჯერჯერობით ამ ყველაფერს ერთად უძლებდა.

ერთხელ, სამუშაოდ რომ გავედი, როგორღაც შეადვილა მარშრუტი, მიუხედავად იმისა, რომ ამ გზით პირველად მიხდებოდა ჩამორიგება და გავიფიქრე, ღმერთო, ეგებ მეც მეღირსოს და ორ წელიწადში პირველად სადილს კბილი გავკრა-მეთქი.

წინა დღით მაგრად გავილეწე, თავს შესაბამისად ვგრძნობდი, მაგრამ მაინც კარგად ვიარე, სანამ იმ დასტის დატოვების დრო არ დადგა, ეკლესიისთვის რომ იყო განკუთვნილი. მისამართში ქუჩის ნომერი არ იყო მითითებული, მარტო ეკლესიისა და იმ ბულვარის სახელწოდება ეწერა, რომელზეც ეკლესია ფასადით გამოდიოდა. გასივებული თავით ავუყევი ეკლესიის კიბეს. ზემოთ საფოსტო ყუთი ვერ ვიპოვე. ეკლესიაშიც კაციშვილი არ ჭაჭანებდა. ალაგ-ალაგ სანთლები ენთო, პატარა თასებიც დაედგათ, თითების დასასველებლად. ცარიელი საკურთხეველი და ყველა ქანდაკებაც - ღია ვარდისფერი, ცისფერი თუ ყვითელი -

თითქოს მე შემომყურებდა. სარკმლები ჩაეკეტათ. მყრალი, ჩახუთული დილა იყო.

- ეჰ, უფალო იესო, - გავიფიქრე.

და გარეთ გამოვედი. ეკლესიას გვერდიდან რომ შემოვუარე, ქვემოთ ჩასასვლელი კიბე დავინახე. ღია კარს მივაღე და შევედი. იცით, რა დავინახე? ერთმანეთის მიყოლებით ჩამწკვრივებული ტუალეტები. და საშხაპეები. მაგრამ ბნელოდა. შუქი ყველგან გამორთული იყო. სიბნელეში კაცმა საფოსტო ყუთი როგორ იპოვოს, ნეტავი ამათ როგორ წარმოუდგენიათ? მერე შუქის ჩამრთველი დავინახე. ხელი ჩამოვკარი და ეკლესიის განათება მთლიანად ჩაირთო, შიგნითაც და გარეთაც. მეორე ოთახში შევედი და მაგიდაზე გადაფენილი პასტორის შესამოსლები დამხვდა. და იქვე ერთი ბოთლი ღვინო.

- გადასარევი, - გავიფიქრე, - ჩემ გარდა, ვინ ამოყოფდა თავს ამნაირ ამბავში?

ღვინის ბოთლს დავწვდი, კარგა გემრიელად ვყლურწე, წერილები პასტორის შესამოსლებზე დავტოვე და ტუალეტებისა და საშხაპეებისკენ გავბრუნდი. შუქი გამოვრთე, სიბნელეში მოვჯვი და სიგარეტიც გავაბოლე. შხაპიც ხომ არ მიმელო-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ მერე გაბეთებში გაშანშალებული სათაურები დამიდგა თვალწინ: დაკავებულია ფოსტალიონი, რომელიც კათოლიკური ეკლესიის სარდაფში ქრისტეს სისხლს სვამდა და შიშველი ბანაობდა!

ბოლოს ისე გამოვიდა, რომ სადილობის დროც აღარ დამრჩა და როცა ფოსტაში დავბრუნდი, ჯონსტონმა ჩემს 23-წუთიან დაგვიანებას კიდევ ერთი ანგარიში მიუძღვნა.

მოგვიანებით გავიგე, რომ საეკლესიო ფოსტას თურმე სამრევლოში ტოვებენ ხოლმე, იქვე, კუთხის შენობაში. სამაგიეროდ, ახლა ვიცოდი, სად მომეჯვა და სად გადამევლო წყალი სიქაგამძვრალს.

მერე წვიმების სეზონი დაიწყო. ფულის უმეტესი ნაწილი სას-მელზე მიმდიოდა, ამიტომ ფესსაცმლის ლანჩებში ნახვრეტები გამიჩნდა, საწვიმარი მოსასხამი კი დამეხა და წვიმაში თავიდან ფეხებამდე ვილუმპებოდი - თავიდან ფეხებამდე-მეთქი, რომ ვამ-ბობ, ბუსტად ეგრე უნდა გაიგოთ: წინდებიდან პერანგამდე ყვე-ლაფერი გასაწური მქონდა. დაიწყეს საშტატო ფოსტალიონებმა ბიულეტენზე გადასვლა, ყველა ერთად მიეფინა ქალაქის ყველა განყოფილებაში, ამიტომ ახლა ოუკფორდშიც და სხვა განყოფი-ლებებშიც ყოველდღე აუარებელი სამუშაო იყო. შემცვლელე-მაც კი გაბედეს ბიულეტენების აღება. ერთი მე არ მომიმკვდარუ-ნებია თავი: ძალიან დაღლილი ვიყავი, თავი არ მქონდა, მაგდენი მომეტვინა. იმ დილას, მე რომ უენტლის განყოფილებაში გამ-გზავნეს, ხუთდღიანი თავსხმა იყო, აი, ისეთი, დღე და ღამე რომ კოკისპრულად წვიმს, წყალი რომ ფარდასავით ეშვება ციდან, სა-ნამ მთელი ქალაქი, ყველა და ყველაფერი მას არ დანებდება, როცა საკანალიზაციო არხები წყლის გატარებას ვეღარ ასწრებს, მისი დონე ცხაურს სცილდება, ზოგან გაზონებამდე აღწევს, ზო-გან კი ხალხს სახლებში უვარდება.

მე ამ დროს უენტლის განყოფილებაში გამაგზავნეს.

- შემოგვითვალეს, ყოჩალი ვინმე გვჭირდებაო, - მომაძახა ბურგში ქვიჯამ, როცა თქეშში გავდიოდი.

კარი დაიკეტა. გავიფიქრე, თუ ჩემი ჯაბახანა დაიქოქება (და დაიქოქა კიდევც), მაშინ უენტლიში ნამდვილად მოვხვდები-მეთ-ქი. თუმცა ამას მნიშვნელობა არ ჰქონდა - თუ მანქანა არ იყო, ავ-ტობუსში შეგაგდებდნენ და მორჩა. ფეხები უკვე მთლად სველი მქონდა.

უენტლიში ფოსტით სავსე დიდ ყუთთან გამამწესეს. ყუთი ისე-დაც გადატენილი იყო, მე კი ამ დროს შიგნით სხვა გზავნილების

ჩატენა მიწევდა, იქაური შემცვლელის დახმარებით. ამოდენა ყუთი ცხოვრებაში არ მენახა! ვილაცის უშნო ხუმრობას ჰგავდა ეს ამბავი. შიგნით თორმეტი შეკვრა დავთვალე. ნახევარი ქალაქის ფოსტა იმ ყუთში იყო, მგონი. ჯერ წინ მელოდა იმის გაგება, რომ ჩემი მარშრუტი სულ ციცაბო ფერდობზე ადიოდა. ამის მომფიქრებელი აშკარად ვერ იყო ჭკუაზე.

მოვკიდეთ ორივემ ხელი, გარეთ გავიტანეთ, მაგრამ წასასვლელად რომ მოვემზადე, იქაური განყოფილების უფროსი მომიახლოვდა და მეუბნება:

- ოღონდ დღეს ვერავის დაგახმარ.

კარგი, ეგ არაფერი-მეთქი, ვუთხარი.

ეგ არაფერი. კი, როგორ არა. მაშინ არ ვიცოდი, მერე გავიგე, რომ ის ტიპი ჯონსტონის უახლოესი ძმაკაცი ყოფილა.

მარშრუტი პირდაპირ განყოფილებიდან იწყებოდა. პირველი მონაკვეთი თორმეტიდან. წვიმის ფარდაში გავეხვიე და გზას ქვემოთკენ დავუყევი. ქალაქის უღარიბეს ნაწილში ვიყავი - გარშემო სულ პატარა სახლები და ეზოები იყო, აბლაბუდაში გახვეული საფოსტო ყუთებით, ბოგიერთი რომ ცალ ლურსმანზე ეკიდა. ფანჯრებს უკან კი მოხუცი ქალები თუთუნს ახვევდნენ ან ღეჭავდნენ, თავიანთ იადონებს ეღუღუნებოდნენ, შენ კი ისე გიყურებდნენ, როგორც წვიმაში გზააბნეულ დეგენერატს.

ნიფხავი რომ დაგისველდება, მერე გძვრება და რაც უფრო დიდხანს გაქვს სველი - მით უფრო მეტად; დუნდულებზე გეკრობა და სველ რეზინს მარტო შარვლის უბე აკავებს თეძოებზე. წვიმამ ბოგ კონვერტზე მისამართი გადღაბნა; სიგარეტს ვერ ვუკიდებდი. ჟურნალებისთვის ყოველწუთს ტომარაში მიხდებოდა ჩაძვრომა. ჯერ პირველი მონაკვეთი არ მომემთავრებინა და უკვე დაღლილი ვიყავი. ფეხები ტალახში ისე მქონდა ამოგლესილი, გეგონებოდათ, ჩექმები აცვიაო.

უცებ კარი გაიღო და მოხუცმა ქალმა მანამდე ათასჯერ გაგონილი კითხვა მაჯახა:

- ჩვენი უბნის ფოსტალიონი დღეს რატომ არ მოვიდა?

- თუ ღმერთი გწამთ, ქალბატონო, აბა მე რა ვიცი? საიდან უნდა ვიცოდე, ამის დედა ვატირე? აქეთ მე გამომიშვეს, ეგ აშკარად სადღაც სულ სხვა ადგილასაა!

- დიდი აცვენილი ყმაწვილი ბრძანდებით!

- აცვენილი ყმაწვილი?

- დიახ.

გამეცინა. წყლით გაჟღენთილი კონვერტი ხელეებში ჩავუდე და შემდეგი სახლისკენ წავედი.

აქაც ჭკნობაშეპარულმა ყვავილმა გამიღო კარი. ვითომ კეთილი საქმის გაკეთება უნდოდა და მეკითხება: - ხომ არ გნებავთ, შემოხვიდეთ, ჩაი დალიოთ და გაშრეთ?

- ქალბატონო, შემოსვლის კი არა ნიფხვის აწევის დრო არ მაქვს, მაგდენს ვერ ხვდებით?

- ნიფხვის აწევის?

- დიახ, დიახ, ნიფხვის! - ვუღრიალე და თქეშში გავბრუნდი.

პირველი მონაკვეთი მოვამთავრე. დაახლოებით ერთ საათს კი მოვუნდი. წინ კიდევ თერთმეტი მონაკვეთი მელოდა, ანუ კიდევ თერთმეტი საათი. შეუძლებელია, არ მოესწრება-მეთქი, გავიფიქრე. მივხვდი, ყველაზე მურტალი მარშრუტი რომ ამკიდეს.

ფერდობზე ასვლა უარესი იყო. ფოსტასთან ერთად, ახლა საკუთარი სხეულიც უნდა მეთრია.

შუადღე მოვიდა და წავიდა. უსადილოდ. მეოთხე თუ მეხუთე მონაკვეთზე ვიყავი. ამნაირი მარშრუტის გავლა და მოსწრება მშრალ დღესაც შეუძლებელი იქნებოდა. იმ დღეს კი იმდენად წარმოუდგენელი იყო, რომ ამაზე ფიქრსაც ვერ გაივლებდი თავში.

ბოლოს უკვე ისეთი სველი ვიყავი, მეგონა, მალე დავიხრჩობოდი. ერთი გადახურული პარმალის ვიპოვე, ზემოდან წყალი სულ ოდნავ ჟონავდა, ცოტა ხანს დავდექი და სიგარეტისთვის მოკიდებაც მოვახერხე. სამი ნაფაზისდარტყმა ძლივს მოვასწარი, რომ უკნიდან მოხუცი ქალის ხმა შემომესმა:

- ფოსტალიონო! ფოსტალიონო!

- დიახ, მემ, - გავძახე.

- ფოსტა გისველდებათ!

დავხედე ჩემს ტომარას და, აჰა, რა თქმა უნდა, მისთვის ტყავის ნაჭრით პირის მოკვრა დამვიწყებოდა. პარმალის სახურავიდან რამდენიმე წვეთი დასცემოდა წერილებს.

წამოვედი იქიდან. მორჩა, საკმარისია-მეთქი, გავიფიქრე. მარტო იდიოტი თუ აიტანს იმას, რასაც ახლა მე ვაკეთებ. ახლა სადმე ტელეფონს ვიპოვი, ვეტყვი, მოვიდნენ, წაიღონ თავიანთი ფოსტა და სამსახურიც უკან გაითხარონ-მეთქი. მოიგო ჯონსტონმა, მიაღწია თავისას.

რაწამს სამსახურისთვის თავის დანებება გადავწყვიტე, გულზე მომეშვა. თქემს მიღმა, ქვემოთ, ფერდობის ძირში მდგარი შენობა დავინახე, აი იმათ კი უნდა ჰქონოდათ, წესით, ტელეფონი. გორაზე გზის ნახევარი მქონდა ამოვლილი. ქვემოთ რომ ჩავედი, ის შენობა პატარა ვაფე გამოდგა. შიგნით გათბობა იყო ჩართული. ოჰო, გადასარევი, გავიფიქრე, შევალ და ბარელამ გავშრები კიდევ-მეთქი. საწვიმარი და კეპი მოვიხადე, ფოსტის ტომარა იატაკზე მივაგდე და ფინჯანი ყავა შევუკვეთე.

ძალიან შავი ყავა იყო, აშკარად ძველი ნალექისგან გამოწურული. ყველაზე უარესი ყავა, რომელიც კი ცხოვრებაში გამისინჯავს, მაგრამ ცხელი ხომ მაინც იყო. სამი ფინჯანი დავლიე და ვაფეში ერთ საათს დავრჩი - სანამ მთლიანად არ გავშრი. მერე გარეთ გავიხედე: ამასობაში წვიმასაც გადაეღო! გავედი, ფერდობი ავიარე და ფოსტის ჩამორიგება გავაგრძელე. ნება-ნება ვიარე და



მარშრუტიც ჩავამთავრე. მეტორმეტე მონაკვეთს რომ შევუყვები, უკვე ბნელდებოდა. განყოფილებაში რომ დავბრუნდი, წკვარამი ღამე იყო.

ფოსტალიონების შესასვლელი კარი ჩაკეტილი დამხვდა.

თუნუქის კარს ვგლიჯე.

პატარა, სითბოში ჩალუნღულებული კლერკი გამოვიდა და კარი გამიღო.

- აქამდე სად ჯანდაბაში დაეხეტებოდით? - მიღრიალა.

ყუთთან მივედი და უკან მობრუნებული, შეცდომით დამისამართებული თუ ფოსტაში მოსაკითხად განკუთვნილი წერილებით სავსე, მთლად გალუპული ტომარა შიგნით ჩავაპირქვავე. მერე ჩემი გასაღები ამოვიღე და ზედ დავახეთქე. აწყვეტამდე ვიყავი მისული. ეს კლერკიც გვერდში მედგა.

გავხედე.

- ახლა ერთი სიტყვაც რომ მითხრა, ჭუკლი, კი არა და, რომ დააცხივო, ყველაფერს გეფიცები, მოგკლავ!

„ჭუკლის“ ხმა არ ამოუღია, მე კი წამოვედი.

მეორე დღეს ყოველწამს ველოდი, აი, ახლა მომიბრუნდება ჯონსტონი და რამეს მეტყვის-მეთქი. არაფერიც, ისე იქცეოდა, ვითომც არაფერი მომხდარა. მერე წვიმები დამთავრდა და საშტატო ფოსტალიონებმაც იკადრეს სამსახურში გამოსვლა, სუყველა გამოჯანმრთელდა. ქვიჯამ სამი შემცვლელი ფოსტალიონი სახლში გაუშვა უხელფასოდ, მეც მათ შორის. იმ დღეს კინაღამ შემიყვარდა.

შვებულება ტკბილად შევირგე და ბეტის თბილ უკანალსაც მოვერგე.

მაგრამ მერე ისევ დაიწყო წვიმები. ქვიჯამ რაღაც გაუგებარ რამეზე გამომიძახა, რასაც მათ ენაზე საკვირაო დარიგება თუ შეკრება ერქვა, მაგრამ თუ რამე საეკლესიო ღონისძიებაზე გაქვთ ეჭვი, სულ ტყუილად. დასავლეთის გარაჟში ფურგონი და დაფა უნდა აგელო. დაფაზე წვრილად ეწერა, რომელ ქუჩებზე და რა დროს უნდა მიგეტანა ფოსტა და როდის და სად უნდა მიგეკითხა ახალი ფოსტის წამოსაღებად. მაგალითად, 2:32, ბიჩერისა და ავალონის კუთხე, მარცხ. 3, მარჯვენ. 2 (რაც მარცხნივ სამ კვარტალს და მარჯვნივ ორს ნიშნავდა), 2:35 - შენ კიდევ თავი უნდა გემტვრია, როგორ უნდა მოგესწრო ერთგან ფოსტის ყუთის ამოცლა, ხუთი კვარტლის გავლა და სამ წუთში მეორეგან დარჯობა იქაური ფოსტის წამოსაღებად. ხანდახან, კვირაობით, სამ წუთში ერთი ყუთის დაცლა არ ესწრებოდა. თან დაფაზე მარშრუტებიც ვერ იყო მთლად ბუსტად მითითებული. ზოგჯერ ჩიხის მაგივრად ქუჩა იყო აღნიშნული, ის კი, რასაც ქუჩას ეძახდნენ, ხშირად ჩიხი გამომდგარა; რამდენჯერ კიდევ აზრზე ვერ მოვსულვარ, სად ამოვყავი თავი.

ისევ გაუთავებელი წვიმები იყო, ისეთივე ძლიერი არა, მაგრამ აი, იმნაირი, არასდროს რომ აღარ მთავრდება. ტერიტორიას, რომელზეც მანქანით მიხდებოდა გადაადგილება, არ ვიცნობდი, მაგრამ სანამ დღის სინათლეში მივდი-მოვდიოდი, იმას მაინც ვხედავდი, დაფაზე რა ეწერა. მოსაღამოვებასთან ერთად, დაფაზე დაწერილის გარჩევაც გაძნელდა (სალონის განათებაზე) და დასაცლელი ყუთების ადგილმდებარეობის პოვნაც. თან ქუჩებში ნიაღვარი იდგა და რამდენჯერმე, მანქანიდან რომ გადავედი, კოჭებამდე წყალში მომიხდა გატოპვა.

მერე სალონის განათებაც ჩამიქრა. დაფაზე ველარაფერს ვარჩევდი. გაგნებაში არ ვიყავი, სად ვიდექი. არადა უდაფოდ ისე ვი-

ყავი, როგორც უდაბნოში დაკარგული კაცი. მაგრამ იღბალი ბოლომდე არ მღალატობდა. ჯერ არა-მეთქი, ასე ვიტყვოდი. ორი კოლოფი ასანთი მეგდო მანქანაში და სანამ ახალი ყუთის ძიებაში ვიყავი, ვაჩხაკუნებდი და ვაჩხაკუნებდი გზადაგზა, მიმართულეზას ვიხსომებდი და გზას ისევ ვაგრძელებდი. ამ ერთხელ გადავურჩი განსაცდელს, ზეციურ ჯონსტონს, ზემოდან რომ აღმაცერად დამყურებდა და თვალს არ მაშორებდა.

მერე კუთხეში შევეხვიე, ყუთის დასაცლელად გადავედი, უკან მობრუნებულმა კი დაფა ვეღარ ვიპოვე. ადგა და გაქრა!

ზეციურ ჯონსტონ, გთხოვ, შემიწყალე! დავიკარგე სიბნელეში და წვიმაში. არა, მაინც როგორ დამემართა ეს, ნუთუ იდიოტი ვარ? კაცი რომ ამდენ შარში მოახერხებს გახვევას, იმაზე სხვა რა უნდა იფიქრო? ძალიანაც შესაძლებელია, ალბათ, მართლა იდიოტი ვარ. იმის შანსიც არსებობს, რომ სულ მთლად არანორმალური გამოვდგე. ბედის წყალობაა, ჯერ რომ სული მიდგას.

დაფა პანელზე მავთულით მქონდა მიბმული. ვიფიქრე, ფურგონიდან, ალბათ, მაშინ გადამივარდა, როცა ბოლო მოსახვევში მკვეთრად მოვუხვიე-მეთქი. შარვლის ტოტები ავიკაპიწე, მანქანიდან ასე გადავედი და ფუტამდე სიღრმის წყალში ტოპვა-ტოპვით ვიარე. ბნელოდა. სად ჯანდაბაში უნდა წასულიყო, ახლა მაგას რა მაპოვნინებს-მეთქი, ვფიქრობდი. ვიარე, ვიარე ასანთის ჩხაკუნით - არსად არაფერი ჩანს, გაქრა, წყალმა წაიღო. ქუჩის კუთხემდე რომ მივალწიე, ჯერ კიდევ ვაზროვნებდი და არ გამომპარვია, რომ წყალი ერთი მიმართულებით მიედინებოდა. ნაკადს გავყევი. მოშორებით წყლის ზედაპირზე მოტივტივე საგანი შევამჩნიე, ასანთს გავკარი და - აჰა, ეგეც შენ! ჩემი დაფა! შეუძლებელია! ისეთ ჭკუაზე ვიყავი, კინაღამ დავკოცნე.

ისევ ფურგონისკენ გავაბოტე, ჩავჯექი და შარვლის ტოტები ჩამოვიწიე. დღის გრაფიკში ჩატევაზე, რა თქმა უნდა, უკვე ლაპარაკიც აღარ შეიძლებოდა, მაგრამ მაგათი ტურტლიანი დაფა ხომ

მაინც ვიპოვე. ამ გაუგებარი ადგილის შუკვებში ხომ მაინც არ დავ-  
კარგულვარ. კარდაკარ სიარული, ზარის რეკვა და იმის გაკით-  
ხვაც ხომ არ მომიხდა, ფოსტის გარაჟამდე როგორ მივაღწიო-  
მეთქი.

ამ დროს ვიღაც ჩათლახის ხმა გავიგონე, ჩათბუნებული ბინის  
წინკარიდან მემაწაკებოდა:

- ერთი ეს ნახე, რა. ფოსტის თანამშრომელი ხარ, ხო? რაო, შე-  
ნი გარაჟის გზას ვეღარ აგნებ?

მანქანა დავექოქე და წავედი, პერიოდულად ასანთის ანთება  
მჭირდებოდა დაფაზე დასახედად, ხან წყლის მორევში ვკრავდი  
მანქანის ცხვირს, ხან ყუთებიდან წერილები მიცვიოდა. სიქაგამ-  
ძვრალი, გალუმპული და თან წუხანდელი ნამთვრალევი ვიყავი,  
მაგრამ მაგ მდგომარეობაში ჩემთვის ახალი არაფერი იყო და  
დაღლილობასაც ისე ვისხლეთდი, როგორც მორევებს ვუქცევდი  
გვერდს. ორივეს ერთად მივაპობდი და თან ცხელ აბაზანასა და  
ბეტის მშვენიერ ფეხებზე ვფიქრობდი - რაღაც ისეთი საფიქრალი  
მჭირდებოდა, ამ წვალეხას რომ გადამატანინებდა - წარმოვიდ-  
გინე, თითქოს შეზღონგზე ვიყავი წამოწოლილი, ცალ ხელში  
სასმელი მეჭირა, მეორით კი ძაღლს, რომელიც მელაქუცებოდა,  
ვეფერებოდი თავზე.

მაგრამ ამისთანებამდე ჯერ გრძელი გზა იყო. დაფაზე გაჩერე-  
ბები აღარ მთავრდებოდა და როცა, როგორც იქნა, ბოლოში გა-  
ვედი და თითქოს გზაც უნდა დასრულებულიყო, დაფა გადავატ-  
რიალე და აღმოვაჩინე, რომ გაჩერებების ერთი იმხელა სია კი-  
დევე გასავლელი მქონდა.

ასანთის უკანასკნელი ღერი რომ ჩამიქრა, ბოლო გაჩერებაზე  
ვიყავი. ფოსტა მითითებულ განყოფილებაში დავტოვე და უკან,  
დასავლეთის გარაჟისკენ გავბრუნდი. ქალაქის დასავლეთ ნა-  
წილში რელიეფი ძალიან ბრტყელი იყო, ამიტომ სადრენაჟო სის-  
ტემა წყლის გატარებას ვერ ასწრებდა და ყოველ ჯერზე, როცა

მთელი დღე წვიმდა, ქუჩები კარგა მაგრად იტბორებოდა. ადგილობრივები ამას წყალდიდობას ეძახდნენ და არც ცდებოდნენ, წყალდიდობა იყო, სხვა რა შეიძლებოდა ამას რქმეოდა.

სანამ გზაში ვიყავი, წყლის დონე სულ მაღლა და მაღლა იწევდა. გარშემო უპატრონოდ მიგდებულ მანქანებს ვხედავდი. ძალიან ცუდი, იმიტომ რომ ერთადერთი, რაც ახლა მინდოდა, სავარძელში ჯდომა იყო, ცალ ხელში ვისკის ჭიქით, და იმის ყურება, როგორ დათანთალებს ბეტის გავა ოთახში. მერე კი შუქნიშანთან ტომ მოტოს შევხვდი, ჯონსტონის ერთ-ერთ შემცვლელ ფოსტალიონს.

საითო, მკითხა მოტომ.

- უმოკლეს დისტანციაზე ვარ ორ პუნქტს შორის, - ვუპასუხე. - ეგ, როგორც მე მასწავლეს, სწორი ხაზი იქნება.

- ჯობია, სწორად ნუ გადაკვეთ, - მითხრა მოტომ, - აქაურობას კარგად ვიცნობ. აქედან იქით ოკეანე გექნება გადასაცური.

- სისულელეა, - ვუთხარი, - მაგის ტრაკი უნდა გქონდეს, მეტი არაფერი. ასანთი გაქვს?

სიგარეტს მოვუკიდე და შუქნიშანთანვე დავტოვე.

ბეტი, ოქრო, მოვდივარ!

წავედით. აბა!

წყალი მატულობდა და მატულობდა, მაგრამ საფოსტო ფურგონებს ძარას განგებ უფრო მაღლა უკეთებენ. უახლოესი საცხოვრებელი კვარტალი მოკლებზე გადავჭერი, მთელი სიჩქარით. წყალი ნელ-ნელა მაღლა იწევდა და პირდაპირ ჩქეფდა მანქანის ირგვლივ. კოკისპირულად ასხამდა. გარშემო ერთი მანქანა არ ჭაჭანებდა. ერთადერთი მოძრავი ობიექტი მე ვიყავი.

ბეტი, ოქრო.

აბა.

ტიპი იდგა სახლის პარმალზე. ჩემს დანახვაზე გაიცინა და ხმა-მაღლა გამომძახა: - ფოსტას ეკუთვნის, გაიარე!

ერთი მივაგინე და შუათითიც დავანახვე.

მერე ვიგრძენი, რომ წყალი უკვე ძარაში ამოდის და ფეხსაც-  
მლის გარშემო იწყებს ბუებუყს. არ გავჩერებულვარ, გზას ვაგ-  
რძელვბდი. სულ სამი კვარტალი მქონდა დარჩენილი!

მერე კი ფურგონი გამიჩერდა და დადგა.

აუ. აუ, ამის დედა ვატირე. ფუ, შენი.

ვიჯექი და ჯიუტად ვცდილობდი მანქანის დაქოქვას. ერთხელ  
დაიწყოსავით, მაგრამ ბოლომდე ვერ გაქაჩა. დავრჩი ეგრე,  
წყალს დავაშტერდი. ორი ფუტის სიმაღლეზე მაინც იდგა უკვე. ვე-  
ღარ მოვიფიქრე, რა უნდა გამეკეთებინა. ასე ვმჯდარიყავი და  
დავლოდებოდი, სანამ მაშველებს გამომიგზავნიდნენ?

რას ამბობს ასეთ დროს ინსტრუქცია? სად ვნახო? კაციშვილს  
არ ვიცნობდი ისეთს, ეგ ინსტრუქცია რომ ჰქონოდა თვალით ნა-  
ნახი.

მოვედით, ტრაკში ვართ.

მანქანა ჩავკეტე, გასაღები ჯიბეში ჩავიგდე, ისევ წყალში (რო-  
მელიც უკვე წელამდე მწვდებოდა) გავტოპე და დასავლეთის გა-  
რაჟისკენ გავწიე. ჯერ კიდევ წვიმდა. მოულოდნელად წყლის დო-  
ნემ კიდევ სამი თუ ოთხი ინჩით აიწია. მივხვდი, რომ მანამდე გა-  
ბონზე ავსულვარ, ახლა კი საწვიმარ არხში ჩამიდგამს ფეხი.  
ფურგონი ბედ ვიღაცის სახლის წინ, მოღბე გამიჩერებია.

ერთი ხანობა ვფიქრობდი, რომ გავცურო, უფრო სწრაფად გა-  
ვალწევ აქედან-მეთქი. მერე გადავიფიქრე, სასაცილო სანახავი  
ვიქნებოდი. ბოლოს გარაჟამდეც მივედი და პირდაპირ დისპეტ-  
ჩერთან მივაჭერი. თავიდან ფეხებამდე გასაწური ვიყავი და თვა-  
ლებდაჭყეტილი მიყურებდა.

ფურგონის გასაღები მივუგდე.

მერე ქალაღდის ნაგლეჯზე დავუწერე: მაუნთვიუ ფლეის,  
3435.

- ამ მისამართზეა თქვენი ფურგონი. წადით და წამოიყვანეთ.

- მოიცა, ახლა არ მითხრათ, რომ მანქანა იქ დატოვეთ.

- გეუბნები: მანქანა იქ დავტოვე.

თავი აღვანიშნინე, უკან გამოვბრუნდი, ტანზე ყველაფერი გა-  
ვიხადე და ნიფხვის ამარა დავდექი გამათბობელთან. მერე ოთა-  
ხის მეორე ბოლოს გავხედე და ასეთივე გამათბობელთან ტომ  
მოტო დავინახე, ისიც ჩემსავით ნიფხვის ამარა.

ორივეს ხარხარი აგვიტყდა.

- ეს რა კოშმარი იყო, ჰა? - თქვა ტომმა.

- წარმოუდგენელი.

- როგორ გგონია, ქვიჯამ წინასწარ იცოდა?

- რას არა. წვიმაც მაგან მოუშვა.

- გაიჭედე, ხო?

- აბა რა იქნებოდა, - ვუთხარი.

- მეც ეგრევე.

- მისმინე, ოქრო. ჩემი მანქანა თორმეტი წლისაა. შენ ახალზე  
ზიხარ. დარწმუნებული ვარ, შეიძლება იქიდან ჩემი ფურგონის  
გამოყვანა, რაღაცას გამოვედე. ცოტა რომ მომაწვე და გამომაყ-  
ვანინო? რას იტყვი?

- კაი.

ჩავიცვით და გავედით. მოტოს ახალთახალი მანქანა მისცეს  
სამი კვირით ადრე. ჩავუჯექი, ველოდები, როდის დაქოქავს. ხმა  
არ ისმის. ოხ, შენი დედა ვატირე-მეთქი, გავიფიქრე.

ამასობაში წყალი ძარას უსწორდება და კაბინაში შემოდის.

მოტო მანქანიდან გადავიდა.

- ვერაა კარგი ამბავი, - მეუბნება, - არ იქოქება.

მერე ჩემი მოვსინჯე, თუმცა იმედი დიდად არც მქონდა. აკუმუ-  
ლატორი კიდევ რაღაცას ფაფხურობდა, ნაპერწკლებს ყრიდა,  
მაგრამ სულ ეგ იყო. ცოტა კიდევ დავქოქე და არიხრიხდასავით.  
გავიმარჯვეთ, ვაშა! გახურება ვაცადე. მერე უკან დავიხიე და მო-  
ტოს ახალ მანქანას დავუწყე მიწოლა. დაახლოებით ერთი მილის

მანძილზე ვაწვებოდი. არც გაუცუებია, ისე იარა. გარაჟამდე ასე მივაგორე, შიგნით შევტენე, მოტო იქ დავტოვე, მე კი ზედა, მშრალი ქუჩებისკენ დავაწეე და ბეტის ტრაკს დავუბრუნდი.



ქვიჯას ერთი საყვარელი ფოსტალიონი ჰყავდა, მეტიუ ბეტლზი. არ მახსოვს, ბეტლზი ისე მოსულიყო ფოსტაში, ტანსაცმელზე ერთი ნაკეცი მაინც ჰქონოდა. ყველაფერი სულ ახალთახალი ეცვა ხოლმე, ან ახალივით გამოიყურებოდა: ფეხსაცმელი გინდა, პერანგი, შარვალი, კეპი თუ ნიფხავი, ყველაფერი. ფეხსაცმელი სულ ულაპლაპებდა. ტანზე რაც ეცვა, ერთხელ განარეცხსაც არ ჰგავდა. სულ ცოტათი მაინც რომ გაექექებოდა რამე, ეგრევე აგდება.

მეტიუს რომ დაინახავდა, ქვიჯა ჩვენ გამოგვხედავდა ხოლმე:

- აჰა, მოდის ნამდვილი ფოსტალიონი! - გვეტყოდა.

მთელი სერიოზულობით გვეუბნებოდა ამას. თვალებიდან ლამის სიყვარულის ნაპერწკლები სცვიოდა. ბევრი არ უკლდა, ყოველ შემთხვევაში.

დადგებოდა მეტიუ თავის კარადასთან, გაწკეპილი, მხრებგამართული, გაპრიალებულ-გაპიწკინებული ფეხსაცმელი ტრიუმფალური ელვარებით უბიძგიძებდა და წერილებს კარადაში გასხივოსნებული ალაგებდა.

- შენ ნამდვილი ფოსტალიონი ხარ, მეტიუ!

- გმადლობთ, მისტერ ჯონსტონ!

დილის ხუთ საათზე მოვედი და ქვიჯას დავუწყე ლოდინი. რაღაც მომწვარულივით მეჩვენა თავისი წითელი პერანგის შიგნით.

გვერდით მოტო მეჯდა. მითხრა, მეტიუ აუყვანიათ გუშინო.

- რას ქვია, აუყვანიათ?

- ჰო, გზავნილებს ხსნიდა და იპარავდა თურმე, თუ რამე იყო მოსაპარი. ნეკალაილას ტაძრისთვის გამოგზავნილ წერილებს ხსნიდა და ფულს იღებდა, ხო აზრზე ხარ, არადა თხუთმეტი წელი იმუშავა აქ.

- როგორ გამოიჭირეს, როგორ გაიგეს, რას აკეთებდა?

- მოხუცი ქალების ამბავი არ იცი? ნეკალაილას ფულს კონვერტებით უგზავნიდნენ. მადლობის წერილები რომ აღარ მიიღეს, ეჭვი გაუჩნდათ. ნეკალაილამ მთავარ ფოსტას შეატყობინა, ფოსტამ მეტიუს მოთვალთვალე მიუჩინა. სწორედ მაშინ წაადგნენ თავზე, წერილს რომ ხსნიდა და ფულს იღებდა.

- ატრაკვებ ეხლა. მართლა?

- მართლა. გამოიჭირეს, დღისით, მზისით.

ადგილზე შევექანდი.

ნეკალაილამ ერთი დიდი ტაძარი ააშენა და გულისამრევი მწვანე ფერით შეღება - ასე მგონია, ეგ ფერი ფულს აგონებდა და იმიტომ. ოცდაათი თუ ორმოცი კაცი დაიქირავა, ვისაც კონვერტებიდან ფულისა და ჩეკების ამოღება, დათვლა, გამომგზავნების და გადმორიცხვის თარიღების და მისთანების ჩაწერა ევალებოდა, სხვა არაფერი. დანარჩენები ნეკალაილას წიგნებისა და ბუკლეტების დაგზავნით იყვნენ დაკავებულები. ეკლესიაში კედელზე მისი უზარმაზარი ფოტო ეკიდათ - წვეროსანი ნ. პასტორის შესამოსელში; ნ-ს კიდევ ერთი, ფერწერული პორტრეტი კი, ისიც კარგა დიდი ზომის, ოფისს ბემოდან დაჰყურებდა, თვალს ადევნებდა.

ნეკალაილა ამტკიცებდა, რომ ერთხელ, როცა უდაბნოში მიდიოდა, გზად იესო ქრისტე შემოეყარა და ყველაფერი უამბო. ჩამომსხდარან თურმე ერთ დიდ ლოდზე ერთად და ი. ქ.-ს ნ. დაუმოდვრავს. ახლა ნეკალაილა ამ საიდუმლოს იმათ გადასცემდა, ვისი ჯიბეც მის მოსმენას გასწვდებოდა. და კიდევ, ყოველ კვირადღეს წირვას ატარებდა. მისი თანაშემწეები, რომლებიც თან მისი მიმდევრებიც იყვნენ, სამუშაოს მკაცრად დაწესებულ დროს იწყებდნენ და ამთავრებდნენ.

ახლა კი წარმოიდგინეთ მეტიუ ბეტლზი, რომელიც ნეკალაილას ჭკუაში მოტყუებას შეეცადა, ნეკალაილასი, რომელიც იესო ქრისტეს შეხვდა უდაბნოში!

- ქვიჯას ვინმემ რამე უთხრა? - ვიკითხე.

- სერიოზულად კითხულობ მაგას?

ერთ-ორ საათს ვისხედით. მეტიუს ყუთთან შემცვლელი ფოსტალიონი გაამწესეს. დანარჩენ შემცვლელებს სხვა საქმეები ჰქონდათ დავალებული. მართო მე შემოვრჩი ქვიჯას. ცოტა ხანში ავდექი და მის მაგიდასთან დავდექი.

- მისტერ ჯონსტონ!

- გისმენ, ჩინასკი?

- მეტიუ სად არის დღეს? ავად გახდა?

ქვიჯამ თავი ჩაქინდრა. რალაც დოკუმენტს დააშტერდა, რომელიც ხელში ეჭირა და თავი მოიკატუნა, ვითომ კითხვას აგრძელებდა. უკან გამოვბრუნდი და ჩემს ადგილზე დავჯექი.

დილის შვიდ საათზე მომიტრიალდა:

- დღეს შენთვის სამუშაო არ იქნება, ჩინასკი.

წამოვდექი და კარისკენ წავედი. ზღურბლზე შევჩერდი.

- სასიამოვნო დღეს გისურვებთ, მისტერ ჯონსტონ.

არაფერი უპასუხია. მე კი სასმელების მაღაზიაში ჩავედი და საუბმისთვის ნახევარი პინტა „გრანდ დედი“ ვიყიდე.

სადაც არ უნდა მიმეტანა ფოსტა, ადამიანებს ერთნაირი ხმები ჰქონდათ. თქმითაც სულ ერთსა და იმავე რამეებს მეუბნებოდნენ.

- მოსვლა დაგიგვიანდათ!
- ძველი ფოსტალიონი სად არის?
- ძია სემს გაუმარჯოს!
- ფოსტალიონო, ფოსტალიონო, ეს ჩვენი არ ყოფილა!

ქუჩები გადარეული და ჭკუიდან გადამყვანი ტიპებით იყო სავსე. ამ ხალხის უმეტესობა მშვენიერ სახლებში ცხოვრობდა და, ჩემი შთაბეჭდილებით, არ მუშაობდა. გაუგებარია, როგორ ახერხებდნენ ამას. ერთი იყო, წერილს საფოსტო ყუთში არაფრით ჩაგადებინებდა. იდგა ხოლმე გზის პირას და ორი-სამი კვარტლის მანძილიდან თვალს არ გამოორებდა. გელოდებოდა ასე და ცალი ხელი უკვე შენკენ ჰქონდა გამოშვერილი.

იმ მარშრუტის სხვა ფოსტალიონებს ვკითხე ერთხელ:

- ერთი გამაგებინეთ, იმ ტიპს რა ჭირს, ხელგამოშვერილი რომ დგას ხოლმე?

- ხელგამოშვერილი რომ დგას, იმას, ხომ? - აქეთ შემომიბრუნეს კითხვა.

თან ყველას ერთნაირი ხმა ჰქონდა.

ერთხელაც, როცა ეს მარშრუტი მქონდა ჩაბარებული, „კაცი, რომელიც ხელგამოშვერილი დგას ხოლმე“ თავისი სახლიდან ნახევარ კვარტალში დავინახე, მეზობელს ელაპარაკებოდა. ჩემკენ რომ გამოიხედა, ერთი კვარტალი მქონდა იქამდე გასავლელი და მიხვდა, რომ სახლამდე მისვლას და წინ დახვედრას მოასწრებდა. ზურგი მაქცია თუ არა, რაც ძალი და ღონე მქონდა, გავიქეცი. ფოსტა ასეთი სისწრაფით მანამდე, ალბათ, არასდროს მიმიტანია. კი არ მივრბოდი, მიუფირნავდი, სულის მოსათქმელა-

დაც არ შევჩერებულვარ, მოვკლავ ამას-მეთქი, თან ვფიქრობდი. წერილი სანახევროდ მის საფოსტო ყუთში მქონდა ჩაყოფილი, როცა მოტრიალდა და დამინახა.

- არ ქნათ, არ ქნათ, არა, არა! - განწირული ხმით იყვირა, - ყუთში არ ჩააგდოთ!

და ქუჩას ჩემკენ სირბილით გამოუყვა. მის ფეხებს ერთ გადღაბნილ ლაქად ვხედავდი. ასი იარდი, ალბათ, ცხრა წამში გამოირბინა.

წერილი ხელში ჩავუდე. ვუყურებდი, როგორ გახსნა, პარმადი აიარა, კარი გამოაღო და სახლში შევიდა. კაციშვილმა ვერასდროს ამიხსნა, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი.

მერე ისევ ახალი მარშრუტი მერგო. ქვიჯა სულ რთულ დავალებებს მაძლევდა, თუმცა ხანდახან, ამა თუ იმ გარემოების გამო, იძულებული ხდებოდა, მთლად მომაკვდინებელ მარშრუტებზეც არ გავეშვი. 511-ე მარშრუტი კარაქივით რბილად წავიდა და მეც ლამის იყო სადილზე დავიწყე ფიქრი, რომელიც მანამდე ერთხელაც არ მღირსებია.

ჩვეულებრივი, კერძოსახლებიანი უბანი იყო, ერთიმეორის მიყოლებით ჩამწკრივებული, კოხტა, მოვლილი ეზოებით. არც ერთი მაღალი საცხოვრებელი სახლი არ იდგა. მაგრამ ჩემთვის ეს მარშრუტი ახალი იყო და დავდიოდი და გუნებაში ვფიქრობდი, ნეტავი აქ ხაფანგი სად არის-მეთქი. ამინდიც მშვენიერი გახლდათ.

ღმერთმანი, მართლა გამომდის-მეთქი, გავიფიქრე. ახლა ვისადილებ და გრაფიკშიც ჩავეტევი. როგორც იქნა, ჩემი ცხოვრებაც რაღაცას ემსგავსებოდა.

აქაურებს ძაღლებიც კი არ ჰყავდათ ეზოებში. სახლებს გარეთ არავინ იდგა და თავის წერილებს ხელგამოშვერილი არ ელოდებოდა. ხანდახან რამდენიმე საათი ისე გადიოდა, ადამიანის ხმას ვერ გაიგონებდი. იქნებ მივალწიე, როგორც იქნა, საფოსტო სიმწიფეს, თუ რაღაც ეგეთს? ერთი სახლიდან მეორისკენ მივაბიჯებდი, სწრაფი, ფეხმარდი, პროფესიისთვის ლამის თავდადებული.

გამახსენდა, როგორ დაიდო ერთხელ ერთმა ძველმა ფოსტალიონმა გულზე ხელი და მითხრა: - იცოდე, ჩინასკი, ერთხელაც იქნება, პირდაპირ აი, აქ გწვდება ეს საქმე!

- ინფარქტი დამემართება?

- არა, სამსახურისთვის თავდადება დაგემართება. ნახავ, თუ არა. იამაყებ იმით, რასაც აკეთებ.

- მიდი, რა, გაიარე!

მაგრამ აშკარად გულწრფელად მეუბნებოდა.

ჰოდა, სანამ ამ გამალებულ მუშაობაში ვიყავი, იმ ტიპზე ვფიქრობდი.

მერე შეკვეთილი წერილის ქვითარი მომხვდა ხელში.

ერთ-ერთ სახლს მივადექი და ზარს დავაჭირე. უცებ კარებში ამოჭრილი პატარა სარკმელი გაიღო. სახე არ დამინახავს.

- შეკვეთილი წერილია, - მოვახსენე.

- უკან დაიხიეთ! - გავიგონე ქალის ხმა, - უკან დაიხიეთ, რომ თქვენი სახის დანახვა შეეძლო!

აჰა, გავიფიქრე, კიდევ ერთი დარტყმული-მეთქი.

- იცით, რა, ქალბატონო, ჩემი სახის დანახვა თქვენ სულ არაფრად გჭირდებათ. ახლა ამ ქვითარს საფოსტო ყუთში ჩაგიგდებთ, თქვენ ფოსტაში მოხვალთ და წერილს გაიტანთ. პირადობის დამდასტურებელი საბუთის წამოღება არ დაგავიწყდეთ.

ქვითარს ყუთში ვაცურებ, ზურგს ვაქცევ და პარმალიდან გამოვდივარ.

უცებ კარი გაიღო და ის ქალი გარეთ გამოვარდა. გამჭვირვალე როა, ისეთ თეთრეულში, ულიფოდ. მარტო მუქი ლურჯი ტრუსი. თმა დაუვარცხნელი ჰქონდა, ისე ედგა ყალყზე, თითქოს პატრონისგან გასაქცევად გამზადებულაო. სახეზე კრემივით ესვარაღაც, ყველაზე მეტი - თვალეხვეშ. ტანზე ისეთი თეთრი და ქათქათა კანი ჰქონდა, იფიქრებდი, თავის დღეში მზის სხივი არ მიჰკარებიაო და რაღაც არაჯანსაღი შესახედაობა ჰქონდა. პირი - ბოლომდე დაღებული, ტუჩებზე სულ ოდნავ პომადა შერჩენოდა; აღნაგობა ისეთი ჰქონდა...

ამ ყველაფრის შემჩნევა იმ წამებში მოვასწარი, სანამ ჩემკენ მოჰქროდა, მე კი მის შეკვეთილ წერილს უკან, ჩანთაში ვიდებდი.

მომვარდა და მომაყვირა: - მომეცით ჩემი წერილი!

- ქალბატონო, ხომ იცით, როგორ უნდა მოიქცეთ, ჯერ...

სიტყვის დამთავრება ვერ მოვასწარი, რომ წერილი გამომტაცა და კარებისკენ გაიქცა, გამოაღო და სადაცაა, უნდა შევარდეს.

ჯანდაბა! რა ვქნა ახლა, ფოსტაში არც უიმწერილოდ მიმესვლება და ვერც ხელმოწერის გარეშე დავბრუნდები! რასაც არ აკეთებ, ყველაფერს ხელის მოწერა სჭირდება.

- ჰეი! - დავუყვირე. მერე უკან მივყევი და ფეხი კარს ძალიან დროულად დავუხვედრე.

- ჰეი! რა ჯანდაბას აკეთებთ!

- გადით! მოშორდით აქედან! რა საშინელი კაცი ხართ!

- აბა, ერთი აქეთ მომხედეთ, ქალბატონო! და შეეცადეთ, რაღაც გაიგოთ! ამ წერილს რომ იღებთ, ჯერ ხელი უნდა მომიწეროთ! ასე ვერანაირად ვერ გაგატანთ! თქვენ ახლა შეერთებული შტატების საფოსტო სისტემას ძარცვავთ!

- მომშორდი, საშინელო!

კარს მთელი ტანით მივაწექი და ოთახში შევვარდი. სახლი შიგნიდან ჩაბნელებული იყო, ყველა ჟალუზი ჩამოწეული ჰქონდა - მთელ სახლში, ყველა ჟალუზი.

- არ გაქვთ ჩემს სახლში შემოსვლის უფლება! ახლავე გადით აქედან!

- თქვენ კი ფოსტის გაძარცვის უფლება არ გაქვთ! ან დამიბრუნეთ ეგ წერილი, ან ხელი მომიწერეთ და ჩაბარება დამიდასტურეთ! აი, მერე წავალ.

- კარგი, ბატონო! კარგი! მოვაწერ!

ვაჩვენე, სადაც უნდა მოეწერა ხელი და კალმისტარიც მივეცი. ამასობაში ძუძუები და სხვა რამე-რუმეები ავუთვალე-ჩავუთვალე და გავიფიქრე, აფსუს, შეიძლება ეს ამისთანა შექანებული იყოს, რა დასანანია, რა დასანანი-მეთქი.

კალმისტარი და ხელმოწერილი ბლანკი უკან დამიბრუნა, რაღაც მიეჯღაბნა ქალაღდზე. მერე წერილი გახსნა და მე რომ კარისკენ გავტრიალდი, კითხვა დაიწყო.



მეორე წუთს უკვე კარის წინ იყო აყუდებული, გაშლილი ხელე-  
ბით.

წერილი იატაკზე ეგდო.

- საშინელო, საშინელო, საშინელო ვაცო! აქ იმისთვის მოხვე-  
დით, რომ გამაუპატიუროთ, არა?

- ქალბატონო, გამატარეთ.

- სახეზე გაწერიათ, რასაშინელი ვაციც ხართ!

- თქვენ გგონიათ, მე თვითონ არ ვიცი? აბა, ახლა კი გამატა-  
რეთ!

ცალი ხელით განზე გაწევა დაუპირე. კლანჭები გამოუშვა და  
სახეში გვერდიდან ჩამაფრინდა. საფოსტო ჩანთა ხელიდან გამი-  
ცურდა, კეპი მომძვრა და ძირს დამივარდა, და სანამ სისხლამდე  
დაპორტყენილ ლოყაზე ხელსახოცს ვიდებდი, იქითა მხრიდან მო-  
მიარა და მეორე ლოყაც ჩამომაკაწრა.

- ოხ, შე ბოზანდარა! რა გჭირს, რა ოხრობა გჭირს ნეტავი!

- ხედავთ? ხომ ვამბობდი? საშინელი ვაცი ხართ!

მიყვირის, თან ცოტაც, და ამეკრობა მთელი ტანით. მეც ვტაცე  
ტრაკზე ხელები და ტუჩებით ტუჩებზე დავაკვდი. მკერდით მომეკ-  
რა. მთელი ტანით მომეგლისა. თავი უკან გადასწია, მერე სულ  
მთლად გადაუვარდა.

- მოძალადე! მაუპატიურებენ! საშინელი მოძალადე!

ტუჩებით ქვემოთ-ქვემოთ დავუყევი, ჯერ ცალი ძუძუ მოვიგდე,  
მერე მეორეზე გადავედი.

- მოძალადე! მოძალადე! მაუპატიურებენ!

მართალიც იყო. საცვალი ჩავხადე, შარვლის შესაკრავი ჩა-  
ვიხსენი, ფეხებშუა შევუსრიალე და მერე უკან-უკან წავიყვანე.  
ტახტს ერთად დავასკდით.

ორივე ფეხი ასწია.

- მაუპატიურებენ! - თან გაჰკიოდა.

იქვე, ტახტზევე მივამთავრე ქალბატონი, შარვლის შესაკრავი ავიწიე, საფოსტო ჩანთას დავწვდი და წამოვედი. დამშვიდებული, ჭერის თვალიერებით გართული დავტოვე...

სადილი კიდევ ერთხელ გამოვტოვე, მაგრამ განრიგში მაინც ვერ ჩავეტე, დამაგვიანდა.

- თხუთმეტი წუთით გვიან დაბრუნდი, - მითხრა ქვიჯამ.  
ხმა არ ამომიღია.

გამომხედა და შემათვალისწინა.

- ღმერთო დიდებულო, სახეზე რა გჭირს? - მკითხა.

- რავი, შენ? - კითხვა შევუბრუნე.

- რა, ჩემს სახეს რა ჭირს?

- არაფერი, დაიკვიდე.

ისევ წინა დღის ნამთვრალევი ვიყავი, ისევ მაგარი სიცხე იყო - მთელი კვირა ოცდაჩვიდმეტ გრადუსს არ ჩამოსცილებია. ყოველდღამე სმა მქონდა გამოწერილი, სისხამი დილიდან კი - ისევ ქვიჯა და ყველაფერი, ყველაფერი აუტანელი.

ბიჭებიდან ზოგიერთები მზის ქუდებით და მუქი სათვალეებით გადიოდნენ მარშრუტზე, მე კი იგივე ვიყავი მარად და მარად, რა ამინდიც უნდა ყოფილიყო - გინდა მზე და გინდა წვიმა. დაძონძილი ტანისამოსით დავიარებოდი და იმსიძველე ფეხსაცმლით, რომ ლანჩის ლურსმნები შიგ ფეხისგულეებში მესობოდა, ამიტომ შიგნით მუყაოს ნაჭრებს ვიფენდი. თუმცა ესეც მარტო დროებით მშველოდა - ცოტა ხანი და ლურსმნები ისევ ქუსლებში მქონდა შერჭობილი.

იღლიებიდან პირდაპირ ვისკი და ლუდი გადმომჩქეფდა შადრევანივით, მე კი იმ ტვირთით ზურგზე, ვითარცა მძიმე ჯვრით, დავძრწოდი აღმა-დაღმა და ვარიგებდი ჟურნალებს, დავატარებდი ათასობით წერილს ბარბაც-ბარბაცით, მზის გულზე დამწვარი და დახრუკული.

ვიღაც ქალმა დამიყვირა შორიდან:

- ფოსტალიონო! ფოსტალიონო! ამას აქ რა უნდა?

გავხედე. ქვემოთ, დაღმართზე, მთელი კვარტლით დაბლა იდგა. მე ამ დროს გრაფიკს უკვე ჩამორჩენილი ვიყავი.

- დადეთ სადმე ყუთთან ახლოს, ქალბატონო! ხვალ მოვალთ და ავიღებთ!

დადო კი არა, ისე დაიწყო წერილის ქნევა, მთელი ცა შემოატარა.

- არაფრის დიდებით! მინდა, რომ მოხვიდეთ და ახლავე წაილოთ!

- ქალბატონო!

- მოდით და წაიღეთ! ამას აქ რა უნდა?  
ღმევერთო ჩემო.

ჩანთა ძირს დავაგდე. მერე კეპზე ვიტაცე ხელი და ბალახზე დავახეთქე. ქუჩისკენ გადავორდა. მეც თავი მივანებე და ქვემოთკენ დავუყევი, სადაც ის ქალი იდგა. ნახევარი კვარტალი ვიარე.

რომ მივუახლოვდი, მივაჭერი და წერილს ხელი ვტაცე, გამოვგლიჯე და გამოვბრუნდი.

აზრბე ხართ, რეკლამა იყო! მესამე კლასის საფოსტო გზავნილი. ნახევრად ჩამოფასებული ტანსაცმლის რეკლამა.

ქუჩაში გადავორებული კეპი ავიღე, ისევ თავზე ჩამოვიფხატე, ჩანთა მარცხენა მხარზე გადავიგდე და გზა გავაგრძელე. ოცდაჩვიდმეტი გრადუსი მაინც იქნებოდა.

მერე ერთ-ერთი სახლიდან, რომელსაც იმწუთას ჩავუარე, ქალი გამომენტო.

- ფოსტალიონო! ფოსტალიონო! ჩემთვის წერილი არ გაქვთ?

- ლედი, თუ თქვენს საფოსტო ყუთში არ ჩამიგდია, ეგ იმას ნიშნავს, რომ თქვენთვის წერილი არ მაქვს.

- მე კი ვიცი, რომ წერილი უნდა მოგეტანათ!

- რატომ გგონიათ ეგრე?

- იმიტომ, რომ ჩემმა დამ დამირეკა და მითხრა, რომ წერილის მოწერას აპირებდა!

- ქალბატონო, დღეს თქვენთვის წერილი არ მაქვს.

- მე კი ვიცი, რომ გაქვთ! ვიცი, რომ გაქვთ! სადღაც მანდ გექნებათ!

და იმ წერილებისკენ გამოიწია, ხელში რომ მეჭირა.

- შეერთებული შტატების ფოსტას ხელით ვერ შეეხებით, ქალბატონო! თქვენთვის დღეს არაფერი მაქვს.

გავტრიალდი და წასვლა დავაპირე.

- ვიცი, რომ გაქვთ!

ცოტა მოშორებით პარმაღზე კიდევ ერთი ქალი გამოჩნდა.

- დღეს რაღაც ძალიან დაგაგვიანდათ!

- დიახ, მემ.

- ჩვენი უბნის ფოსტალიონი სად არის?

- კიბო აქვს, კვდება.

- კიბო აქვს? ჰაროლდი კიბოთი კვდება?

- დიახ, სწორად გაგიგიათ, - ვუთხარი და მისი კუთვნილი ფოსტა გადავეცი.

- სულ ეს ქვითრები და ქვითრები და ქვითრები! - აზუზუნდა, - სულ ეგა ხართ? ამაზე უკეთესი ვერაფერი მომიტანეთ?

- დიახ, ქალბატონო. სულ ეგა ვარ.

ზურგი ვაქციე და წამოვედი.

გეგონება, ჩემი ბრალი იყო, რომ ამ ხალხს ტელეფონი, გაზი, დენი - ყველაფერი ერთად უნდოდა და თან ესენი სულ კრედიტით იყო ნაყიდი. მერე მეც ქვითრები და ანგარიშები მიმქონდა და კიდევ მე მომჩხაოდნენ, თითქოს მე ვთხოვე ტელეფონის დადგმა ან 350-დოლარიანი ტელევიზორის სახლში მოთრევა ფულით, რომელიც ჯერ ხელში არ ეჭირათ.

ჩემი შემდეგი გაჩერება პატარა, ორსართულიანი, სრულიად ახალაშენებული სახლი გამოდგა, ასე, ათ-თორმეტბინიანი. საკეტიანი საფოსტო ყუთი ფასადის წინ ედგათ, პარმაღის სახურავქვეშ. როგორც იქნა, სადღაც ჩრდილი ვიპოვე. ყუთს გასაღები მოვარგე და გავხსენი.

- ძია სემს გაუმარჯოს! აბა, დღეს როგორა ხარ?

ხმამაღლა მეკითხებოდა ვიღაც. რაღა ხმამაღლა, ყვიროდა. არ მოველოდი ზურგს უკან კაცის ხმის გაგონებას. თან წინა ღამის ნალოთავეები, ისედაც დაძაბული ვიყავი და ამ ყვირილზე შოკში ჩავვარდი. ეს უკვე მეტისმეტი იყო. ჰოდა, ყუთის საკეტს გასაღები გამოვაძრე და მისკენ მივტრიალდი. კარის ჩარჩოში ბადე იყო

ჩადგმული, მეტს ვერაფერს ვარჩევდი. ბადის უკან, კონდიციონერის ქვეშ, ვილაც იდგა, მაგრამ თავს არ მაჩვენებდა.

- ჯანდაბა, ძია სემს ნუ მეძახით! - მივაძახე, - მე თქვენი ძია სემი არა ვარ!

- რაო? ჭკუის კოლოფი ვარო? გარეთ არ გამომიყვანო, თორემ რაც

სიგრძე გაქვს, იმ სიგანეს მოგცემ!

ჩანთა ჩამოვიხსენი და მიწაზე დავანარცხე. ჟურნალები და წერილებიაქეთ-იქით მიმოიფანტა. ახლა ყველაფერი ხელახლა გამიხდა ჩასაწყობი. კეპი მოვიხადე და ცემენტზე დავახეთქე.

- გარეთ გამოეთრიე, ნაბიჭვარო! გამოდი გარეთ! აჰა, რა გინდა, გეხვეწები! გამოდი-მეთქი!

ისეთ ჭკუაზე ვიყავი, მოვკლავდი, არც დავფიქრებოდი.

არავინაც არ გამოსულა. კრინტიც არ დაუძრავს. კარში ჩადგმულ ბადეს შევეყურებდი. კაციშვილი იქ არ ჩანდა. გეგონებოდათ, ბინა უცებ დაცარიელდაო. რალაც მომენტში ვიფიქრე, შევალ-მეთქი. მერე მოვტრიალდი, მუხლებზე დავდექი და გაბეთებისა და ჟურნალების მოგროვება დავიწყე. სამსახურშიც ხომ ამას ვაკეთებდი, ერთი ეგ იყო, ფოსტის დასახარისხებლად წინ ყუთი არ მედგა. ოც წუთში მთელი ფოსტა ჩანთაში მქონდა ჩაბრუნებული. რამდენიმე წერილი საფოსტო ყუთში ჩავაგდე, ჟურნალები პარმაღზე მივყარე, ყუთი ჩავკეტე, მოვტრიალდი და ისევ კარის ბადეს გავხედე. იქიდან ჩქამი არ ისმოდა.

მარშრუტი ჩავამთავრე. გზას მივუყვებოდი და ვფიქრობდი, ახლა ის ვილაც ტელეფონს აიღებს და ჯონსტონს ეტყვის, რომ ვემუქრებოდი, ამიტომ შევდგამ თუ არა ფეხს განყოფილებაში, ცუდი ამბებისთვის მზად უნდა ვიყო-მეთქი.

კარი ხელისკვრით შევადე. ქვიჯა თავის მაგიდასთან იჯდა, რალაცას კითხულობდა.

ვიდექი, თავზე დავყურებდი და ველოდებოდი.

ერთი ამომხედა და მერე საკითხავს მიუბრუნდა.

ფეხი არ მომიცვლია, ვიდექი, ველოდებოდი.

ქვიჯა კითხვას აგრძელებდა.

- აბა, - ვუთხარი ბოლოს, - რა ვუყოთ ახლა ამ ამბავს?

- რომელ ამბავს? - ამომხედა.

- იმ ზარს რა ვუყოთ-მეთქი! მომიყევით, რა გითხრათ იმან, ვინც დაგირეკათ! გეყოთ ეგრე ჯდომა, რაო, რა თქვა?!  
- ვერ გავიგე, ვინ დამირეკა?

- ჩემზე რა გითხრეს? არავის დაურეკავს?

- ვის უნდა დაერეკა? მოხდა რამე? რა ხდება, სადმე რამე და-

აშავე?  
- არაფერი.

გამოვტრიალდი და ჩემი ავლადიდების ჩასაბარებლად წავე-

დი.  
ესე იგი, იმ ტიპს არ დაურეკავს. არა, სულგრძელობა არაფერ შუაშია. ეტყობა, იფიქრა, თუ დავაბეზღებ, უკან დაბრუნდებო.

ყუთისკენ რომ მივდიოდი, გზად ისევ ქვიჯას მაგიდას ჩავუარე.

- მითხარი, სად რა ჩაიდინე, ჩინასკი! - მომძახა.

არაფერი-მეთქი, ვუთხარი.

ჩემმა საქციელმა ისე დააბნია, იმის თქმა სულ დაავიწყდა, ოც-

დაათი წუთის დაგვიანებით რომ დავბრუნდი. არც ჩემი დაგვიანე-

ბის ჩანიშვნა გახსენებია.

ერთხელ, დილაუთენია ფოსტას ვახარისხებდი ჯიჯის გვერდით. ამ კაცს ყველა ასე ეძახდა, ჯიჯი, მარტივად. სინამდვილეში ჯორჯ გრინი ერქვა, მაგრამ უკვე წლები იყო, სხვანაირად არ იხსენიებდნენ, თან, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, დროთა განმავლობაში მართლა G.G.-ს დაემსგავსა. ოცს ოდნავ იყო გადაცილებული, ფოსტალიონად რომ მოეწყო, ახლა კი სადაცაა, სამოცდაათს მიუკაკუნებდა. ხმა დაკარგული ჰქონდა, კი არ ლაპარაკობდა, ჭრიალებდა, და მაშინაც, როცა ჭრიალებდა, თქმით ბევრს ვერაფერს ამბობდა. ჯიჯი არც უყვარდათ და არც სძულდათ. იყო რა, რაც იყო, ეგ იყო. მთელი მისი სახე ნაოჭებს დაეფარა, მომჩვარული კანის უცნაურ ღარებსა და ბორცვებს. სიცოცხლის სხივიც ძლივს ეტყობოდა სახეზე. ერთი დამწნილებული ბებერი იყო, რომელიც თავის საკეთებელ საქმეს აკეთებდა. სულ ეგ იყო ჯიჯი. თვალები ფოსტაში ჩასხმულ თიხასავით ჰქონდა გაქვავებული. მოკლედ, კაცს ზედმეტად არ გაახსენდებოდა და თვალი ძებნას არ დაუწყებდა.

ხომ ყველაზე ხნიერი და გამოცდილი იყო ჯიჯი, მაგრამ სამუშაოდ ყველაზე იოლ მარშრუტზე იყო გამწესებული, მდიდრების რაიონის ყველაზე განაპირა უბანზე. მდიდრების უბანიც რა, ხმა-მაღალი ნათქვამია, ასე ეძახდნენ, თორემ სახლები სულ ძველი იდგა იქაც, თუმცა - დიდები, უმეტესად, ორსართულიანები. ფართო გაბონებს იაპონელი მებაღეები უვლიდნენ, რწყავდნენ და ამწვანებდნენ. იმ უბანში რამდენიმე კინოვარსკვლავი ცხოვრობდა; კიდევ - ერთი ცნობილი მულტიპლიკატორი, ერთი - მწერალი, ბესტსელერების ავტორი, ორიც - ყოფილი გუბერნატორი. იქ კაციშვილი არ გამოგელაპარაკებოდა. ქუჩაში საერთოდ არავინ ჩანდა. ერთადერთი, მარშრუტის დასაწყისში თუ მოჰკრავდი ვინმეს თვალს, იმ ნაწილში, სადაც ნაკლებად მდიდრული სახლები



იდგა და სადაც ბავშვებმა იცოდნენ ფოსტალიონზე ატორლიალე-  
ბა.

ჯიჯის ცოლი არასდროს ჰყოლია, ბერბიჭა იყო. ერთი სასტვენის  
ჰქონდა. მარშრუტის დასაწყისში დადგებოდა, წელში გასწორდე-  
ბოდა, ისედაც აწოწილი, მაგრად გაიჯიმიებოდა, თავის უზარმა-  
ზარ სასტვენს დააძრობდა და ისე ჩაბერავდა, ნერწყვის შხეფები  
აქეთ-იქით იფრქვეოდა. ასე ატყობინებდა ბაღლებს, მოვედი, აქ  
ვარო. კანფეტები მიჰქონდა მათთვის. გამორბოდნენ ბავშვები ამ  
ხმის გაგონებაზე, ეს კიდევ კანფეტების ჩამორიგებას იწყებდა და  
გზას ასე მიუყვებოდა. ეგეთი კარგი ვინმე იყო ჯიჯი.

ამ კანფეტების ამბავი მაშინ შევიტყვე, როცა მის მარშრუტზე  
პირველად გავედი. ქვიჯას ჩემთვის ამ იოლი მარშრუტის მოცემა  
დიდად არ ეპიტნავებოდა, მაგრამ ხანდახან სხვა გზა აღარ რჩე-  
ბოდა. მოკლედ, გავედი მარშრუტზე და უცებ ერთი პატარა ბიჭი  
გამოძვრა საიდანღაც და მეკითხება:

- ე, ჩემი კანფეტი სად არის?

რა კანფეტი, ბაღლო-მეთქი, ვკითხე.

- ჩემი კანფეტი! ჩემი კანფეტი მინდა! - ღნავის ბავშვი.

- ერთი აქეთ გამომხედე, ბაღლო, - ვეუბნები, - შენ ცოტა ხომ  
არ უბერავ? დედაშენმა ასე წინ და უკან საწანწალოდ გამოგიშვა  
ქუჩაში?

ბავშვმა რაღაც უცნაურად გამომხედა.

მაგრამ ერთხელ ჯიჯის ცუდი რამე შეემთხვა. კეთილ ჯიჯის მის-  
თვის მიბარებულ უბანში უცნობი პატარა გოგო შემოხვდა და იმა-  
საც მისცა კანფეტი. თან უთხრა:

- ოჰ, ოჰ, შენ რა კობტა და ლამაზი პატარა გოგო ხარ! ნეტა მეც  
მყავდეს შენნაირი ლამაზი პატარა გოგო!

ბავშვის დედა ამ დროს თურმე ფანჯარასთან იჯდა და გარეთ  
ყვირილით გამოუვარდა. ბავშვის შეცდენა გინდოდაო, აბრალებ-  
და. სულ არ იცნობდა და როცა დაინახა, როგორ აძლევდა მის

გოგონას ჯიჯი კანფეტს, ბევრიც არ უფიქრია - ამისთანა რამე და-  
ასკვნა.

საყვარელ და სათნო ჯიჯის ბავშვის გახრწნის მცდელობა და-  
აბრალებს. განყოფილებაში შევდიოდი, როცა გავიგონე, როგორ  
უხსნიდა ქვიჯა ტელეფონით ბავშვის დედას, რომ ჯიჯი ღირსეული  
ადამიანი იყო, ჯიჯი კი საწერ მაგიდასთან იჯდა, გამტერებული.

ლაპარაკს რომ მორჩა და ყურმილი დაკიდა, მივედი და ვუთ-  
ხარი:

- არ ღირდა მაგ ქალისთვის ტრაკზე კოცნა. ბინძური ტვინი  
აქვს. ამერიკელი დედების ნახევარს, უზარმაზარი ძვირფასი მუტ-  
ლების და ძვირფასი პატარა გოგოცუნების პატრონებს, მაგარი  
ბინძური ტვინები აქვთ, რომ იცოდე. შენს ადგილას ერთი მაგრად  
გავუდებდი. ამ ჯიჯის ამწეც ვერ აუყენებს, რამე რომ იყოს, შენც  
კარგად იცი.

ქვიჯამ თავი გადააქნია.

- რა ვქნა? დინამიტია საზოგადოება! საზოგადოება დინამი-  
ტია!

მეტი ვერაფრის თქმა მოახერხა. ეგ კაცი ეგეთი ადრეც მინა-  
ხავს - წაკუმბული, წყალობის მომლოდინე, რაღაცას რომ უხსნიდა  
და ებოდიშებოდა ყველა კრამიტდაცურებულს, ვისაც საჩივრით  
ფოსტაში დარეკვა მოეხასიათებოდა...

იმ დღეს ჯიჯის გვერდით ვახარისხებდი 501-ე მარშრუტის  
ფოსტას. არ იყო ცუდი მარშრუტი. ჩანთის აწევაზე გვარიანად კი  
გავიჭაჭე, მაგრამ ასე თუ ისე მოვერიე და ეს უკვე შეღავათი იყო.

ჯიჯიმ იცოდა, რომ მის ჩანთაში ფოსტა უთავბოლოდ იყო ჩაყ-  
რილი და დახარისხებას მოითხოვდა, მაგრამ ხელებს რაღაც შე-  
ნელებულად ამოძრავებდა. იმდენი წერილი ჰქონდა თავის ცხოვ-  
რებაში დარიგებული, რომ ბოლოს მისი დაჩლუნგებული სხე-  
ულიც კი აჯანყდა. იმ დილას რამდენჯერმე შევნიშნე, როგორ წა-  
ბორძიკდა. უცებ გაჩერდებოდა ხოლმე, დაბარბაცდებოდა, თით-

ქოს ტრანსში ჩავარდაო, მერე წამით გამოერკვეოდა და ჩანთაში კიდევ რამდენიმე წერილს დურთავდა. რომ გითხრათ, აღფრთოვანებული ვიყავი-მეთქი ამ კაცით, ტყუილი იქნება. ცხოვრება მაჩანჩალასავით გაატარა და კაცმა რომ თქვას, კაი ძღრენიც გამოდგა. მაგრამ ყოველ ჯერზე, როცა ასე შეტორტმანებულს ვხედავდი, შიგნით რაღაც მწყდებოდა, თითქოს ერთგული ცხენი დამვარდნოდეს, ან ძველი მანქანა გამფუჭებოდეს ერთ მშვენიერ დღეს.

ფოსტა მძიმე სათრევი იყო და ჯიჯის შემხედვარეს ცივი ოფლი მასხამდა. ორმოცი წლის მანძილზე პირველად შეიძლება მოუხდეს დილის ჩამოტარების გაცდენა-მეთქი, ვფიქრობდი. ჯიჯისნაირი კაცისთვის, რომელიც ყოველთვის ამაყობდა თავისი პროფესიით და სამსახურით, ეს, რა თქმა უნდა, ტრაგედია იქნებოდა. მეც ბევრჯერ გამიცდენია დილის ჩამოტარება და ფოსტის ჩანთებიც ბევრჯერ მითრევია ყუთებამდე ჩემი მანქანით, მაგრამ მე სამუშაოს მიმართ სულ სხვა დამოკიდებულება მქონდა.

ჯიჯი კიდევ ერთხელ შეტორტმანდა.

ღმერთო მაღალო, ნუთუ ჩემ გარდა ამას ვერავინ ამჩნევს-მეთქი, გავიფიქრე.

მივიხედ-მოვიხედე. ყველას ეკიდა. ამ დროს ყველა, ვინც იქ იყო, თავს გამოიდებდა, ჯიჯიზე ვგიჟდებო, უთქვამთ კიდევ ეს არაერთხელ. ჯიჯი ოქრო კაციო, ბევრჯერ გამიგია, მაგრამ ახლა ეს „ოქრო კაცი“ იძირებოდა და ყველას ფეხზე ეკიდა ეგ ამბავი. ამასობაში მე ჩემი წილი ფოსტის ჩაწყობა თითქმის მოვამთავრე, ჯიჯის ჯერ წინ დასტები ელაგა.

იქნებ ჟურნალების ჩაწყობაში მაინც მივეხმარო-მეთქი, გავიფიქრე, მაგრამ ამ დროს კლერკი წამომადგა თავზე და წინ ახალი ფოსტა ამიხორხლა. თითქმის იმდენივე სამუშაო გამიჩნდა, რამდენიც ჯიჯის ჰქონდა გასაკეთებელი. მოკლედ, ორივეს გვერხეოდა. ახლა მეც დავბარბაცდი, მერე კბილი კბილს დავაჭირე, ფე-

ხები გავფარჩხე, ისე წავიხარე, თითქოს ვიღაცას მაგარი ჭიტლა-ყი ამოეკრას და წერილების მთელი დასტა ტომარაში ერთიანად ჩავაპირქვავე.

განყოფილებიდან გასვლამდე ორი წუთით ადრე ჩვენ-ჩვენი ფოსტა მეც და ჯიჯისაც დაბინავებული გვექონდა, ჩვენ-ჩვენი ჟურნალები და შეკვრები ტომრებში გვეწყო; ყველაფერი, რაც საჭაერო ფოსტით იყო გასაგზავნი, დავახარისხეთ და ისე ჩავილაგეთ. ორივენი მზად ვიყავით გასასვლელად. ტყუილად ვიღელვე-მეთქი ამდენი, ვფიქრობდი. ამ დროს ოთახში ქვიჯა შემოვიდა. რეკლამების ორი შეკვრა მოჭქონდა. ერთი მე გამომიწოდა, მეორე - ჯიჯის.

- ესეც ჩასამატებელია, - გამოგვიცხადა და გავიდა.

მშვენივრად იცოდა, რომ ტომრების ხელახლა გახსნას და ამ რეკლამების ჩაწობას ვერ მოვასწრებდით. თუ ახლა ამ საქმეს შევუდგებოდით, ფოსტის მანქანაზე დაგვაგვიანდებოდა. გულმოსულმა გაგჭერი თოკი, რომლითაც რეკლამები იყო შეკრული და დახარისხება დავიწყე. ჯიჯი კი გახევებული იჯდა და თავის შეკვრას დაჰყურებდა.

მერე თავი ჩაქინდრა, ხელებს ჩამოაყრდნო და უხმოდ ატირდა.

ვუყურებდი და თვალებს არ ვუჭერებდი.

გარშემო მიმოვიხედე.

სხვა ფოსტალიონებს ჯიჯის საყურებლად არ სცხელოდათ. თავ-თავიანთ წერილებს ახარისხებდნენ, დასტებად კრავდნენ, ერთმანეთს ელაპარაკებოდნენ და უცინოდნენ.

- ჰეი, - გადავძახე ორჯერ თუ სამჯერ, - ჰეი!

მაგრამ ჩვენკენ არავის გამოუხედავს.

მაშინ თვითონ მივედი ჯიჯისთან. მხარზე ხელი დავადე.

- ჯიჯი, - ვუთხარი, - რით შემიძლია დაგეხმარო?

თავის ყუთს თვალი მოსწყვიტა, განზე გადახტა, კიბისკენ მოუხვია და კაცების გასახდელისკენ გაიქცა. თვალი გავაყოლე გაქცეულს. თითქოს ესეც არავის შეუნიშნავს. ჩანთაში კიდევ რამდენიმე წერილი ჩავამატე, მერე მეც სირბილით გავუყევი კიბისკენ.

ჯიჯი გასახდელში დამხვდა. ერთ-ერთ მაგიდას მისჯდომოდა, თავი ხელებზე ჩამოეყრდნო და ტიროდა, ოლონდ ამჯერად ჩუმად კი არა, მთელი ხმით მოსთქვამდა და ქვითინებდა. მთელი სხეული უკანკალებდა და უთრთოდა ტირილისგან, ველარ ჩერდებოდა.

გამოვტრიალდი, კიბე ჩავირბინე, ყველა ფოსტალიონს ჩავუქროლე და ქვიჯას მაგიდას მივასკდი.

- ქვიჯა, ჰეი, ქვიჯა! ღმერთო, ღმერთო ჩემო!

- რა ხდება? - მკითხა წყნარად.

- ჯიჯი ვერა გვყავს ჯანზე! ამათ კი წიხლზე კიდიათ! კაცი ზემოთ ბის და ტირის! დახმარება ჭირდება!

- მის მარშრუტზე ვინ გვყავს შემცვლელი?

- რა შემცვლელი, რის შემცვლელი, ვის რაში აინტერესებს ეგ! გუეზნები, კაცი ავად გაგვიხდა-მეთქი! დახმარება ჭირდება!

- მის მაგივრად ვინმე ხომ უნდა გავუშვა!

ქვიჯა დინჯად წამოიძარტა, ოთახი აუჩქარებლად მოიარა და ფოსტალიონები ისე მიათვალ-მოათვალიერა, თითქოს შეიძლებოდა, ერთ-ერთი იმათგანი ზედმეტი გამომდგარიყო. მერე ისევ მაგიდასთან დაეზღერტა.

- მისმინე, ქვიჯა, ეს კაცი ვილაცამ სახლში უნდა წაიყვანოს. მითხარი, სად ცხოვრობს და მე თვითონ გავიყვან მანქანით - მაგას სამუშაო საათებში ნუ ჩამითვლი. მოვბრუნდები და მერე მაგ ოხერ მარშრუტზეც გავალ.

ამომხედა:

- შენ თვითონ ვინ გცვლის ამწუთას, შენს ყუთთან ვინ დგას?

- უხხ. რა დროს ეგაა, არ მკიდია ეგ შენი ყუთი?!

- მიდი, შენს ადგილას გააგრძელე მუშაობა!

მერე ტელეფონით სხვა განყოფილების უფროსს გაუბა ლაპარაკი:

- ალო, ედი! მისმინე, აქ ერთიკაცი დაგვჭირდება...

დღეს ბავშვებს კანფეტები აღარ შეხვდებათ. მე ჩემს ყუთს დავუბრუნდი. დანარჩენი ფოსტალიონები უკვე თავ-თავიანთ უბნებზე იყვნენ. ჯერ რეკლამების მოქუჩება დავიწყე. ჯიჯის ყუთზე დაუხარისხებელი რეკლამების შეკვრა ეწყო. გრაფიკს კიდევ ერთხელ ჩამოვრჩი. დამაგვიანდა და ფოსტის ფურგონი უჩემოდ წავიდა. იმ დღეს ჩვეულებრივზე გვიან რომ დავბრუნდი, ქვიჯამ დაგვიანებაში ჩამითვალა და დავთარში ჩაინიშნა.

ჯიჯი კი მას მერე აღარ მინახავს. არც არავინ იცოდა, რა შეემთხვა, არც არავის უხსენებია. ეგეც თქვენი „ოქრო კაცი“. საქმისთვის თავდადებული ადამიანი. ყელში დანა გამოუსვეს ადგილობრივი ბაზრის რეკლამის გამო, რომელიც თავისი ნაწარმის ქება-დიდებასთან ერთად, მომხმარებელს ერთ კოლოფ უფასო სარეცხის საპონს, თანმხლებ კუპონსა და ნებისმიერი შენაძენის ანაზღაურებას ჰპირდებოდა სამი დოლარის ფარგლებში.

სამი წლის შემდეგ საშტატო ფოსტალიონად დამნიშნეს, რაც იმას ნიშნავდა, რომ ამიერიდან დასვენების დღეების ანაზღაურებაც მეკუთვნოდა (შემცვლელებს, როგორც წესი, არ უხდიდნენ ხოლმე) და ყოველი ორმოცსაათიანი სამუშაო კვირის შემდეგ - ორდღიანი დასვენებაც. გარდა მაგისა, ქვიჯას სხვა გზა არ ჰქონდა და ხუთ მარშრუტზე დამხმარედაც დამაყენა. მოკლედ, სულ ეს იყო ჩემი დატვრითვა - ხუთი მარშრუტის ფოსტა უნდა მეთრია. თანდათანობით ხუთივეს შევისწავლი (ხუთივეს მოკლე გზებს და ხაფანგებს) და ბარემ სამუშაოთი კმაყოფილი კაცის ღირსეულ იერსაც დავიყენებ-მეთქი, ვფიქრობდი.

თუმცა დიდად ბედნიერი მაინც ვერ გავხდი. ის კაცი არ ვიყავი, აუტკივარი თავი ძალით ამეტკივებინა, სამუშაოც ძველებურად დამღლეული და რთული იყო, მაგრამ თითქოს ადრინდელი ეშხი აკლდა - აზრზე რომ არ ვიყავი, წინ რა მელოდა, იმნაირი დღეების პეწი.

რამდენიმე საშტატო ფოსტალიონი შემომეხვია, ხელი ჩამომართვეს.

გილოცავთო, მეუბნებოდნენ.

ჰო, ჰო-მეთქი, ვპასუხობდი სათითაოდ.

მილოცავთ? კი, მაგრამ რას მილოცავთ, მე ხომ არაფერი გამიკეთებია. კლუბის წევრი გავხდი, უბრალოდ, ამათიანი. შემეძლო, წლების განმავლობაში ასეთად დავრჩენილიყავი და ბოლოს ჩემი საკუთარი მარშრუტიც დამემსახურებინა; შემდეგ ამ ჩემი მარშრუტის ხალხისგან საშობაო საჩუქრებსაც მივიღებდი ხოლმე და თუ ავადმყოფობის მიზეზით სამსახურიდან დავეთხოვებოდი, ისინი ვინმე საწყალ ნაბიჭვარს - ჩემს შემცვლელს - ჰკითხავდნენ: „ჩვენი უბნის ფოსტალიონი სად არის, რატომ დაიგვიანეთ? ჩვენს ფოსტალიონს ერთხელაც არ დაუგვიანია!“

მოკლედ, ფოსტალიონი გავხდი. მერე კი რაღაც წესი შემოიღეს - ფოსტის ჩამოსატარებელ ყუთებზე და ტომრებზე ფორმის ტანისამოსის და კეპების დადება აკრძალეს. ადრე ბიჭების უმეტესობა კეპებს ზედვე დებდა ხოლმე. ამით არავის არაფერი უშავდებოდა და თან წამდაუწუმ გასახდელში სირბილი არ გვჭირდებოდა. სამი წელი ვდებდი კეპს ფოსტაზე, ახლა კი ამას ეს რაღაც წესი მიკრძალავდა.

ჰო, სამსახურში ისევ ნალოთავეები და წაშლილი მივდიოდი ხოლმე, კეპზე ფიქრის თავი სად მქონდა. ამიტომ ჩემი კეპი წესის შემოღების მეორე დღესაც ისევ იქ იდო, სადაც ყოველთვის.

გავიხედოთ, და მომადგა ქვიჯა თავისი ბარათით, რომელიც იტყობინებოდა, რომ ფოსტის ყუთზე რაიმეს დაწყო ჩვენი წესებისა და რეგულაციების დარღვევაა. გამოვართვი ქაღალდი, ჩავიდე ჯიბეში და გავაგრძელე წერილების დაბინავებ-დახარისხება. იმან ცოტა ხანს კიდევ იტრიალა ბორბლებიან სავარძელში, სანამ ჩემზე ეჭირა თვალი. ჩემ გარდა, ყველა ფოსტალიონს გასახდელში დაეტოვებინა კეპი. მარტო მე არ დამიტოვებია და მარტის, იყო ერთი ეგეთი. მიადგა ქვიჯა მარტისაც და ეუბნება - მარტი, განკარგულება ხომ წაიკითხე? შენი ქუდი ყუთზე არ უნდა იდოს.

- აჰ, ბოდიშს ვიხდი, სერ. მიჩვეული ვიყავი, ხომ ხვდებით. მაპატიეთ, - მარტიმ კეპს ხელი სტაცა, გასახდელისკენ გაიქცა და კიბე აირბინა.

მე კიდევ მეორე დღით ისევ დამავიწყდა. ისევ გამომეცხადა ქვიჯა, ბარათით ხელში.

ბარათი, რომელიც შემომამჩენა, იტყობინებოდა, რომ ფოსტის ყუთზე რაიმეს დაწყო საფოსტო სამსახურის წესების და რეგულაციების დარღვევაა.

ჩავიგდე წესებიანი ქაღალდი ჯიბეში და წერილების დახარისხება გავაგრძელე.



მეორე დილით შევდივარ ოთახში და ვხედავ, ქვიჯა უკვე თვალს არ მაშორებს. ეს ჩემი თვალთვალი ლამის ჩვეულებად ექცა. ელოდებოდა, იმის ნახვა აინტერესებდა, რას ვუბამდი ამჟერად ჩემს კეპს. მეც ავდექი და ჯერ ცოტა ვალოდინე, მერე კი მოვიხადე ქუდი და ისევ ყუთზე შემოვდე.

მომიახლოვდა და ბარათი მომაჩეჩა.

არც წამიკითხავს. პირდაპირ ნაგვის ყუთში ჩავუძახე, კეპი იქ დავტოვე, სადაც იდო და წერილების დახარისხება გავაგრძელე.

მესმოდა, როგორ აკაკუნდა ქვიჯას საბეჭდი მანქანა. კლავიშების რახუნში ისმოდა მისი გაავეება.

ნეტავ ასე ბეჭდვა როგორ ისწავლა-მეთქი. ცოტა ხანს კი ვიფიქრე ამაზე.

კიდევ ერთხელ მომადგა. მეორე შენიშვნის წერილი შემომაჩეჩა.

სახეში შევხედე.

- ამის წაკითხვა სულ არ მჭირდება. ვიცი, რაც წერია მანდ. წერია, რომ პირველი შენიშვნის წერილი არ წამიკითხავს.

მოვისროლე მეორე წერილიც ნაგვის ყუთში.

ქვიჯა თავის საბეჭდ მანქანას ეცა.

მესამე წერილი მომირბენინა.

- რაშია იცი, საქმე, ვუთხარი, - ახლაც ვიცი, რა წერია ამ ქალღმბე. პირველ წერილში გეწერა, რომ ჩემს ქუდს ყუთზე ვდებ ხოლმე; მეორეში ის ეწერა, რომ პირველი არ წამიკითხავს. ამ მესამეში ნაღდად პირველზე და მეორეზე ეწერება რაღაც.

სახეში შევხედე, მერე წერილი წაუკითხავად მოვისროლე ნაგვის ყუთში.

- რამდენსაც დაბეჭდავ, იმდენს მოვისვრი; აუჩქარებ - მეც უფრო სწრაფ-სწრაფად ჩავყრი. ეს ამბავი რამდენიმე საათს მაინც გაგრძელდება, იქამდე, სანამ ერთ-ერთი ჩვენგანი არ მიხვდება, რომ სასაცილოდ გამოიყურება. აბა ჰე, შენ იცი ახლა.

თავის საწერ მაგიდასთან დაბრუნდა და დაჯდა. მეტი აღარაფერი დაუბეჭდავს. იჯდა და მიყურებდა.

მეორე დილით სამსახურში აღარც მივსულვარ. შუადღემდე ვიძინე. გასაფრთხილებლადაც არ დამირეკავს. მერე ფედერალურ განყოფილებაში წავედი და ჩემი მისვლის მიზეზი შევატყობინე. ერთ-ერთი მაგიდისკენ მიმითითეს, რომელთანაც ვილაც თხელ-თხელი ხნიერი ქალი იჯდა. ჭაღარა თმა ჰქონდა და უზომოდ წვრილი კისერი, რომელიც შუაში წაწყვეტილივით წინ ეხრებოდა. კისერი თავს მაგიდისკენ ექაჩებოდა და ქალი სათვალის ბემოდან გადმომყურებდა.

- დიახ, გისმენთ?

- სამსახურს მინდა თავი დავანებო.

- სამსახურს თავი დაანებოთ?

- დიახ, თავი მინდა დავანებო.

- საშტატო ფოსტალიონი ბრძანდებით?

- დიახ.

- ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, - დაიწყო და აღარ დაამთავრა ენის წკლაპუნნი.

რაც საჭირო იყო, ყველა დოკუმენტი გადმომიწყო და მეც შევსებას შევუდექი.

- რამდენი წელი იმსახურეთ ფოსტაში?

- სამი წელი და ექვსი თვე.

- ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, ნწ, - გააგრძელა მოხუცმა ქალბატონმა, - ნწ, ნწ, ნწ, ნწ.

ასე მოვათავე ეს ამბავი. მერე მანქანას მოვაჯექი, ბეტის მივადექი და ღვინის ბოთლი გავხსენით.

მაშინ რას წარმოვიდგენდი, რომ სულ რაღაც ორიოდე წელიწადში იმავე სამსახურში დავბრუნდებოდი და, ხის სკამზე დაკუნცხული, თითქმის თორმეტ წელიწადს კლერკად ვიმუშავებდი.

ამასობაში ცხოვრება გრძელდებოდა. დოღზე რაღაც იღბლიანი ტალღა დამეწყო და ნელ-ნელა თავდაჯერება და კმაყოფილება მემატებოდა. ყოველდღე რაღაც ფულს ვაკეთებდი, ასე, თხუთმეტიდან ორმოც დოლარამდე მაინც. მეტი რა გინდა ადამიანს, თუ ცხოვრებისგან მეტისმეტს არ მოითხოვ. თავიდანვე რომც ვერ მოგეგო, მომდევნო ჯერზე ფსონს ოდნავ მოუმატებდი, იმდენად, რომ თუ ცხენი ფინიშამდე მიაღწევდა, რაღაც მოგება მაინც დაგჩნებოდა. დღეები გადიოდა, დოლიდან ყოველდღე მოგებული ვბრუნდებოდი. მივადგებოდი თუ არა მანქანით ბეტის სახლს, შორიდანვე აწეულ ცერა თითს დავანახვებდი ხოლმე.

მერე ბეტიმ მბეჭდავის ადგილი იშოვა, ჰოდა, როგორც კი ქალი სამსახურს იწყებს, ცვლილება ეგრევე ეტყობა. ყოველდღამე ძველებურად ვიღეწებოდი, დილაობით კი ბეტი ჩემზე ადრე მიდიოდა სამსახურში, წუხანდელი სმისგან თავგასივებული. ახლა კი გაიგო ბეტიმ, რას ნიშნავდა ჩემთან ერთად ცხოვრება. მე დაახლოებით თერთმეტის ნახევარზე ვდგებოდი, ზანტად ვწრუპავდი ყავას, ზედ ორ მოხარშულ კვერცხს ვაყოლებდი, ძალს ვეთამაშებოდი, უკანა ეზოში მცხოვრები მექანიკოსის ახალგაზრდა ცოლს ვეარშიყებოდი და არც ქუჩის გადაღმა მცხოვრებ სტრიპტიზის მოცეკვავე გოგოს ვაკლებდი ყურადღებას. პირველი საათისთვის უკვე იპოდრომის სარბენ ბილიკთან ვიყავი ხოლმე დარჯობილი, მერე, მოგებული ფულით ჯიბეში, სახლში ვბრუნდებოდი და, ძალღთან ერთად, ავტობუსის გაჩერებაზე ვხვდებოდი სამსახურიდან დაბრუნებულ ბეტის. ავიწყვე, მოკლედ, ცხოვრება.

მერე კი, ერთ საღამოს, პირველივე ჭიქა გამოვცალეთ თუ არა, ბეტიმ, ჩემმა გულისვარდმა, გამომიცხადა:

- ჰენკ, უკვე შეუძლებელია ამის ატანა!
- რის ატანაა შეუძლებელი, საყვარელო?
- ამ სიტუაციის.
- რომელი სიტუაციის, ჩემო გოგო?
- მე ვმუშაობ, შენ - მთელი დღე გორაობ. უკვე ყველა მეზობელს ჰგონია, რომ მე გარჩენ.
- კი, მაგრამ ადრე ხომ მე ვმუშაობდი და შენ გორაობდი?
- ეგ სულ სხვა რამეა. შენ კაცი ხარ, მე - ქალი.
- უი, მართლა?, არ ვიცოდი. მე მეგონა, თქვენ, წაკლებს, თანასწორუფლებიანობაზე ტლიკინი გიყვარდათ.
- შენ გგონია, არ ვიცი, რა ემართება იმ პატარა ლოტოს კოჭს იქ, უკან, შენს დანახვაზე? ამოყრილი ძუძუებით რომ აგივლის და ჩაგივლის ხოლმე...
- ამოყრილი ძუძუებით?
- დიახ, ძუძუებით! უშველებელი თეთრი ჭიქნებით, ეგ ძროხა!
- ჰმ... ისე მართლა რამხელები აქვს.
- აი, ხედავ? ხომ ვამბობ?
- და მერე რა იყო რო?
- მე აქ უბანში მეგობრები მყავს. ხედავენ, რაც ხდება მათ ცხვირწინ!
- ეგენი მეგობრები კი არა, ენაჭარტალა დედაკაცები არიან.
- ან ის ბოზი, ქუჩის გადაღმა, მოცეკვავედ რომ ასაღებს თავს!
- ჰოო? ბოზია?
- ყველაფერს ზედ ახტება, რასაც აბია!
- არა, შენ სულ გადარეულხარ.
- არ მინდა, ამ ხალხს ეგონოს, თითქოს მე გინახავ. ამ ხალხს, ჩემს მეზობლებს...

- მეზობლების დედაც. არ გვეკიდა, რა ჰგონიათ შენს მეზობლებს? დღევანდლამდე ხომ გვეკიდა. გარდა მაგისა, ბინის ქირას მე ვიხდი. საჭმელს მე ვყიდულობ! ამ ფულს დოღზე ვშოულობ. შენი ფულისთვის ჯერ ხელი არავის უხლია. ამაზე უკეთ, ალბათ, ჯერ საქმე არ აგწყობია ცხოვრებაში.

- არა, ჰენკ, მორჩა, დამთავრდა! ამის ატანა აღარ შემიძლია! ავდექი და მივუახლოვდი.

- კარგი ახლა, პატარა, გეყოფა. ვერა ხარ გუნებაზე ამ საღამოს, მეტი არაფერი.

მობვევა დავუპირე. ხელი მკრა, მომიშორა.

- კარგი, კარგი, ამის დედაც! - ვუთხარი და გამოვტრიალდი. დავჯექი, სადაც ვიჯექი, ნახევრად დაცლილი ჭიქა გადავკარი, მერე მეორე დავისხი.

- საკმარისია, დამთავრდა ყველაფერი, - თქვა ბეტიმ, - არც ამ ღამით დავიძინებ შენთან და არც ამის შემდეგ.

- ძალიან კარგი. მიდი, დაიმწნილე ეგ მუტელი. მაინცდამაინც გასაგიჟებელიც არაფერი ჭირს.

- სახლს შენ დაიტოვებ თუ სხვა ბინას მოძებნი? - მკითხა.

- შენ დაიტოვე.

- ძაღლზე რა ვქნათ?

- ძაღლიც შენ გყავდეს, - ვუთხარი.

- მოენატრები.

- კიდევ კარგი, ვიღაცას მაინც მოვენატრები.

მანქანაში ჩავჯექი, პირველივე ბინა ვიქირავე, რომელზეც წარწერა „ქირავდება“ მოვკარი თვალი და იმავე ღამით შევსახლდი.

იმ ღამეს სამი ქალი და ერთი ძაღლი ერთად დავკარგე.

მეორე დღეს უკვე ქორთა ტეხასელი წიწკვი მეჯდა კალთაში. სად და როგორ გავიცანი, დეტალებით არ დაგვლით. მოკლედ, წიწკვი მეჯდა კალთაში-მეთქი. გოგო ოცდასამი წლის იყო, მე - ოცდათექვსმეტის.

გრძელი ქერა თმა ჰქონდა და გემრიელი, მკვრივი ხორცი. მაშინ ჯერ არ ვიცოდი, რომ დანარჩენ სიკეთესთან ერთად, თურმე უამრავი ფულიც ჰქონდა. არ სვამდა, ორივეს სამყოფს მე ვისხამდი. თავიდან ერთად ბევრს ვიცინოდით და დოღბეც ერთად დავდიოდით. მაგარი შესახედი გოგო იყო და ყოველთვის, როცა ჩემს ადგილს ვუბრუნდებოდი დასაჯდომად, ვიღაც მხვდებოდა ხოლმე სადღაც იქვე, ასატორღიალებლად გამზადებული და აწრიალებული. თან ერთი კი არა, რამდენიმე. ვხედავდი ხოლმე, როგორ უტრიალებდნენ გარშემო, როგორ უჩოჩდებოდნენ ნელ-ნელა. ჯოისი, უბრალოდ, იჯდა ხოლმე თავისთვის. იმათ დასაფერთხად ორ წესს ვიყენებდი. მოვკიდებდი ჯოისს ხელს და მიმყავდა, ან მოჩოჩებულს ვეუბნებოდი:

- მომხედე, ძმაო. ეს გოგო დაკავებულია. მიდი. დაახვიე.

მაგრამ მგლებთან და ცხენებთან ერთდროულად ბრძოლას მეც ვერ ვქაჩავდი, წაგება დავიწყე. პროფესიონალმა იპოდრომბე კენტად უნდა იაროს. მე კი თავი გამონაკლისი მეგონა. მალე აღმოვაჩინე, რომ გამონაკლისი არ ვყოფილვარ. მეც ისევე სწრაფად მეცლებოდა ფული ხელიდან, როგორც ნებისმიერ სხვა ადამიანს.

მერე ჯოისმა მომთხოვა, უნდა ვიქორწინოთო.

რაო, რაო-მეთქი, ელდა მეცა, მაგრამ თავი მაინც მომიქონა.

მანქანაში ჩავსვი და ვეგასში წავიყვანე, იაფად რომ გვექორწინა. მერე იმავე გზით უკან ჩამოვაბრძანე.

მანქანა ათ დოლარად გავყიდე და მეორე წუთში ტეხასისკენ მიმავალ ავტობუსში ამოვყავით თავი. მიწაზე ფეხი რომ ჩამოვდგი, ჯიბეში სამოცდათხუთმეტი ცენტი მქონდა დარჩენილი. ძალიან პატარა ქალაქში ვიყავით, მგონი, სულ ორი ათასი სული ცხოვრობდა. სტრატეგიული კვლევების თანახმად, მტერს დასაბობმად ამერიკის ქალაქებიდან ყველაზე ბოლოს ეს ქალაქი გაახსენდება. ჩავედი თუ არა, მივხვდი, რატომაც.

მთელი ამ დროის განმავლობაში, თვითონაც რომ ვერა ვხვდებოდი ისე, თურმე ნელ-ნელა ფოსტაში დაბრუნების პერსპექტივას ვუახლოვდებოდი. მე მაგათი დედა.

ჯოისს ქალაქში ერთი პატარა სახლი ედგა და ჩვენც მთელი დღე საწოლში ვეყარეთ, ვქინძაობდით და ვჭამდით, სხვას არაფერს ვაკეთებდით. კარგად კი მაჭმევდა, მომასუქასავით და თან ძალაც გამომაცალა. გაუმაძღრობა დაემართა ჯოისს, ჩემს ცოლს. ნაღდი ნიმფომანი იყო.

ხანდახან ქალაქში გავდიოდი სახეტილოდ - მარტო, რომ ჯოისს მოვცილებოდი. მკერდი, ყელი, კისერი, მხრები - ყველაფერი მისი ნაკბილარებით მქონდა აჭრელებული. და არა მარტო ეგენი - სხვა, უფრო მოსაფრთხილებელი ადგილიც დაკბენილი მქონდა, რაც თანდათანობით სულ უფრო და უფრო მაფიქრებდა და თან კარგა მტკივნეულიც იყო. მოკლედ, ცოცხლად მჭამდა.

ქალაქში კოჭლობ-კოჭლობით დავიარებოდი და ყველა მე მიყურებდა, რადგან ყველაფერი იცოდნენ ჯოისზეც, მის სექსუალურ მადანზეც და იმაზეც, რომ ჯოისის მამას და ბაბუას იმაზე მეტი ფული, მიწა, ტბა და სანადირო სანახები ჰქონდათ, ვიდრე ყველა მათგანს ერთად. თან ვეცოდებოდი ამ ხალხს და თან, იმავე დროს, ვეზიზღებოდი.

ერთ დილას საწოლიდან წამოსაგდებად ვილაც ჯუჯა გამომიგზავნეს, რომელმაც მთელი ქვეყნიერება მომატარა მანქანით -

ამის მფლობელი მისტერ ესა და ეს, ანუ ჯოისის მამა არისო, ეს მისტერ ამას და ამას, ანუ ჯოისის ბაბუას, ეკუთვნისო...

მთელი დღე ასე მატარა. ვიღაც ჩემს შეშინებას ცდილობდა. ამასობაში მაგრად მომბებრდა ეს ამბავი. უკანა სავარძელში ვიჯექი და ჯუჯა ალბათ ფიქრობდა, რომ მაგარი შებერტყილი ვინმე ვარ, რაკი ასე გავიკაფე გზა მილიონებისკენ. იმან რა იცოდა, რომ ყველაფერი შემთხვევით დაიწყო, რომ ერთი საწყალი ყოფილი ფოსტალიონი ვიყავი, რომელსაც, სამოცდათხუთმეტი ცენტის გარდა, არაფერი ებადა.

ჯუჯას, საცოდავს, აშკარად რაღაც ნერვული დაავადება სჭირდა და ძალიან სწრაფად დავყავდი; მანქანა სულ ჯაყყაყებდა და ყოველ შეხტომაზე საჭე უსხლტებოდა ხელიდან, გზის ერთი კიდიდან მეორისკენ მიექანებოდა და ერთხელ ასი იარდის მანძილზე ღობეს ახეხინა მანქანის ფერდი, სანამ საჭეს ხელში ღონივრად მოიგდებდა.

- ფრთხილად ატარე, ვირისთავო! - ვუღრიალე უკნიდან.

აი, ასე, მოვედით დეპოში. ჩემს გასაღებას აპირებდა ვიღაცა, ეს სრულიად აშკარა იყო. ჯუჯა ერთ ძალიან ლამაზ გოგოზე აღმოჩნდა დაქორწინებული. ჯერ მოზარდი ყოფილა, როცა საშვილოსნოში ბოთლის საცობი ჩარჩენია და სხვა რა გზა ჰქონდათ, ექიმთან გაუქანებიათ. როგორც ამნაირ პატარა ქალაქებში ხდება ხოლმე, საცობის ამბავი მთელ ქვეყანას მოსდებია და მას მერე საწყალ გოგოს კაციშვილი აღარ ევარებოდა თურმე, ეს ჯუჯა გამომდგარა ერთადერთი მოხალისე. ასე ჩაუგდია ხელში ქალაქის ყველაზე მაგარი ტრაკი.

ჯოისის მოცემულ სიგარას მოვუკიდე და ჯუჯას ვუთხარი:

- გეყო, საკმარისია, შენი დედაც. ახლა, სანამ შარში გახვეულხარ, სახლში უნდა მიმიყვანო. და ნელა ატარე. ქერის ორმოში ვარ ჩავარდნილი, შენი გულისთვის ვერ ჩავიშხამებ.



მოკლედ, შებერტყილი კაცის როლი გავითამაშე, ეს ჯუჯა რა-  
ღაცით ხომ უნდა გამეხარებინა.

- დიახ, სერ! მისტერ ჩინასკი, გასაგებია, სერ!

აღფრთოვანებული იყო ჩემით. მაგარი გაქეცილი ნაბიჭვარი  
ვეგონე.

როგორც კი სახლში ფეხი შევედგი, ჯოისმა მკითხა:

- რა ქენი, ნახე ყველაფერი?

- საკმარისი ვნახე და გავიგე, - ვუთხარი. იმწუთას იმას ვგუ-  
ლისხმობდი, მივხვდი, რომ ჩემი მოკვლაა ჩაფიქრებული-მეთქი.  
ის უკვე აღარ ვიცოდი, ჯოისსაც პირი ჰქონდა მათთან შეკრული  
თუ არა.

ტანსაცმლის გახდა დამიწყო, თან ხელის კვრით მიბიძგებდა  
საწოლისკენ.

- იცი, რას გეტყვი, თოჯინა? - ვუთხარი, - დღეს უკვე ორჯერ ვი-  
ხერხავეთ, არადა ჯერ დღის ორი საათიც არაა.

ერთი გაიკრიჭა და, შენც არ მომიკვდე, თავისი გააგრძელა.

მამამისი დასანახად ვერ მიტანდა. ეგონა, რომ მისი ფულის ინტერესი მქონდა. რაში მჭირდებოდა მაგის აყროლებული ფული, წიხლზე მეკიდა. მისი ძვირფასი ქალიშვილიც მაგრად მეკიდა.

ეგ კაცი ერთადერთხელ ვნახე, როცა დილის ათ საათზე ჩვენს საძინებელ ოთახში შემოვიდა. მე და ჯოისი საწოლში ვიწექით, ვისვენებდით. კიდევ კარგი, ქინძაობა ახალი მომთავრებული გვექონდა.

საბნის ქვემოდან გავხედე. მერე თავი ვერ შევიკავე, ღიმილი ვაჩუქე და თვალიც ჩავუკარი.

სახლიდან დამთხვეულივით გავარდა, ბრდღვინვით და დედის გინებით.

ჩემი გაქრობა რომ შესძლებოდა, დარწმუნებული ვარ, მაგისტოს არაფერს დაიშურებდა.

სამაგიეროდ, ბაბუ გამოდგა მაგარი ვინმე. ბაბუსთან სტუმრადაც დავდიოდით, ვისკის ვუჭახუნებდით და ბებერი კოვბოს ამბებსაც სიამოვნებით ვუსმენდი. მის პატივცემულ თანამეცხედრეს ყველაფერი ფეხებზე ეკიდა. არც მოვწონდი, არც ვძულდი. ჯოისს ხშირ-ხშირად ეჩხუბებოდა, მე კი ერთი-ორჯერ მისი მხარე დავიჭირე. დავიჭირე და თითქოს მისი გულიც მოვიგე. მაგრამ ბაბუ მართლა მაგარი იყო. ეჭვი მაქვს, რომ ჩემ წინააღმდეგ შეთქმულებს შორის ბაბუც იყო.

ერთხელ კაფეში ვისხედით, ვჭამდით. ყველა ჩვენ გვიყურებდა და ჩვენ დაგვფოფინებდა თავზე. ჯოისის ბაბუ, ბებია, ჯოისი და მე ვიყავით.

მერე მანქანაში ჩავსხედით და გზას გავუყევით.

- ბიზონი თუ გინახავს როდისმე, ჰენკ? - მკითხა ბაბუმ.

- არა, უოლი. არ მინახავს.

უოლის ვედახდი, ბოლოს და ბოლოს, ვისკის არ ვურტყამდით ერთად? ოხრად გვექონდა უკვე დალეული.

- აქ გვყავს, ხო იცი?
- რატომ მეგონა, რომ თითქმის გადაშენებულები იყვნენ?
- ოჰ. როგორ გეკადრება. ათობით ბიზონი გვყავს აქ.
- არ მჯერა.
- აჩვენე, პაპიკო უოლი, - უთხრა ჯოისმა.
- კეთილი და პატიოსანი.

გზა გავაგრძელებთ და ასე ვიარეთ, სანამ ღობით შემორაგულ ტრიალ მინდორს არ მივაღებთ. დამრეცი ადგილი იყო და მინდორის ცალი კიდიდან მეორე არ მოჩანდა. ალბათ, თითო მილი იქნებოდა სიგრძეშიც და სიგანეშიც. დაბალი მწვანე ბალახის გარდა, ზედ არაფერი იზრდებოდა.

- მე აქ ბიზონებს ვერ ვხედავ, - ვუთხარი დანარჩენებს.

- ახლა ქარი ხელსაყრელი მიმართულებით უბერავს, - თქვა უოლიმ, - გადაძვერი ეგერ ღობებზე და ცოტა აქეთ-იქით მოიარე. ეგენი რომ დაინახო, ცოტა უნდა გაიარ-გამოიარო.

მინდორზე არაფერი ჩანდა. გავიფიქრე, ყოჩაღ, დიდი ოხუნჯი ხალხი ხართ, ქალაქელი ვაცის აგდებამე სასაცილო რა შეიძლება ვაცმა მოიფიქროს-მეთქი. ღობებზე გადავძვერი და გზა გავაგრძელებ.

- სად არიან, აბა, ბიზონები? - გამოვძახე უკან.

- მანდ არიან-მეთქი. მიდი, გაიარე, - გამომძახა უოლიმ.

ოჰ, მივხვდი, ძველი შოფრული იუმორის გამოცდა უნდათ ჩემზე. გამობენტერებული ფერმერები. ჯერ ცოტა ხანს დამელოდებიან, სანამ ღრმად შევალ, მერე სიცილ-ხარხარით გაშპებიან და აქ მართლ დამტოვებენ-მეთქი. თუმცა, ჯანდაბას, მე ყველაფერისთვის მზად ვიყავი, უკან დაბრუნება ფეხითაც შემეძლო. თან ჯოისისგანაც დავისვენებ-მეთქი ცოტა.

ძალიან სწრაფი ნაბიჯით წავედი მინდვრის სიღრმისკენ, თან ცალი ყური იმათკენ მეჭირა, გაფაციცებით ვუსმენდი, ემანდ მართლა არ წავიდნენ-მეთქი. არა, მანქანის დაძვრის ხმა არ გამიგია. ისევ განვაგრძე გზა, მერე მოვეტრიალდი, ხელისგულები პირთან მივიტანე და დავუყვირე:

- სად არიან, სად, ბიზონები?

პასუხი უკნიდან მოვიდა. მათი ფეხების ბრაგუნი გავიგონე. სამნი იყვნენ - სამივე მოხეული ტიპი, ისეთები, მარტო ფილმებში რომ გვინახავს - თან ძალიან სწრაფად მიახლოვდებოდნენ, თითქმის მორბოდნენ. ერთი ცოტათი ასწრებდა დანარჩენებს. საეჭვოც არაფერი იყო - აშკარად ჩემკენ ჰქონდათ გეზი აღებული.

- ოჰ. ამის დედა... - ჩავილაპარაკე ჩემთვის.

გამოვეტრიალდი და გამოვიქეცი. ღობე ძალიან შორს ჩანდა. აღარ მეგონა, თუ ამათ ხელიდან დავუსხლტებოდი და ღობემდე მივასწრებდი. უკან არც მიმიხედავს, ასე მხოლოდ დროს დავკარგავდი. ერთი მიხედვა, და შეიძლებოდა, ყველაფერი ცუდად დამთავრებულიყო. თვალეხდაჭყეტილი მივფრინავდი ღობისაკენ! აი, სისწრაფე ეგ იყო, თუ იყო! მაგრამ მდევრები მაინც მეწეოდნენ! იმასაც კი ვგრძნობდი, როგორ დგანდგარებდა მიწა გარშემო, თითქოს ზუსტად ჩემ ფეხქვეშ კეტებს უბრაახუნებდნენ. იმათი ხვნეშა კი არა, სუნთქვაც კი მესმოდა. უკანასაკნელი ძალა მოვიკრიბე და ღობეს გადავევლე. კი არ გადავძვერი ან რამე - ეგრევე გადავაფრინდი. და პირდაპირ ზურგით ჩავეზღართე ქუჩისპირა არხში. იმ სამი პირუტყვიდან ერთ-ერთი ღობეზე გადმოეკიდა და ზემოდან დამყურებდა.

მანქანაში ყველანი სიცილით იჭაჭებოდნენ, თითქოს ამაზე სასაცილო თავის დღეში არაფერი ენახათ. ჯოისი ყველაზე ხმამაღლა ჭიხვინებდა.

იმ სამმა ყეყეჩმა პირუტყვმა ცოტა ხანს ტკეპნა შორიახლო მიწა, მერე კი დაახვიეს.

არხიდან ამოვძვერი და მანქანაში ჩავჯექი.

- ბიზონებიც ვნახე, - ვთქვი, - ახლა წავედით, დავლიოთ სადმე.

მთელი გზა ხარხარებდნენ, ვერ ჩერდებოდნენ. გაჩერდებოდნენ, მერე რომელიმე ერთი წაიფხუკუნებდა, დანარჩენებიც მხარს აუბამდნენ და ველარ წყნარდებოდნენ. უოლიმ ერთხელ მანქანაც კი გადააყენაგანზე. ველარ ატარებდა, ისე ძიგძიგებდა. კარი გამოაღო, გარეთ ბალახზე გადაგორდა და თან იჭაჭებოდა. ჯოისის არ იყო, ბებიაც კი მოსაბრუნებელი გაგვიხდა.

გავიდა ხანი და მთელ ქალაქს მოედო ეს ამბავი, ამის მერე უკვე ქუჩაში სეირნობამაც დაკარგა ეშხი. თმის შეჭრის დრო რომ მოვიდა, ჯოისს ვთხოვე.

- წადი მერე სადალაქოში, - მითხრა.

- არ შემიძლია, - ვუთხარი, - სულ ბიზონების ამბავია.

- რა იყო, სადალაქოში რომ კაცები იკრიბებიან, იმათი გეშინია?

- ბიზონების ამბავია, - ვუთხარი ისევ.

თმა ჯოისმა შემჭრა.

რაღაც საშინელება გამოუვიდა.

მერე ჯოისმა ქალაქში დაბრუნება მოინდომა. ყველა ნაკლის მიუხედავად, ეს პატარა ქალაქი, გინდ გაკრეტილი ყოფილიყავი და გინდ გაუკრეტავი, ქალაქური ცხოვრების კვალსაც კი შლიდა. იქ სიმშვიდეში ვცხოვრობდით. ჩვენი საკუთარი სახლი გვქონდა. ჯოისი ძალიან კარგად მაჭმევდა. უამრავი საჭმელი გვქონდა. ბლომად ხორცი. ხარისხიანი, კარგად შემწვარი ხორცი. იმ ბოზანდარას სასარგებლოდ ერთ რამეს მაინც ვიტყვი: საჭმლის კეთება მართლა ეხერხებოდა. ყველა ჩემ ნაცნობ ქალზე უკეთ გამოსდიოდა ეს საქმე. საჭმელს დიდი მნიშვნელობა აქვს ნერვებისთვის და განწყობისთვის. გაბედულება ადამიანს სტომაქიდან ეძლევა, სხვა დანარჩენი სასოწარკვეთილებისგან ემართება.

მაგრამ რად გინდა - გინდა თუ არა, დავბრუნდეთო. ბებიაშისი სულ მის ძებნაში იყო, მიწიდან ამოაძვრენდა, როცა დასჭირდებოდა და ამასაც ყელში ამოუვიდა. მე გარეწრის როლის თამაშს ვაგრძელებდი. ერთხელ ჯოისის ბიძაშვილიც გავიგდე ფეხქვეშ, რომელსაც მთელი ქალაქი ხელში ეჭირა. ეგეთი რამე აქ მანამდე არასდროს მომხდარა. ჯინსის დღეს მთელ ქალაქს ჯინსებით სიარული მოეთხოვებოდა - ვინც ამ წესს დაარღვევდა, იქაურები ტბაში აგდებდნენ. მე ჩემი ერთადერთი კოსტიუმი ჩავიცვი, ყელსახვევი გავიკეთე და ქალაქის მთავარ ქუჩებში აუჩქარებლად, ტაატით ავიარ-ჩავიარე, ბილი ქიდივით, და სანამ ყველა მე მამტერდებოდა, ქალაქის მცხოვრებლების ფანჯრებში ვიხედებოდი აუღელვებლად. ერთხელ სიგარების საყიდლადაც შევჩერდი. მოკლედ, ბოლოს ქალაქი ასანთის ღერივით გადავტეხე წელში.

დღის ბოლოს ქუჩაში ქალაქის ექიმი შემომხვდა. ეგ კაცი მომწონდა. სულ კაიფში იყო, როცა არ უნდა გენახა. მე ნარკომანი არ ვიყავი, მაგრამ მაინც მოვტვინე, რომ თუ რამდენიმე დღით საკუ-

თარი თავისგან დამალვას დავაპირებდი, ამ კაცისგან, რასაც ვთხოვდი, ყველაფერს მივიღებდი.

- მალე აქედან მივემგზავრებით, - ვუთხარი ექიმს.

- მე რომ მკითხოთ, აქ უნდა დარჩეთ, - მითხრა მან. - აქ თქვენს გემოზე ცხოვრობთ. რამდენიც გინდა, ინადირე და ითევზავე. ჰაერი - შესანიშნავი.

არავინ არაფერს გაძალებთ. ეს ქალაქი უკვე დაპყრობილი გაქვთ.

- ვიცი, როგორ არ ვიცი, დოკ. მაგრამ სტოსი ჩვენ ორს შორის ჩემს ცოლს მიჰყავს.

მოკლედ, რაკი ასე იყო საქმე, ბაბუამისმა ჯოისს დიდი ჩეკი გამოუწერა და წამოვედით. პატარა სახლი ვიქირავეთ გორაზე, მერე კი ჯოისს ეს რალაც იდიოტური მორალისტობა შეეყარა.

- ახლა ორივემ სამსახური უნდა ვიშოვოთ, - თქვა ერთხელაც, - ხომ უნდა დავუმტკიცოთ ჩემებს, რომ მაგათგან ფული არ გვჭირდება და თავს თვითონ მოვუვლით.

- კარგი რა, პატარა, რა, საბავშვო ბაღია? რამე სამსახურის პოვნა ყველა რეგვენს შეუძლია; უსამსახუროდ ცხოვრებაა ძნელი და ჭკვიანი ადამიანის შესაფერისი საქმე. მაგას ჩვენ აღრე დარდიმანდობას ვეძახდით. მე, მაგალითად, დარდიმანდობა მირჩევნია.

მაგრამ ჯოისს დარდიმანდობა არ სურდა.

მერე ავუხსენი, რომ კაცი კარგ სამსახურს ვერ იპოვის, სანამ მანქანა არ ეყოლება წინ და უკან სასიარულოდ. ჯოისმა ტელეფონს დასტაცა ხელი და მალე პაპიკომ ამ საქმისთვის ფული გამოგვიგზავნა. მეორე დღეს უკვე ახალთახალ „პლიმუთზე“ ვიჯექი. ჯოისმა ქალაქში ზღაპრული ახალი კოსტიუმით და ორმოცდოლარიანი ფეხსაცმლით გამიშვა, ჰოდა, მეც ვიფიქრე, რატომაც არა, თუ ეგრე უნდა, რატომ არ უნდა გავუსწორო-მეთქი. ჰოდა, ექსპედიტორი გავხდი, რა. თუ ვაცმა არაფრის კეთება არ იცი, ეგრევე ეგ ხდები - საქონლის წამლები, მიმღები, საწყობში შემნახავი. ორი განცხადება წავიკითხე, ორ ადგილას მივედი და ორივე ადგილას ამიყვანეს. პირველ ადგილას ნამდვილი სამსახურის სუნი მეცა, ამიტომ მეორე ავირჩიე.

ავირჩიე და მეორე დღიდან სამხატვრო სალონში გამამწესეს, ხელში წებოვანი ლენტის რულონით. ადვილი სამუშაო მქონდა. დღეში მარტო ერთ ან ორ საათს ვმუშაობდი. დანარჩენ დროს რადიოს ვუსმენდი. ფანერისგან კაბინეტი ავიშენე, შიგნით ძველი



საწერი მაგიდა დავიდგი, ტელეფონით, დაჯვები და განვლილი დღეების შედეგების კითხვა დავიწყე. ხანდახან მწყინდებოდა და პატარა უკანა ქუჩით ყავის დასალევად გავდიოდი. ვჯდებოდი, ყავას ვწრუპავდი, ღვებელს ვჭამდი და ოფიციალტ გოგოებთან ფლირტით ვერთობოდი.

მომარაგების სატვირთო მანქანის მძღოლები მკითხულობდნენ ხოლმე:

- ჩინასკი სად არის, ჩინასკი!

- კაფეში ზის, ყავას სვამს.

ისინიც უკანა ქუჩას გამოუყვებოდნენ, დასხდებოდნენ, ყავას დალევდნენ, მერე იმ ქუჩას აღმა ერთად ავუყვებოდი და ჩვენს საკეთებელ საქმეს ვაკეთებდით, რამდენიცაა ცუთს გადმოვტვირთავდით და მაღაზიაში შევზიდავდით, ან პირიქით, სატვირთოს საბარგულში ავყრიდით ხოლმე. მერე მიღება-ჩაბარებას ვაფორმებდით, მოკლედ, რაღაც ეგეთები.

ჩემი დათხოვნა არავის უნდოდა. გამყიდველებსაც კი ვუყვარდი. თავიანთ ბოსს ისე ძარცვავდნენ, როგორც მოეხერხებოდათ, მაგრამ მე ხმას არ ვიღებდი. მაგათი პატარა თამაში იყო, მე რატომ უნდა გავრეულიყავი. ეგენი არ მაინტერესებდა. წვრილმანი ბაცაცობა მე არ მაინტერესებდა. ამ სამყაროსგან ან ყველაფერი მინდოდა, ან - არაფერი.

იმ სახლში, გორაზე, სიკვდილი იყო დაბუდეებული. ეგ პირველივე დღეს ვიყნოსე, როცა ბადიანი კარიდან უკანა ეზოში გავედდი. მოზუბუნე, მოწუილე, მობზუილე ხმა დამატყდა მაშინვე თავს: ათი ათასი ბუზი ცხვირწინ ამიფრინდა და ჰაერში გაიფანტა. მთელი უკანა ეზო ამ ბუზებით იყო სავსე - მაღალ მწვანე ბალახს მიჰქონდა იქაურობა და მწერებიც იქ, შიგნით ბუდობდნენ, გიჟდებოდნენ იქაურობაზე.

ღმერთო ჩემო, გავიფიქრე, ნუთუ ხუთი მილის რადიუსში ობობები დაილია-მეთქი.

სანამ ასე ვიდექი, ამ ათი ათასმა ბუზმა ციდან დაბლა დაშვება დაიწყო; ბალახზე, მიწაზე, ღობის გასწვრივ ჩამოსხდნენ, თმაზე და ხელებზე შემესივნენ; ყველგან ეგენი იყვნენ. ერთმა, ყველაზე თამამმა, მიკბინა კიდევც.

ხმამაღლა შევიგინე, ქუჩაში გავვარდი და ბუზების საწინააღმდეგო ყველაზე დიდი სასხურებელი საშუალება ვიყიდე, იმაზე დიდი ცხოვრებაში არ მენახა. რამდენიმე საათს ვდიე და ვებრძოლე - მეც გამძვინვარებული ვიყავი და ბუზებიც არანაკლებ - ხოლო ეს რამდენიმე საათი რომ გავიდა, იმ შხამის ყნოსვისგან გულარეულმა და მოწამლულმა ხველებ-ხველებით მიმოვიხედე და აღმოვაჩინე, რომ ბუზები ოდნავაც არ შემცირებულან - ბუსტად იმდენივე იყვნენ, რამდენიც მანამდე. მგონი, თითოეული მოკლული ბუზის სანაცვლოდ, დანარჩენები ბალახში ცვიოდნენ და ორ თავისნაირს აჩენდნენ. რა მექნა, ხელი ჩავიქნიე.

საძინებელში საწოლის გარშემო თაროები გვედგა, ოთახის გამყოფი შირმასავით, ზედ ქოთნები ელაგა, ქოთნებში კი უბრალო ყვავილები იყო ჩარგული. ჯოისთან ერთად იმ საწოლში პირველად რომ ჩავწექი და გიმნასტიკას შევუდექით, შევამჩნიე, რომ თაროებმა რხევა და ყანყალი დაიწყო.

მერე უცებ: „ბრახ!“

ვაი, ვაი-მეთქი, დავიძახე.

- რა გჭირს, რა მოგივიდა? - მკითხა ჯოისმა, - არ გაჩერდე! არ გაჩერდე!

- პატარა, ამ წუთას ტრაკზე ყვავილებიანი ქოთანი დამეცა.

- ნუ ჩერდები! მიდი, გააგრძელე!

- კარგი, ჰო, კარგი!

კარგი, ბატონო. შევედი ისევ ეშხში, ცოტა ხანს ყველაფერი კარგად მიდიოდა და მერე, ისევ...

- ოხ, შენი დედა ვატირე!

- რა ხდება? რა არის?

- კიდევ ერთი ყვავილებიანი ქოთანი დამეცა, პატარა, შიგ კუდუსუნში მომხვდა, მერე გაგორდა, ტრაკისკენ გაუყვა და ძირს გადაგორდა.

- რა დროს ყვავილებიანი ქოთანია...

- კარგი, კარგი...

...თაროებიდან ქოთნების ცვენა მთელ ჩვენს გიმნასტიკას თან სდევდა ბოლომდე. ისეთი განცდა მქონდა, თითქოს საჰაერო თავდასხმის ფონზე ვჟიმობდით. როგორც იქნა, მოვახრჩეთ საქმე.

ცოტა დრო რომ გავიდა, ჯოისს ვუთხარი: - მისმინე, პატარა, ამ ქოთნებს რაღაც უნდა მოვუხერხოთ.

- არა, დატოვე, სადაც არის!

- რატომ, საყვარელო, რატომ?

- რაღაც ეშხს მატებს ხოლმე.

- ეშხს მატებს?

- კი, - თქვა ჯოისმა და ჩაიხიბითა.

ქოთნები იქ დარჩა, სადაც ეწყო. თითქმის ბოლომდე.

მალე სამსახურიდან უგუნებოდ დაბრუნება დამჩემდა.

- რა ხდება, ჰენკ?

ამის გამო ყოველლამე მიხდებოდა დალევა.

- ჩვენი მენეჯერი, ფრედი. მაგან გააჩმახა. ერთი რაღაც სიმღერა აიკვიატა ბოლო ხანებში. დილით სამსახურში შევდგამ თუ არა ფეხს - უსტვენს, არ ჩუმდება; საღამოს გამოვიდვარ - ისევ იმას უსტვენს.

- სიმღერას რა ჰქვია?

- „ოთხმოცი დღე მსოფლიოს გარშემო“. სულ მძაგდა ეგ სიმღერა.

- მაშინ ახალი სამსახური იპოვე.

- კარგი.

- ოღონდ მანდ მანამდე დარჩი, სანამ ახალს არ იპოვი. ჩემებს უნდა დავუმტკიცოთ, რომ...

- კარგი, კარგი!

ერთხელ ქუჩაში ერთ ლოთბაზარას გადავეყარე. იმ დროიდან ვიცნობდი, მე და ბეტი რომ ბარიდან ბარში გადავდიოდით ხოლმე გათენებამდე. მითხრა, ფოსტაში კლერკად ვმუშაობო. ისეთი სამუშაოა, მეორეს ეგეთს ვერ ნახავო.

საუკუნის ყველაზე დიდი და მსუყე ტყუილი იყო, რასაკვირველია. მერე რამდენ ხანს ვეძებდი მაგ ტიპს, მაგრამ, ეტყობა, ვიღაცამ დამასწრო.

მე კი ამასობაში საჯარო სამსახურის მოსაპოვებლად კიდევ ერთხელ ჩავაბარე გამოცდა. ოღონდ ამჯერად ანკეტაში, „ფოსტალიონის“ მაგივრად, „კლერკი“ ჩავწერე.

იმ დროისთვის, როცა ფიცის დადების ცერემონიის უწყება მივიღე, ფრედი „ოთხმოცი დღე დედამიწის გარშემოს“ უკვე აღარ უსტვენდა, მაგრამ მე უკვე ატეხილი ვიყავი და ძალიან მინდოდა „ძია სემის“ ხელიდან ამ იოლი, გემრიელი სამუშაოს მიღება.

ფრედის ვუთხარი: - აქ ერთი პატარა საქმე გამომიჩნდა, შეიძლება საათი-საათ-ნახევარი დამჭირდეს მოსაგვარებლად.

- კი ბატონო, ჰენკ.

ნეტა მცოდნოდა, რამდენ ხანს გაგრძელდებოდა სინამდვილეში ეგ „პატარა საქმე“.

მთელი ჯგრო შევიკრიბეთ - ალბათ, ას ორმოცდაათი ან ორასი სული. რალაც უაზრო ქალაქები იყო შესავსები. მერე ყველანი წამოვდექით და დროშის წინ დავდექით. ფიცი ახლაც იმ ტიპმა დაგვადებინა, ვინც წინა ჯერზე იყო.

რომ დაგვაფიცა, მერე მოგვიბრუნდა:

- კეთილი და პატიოსანი. მშვენიერ სამსახურს გამოჰკარით ხელი. ახლა შარში ნუ გაეხვევით, სახელს გაუფრთხილდით და სიცოცხლის ბოლომდე დაცული იქნებით.

სიცოცხლის ბოლომდე დაცული იქნებითო? ამისთანა დაცულობა ციხეში გამიგია მე, სამუდამო პატიმრობაში. სამი კვადრატული მეტრი და მისი ჯანი. თავიც ქუდში გაქვს: არც ბინის ქირას მოგთხოვენ, არც კომუნალურ გადასახადებს, არც კიდევ საშემოსავლოს ან ალიმენტებს. არც მართვის უფლებაში გაქვს ფული გადასაყრელი, არც მგზავრობის ფულს იხდი და არც - ნასვამ მდგომარეობაში მართვის ჯარიმას. დოღზე ფულს არ წააგებ. სამედიცინო გასინჯვა უფასოდ გეკუთვნის. გარშემოც ამ სიკეთეებით დაინტერესებული ხალხი გახვევია. ეკლესია. სათვალთვალო ჭუჭრუტანა. უფასო კუბო, დასაფლავება.

დაახლოებით თორმეტი წლის თავზე იმ ას ორმოცდაათი თუ ორასი სულიდან ერთი-ორიღა შემორჩა იქაურობას. აი, ზოგს რომ ტაქსისტობა ან სუტენიორობა არ შეუძლია, ზუსტად ისე კაცების (თუმცა რატომ მართო კაცების, ქალებისაც) უმეტესობას ფოსტის კლერკობა არ შეუძლია. და მაგაში ვერავის დავადანაშაულებ. წლები გადიოდა და ყველაფერი ჩემ თვალწინ ხდებოდა: ვხედავდი, როგორ მოდიოდა ლამის მარშით ას ორმოცდაათი თუ ორასი სული, იმდღევანდელივით, და მერე თითოეული ჯგუფიდან სულ სამი ან ოთხი რჩებოდა: ზუსტად იმდენი, რამდენიც პენსიაზე გასასვლელი ხალხის შესაცვლელად იყო საჭირო.

ჯგუფზე მომაგრებულმა გიდმა მთელი შენობა მოგვატარა. იმდენი ვიყავით, რომ ჩვენი ჯგუფებად დაყოფა გახდა საჭირო. ჯგუფები ლიფტით რიგრიგობით აღი-ჩადიოდნენ. გვაჩვენეს თანამშრომლებისთვის მოწყობილი სასადილო, სარდაფი, მოკლედ, ყელში ამოგვიყვანეს.

ღმერთო ჩემო, მალე მაინც მოამთავროს, ეს ჩემი „პატარა საქმე“ უკვე, წესით, ორი საათის წინ უნდა დასრულებულიყომეთქი, გავიფიქრე.

მერე გიდმა ყველას ფურცლები ჩამოგვირიგა, სადაც ჩვენი სამუშაო გრაფიკი იყო მითითებული. მოსვლა-წასვლის საათებაც გვაჩვენა.

- აი, აქ აღირიცხებით.

გვაჩვენა კიდევ, როგორ უნდა „აღვრიცხულიყავით“. მიდით ახლა, აღირიცხეთო, მერე გვითხრა.

თორმეტ-ნახევარი საათის შემდეგ გამოსასვლელში აღვირიცხეთ. მაგარი ფიცი კი გამოგვივიდა, ღმერთმანი. ეგეთი არაფერი გამიგია.

ცხრა-ათი საათი რომ გავიდა, ყველას ძილი მოერია და ლამის თავ-თავიანთ ყუთებში იწყეს ცვენა, კიდევ კარგი, დროზე იკავებდნენ თავს. წერილებს საცხოვრებელი ზონების მიხედვით ვაწყობდით. თუ წერილს „ზონა 28“ ეწერა, 28-ე ყუთის ღიობში უნდა ჩაგეგდო. ძალიან ადვილი იყო ყველაფერი.

ერთი მაღალი შავკანიანი ბიჭი წამოხტა და ხელების ქნევა დაიწყო გამოსაფხიზლებლად.

- ჯანდაბამდე გზა ჰქონიათ! მეტი აღარ შემიძლია! - წამოიძახა შავკანიანმა. ციბრუტივით ტრიალებდა და შიგადაშიგ ბარბაცებდა კიდევ.

იმას კიდევ რა უჭირდა - მოხეული, ჯანიანი ბიჭი იყო. სამუშაო, რომელიც გამუდმებით ერთი და იმავე კუნთების მუშაობას მოითხოვდა, საკმაოდ დამღლელი გამოდგა. მე უკვე ყველაფერი მტკიოდა. ჩვენი სამუშაო უბნის ბოლოში ერთი მეთვალყურე იდგა, კიდევ ერთი ქვიჯა, და ისეთი გამომეტყველება ჰქონდა... ამნაირი ადამიანმა სარკის წინ უნდა დაამხეცოს, სხვანაირად არ გამოუვა. ყველა მეთვალყურეს და ზედამხედველს ეგეთი სიფათი აქვს - ისე გიყურებენ, თითქოს მძღნერი იყო დახვავებული. თუმცა ამ შენობაში ისინიც იმავე კარიდან შემოდდიოდნენ, საიდანაც ჩვენ. ოდესღაც ესენიც კლერკები და ფოსტალიონები იყვნენ. მე ამ ხალხისა არაფერი მესმოდა. რაღაც ჩემთვის გაუგებარი ჩამოსხმა იყო.

ცალი ფეხი აუცილებლად იატაკზე უნდა გვდებოდა, მეორე - დასასვენებელ საყრდენზე. ის, რასაც „დასასვენებელ საყრდენს“ ეძახდნენ, სინამდვილეში შემალღებული ბარიერი იყო, ზედ პატარა მრგვალი ბალიშებით. ერთმანეთთან საუბარი გვეკრძალებოდა. რვა საათის განმავლობაში ორი ათწუთიანი შესვენება გვეკუთვნოდა. ყველაფრის დროს ინიშნავდნენ - თითოეული გასვლის და მობრუნების. თუ ათი წუთის მაგივრად დასვენება თორ-



მეტ-ცამეტ წუთამდე გაგიგრძელდებოდა, არ შეგარგებდნენ, აუცილებლად შენიშვნას მოგცემდნენ.

თუმცა ანაზღაურება აქ უკეთესი იყო, ვიდრე სამხატვრო სალონში. მეც ჩავთვალე, რომ თანდათანობით ვეჩვეოდი აქაურობას.

მაგრამ ვერა და ვერ შევეჩვიე.

მერე მეთვალყურემ ახალ სამუშაო უბანზე გადაგვიყვანა. იქ უკვე ათ საათს ვმუშაობდით.

- სანამ საქმეს შეუდგებით, - გამოგვიცხადა მან, - ერთი რაღაც მაქვს თქვენთვის სათქმელი. ამ ტიპის ფოსტის თითოეული უჯრის დაცლა-დახარისხება ოცდასამ წუთში უნდა მოესწროს. ასეთია სამუშაო გრაფიკი. ახლა კი მოდით ისე, სახალისოდ, ვნახოთ, შეძლებთ თუ არა ამნაირ გრაფიკში ჩატევას! აბა, ერთი, ორი, სამი... წავიდა!

„ნეტავი ერთი გამაგებინა, რა ჯანდაბა ხდება აქ,“ - ვფიქრობდი ჩემთვის. საშინლად ვიყავი დაღლილი.

თითოეული უჯრა ორი ფუტის სიგრძის იყო. მაგრამ ყოველ მათგანში სხვადასხვა რაოდენობის წერილი ეწყო. ზოგიერთებში დანარჩენებზე ორ-სამჯერ მეტი ფოსტა იყო, ტევადობა ხანდახან წერილების ზომამზე იყო დამოკიდებული.

თვალწინ საკუთარი ხელები მიელავდა. თან ჩაფლავების მეშინოდა.

თუმცა მაინცდამაინც არ ვჩქარობდი.

- როგორც კი ერთ უჯრას მოამთავრებთ, მაშინვე მომდევნოზე გადადით ხოლმე!

ზოგიერთმა ეგრევე დაამხეცა, გამოსდიოდათ. დაამთავრებდნენ თუ არა, მეორე უჯრას ეცემოდნენ.

მეთვალყურე უკნიდან დამადგა თავზე. - შეხედეთ, - უთხრა დანარჩენებს, - აი, ამან უკვე აუღო ალღო. მეორე უჯრაზეა, სანახევროდ დაცლილი აქვს!

ამ დროს ჯერ ისევ პირველ უჯრაზე ვიყავი. არ ვიცი, რა ჰქონდა ჩაფიქრებული, ამას რომ ამბობდა. მეკაიფებოდა? მაგრამ სხვებს ხომ მაინც ვასწრებდი, ამიტომ მუშაობა კიდევ უფრო შევანელებ.

დილის ოთხის ნახევარზე ჩემი სამუშაო თორმეტი საათიც ამოიწურა. მაშინ შემცვლელებს ზედმეტი სამუშაო საათებისთვის დამატებით კი არ უხდიდნენ, ყველა იმ ხელფასს იღებდა, რაზეც სამუშაოზე მიღებისას შეუთანხმდნენ. სამსახურში კი „განუსაზღვრელი სამუშაო საათებით დაქირავებული შემცვლელი კლერკის“ სტატუსით ვიყავით აყვანილები.

მალვიძარა ისეთ დროზე დავაყენე, დილის რვა საათისთვის სამხატვრო სალონში რომ მომესწრო მისვლა.

- რამე შეგემთხვა, ჰენკ? უკვე გვეგონა, რომ გუშინ შენი მანქანისად ავარიაში მოყვევი. გელოდებოდით, ხომ თქვი, უკან მოვბრუნდებიო.

- მივდივარ აქედან.

- აქედან მიდიხარ?

- ჰო, ადამიანს უკეთესი მომავლის ძიებისთვის ხომ ვერ გაამტყუნებთ?!

ოფისში შევედი და ხელფასის ჩეკიც მივიღე. მერე ისევ ფოსტაში დავბრუნდი.

ასე გავაგრძელებთ ცხოვრება: იყო ჯოისი, იყო მისი ყვავილენი ბიანი ქოთნები თაროებზე, სადღაც შორს კი - ორი თუ სამი მილიონი, თუ, რა თქმა უნდა, იქამდე გავქაჩავდი. ჯოისი, ბუზები და ქოთნის ყვავილები. მე ღამის ცვლაში თორმეტ-თორმეტ საათს ვმუშაობდი, მერე კი, დღისით, ჯოისი სულ მეჩალიჩებოდა და ხელებს მიფათურებდა, რომ საჭირო კონდიციამდე მივეყვანე. საკმარისი იყო, ჩამძინებოდა, ჯოისის ზედ ჩაფრენილი ხელი მაღვიძებდა. სხვა გზა არ მქონდა, ჩემი გასაკეთებელი საქმე უნდა გამეკეთებინა. საწყალი პატარა გოგო, სულ გადადგა ჭკუიდან.

მერე, ერთ მშვენიერ დღეს, მომადგა და მეუბნება:

- ჰენკ, რაღაც უნდა გითხრა, ოღონდ არ გამიბრაზდე.

ისეთი დაღლილი ვიყავი, გაბრაზების თავი სად მქონდა.

- რაშია საქმე, პატარა?

- ძაღლი მოვიყვანე სახლში. სულ პატარა ლეკვი.

- კარგი. მერე რა, ძაღლი კარგია. რა უნდა მქონდეს ლეკვის საწინააღმდეგო? სად არის?

- სამზარეულოში. პიკასო დავარქვი.

სამზარეულოში გავედი და ძაღლს დავხედე. ჩვენი ძაღლი ვერაფერს ხედავდა. თვალებზე ბეწვი ჰქონდა ჩამოფხატული. ცოტა ხანს ვუყურე მის ბანცალს. მერე დაწვივდი, ხელში ავიყვანე და თვალებში ჩავხედე. საწყალი პიკასო!

- იცი, რა გაიჩალიჩე, პატარა?

- არ მოგწონს?

- არ მომწონს-მეთქი, არ მითქვამს. მაგრამ ეს ძაღლი ჭკუასუსტია. გონებრივად განუვითარებელი. ამის ინტელექტი 12 ერთეულსაც ვერ გაქაჩავს. მოკლედ, წასულხარ და სახლში იდიოტი მოგიყვანია.

- ვითომ რაზე ატყობ?

- შევხედე თუ არა, ეგრევე მივხვდი. ზედ შუბლზე აწერია.

ზუსტად იმწუთას პიკასომ ფსმა დაიწყო. საერთოდ, ფისებით იყო სავსე ჩვენი პიკასო. სამზარეულოს იატაკზე სულ ყვითლად მოაჩანჩქერა. მერე მოამთავრა საქმე, გაცუქცუქდა, გამოცუქცუქდა და თავის მოფსმულს დახედა.

მოვკიდე ხელი ისევ და ავიყვანე.

- მოწმინდე ეგ.

მოკლედ, პიკასოს სახით კიდევ ერთი პრობლემა დაგვემატა.

თორმეტსაათიანი მუშაობის მერე ლოგინში ის მალვიძებდა, რომ ჯოისი მონდომებით მეჩალიჩებოდა საბანქვეშ, მე კი ვკითხულობდი:

- პიკასო სად არის?

- ერთი მაგისიც, რა დროს პიკასოა? - მეუბნებოდა ჯოისი.

საწოლიდან შიშველი წამოვხტებოდი ხოლმე, წინ უკვე უზარმაზარი მქონდა აშვერილი.

- კარგი რა, ისევ ეზოში გაუშვი? გითხარი, დღისით გარეთ ნუ ტოვებ-მეთქი!

მერე ეზოში გავდიოდი, სრულიად შიშველი, ისეთი დაღლილი ვიყავი ხოლმე, ტანზე ჩაცმის თავიც არ მქონდა. კიდევ კარგი, ეზო უცხო თვალს მოფარებული იყო. გავდიოდი და სადღაც იქვე ვპოულობდი საწყალ პიკასოს, ხუთასბუზდასეულს - ბუზები ფენებად ასხდნენ ზედ და კიდევ დასტრიალებდნენ თავს. ასე გავრბოდი ეზოში ამდგარით (გარეთ მივარდებოდა) და ბუზებს დედას ვაგინებდი. სად აღარ ესხდნენ: თვალებზე, ბეწვზე, ყურებში, კვერცხებზე, დრუნჩზე - ყველგან. ის კი იჯდა და მილიმოდა. ბუზებს რომ ვაშორებდი, უკვე მიცინოდა, ბუზები კი კბენდნენ ამ დროს, ცოცხლად ჭამდნენ. იქნებ პიკასომ ჩვენზე მეტი იცოდა რაღაც. მოვკიდებდი ხელს, ავიყვანდი და სახლში შემომყავდა.

პატარა ლეკვმა ძლივს მოითქვა სიცილით სული, როცა იხილა ჯამ-ჭურჭელი, აცეკვებულა.

- ჯანდაბა, ჯოის! რატომ არ აკეთებ, რასაც გეუბნები, რატომ არ აკეთებ, რატომ?!

- სახლში ყოფნას შენ მიაჩვიე. მოსაკურკლად გარეთ უნდა გავიდეს ხოლმე!

- კი ბატონო, მაგრამ რომ მორჩება, სახლში შემოუშვი. ამას ჭკუა არ ყოფნის, რომ მოჰვას და მერე თავისით შემოვიდეს. და როცა მოამთავრებს, კურკლები ახიკე და ის ადგილი მოწმინდე. ბუზების სათარეშოდ ნუ გადააქციე ეს ეზო.

მერე დავწვებოდი, ჩამეძინებოდა და საბანქეშ ჯოისის ჩალიჩი მაღვიძებდა ისევ. ორ-სამ მილიონამდე კიდევ დიდი დრო იყო დარჩენილი.

ერთხელაც სავარძელში ვიჯექი ნახევრად მთვლემარე, სადილს ველოდებოდი.

წყლის დასალევად სამზარეულოში შევედი და ვხედავ, პიკასო ჯოისთან მიცუქცუქებულია და კოჭს ულოკავს. ფეხშიშველი ვიყავი და ამიტომ ჩემი ფეხის ხმა არ გაუგია. მაღალ ქუსლებზე იდგა. ერთი დახედა პიკასოს, სახეზე ისეთი სიძულვილი ეწერა, მთელ ქალაქს ეყოფოდა. ამოჰკრა მაგრად ფერდში ფეხი წვეტიანი ჭვინტით. საწყალი პატარა სულელი წკმუტუნით დაბზრიალდა, შარდის ბუშტმა ვერ გაუძლო, ფისები გაუვიდა. მივედი ონკანთან ჭიქის ასაღებად. ცოტა ხანს ხელში მეჭირა, მერე წყალი არ ჩამისხამს, ავდექი და პირდაპირ ნიჟარის გვერდით დავახეთქე იატაკს. მთელ სამზარეულოში მიმოიფანტა ნამსხვრევები. ჯოისმა მოასწრო და სახეზე ხელები აიფარა. მაინცდამაინც არ შევუწუხებივარ ჩემს საქციელს. ძაღლს ხელი მოვკიდე და სამზარეულოდან გავედი, სავარძელში ჩავჯექი და პატარა ვირისთავს მოვეფერე. ამომხედა, ენა გამოყო და მაჯა ამილოკა. კუდი ტომარაში ჩაგდებული მომაკვდავი თევზივით უთრთოდა და უთამაშებდა.

დავინახე, როგორ ჩაიმუხლა ჯოისმა სამზარეულოში, ქაღალდის პაკეტი მოემარჯვებინა, შიგნით შუშის ნამსხვრევებს ყრიდა. მერე ჩუმად ატირდა. ცდილობდა, შეუმჩნევლად ეტირა. მიტრიალდა და ბურგი შემექცია, მაგრამ ვხედავდი, როგორ უცახცახებდა სხეული უხილავ ბიძგებზე, რომლებიც შიგნიდან გლეჯდნენ და ფლეთდნენ.

პიკასო ძირს დავსვი და ისევ სამზარეულოში გავბრუნდი.

- კარგი, პატარა, გეყო, არ გინდა!

უკნიდან მოვეხვიე. მომჩვარულივით იყო.

- მაპატიე, პატარა... მაპატიე.

მკერდზე მივიკარი, უკნიდან ხელი წელზე შემოვხვიე. მუცელზე ვუსვამდი ხელს, ნაზად ვეფერებოდი, ვცდილობდი, რამენაირად დამეწყნარებინა.

- კარგი ახლა, პატარა, კარგი, ჩუ, ნუ ტირი...

ცოტა მართლა დამშვიდდა. თმა ხელით გადავუწიე და ყურს უკან ვაკოცე. ტუჩებით სითბო ვიგრძენი. თავი მკვეთრად გასწია გვერდზე. მეორედ რომ ვაკოცე იმავე ადგილას, აღარ გაუწევია. ვიგრძენი, როგორ შეისუნთქა ცხვირით ჰაერი, მერე ერთი პატარა კვნესა აღმოხდა. ხელში ავიყვანე და მეორე ოთახში გავედი, სავარძელში ჩავჯექი და კალთაში ჩავისვი. სახეს მარიდებდა, თითქოს ჩემი დანახვა არ უნდოდა. ყელი და ყურები დავუკოცნე. თქმობე ვუსვამდი ხელს, მისი სუნთქვის რიტმში ვეფერებოდი, თითქოს ამ ცუდი მუხტის ხელში მოგდება და შორს მოსროლა მინდოდა.

ბოლოს, როგორც იქნა, მქრქალი ღიმილით შემომხედა. მისკენ გავიწიე და ნიკაპქვეშ ნაზად ვუკბინე.

- გადარეულო ქალო! - ვუთხარი ალერსით.

გაეცინა და ერთმანეთს ვაკოცეთ, ტუჩები ძლივს მოვწყვიტეთ ერთიმეორეს. მერე ისევ წამოიტირა.

უკან გავიწიე, ნუ ტირი, არ გინდა-მეთქი, ვუთხარი.

ისევ ვაკოცეთ ერთმანეთს. ხელში ავიყვანე და საძინებელში შევიყვანე, საწოლზე დავაწვინე, შარვალი, საცვალი და ცალი ფეხსაცმელი სასწრაფად გავიხადე და მერე, იმ მეორე ფეხსაცმლის გაუხდელად, ბოლო თვეების ყველაზე მაგარი დოლი ვაჩვენე, თავის ჯირითიანად. ყველა ქოთანი თავზე დავიმხეთ. საქმე რომ მოვამთავრე, ნანავ-ნანავით დავამშვიდე, მისი გრძელი თმით ვითამაშე, კარგი რამეები ვუჩურჩულე ყურში. სულ იკრუტუნა, ბოლოს ადგა და აბაზანაში გავიდა.

უკან აღარც შემობრუნებულა. სამზარეულოში გავიდა და თეფშების რეცხვა და ღიღინი დაიწყო.



აღბათ, სტივ მაქქუნსაც კი არ გამოუვიდოდა ასეთი გარდა-  
სახვა.

აი, ასე. ბოლოს ისე მოხდა, რომ ხელში ორი პიკასო შემჩნა.

სადილის თუ ვახშმის მერე - მოკლედ, რაც იყო (ჩემი გადარეული 12-საათიანი ცვლის შემდეგ უკვე აღარ ვიცოდი, რის ჯერი როდის მოდიოდა) - ჯოისს ვუთხარი: - მისმინე, პატარა, ძალიან კი არ მსიამოვნებს ამის თქმა, მაგრამ ვერ ხედავ, რომ ამ სამუშაოს ნელ-ნელა ჭკუიდან გადავყავარ? მოდი შევეშვათ სისულელეებს. ვეყაროთ უბრალოდ ჩვენთვის ლოგინში, ვისიყვარულოთ, ვისეირნოთ და ვიჭუკჭუკოთ. ბოლოპარკში ვიაროთ ხოლმე. ცხოველები ვათვალიეროთ. ან მოვაჯდეთ მანქანას და სანაპიროზე ჩავიდეთ ოკეანის საყურებლად. ორმოცდახუთი წუთი უნდა იქამდე მისვლას, მეტი კი არა. სათამაშო აპარატებზეც ვითამაშოთ. დოღებზე ვიაროთ, სამხატვრო გალერეებში, კრივის მატჩებზე. მეგობრები გავიჩინოთ, ვიცინოთ, გავერთოთ. ისე ცხოვრება, როგორც ყველას შეუძლია, მე და შენ შეგვიწირავს.

- არა, ჰენკ, ჩვენებს ხომ უნდა დავუმტკიცოთ, უნდა დავანახოთ, რომ...

ეს იყო მიყრუებულ ტეხასურ ქალაქში დაბადებული პატარა გოგოს სიტყვები.

მეც დავნებდი და ხელები ავწიე.

ყოველ საღამოს, სამსახურში წასასვლელად რომ ვემზადებოდი, ჯოისი საწოლზე ახალ ტანისამოსს გადამიფენდა ხოლმე. ყველაფერი უძვირესი იყო, ფულით ამაზე ძვირფასი ტანსაცმლის ყიდვა შეუძლებელი იყო. ორ დღეს ზედიზედ არ მცმია ერთი და იგივე შარვალი, ერთი და იგივე პერანგი ანდა ფეხსაცმელი. ათობით ხელი ტანისამოსი მქონდა, ასეთი, ისეთი... რაც უნდა დაეწყო საწოლზე, ყველაფერს მორჩილად ვიცვამდი, თითქოს ისევ დედაჩემი მირჩევდა ჩასაცმელს.

იმ ასაკს დიდად ვერ გავცდენილვარ-მეთქი, გავიფიქრებდი ხოლმე და ტანზე ვიცვამდი.

ჩვენთან, ფოსტაში რაღაც საწვრთნელი კლასივით ჰქონდათ და მისი წყალობით ღამის განმავლობაში 30 წუთით მაინც შემეძლო ამომესუნთქა და დაუსრულებლად არ მეჩურთა წერილები ყუთებში.

ერთი მოხეული „იტალიანო“ გვყავდა, კათედრაზე დადგებოდა ხოლმე და გვწვრთნიდა და გვწვრთნიდა.

- ...არაფერია იმ სუნზე საამური, სუფთა ოფლს რომ აქვს, ახალდაბანილზე, მაგრამ იმაზე უარესი სუნიც არ არსებობს, დიდი ხნის დაუბანელზე ჩამძალებულ ოფლს რომ აქვს...

პირველად რომ მოვუსმინე, გავიფიქრე, ღმერთო ჩემო, მეჩვენება, თუ მართლა იმას ამბობს, რაც მესმის-მეთქი? თან ეს წვრთნა, რა თქმა უნდა, მთავრობასთან შეთანხმებით მიმდინარეობდა. ეს გლეხი მასწავლის, როგორ უნდა დავიბანო იღლიები? ინჟინერს ან კონცერტმაისტერს ეგეთ რამეს ხომ ვერ გაუბედავდნენ? ეს ტიპი გვამცირებდა.

- ...ესე იგი, აბაზანას აუცილებლად ყოველდღე ვიღებთ. თქვენ მხოლოდ შრომის პროდუქტიულობის კი არა, გარეგნული იერის მიხედვითაც შეგაფასებენ.

მე მგონი, ამ დროს სადღაც, გონებაში „ჰიგიენის“ ცნება გაუვლევებდა ხოლმე, მაგრამ არც ერთხელ არ წარმოუთქვამს, იმიტომ რომ მის ლექსიკონში ასეთი სიტყვები, უბრალოდ, არ არსებობდა.

მერე კათედრის უკან გადაინაცვლა და უშველებელი რუკა ჩამოშალა. უშველებელი-მეთქი, რომ ვამბობ, ესე იგი მართლა უშველებელი იყო. ნახევარ სცენას ფარავდა განში. მერე რუკას ფარანი მიანათა. მოხეულმა იტალიანომ ხელი საჩვენებელ ჯოხს მოჰკიდა, რომელსაც ვარდისფერი რეზინი ძუძუსთავივით ჰქონ-

და წვერზე წამოცმული - ზუსტად ისეთი ჯოხი იყო, სკოლებში რომ ხმარობენ მასწავლებლები - და რუკას მიაშვირა:

- აბა, ყველანი ვხედავთ აქ მწვანე ფერს? ნახეთ, რამდენია - უამრავი. სულ მწვანეა ყველაფერი. შეხედეთ!

ჯოხი შემართა და იმ უამრავ მწვანეს მიავლ-მოავლო ხახუნ-ხახუნით.

იმ დროს ანტირუსული განწყობა გაცილებით ძლიერი იყო, ვიდრე ახლა. ჩინეთს ჯერ კიდევ არ ჰქონდა დაწყებული კუნთების თამაში. ვიეტნამის ამბები იმასთან შედარებით პატარა ფოიერ-ვერკი იყო. „მგონი გავგიჟდი! - გავიფიქრე ჩემთვის. - აი, ახლა, ამწუთას მართლა ეს მესმის?“ - არადა მსმენელებიდან აშკარად არავინ არაფერს აპროტესტებდა. ყველას სჭირდებოდა სამსახური, ეგრე კი არაა. და კიდევ, ჯოხის აზრით, სამსახური მეც ძალიან მჭირდებოდა.

მერე იტალიანომ გვითხრა: - აქეთ გამომხედეთ! აი, ეს არის ალასკა! აქ კი ისინი არიან! რომ შეხედავ, გეგონება, ცოტაც და ჩვენთან გადმოხტებიანო, არა?

- ნამდვილად, - გამოეპასუხა ვიღაც ტვინგამორეცხილი პირ-ველი რიგებიდან.

იტალიანომ რუკა აკეცა. ქაღალდი შრიალით დაგორგოლაფ-და, ომის ჟინისგან სულ ტკაცუნი გაუდიოდა.

ამასობაში იტალიანო სცენის მეორე ბოლოში დადგა და რეზინისკერტიანი ჯოხი ჩვენკენ გამოიშვირა.

- მინდა, რამენაირად გაგაგებინოთ, რომ ქვეყნის ბიუჯეტი აუცილებლად დასაზოგია! მინდა, გაგაგებინოთ, რომ თითოეული წერილი, რომელიც თქვენს ხელში გაივლის - ყოველ წამს, წუთს და საათს, ყოველდღე, ყოველკვირა - თითოეული ზედმეტი წერილი, რომელსაც თქვენ არასამუშაო დროს უფასოდ მიუჩინთ ადგილს, რუსების დამარცხებაში დაგვეხმარება! აბა, დღეისთვის

სულ ეს იყო, საკმარისია. სანამ აქედან გახვალთ, თითოეული თქვენგანი „გეგმიურ დანიშნულებას“ მიიღებს.

გეგმიურ დანიშნულებას. ნეტავი ეგ რაღაა?

ამ დროს ვილაც შემოვიდა და რაღაც ქაღალდები ჩამოგვირიგა.

- ჩინასკი? - შემომხედა.

- კი, მერე?

- თქვენ მე-9 ბონაში გიშვებთ.

- გმადლობთ, - ვუთხარი.

წარმოდგენა არ მქონდა, რაზე იყო ლაპარაკი. მეცხრე ბონა ქალაქის ყველაზე დიდი უბანი გამოდგა. ზოგიერთს კი სულ პაწაწინა ბონა შეხვდა. რაც მე მერგო, დაახლოებით 23 წუთში ორი უჯრის დახარისხებას უდრიდა - ბევრი რომ არ გავაგრძელო, უბრალოდ, მაგარ გადებას ნიშნავდა.

მეორე ღამეს, როცა ჩვენი ჯგუფი მთავარი შენობიდან სასწავლო შენობაში გადაჰყავდათ, ცოტა ხანს გასთან სალაპარაკოდ შევჩერდი. გასი ძველი ფოსტალიონი იყო, ოდესღაც მეორე ქვესაშუალო წონით კატეგორიაში ჩემპიონობის მესამე პრეტენდენტი, მაგრამ ჩემპიონობამდე არავინ მიახუნინა. სულ მარცხენა მხრიდან უხათქუნებდა ხოლმე, ჰოდა, მოგეხსენებათ, გუნდში ცაციას აყვანა ჭკუაში არავის უჯდება - ეგეთ დროს ბიჭს ყველაფერი თავიდან უნდა ასწავლო. მაგისტვის თავს ვინ გაიცხელებდა? გას-მა თავის ოთახში შემიპატიჟა და მისი ბოთლიდან ცოტ-ცოტა მოვწრუპეთ. მერე გამოვედი და ჩემს ჯგუფს გამოვუდექი.

იტალიანო კარებში ჩამდგარიყო და მელოდებოდა. რომ დამინახა, გარეთ გამოვიდა და შუაგზაზე შემეგება.

- ჩინასკი?

- კი.

- დაგაგვიანდათ.

ხმა არ ამომიღია. შენობისკენ ერთად წავედით.

- აი, ლამისაა მაჯებზე გადაგიტყლაშუნო, გაფრთხილების სახით, - გამომიცხადა უცებ.

- არა, აჰ, მაგას ნუ იზამთ, სერ! გთხოვთ, არ ქნათ! - ვთხოვე ჩემ გვერდით მომავალ იტალიანოს.

- კარგი, კარგი, - შემპირდა, - ამჯერად მიპატიებია.

- გმადლობთ, სერ, - ვუთხარი და გზა კვლავ ერთად გავაგრძელეთ.

მაგარი რამე გითხრათ? ოფლის სუნად ყარდა ის ნაბიჭვარი.

ის ჩვენი ოცდაათი წუთი ახლა „გეგმიურ წვრთნას“ ხმარდებოდა. თითოეულ ჩვენგანს კარტის დასტას ურიგებდნენ, ჩვენ-ჩვენს უჯრებში მათ ჩაწყობაში ვხელოვნდებოდით. გეგმის შესასრულებლად ასი ბანქოს ქალაღდი რვა წუთში მთლიანად უნდა დავებინავებინა ან, უკიდურეს შემთხვევაში - 95 პროცენტის სიზუსტით მაინც. სამჯერ აჭრა-ჩამორიგების უფლება გვეძლეოდა. თუ სამივეჯერ ჩაფლავდებოდდი, შეგეძლო, ქუდი დაგეხურა და წასულიყავი, ანუ სამსახურიდან გითხოვდნენ.

- ზოგიერთებს არ გამოგივათ, - გაგვაფრთხილა იტალიანომ, - ესე იგი, არ ყოფილა თქვენი ბედი აქ მუშაობა. სხვა მოწოდება გქონიათ. ეგებ „ჯენერალ მოტორსის“ პრეზიდენტობას გამოკრათ ხელი.

მერე იტალიანო, როგორც იქნა, გაიტანეს და ერთი პატარა ინსტრუქტორი შემოუშვეს, კარგი კაცი, რომელსაც აშკარად ჩვენი წახალისება უნდოდა.

- ყველაფერი გამოგივათ, ბიჭებო, არც ისეთი ძნელი საქმეა, როგორც ერთი შეხედვით ჩანს.

ყველა ჯგუფს თავ-თავისი ინსტრუქტორი ჰყავდა და თურმე, ჩვენი არ იყოს, ნიშნებს იმათაც უწერდნენ, იმის მიხედვით, რამდენი კაცი გაივლიდა გამოცდას მათი ჯგუფიდან. ჩვენსას ყველაზე დაბალი ქულები ჰქონდა და კაცი ნერვიულობდა.

- არაფერი ისეთი არ არის, ბიჭებო, ტვინში ჩაიბეჭდეთ, მეტი არაფერი.

ზოგიერთ „ბიჭს“ კარტის თხელი დასტა შეხვდა, მე - ყველაზე სქელი.

ვდგავარ ჩემთვის, ეს გაპიწკინებული, ძვირფასი ტანსაცმელი მაცვია, რამე, ხელები ჯიბეში მიწყია.



- ჩინასკი, რა იყო, რაშია საქმე? - მეკითხება ინსტრუქტორი, - ვიცი, შეგიძლია, გამოგივა.

- კი, კი, - ვუპასუხე, - ახლა ზუსტად მაგაზე ვფიქრობ.

- რაზე ფიქრობ?

- არა, არაფერზე.

მერე სულაც გავედი ოთახიდან.

გავიდა ერთი კვირა და მე ისევ ისე ვდგავარ, ხელები ისევ ჭიბეებში მაქვს ჩაწყობილი, და უცებ ერთი დამწყები ფოსტალიონი მიახლოვდება.

- სერ, მე მგონი, უკვე შემიძლია ამ სქემით კარტის განაწილება!

- დარწმუნებული ხართ? - ვეკითხები.

- დიახ, წინა მეცადინეობაზე 97, 98 და 99% მქონდა შედეგი.

- ალბათ ხვდებით, რომ თქვენს მომზადებაზე უზარმაზარი ფული იხარჯება. ამიტომ გვინდა, რომ ბოლო კარტამდე დაშალოთ ეს დასტა!

- სერ, გარწმუნებთ, რომ მართლა მზად ვარ!

- კეთილი და პატიოსანი, - ვუთხარი და ჭიბეებიდან ხელები ამოვიღე, - მაშინ მიდით, ჩემო ბიჭუნა, და ღმერთმა ხელი მოგიმართოს!

- გმადლობთ, სერ!

დაჰკრა ფეხი და გაიქცა გეგმიური წვრთნის ოთახისკენ - ამ შემინული აკვარიუმისკენ, რომელშიც ყველანი იმის დასადგენად გამოგვამწყვდიეს, შეძლებენ თუ არა აქაურ წყლებში გაცურვასო. ახლა ერთი საწყალი ლიფსიტა ვარ. როგორ დავეცი! სულ ცოტა ხნის წინ იმ მიყრუებულ ქალაქში მაგარი შებერტყილი მამაძაღლის როლს ვთამაშობდი! საწვრთნელ ოთახში შევედი, კარტის დასტას რეზინი შემოვხსენი და რაც მომცეს, მას მერე პირველად დავხედე.

- აუჰ, ამის დედაც! - ჩავიბურტყუნე ჩემთვის.

ერთი-ორს გაეცინა. მერე ინსტრუქტორმა გამოგვიცხადა: - თქვენი ოცდაათი წუთი გავიდა. ახლა სამუშაო ადგილებს უნდა დაუბრუნდეთ.

ანუ ჩემს თორმეტსაათიან სამუშაო გრაფიკს უნდა დავბრუნებოდი.

ფოსტის დაგზავნისთვის საკმარისი კადრი არ ჰყავდათ, ამიტომ იმას, ვისაც სამუშაო საათები ჯერ არ გასვლოდა, ყველაფრის კეთება თვითონ უწევდა. გრაფიკის მიხედვით, ორ კვირას შეუსვენებლად უნდა გვემუშავა, მერე კი ოთხდღიანი დასვენება გვერგებოდა. მოკლედ, ყველანაირად ცდილობდნენ, სულ სამუშაოზე მიბმული ვყოლოდით. ოთხდღიანი შვებულება. როგორია. ჩვენი პირველი ოთხდღიანი დასვენების წინა საღამოს ოთახში უცებ ინტერკომი ჩაირთო.

„ყურადღება! 409-ე ჯგუფის ყველა შემცვლელის საყურადღებოდ!“

ზუსტად 409-ე ჯგუფში ვიყავი.

„თქვენი ოთხდღიანი დასვენება გაუქმებულია, ამ ოთხი დღის განმავლობაში სამსახურში სიარული გევალებათ!“

ჯოისმა სამსახური საგრაფოს ერთ-ერთ დაწესებულებაში იპოვა, თუმცა რაღა ერთ-ერთ - საგრაფოს პოლიციის დეპარტამენტში. ახლა კოპთან ერთად ვცხოვრობდი! ერთი სიკეთე მაინც იყო ამ ამბავში: დღისით დაკავებული იყო და მისი პატარა, ალერსიანი ხელებისგან ცოტა ხნით დასვენების საშუალება მეძლეოდა. სიკეთე სიკეთედ, ოღონდ პირველი ხელფასით ორი თუთიყუში იყიდა - ლაპარაკის მსწავლელი არც ერთი ჩანდა, მაგრამ მთელი დღე რაღაც ხმებს გამოსცემდნენ.

მე და ჯოისი ერთმანეთს საუბრის და სადილის დროს ვხედავდით - სულ ფართხაფურთხით, სიჩქარეში, და ეს ძალიანაც კარგი იყო. თუმცა შიგადაშიგ ჩემ გაუპატიურებას მაინც ახერხებდა. ასე ცხოვრება მაინც მერჩივნა უწინდელს, ეს ორი თუთიყუში რომ არა.

- მისმინე, პატარა...

- რაშია საქმე?

- კარგი. მოკლედ. საწოლის თავზე ქოთნებს შევეჩვიე. ბუზებსაც, პიკასოსაც, მაგრამ შენც უნდა გაიგო, რომ დღე-ღამეში თორმეტ საათს ვმუშაობ. მაგის გარდა, კიდევ გეგმიურ განაწილებასაც ვსწავლობ, დანარჩენ დროს კი შენი ხელის ცაცუნით მაქვს დედა მოხნული...

- დედა გაქვს მოხნული?

- ჰო, კარგი. სწორად ვერ ვთქვი. მაპატიე.

- როგორ თუ „ხელის ცაცუნი“ და „დედა მოხნული გაქვს“?

- მაპატიე-მეთქი! ვითომ არ მითქვამს. სამაგიეროდ, აი ეს თუთიყუშები...

- ახლა თუთიყუშებს მისდგა! არ მითხრა, რომ თუთიყუშებიც ხელებს გიცაცუნებენ...

- ჰო, მიცაცუნებენ! ტვინი მოხნეს, მიხმარეს!

- მართლა? გემოდან რომელი ხართ?  
- მომისმინე! ეგ სასაცილო სულაც არ არის. წესიერად ილაპარაკე, ჯერ ერთი! ვცდილობ, რაღაც აგიხსნა...

- უკვე ჭკუის სწავლებაზეც გადახვედი?

- კარგი! კარგი! ამის დედაც... ფულიანი ჩვენ ორში ხომ შენ ხარ! შეიძლება, ვილაპარაკო? მაცლი ხმის ამოღებას? მიპასუხე, კი თუ არა!

- ოჰ-ოჰ, პატარა ბიჭი... კარგი, თქვი, რასაც ამბობდი!

- ძალიან კარგი. ამ პატარა ბიჭს ერთი რამის თქმა უნდა: დედა! დედიკო! ამ დედამოტყნულმა თუთიყუშებმა უკვე ჭკუიდან გადამიყვანეს!

- აჰა. აბა, მოუყევი დედიკოს, როგორ გადაგიყვანეს ჭკუიდან ამ თუთიყუშებმა.

- როგორ, და აი, ეგრე, დედიკო: ეს ვირისთავები მთელი დღე ჭყიპინებენ, წუთით არ ჩერდებიან, სულ ველოდები, იქნებ ბოლოს და ბოლოს რამე აზრიანი თქვან-მეთქი, მაგრამ არაფერსაც არ ამბობენ, მე კიდევ მთელი დღე თვალი ვერ მომიხუჭავს, ამ იდიოტებს ვუსმენ!

- კარგი, ჩემო ცქნათა, თუ ერთხელ კიდევ გაგაღვიძეს, მოკიდე ხელი და გარეთ გაყარე.

- მართლა გავეყარო, დედიკო?

- ჰო, გაყარე.

- კარგი, დედი.

ჯოისმა მაკოცა და კურტუმოს ქნევით ჩაუყვავა კიბეს, თავისი კოპური სამსახურის გზას დაადგა.

საწოლში შევწეტი და დაძინება ვცადე. მოაღეს პირი თუთიყუშებმა, მაგრამ რას მოაღეს! მე კიდევ სხეულის ყველა კუნთი მტკივა. ხან ერთ გვერდზე დავწეტი, ხან მეორეზე, ხან პირაღმა გავიჭიმე: მაინც მტკივა. დავადგინე, რომ ყველაზე იოლი ასეთ დროს თურმე მუცელზე წოლა ყოფილა, მაგრამ პირქვე დამხობილი

დადლილობას უფრო ვგრძნობდი. ორ-სამ წუთს ვანდომებდი ერთი პოზიდან მეორეში გადასვლას.

ვჯაჯღანებდი და ვწრიალებდი, ვიგინებოდი, ხანდახან წავუკუნესებდი, და სიმართლე გითხრათ, ხანდახან ვხითხითებდი კიდევ, იმდენად კომიკური იყო სიტუაცია. ის ორნი ჭყიპინს აგრძელებდნენ. ბოლომდე ამომიყვანეს ყელში. გალიაში შეკეტილი ვირისთავეები! თუ იცოდნენ საერთოდ, ტკივილი რა არის? კვერცხისთავა მატრაბაზები. ღინღლი-ბუმბული-ბუმბული, ცერცვისოდენა ტვინიც არ ჰქონდათ.

საწოლიდან ძლივს წამოვიზღაბნე, სამზარეულოში გავედი, ფინჯანი წყლით ავაავსე, მერე გალიასთან მივედი და ბოლო წვეთამდე შევასხი.

- დედამოტყნულებო! - თან მივაყოლე.

გალუმპული ბუმბულიდან ავი თვალებით გამომხედეს. და, სხვათა შორის, მოკეტეს! წყლის თერაპიაზე უკეთესი ჯერ კაციშვილს არაფერი გამოუგონია. მეთოდს ტვინის მქერავ ფსიქოანალიტიკოსებს დავესესხე.

მერე ის, რომელიც მწვანე იყო და ყვითელი გული ჰქონდა, უცებ მოიხარა და მკერდში იკბინა. მერე თავი ასწია და იმას, რომელიც წითელი იყო და მწვანე გული ჰქონდა, წაეჭუჭკუკა. ერთი წაეჭუჭკუკა და ცოტა ხანში ისევ დიდი ქოთქოთი ატეხეს.

მე კი, საწოლის კიდებზე საწყლად ჩამომჯდარი, ამათ ვუსმენდი. ამასობაში პიკასოც მოვიდა და კოჭში კბილი გამკრა.

აი, ეგ უკვე ბოლო წვეთი იყო. წამოვხტი, დავავლე გალიას ხელი და გარეთ გავვარდი. პიკასო კუდში მომყვა, ათი ათასი ბუზი ერთად წამოფრინდა ბალახიდან და ჰაერში აირია. გალია მიწაზე დავახეთქე, მისი კარი გამოვადლე და კიბის საფეხურზე ჩამოვჯექი.

ორივე თუთიყუში გალიის კარებს იყო მიშტერებული. თან არ ესმოდათ, რას ვაკეთებდი, თან მშვენივრად ხვდებოდნენ. თითქოს ფიზიკურად ვგრძნობდი, რა გამალებით ამუშავდნენ იმათი

მოცუცქნული ტვინები: საჭმელი და წყალი იქვე ჰქონდათ, კარი კი ღია იყო. ნეტავი ეს ღია სივრცე რაღას ნიშნავდა?

მწვანე და გულყვითელა პირველი გაფრინდა. თავისი რგოლიდან ჩამოსრიალდა და კარის ღიობისკენ წამოვიდა. მერე მავთულს კლანჭებით ჩააფრინდა, დაჯდა. დაახლოებით თხუთმეტ წამს ასე იჯდა, ფიქრობდა, მაგრამ ვერ გადაეწყვიტა, როგორ მოქცეულიყო. მერე იმ პატარა თავში რაღაც გაუჩხაკუნდა. კი არ გამოფრინდა, ტყვიასავით ავარდა ცაში, სულ სულ სულ მალლა. ისარივით! მე და პიკასო ვისხედით და თვალს ვაყოლებდით.

მერე იმის ჯერი დადგა, წითელი რომ იყო და მწვანე გული ჰქონდა.

წითელმა უფრო მეტ ხანს იყოყმანა. გალიაში წრეების შემოვლა დაიწყო ნერვიული ნაბიჯით. ვის ეადვილება ეგეთი არჩევანი. ადამიანებს, ჩიტებს, ყველა არსებას აქვს არჩევანი გასაკეთებელი ამ ცხოვრებაში. დაუნდობელია ეს თამაში.

ასე შემოუარა ბევრჯერ გალიას ტვინის ჭყლეტით. მზე ყვითლად ჩადიოდა. ბუბები ბზუოდნენ. კაცი და ძაღლი თვალს არ აშორებდნენ. თან რა ცა იყო თავს ზემოთ! რა ცა...

არა, ეს უკვე მეტისმეტი იყო. ამ ჩვენმა წითელმა შტერმა მავთულზე შეიფრთხილა. სამი წამი და ფრრრ!

გაფრინდა.

მე და პიკასომ ცარიელ გალიას ხელი მოვკიდეთ და სახლში შევბრუნდით.

ბოლო რამდენიმე კვირის განმავლობაში პირველად გამოვიძინე გემოზე. მალვიძარას დაყენებაც კი დამავიწყდა. ბროდვეიზე, ნიუ-იორკ სითიში, თეთრ ცხენს მივაჭენებდი. იმ დღეს მერად ამირჩიეს, ცხელ-ცხელი ამბავი იყო. მაგარი ერექცია მქონდა, მაგრამ მერე ვიღაცამ პეშვით ტალახი მესროლა... ჯოისი მანჯღრევდა.

- ჩიტებს რა დაემართათ?

- ჯანდაბას ჩიტების თავი! ნიუ-იორკის მერი ვარ!  
- გეკითხები, ჩიტები სად არიან-მეთქი! აქ მარტო ცარიელი გა-  
ლიაა.

- ჩიტები? ჩიტები... რა ჩიტები?  
- გაიღვიძე, შე გამოშტერებულ!  
- მძიმე დღე გქონდა სამსახურში, საყვარელო? რას იყფები?  
- სად არიან ჩიტები?  
- შენ არ მითხარი, თუ კიდევ არ დაგაძინებენ, გარეთ გაუძა-  
ხეო?

- მე ის ვიგულისხმე, თუ შეგაწუხებენ, უკანა ეზოში ან პარმალზე  
გადგი-მეთქი, არანორმალურო!

- არანორმალურო?  
- ჰო, შენ გეუბნები, არანორმალურო! მოკლედ, რის თქმა გინ-  
და - რომ კარი გააღე და ჩემი ჩიტები გალიიდან გამოუშვი?  
- რაკი არც აბაზანაში არიან ჩაკეტილები და არც კარადაში შე-  
მიკეტავს, ესე იგი..

- ვერ ხვდები, რომ შიმშილით დაიხოცებიან?  
- ვითომ რატომ, ჭიაყელებს დაიჭერენ, კენკრას აკენკავენ, რა-  
ვი, ათას რამეს იპოვნინან საჭმელად.

- ამათ არ შეუძლიათ ეგ, არ შეუძლიათ! არ იციან, როგორ უნ-  
და მოიპოვონ საკვები! დაიხოცებიან ახლა!

- ჰოდა მოდი რა, აცალე, ისწავლონ, ანდა დაიხოცონ, ერთი  
მაგათი დედაც, - ვუთხარი, მერე მეორე გვერდზე გადავტრიალდი  
და ძილი გავაგრძელე. შიგადაშიგ ძილში ჩამესმოდა, როგორ  
აკეთებდა სადილს, როგორ უცვიოდა ხელიდან ქვაბების თავსა-  
ხურები და კოვზები იატაკზე და როგორ წიწმატობდა ჩუმად ჯო-  
ისი. პიკასო ჩემთან, საწოლზე იყო მოკალათებული. პიკასოს მი-  
სი წვეტიანი ჭვინტი აღარ ემუქრებოდა. საბნიდან ხელი ამოვწიე,  
პიკასომ ამლოკა, მერე ისევ დავიძინე.

სიმართლე რომ ვთქვა, დიდხანს არ მძინებია. რომელიღაც მომენტში ვიგრძენი, რომ ხელებს მიცაცუნებდნენ. თავის წამოწევა ვერ მოვასწარი, რომ თვალებში გიჟის მზერით ჩამხედა. მთლიანად გახდილი იყო, მისი მკერდი თვალებზე მეფარა, თმანესტოებში მიღიტინებდა. მის მილიონებზე ფიქრს ვუხმე, მერე ორივე ხელით ავწიე, ზურგზე გადავაწვინე და შევუდე.



არა, კოპი არ ყოფილა ჯოისი, კლერკი კოპი იყო. რაღაც მომენტში სამსახურიდან აღფრთოვანებულმა დაიწყო დაბრუნება, ვიღაც ტიპის ამბებს მიყვებოდა, რომელსაც თურმე ჰალსტუხზე შინდისფერი ქინძისთავი ეკეთა და „ნამდვილი ჯენტლმენი“ იყო.

- აჰ, არ იცი, როგორი კეთილია!

ყოველ საღამოს ერთი და იგივე მესმოდა.

- აბა, - ვეკითხებოდი ხოლმე, სამსახურიდან რომ დაბრუნდებოდა, - შინდისფერქინძისთავიანი ჯიგარი როგორაა?

- ოჰ, იცი, რა მოხდა დღეს? - მეტყოდა რამე ამნაირს.

- რა, პატარა? არ ვიცი, სწორედ მაგიტომ გეკითხები.

- ოჰ, ეს კაცი ისეთი ჯენტლმენია!

- კარგი, კარგი, ეგ გავიგე. და რა მოხდა?

- ნატანჯი კაცია, იცი, რამდენი რამე აქვს გადატანილი?

- ალბათ.

- ცოლი გარდაეცვალა, იცი?

- არა, არ ვიცი.

- ეგეთი ფეხებზემკიდია ნუ ხარ, გეუბნები, ცოლი გარდაეცვალა-მეთქი. 15 000 დოლარი დაუჯდა იმ ქალის მკურნალობა და დასაფლავება.

- კარგი, ბატონო. მერე?

- დერეფანში მივდიოდი. ის მეორე ბოლოდან მოდიოდა. ერთმანეთს გაუხსწორდით. შემომხედა და უცებ თავისი თურქული აქცენტით მეუბნება: „ღმერთო, რა მშვენიერი ხართ!“ და მერე იცი, რა გააკეთა?

- არა, პატარა, რა ქნა, მითხარი, ოღონდ სწრაფად.

- შუბლზე მაკოცა, ძალიან ნაზად. უნაზესად. და გზა გააგრძელა.

- ერთ რამეს გეტყვი მაგ კაცზე, ჩემო პატარა. ძალიანაა ეტყო-  
ბა ფილმებზე შემჯდარი.

- შენ საიდან იცი?

- რას მეკითხები, ვერ გავიგე.

- ღამის კინოთეატრი აქვს მძღოლებითვის. სამსახურის მერე  
ყოველ საღამოს მანდ მიდის.

- გასაგებია ყველაფერი.

- მაგრამ ისეთი ჯენტლმენია! - დააყოლა ჯოისმა.

- მისმინე, პატარა, შენი წყენინება კი არ მინდა, მაგრამ...

- რა მაგრამ?

- მომისმინე. შენ ერთი პატარა, მიყრუებულ ქალაქში გაზრდი-  
ლი გოგო ხარ, მე - ალბათ, ორმოცდაათ- ან, შეიძლება, ასსამსა-  
ხურგამოცვლილი კაცი. დიდხანს არასდროს არსად გავჩერე-  
ბულვარ. ახლა ყურადღებით მომისმინე და დაიხსომე, რასაც  
გეტყვი: მთელი ამერიკის კანტორებში ხალხი ერთი და იმავე წე-  
სით ერთობა. მოწყენილობისაგან აღარ იციან, რომელ კედელს  
ახალონ თავი და ამიტომ შეყვარებულობანას თამაშს იწყებენ.  
უფრო ხშირად ეგ არაფერს სერიოზულს არ ნიშნავს - უბრალოდ,  
დროის მოსაკლავად თამაშობენ. დიდი-დიდი - ვიღაცამ მოახერ-  
ხოს და სამსახურის გარეთ ერთი-ორჯერ წაიქინძაოს. მაგრამ  
ეგეთ შემთხვევაშიც კი ეს ყველაფერი მხოლოდ გართობაა, რო-  
გორც ბოულინგი, ტელევიზორის ყურება ან წინასახალწლო  
წვეულება სამსახურში. ჯობია, წინასწარ იცოდე, რომ ეგ ყველა-  
ფერი არასერიოზულია, მერე რომ გული აღარ გეტკინოს. გესმის,  
რასაც ვგულისხმობ?

- მე კი მეჩვენება, რომ ბატონი პარტისიანი ძალიან გულწრფე-  
ლია.

- წამოეგები შენ მაგ ქინძისთავს, ჩემო გოგო, გამიფრთხილე-  
ბიხარ. არ დაგავიწყდეს, რაც გითხარი. ეგეთ მამაძაღლებთან

ფრთხილად იყავი. შეიძლება ენა დაიშაქროს, მაგრამ იცოდე - რაც ბრწყინავს, ყველაფერი ოქრო არ არის.

- ენადაშაქრული სულაც არაა. ჯენტლმენია. ნამდვილი ჯენტლმენი. ნეტავი შენც ჯენტლმენი იყო.

ხელი ჩავიქნიე. სოფაზე ჩამოვჯექი, ჩემი გეგმის ფურცელი ავიღე და შევეცადე გამეხსენებინა, სად იყო ბებკოკ ბულვარი. ბებკოკი ოთხ ადგილას იყო აღნიშნული: 14, 39, 51, 62 ნომრებთან. კარგი რა, მართლა და მართლა! ეს რანაირად შეიძლება დაგავიწყდეს?

ბოლოს და ბოლოს, დასვენების დღეც მეღირსა და იცით, რა გავაკეთე? დილაუთენია ავდექი - ისე, რომ ჯოისს სამსახურიდან დაბრუნება ვერ მოესწრო - და ბაზარში წავედი პატარ-პატარა საყიდლებზე. ჰოდა, შეიძლება, მართლა ძალიან გამოვშტერდი, მაგრამ მთელი ბაზარი მოვიარე და იმის მაგიერ, რომ ერთი კარგი წითელი სტეიკი მეყიდა - ან გინდაც, გამოშიგნული და შესაწავად გამზადებული ქათამი - იცით, რა ვქენი? აღმოსავლურ სექციაში შევედი და რვაფეხებით, ზღვის ობობებით, ლოკოკინებით, წყალმცენარეებითა და მსგავსებით დავიწყე კალათის გავსება. გამყიდველი უცნაურად მიყურებდა, მერე ჩეკი ამომიბეჭდა.

როცა საღამოს ჯოისი სახლში დაბრუნდა, მე უკვე ყველაფერი მაგიდაზე მეწყო გამზადებული: წყლის ობობებთან და კარაქში ოქროსფრად დაბრაწულ ლოკოკინებთან შერეული მოთუშული ზღვის კომბოსტო.

სამზარეულოში შევიყვანე და ჩემი გაშლილი მაგიდა ვაჩვენე.

- ყველაფერი, რაც აქ დევს, შენს პატივსაცემად შეიწვა და მონიხარმა, - ვუთხარი, - ჩვენს სიყვარულს ეძღვნება.

- რა არის ეს, რა საზიზღრობაა? - იკითხა ჯოისმა.

- ლოკოკინები.

- ლოკოკინები?

- კი. არ იცი, რომ საუკუნეების განმავლობაში ადამიანები მთელ აღმოსავლეთ სამყაროში მარტო ამით და ამის მსგავსი რამეებით იკვებებოდნენ? მოდი პატივი მივაგოთ მათ და პატივი მივაგოთ ჩვენს თავს! ეს კარაქშია შემწვარი.

ჯოისი მაგიდასთან მივიდა და დაჯდა.

მეც მოვუჯექი და ერთიმეორის მიყოლებით დავიწყე ლოკოკინების პირში ჩაყრა.

- ოჰოჰოჰო, ძალიან რამეა, პატარა! მიდი, გასინჯე!

ჯოსმა ჩანგლიანი ხელი გაიწვდინა და ერთი ლოკოკინა ჩა-  
იდო პირში, დანარჩენებს კი, თეფშზე დარჩენილებს, თვალს არ  
აშორებდა.

მე პირი უგემრიელესი ზღვის კომბოსტოთი გამოვივსე.

- კარგია, ხომ, პატარა?

ჯოსის ჯერ ის ერთი ლოკოკინა ედო პირში და ღეჭავდა.

- თან საუკეთესო კარაქშია მოხრაკული!

კიდევ რამდენიმეს ვწვდი თითებით და პირისკენ გავიქანე.

- საუკუნეებია ჩვენს მხარეს, ჩემო პატარა! უცნაურს არაფერს  
ვაკეთებთ!

ჯოსმა, როგორც იქნა, ის ერთი ლოკოკინა გადაყლაპა. მერე  
დანარჩენების თვალიერება დაიწყო.

- ამათ ყველას ერთი ციცქნა პროტები აქვთ! რა საშინელებაა!  
საშინელება!

- პროტი რატომაა საშინელება, საყვარელო?

ჯოსმა ხელსახოცი ტუჩებზე მიიჭირა. მერე წამოდგა და აბაზა-  
ნისკენ გაიქცა. ღებინება დაეწყო. მე სამზარეულოდან დავადევნე  
ომახიანად:

- პროტებში რაა ცუდი, ჩემო პატარა? შენცა გაქვს პროტი, მეცა  
მაქვს პროტი! მაღაზიაში რომ მიდიხარ და საუკეთესო ჩამონა-  
ჭერს ყიდულობ სტეიკად, პროტი ადრე იმასაც ჰქონდა! პროტები-  
თაა ეს დედამიწა სავსე! გარკვეული თვალსაზრისით, ხეებსაც  
აქვთ პროტები, მაგრამ შენ იმათ ვერ დაინახავ, მარტო ფოთლე-  
ბის ცვენას ხედავ. შენი პროტი, ჩემი პროტი, მსოფლიო მილიარ-  
დობით პროტითაა გაძეძგილი, პრეზიდენტს პროტი აქვს, მანქანე-  
ბის მრეცხავ ბიჭს პროტი აქვს, მოსამართლეს და მკვლელსაც  
აქვთ პროტები... შინდისფერქინძისთავიანსაც კი აქვს პროტი!

- კარგი, გეყოფა! საკმარისია!

და ისევ ამოიტრიალა გულ-მუცელი. ეჰ, პატარა ქალაქში გაზ-  
რდილი პატარა გოგო. საკვს ბოთლი გავხსენი და მოვსვი.

ეს ამბავი დაახლოებით ერთი კვირის თავზე მოხდა, დილის შვიდი საათი იყო. გაორმაგებული ცვლის მერე კიდევ ერთ დასვენების დღეს გამოვკარი ხელი, ჯოისის ტრაკს ვიყავი თბილად მიკრული, მეძინა, კარგა მაგრადაც, როცა უცებ ვილაცამ ზარი დარეკა. საწოლიდან წამოვდექი და კარის გასაღებად წავედი.

პატარა, ჰალსტუხიანი კაცი შემრჩა ხელში. რაღაც ქაღალდები შემომანჩეხა და გაიქცა.

უწყება იყო, სასამართლოში მეძახდნენ განქორწინების გასაფორმებლად. წავიდა, გამექცა ჩემი მილიონები. თუმცა მაინცდამაინც არ ვბრაზობდი, რადგან სულერთია, ჯოისის მილიონებს მაინც არასოდეს ველოდებოდი.

გავაღვიძე.

- რა ხდება?

- არ შეგეძლო, ამ საქმისთვის ცოტა უფრო ნორმალურ დროს გაგეღვიძებინე?

ქაღალდები დავანახე.

- მაპატიე, ჰენკ.

- კარგი, ეგ არაფერი. მაგრამ ჯობდა, ჩემთვის პირდაპირ გეთქვა, სულ ეგაა. თანხმობას მაინც მოგცემდი. ერთი-ორჯერ კიდევ ვისიყვარულვდით, ვიცინებდით, გავერთობოდით. აი, ასე - არ მესმის. თან ამ დროის განმავლობაში სულ იცოდი. ღმერთმანი, მართლა არაფერი მესმის ქალების.

- იცი, ეგ მაშინ შევაფსე, როცა ახალი ნაჩხუბრები ვიყავით. ვიფიქრე, თუ ახლა გადავდე, წყენა გამივლის და მერე აღარ ვარ ამის გამკეთებელი-მეთქი.

- კარგი, პატარა, პატიოსნებას ქალში ძალიან ვაფასებ. ვინ არის, შინდისფერი ქინძისთავი?

- კი. შინდისფერი ქინძისთავი, - თქვა ჯოისმა.

გამეცინა. სევდიანი უფრო იყო ჩემი სიცილი, უნდა ვაღიარო. მაგრამ სხვანაირი არ გამომივიდა.

- ძნელი გამოსაცნობი არ იყო. მაგრამ იცოდე, მაგ ტიპისგან უსიამოვნება მოგელის. თუმცა მე მარტო სიკეთეს გისურვებ, პატარა. იცოდე, რომ შენში ბევრი რამე მიყვარდა, მარტო შენს ფულში არ იყო საქმე.

ბალიშში თავჩარგული ატირდა, პირქვე მწოლიარე მთელი ტანით აძაგძაგდა. ერთი პატარა გოგო იყო პატარა მიყრუებული ქალაქიდან, განებივრებული და ცხოვრებაში დაბნეული. ჩემ თვალწინ ცახცახებდა, ტიროდა და სიყალბის ნატამალიც არ ეტყობოდა. რაღაც საშინელება იყო.

საწოლიდან საბანი ჩამოუცურდა და მის თეთრ ბურგზე შემოჩერდა მზერა, ამოჩრილ ბეჭებზე. თითქოს კანი უნდა ამოეჭრათ და ფრთებად უნდა ქცეულიყვნენ. პატარა, ნაზი ბეჭები. უსუსური და დაუცველი იყო.

საწოლში შევბრუნდი, ბურგზე ხელი დავუსვი, მოვეფერე, დავამშვიდე -

ხელახლა აუტყდა ქვითინი:

- ოჰ, ჰენკ, მიყვარხარ, მიყვარხარ, მაპატიე, ისე საშინლად ვწუხვარ, საშინლად ვწუხვარ!

მართლა ზღვარზე იყო.

ცოტა ხანი რომ გავიდა, თავს უკვე ისე ვგრძნობდი, თითქოს ის კი არა, მე ვეყრებოდი ჯოისს.

მერე განვლილი დღეების მოსაგონრად ერთი კარგად ვიხერხავეთ.

ჯოისს დარჩა ბინა, ძაღლი, ბუზები და თაროებზე გამწკრივებული ქოთნები.

ბარგის ჩალაგებაშიც კი მეხმარებოდა. ისე ფრთხილად ჩამიწყო შარვლები ჩემოდნებში. საცვლები და საპარსიც თავის ხელით ჩამიდო. ყურზე ვუკბინე, მარჯვენა ყურზე, მერე კი ჩემი ბარგი-

ბარხანიანა კიბეს დავუყევი. მანქანაში ჩავჯექი და ქუჩები რიგრიგობით მივიარ-მოვიარე გასაქირავებელი ბინების ძებნაში. ეგ ხომ მაინც არ იყო ჩემთვის უჩვეულო ამბავი.



# • სამი •

## 1

განქორწინებას არ შევწინააღმდეგებივარ, სასამართლოში არ წავსულვარ. ჯოისმა მანქანა მე დამიტოვა. თვითონ მაინც არ ატარებდა. სამი თუ ოთხი მილიონი დავკარგე, მეტი არაფერი. ჩემი ფოსტა ხომ მაინც დამრჩა.

ბეტი ქუჩაში შემხვდა.

- ქუჩაში გნახე იმ დედაკაცთან ერთად. შენი გემოვნების ქალი არ არის.

- ეგრე თუ წავიდა, რომელია რო?

მერე ვუთხარი, რომ იქ ყველაფერი მომთავრებული იყო. ლუდის დასალევად წავედით. დაბერდა ბეტი, თან რალაცნაირად უცებ. ნაოჭები დაეტყო, ყელზე ღაბაბი ჩამოეკიდა. სევდის მომგვრელი სანახაობა იყო. თუმცა ასაკი არც მე დამკლებია, რა თქმა უნდა.

ბეტის სამსახური დაუკარგავს. ძალლიც მომკვდარა - მანქანამ გადაუარაო, მითხრა. ოფიცინტად მოწყობილა, მერე ეს სამუშაოც დაუკარგავს. კაფეს შენობა დაუნგრევიათ, მის ადგილას ახლა საოფისე შენობას აშენებდნენ. ხელმოცარულთა თავშესაფრის ერთ პატარა ოთახში ცხოვრობდა თურმე ბეტი. ბეწრებს ცვლიდა იქ, საძინებლებს ალაგებდა. სულ სვამდა, არ ფხიზლდებოდა. შემომთავაზა, იქნებ ისევ ერთად ვიყოთო. მე ვუპასუხე, მოდი ცოტა დავიცადოთ-მეთქი. ჯერ ჩემი ამბიდან კარგად ვერ ვიყავი გამორკვეული.

ბეტი თავის ოთახში აბრუნდა, ყველაზე კარგი კაბა და მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი ჩაიცვა - ცდილობდა, რალაცას დამსგავსებოდა. მაგრამ რალაც საშინელი სევდა იყო მასში ჩაბუდებული.

ცოტა ვისკი ავიღეთ, ლუდი და ჩემთან ავედით, მრავალბინიანი სახლის მეოთხე სართულზე ნაქირავე ბინაში. ტელეფონი ავიღე და დასვენების დღე ვითხოვე. მერე ბეტის წინ ჩამოვუჯექი. ფეხი ფეხზე გადაიდო, ფეხსაცმელი წაიძრო, ცოტა ვიცინეთ ერთად. როგორც ადრე. თითქმის. რაღაც ვეღარ იყო მთლად ძველებურად.

იმ დროს ავადმყოფობის გამო დასვენების დღეს თუ მოითხოვდი, ფოსტის სამსახური ბინაზე ექთანს გიგზავნიდა - ამოწმებდნენ, ადგილზე დახვდებოდი, ღამის კლუბში იყავი თუ სადმე პოკერს თამაშობდი. ჩემი ბინა ცენტრალურ ოფისთან ყველაზე ახლოს იყო, ამიტომ ჩემთან სიარული ეადვილებოდათ. ორი საათი ვისხედით ასე მე და ბეტი, როცა უცებ ვიღაცამ კარზე დააკაკუნა.

- რა ხდება? - მკითხა ბეტიმ.

- ისეთი არაფერი, - ვუთხარი ჩურჩულით, - მოკეტე, ეგ ქუსლიანი ფეხსაცმელი გაიხადე, სამზარეულოში გადი და ხმა არ ამოიღო.

- ერთი წუთი! - გავძახე იმას, ვინც მიკაკუნებდა.

სიგარეტს მოვუკიდე, რომ ალკოჰოლის სუნის გადამეფარა, მერე კარისკენ წავედი და სულ ოდნავ გამოვადე. ექთანი იყო, რა თქმა უნდა. ისევ ის, ვინც ყოველთვის დადიოდა. უკვე მიცნობდა.

- აბა, ახლა რა უბედურებაა თქვენს თავს? - მკითხა.

ბოლი რგოლებად გამოვუშვი პირიდან.

- კუჭი მაქვს აშლილი.

- დარწმუნებული ხართ?

- რას ქვია. კუჭი ჩემია და.

- მაშინ ამ ქალაქს ხელი მოაწერეთ, რათა დაადასტუროთ, რომ აქ ვიყავი და შინ დამხვდით!

- რა თქმა უნდა.

ექთანმა ქალაქი ოდნავ დატოვებულ ღრიჭოში გამოაძვრინა, მე ხელი მოვაწერე და უკან გავაძვრინე.

- ხვალ რას აპირებთ, მოხვალთ სამსახურში?

- აბა, როგორ გითხრათ, წარმოდგენა არ მაქვს. თუ კარგად ვიქენი, მოვალ, აბა, რას ვიზამ, თუ არა - სახლში დავრჩები.

ქალმა ერთი შემომხედდა ზიზღით და წავიდა. მივხვდი, რომ ჩემგან ვისკის სუნი ეცა. რა, ვითომ ეგ არ არის საკმარისი საბუთი? შეიძლება არც იყოს, ძალიან ბევრი ტექნიკური დეტალია კიდევ საჭირო, თუმცა ვინ იცის, ეგება გაეცინა კიდევაც ჩემზე ქვემოთ, თავისი პატარა შავი ჩანთით მანქანაში რომ ჯდება.

- კარგი, - ვთქვი, - ფეხზე ჩაიცვი და მანდედან გამოდი.

- ვინ იყო?

- ფოსტის ექთანი.

- წავიდა?

- კი.

- სხვა დროსაც ასე გამოწმებენ?

- ჯერ ერთი გაცდენაც არ ჩაუგდიათ. მოდი ახლა მე და შენ ეს შეხვედრა აღვნიშნოთ, მაგრად გამოვტყვერეთ.

სამზარეულოში შევედი და ორი ჭიქა ბოლომდე გავავსე. მერე გამოვედი და ბეტის თავისი ვისკი მივაწოდე.

- გაგვიმარჯოს! - ვთქვი.

ჭიქები მალლა ავწიეთ და ერთმანეთს მივუჭახუნეთ.

მერე უცებ ჩემი მალვიძარა ჩაირთო, თან ძალიან ხმამაღლა.

ისე შევხტი, თითქოს ვიღაცამ ზურგში ტყვია დამახალა. ბეტის შეკრთა და ერთ ფუტზე შეხტა. საათისკენ გავიქეცი და მალვიძარა გამოვრთე.

- ღმერთო ჩემო, - თქვა ბეტიმ, - კინალამ ჩავისვარე შიშისგან!

ამ ამბავზე ორივემ ვიცინეთ. მერე დავსხედით. დავსხედით და კარგადაც დავლიეთ.

- საყვარელი მყავდა, საგრაფოს ადმინისტრაციაში მუშაობდა,

- მითხრა ბეტიმ, - იმასაც სულ ინსპექტორს უგზავნიდნენ. ვაცი იყო ვიღაც, ვინც სულ დადიოდა, სულ თუ არა, ყოველ მეხუთე

ჯერბე მაინც ის მოდიოდა. ერთ საღამოსაც ვსხედვართ მე და ჰარი, ვსვამთ - ჰო, ჰარი ერქვა. ჰარი. და უცებ კარზე ვილაცა აკაკუნებს. ამ დროს ჰარი დივანზე ზის, ჩაცმული. „ღმერთო, ღმერთო! - იძახის უცებ და საწოლში ხტება, ეგრევე, გაუხდელად, და საბანს მთელ ტანზე იფარებს. მე ბოთლებს და ჭიქებს საწოლქვეშ ვტენი და კარის გასაღებად მივდივარ. - აბა, როგორ გრძნობთ თავს, ჰარი? - ის ტიპი ეკითხება. - რა ვიცი, ისე რა. აი, მეგობარი მადგას თავზე, ჩემ მოსავლელადაა მოსული, - ეუბნება ჰარი და ხელით ჩემზე ანიშნებს. მე ვზივარ ჩემთვის გატრეტილი. - აბა, იმედია, მალე გამოჯანმრთელდებით, ჰარი,“ - ეუბნება ეს ჩვენი ინსპექტორი და მიდის. დარწმუნებული ვარ, საწოლის ქვეშ შეჩურთული ბოთლები და ჭიქებიც დაინახა და იმასაც მიხვდა, რომ ჰარი ფეს-საცმლიანად იწვა საბანქვეშ. დიდი მაბალო სიტუაცია იყო.

- ნაბიჭვრები. არ ამოგასუნთქებენ ადამიანს, სიცოცხლეს არ გაცლიან! სულ გაჯგიმული უნდათ, რომ ყავდე.

- ეგრეა, კი.

ცოტა ხანს კიდევ ვსვით, მერე დაფექით, მაგრამ ძველებურად აღარც აქ იყო ყველაფერი, ეგრე არც არასოდეს გამოდის ხოლმე - ახლა ჩვენ შორის სიცარიელე იყო, ბევრი რამე მოხდა მას მერე. თვალი გავაყოლე, ვუყურებდი, როგორ მიდიოდა სააბაზანოსკენ, დუნდულების ქვეშ ნაკეცები და ნაოჭები გასჩენოდა. საწყალი. საწყალი, საწყალი, საცოდავი გოგო. ჯოისს ყოველთვის მკვრივი და შეკრული სხეული ჰქონდა - ხელშიც მოგხვდებოდა რაღაც და სასიამოვნო შესახები იყო. ბეტის შეხება ეგეთი სასიამოვნო არ მეჩვენა. იყო რაღაც ძალიან სევდის მომგვრელი ამაში. რაღაც მანაღვლიანებდა ახლა, ძალიან მანაღვლიანებდა. სააბაზანოდან რომ გამოვიდა, აღარც გვიმღერია ერთად, არც გვიცინია და არც გვიკინკლავია. სიბნელეში დავსხედით დასალევად, სიგარეტს ვეწეოდით. როცა ვიძინებდით, ფეხები ერთმანეთ-

ზე აღარ გადაგვიჭდია ადრინდელივით. ისე დავიძინეთ, ერთმანეთს არ შევხებივართ.

გავძარცვეს, ორივეს რაღაც წაგვართვეს.

ჯოისს დავურეკე.

- აბა, როგორ მიდის საქმე შინდისფერქინძისთავიანთან?

- რა ვიცი, ვერაფერი გავიგე, - მითხრა ჯოისმა.

- რომ უთხარი, ქმარს გავეყარეო, როგორ მოიქცა?

- სამსახურის კაფეში ვისხედით ერთმანეთის პირისპირ, ეგ რომ ვუთხარი.

- მერე? რაო, რა თქვა?

- ჩანგალი ხელიდან გაუვარდა. პირი ღია დარჩა. „რაო?“ - მითხრა, სხვა არაფერი.

- აჰა, ესე იგი, მიხვდა, რომ სერიოზულად უყურებდი ამ ურთიერთობას.

- მართლა ვერაფერი გავიგე. რაც ეს ვუთხარი, სულ გამირბის და თავს მარიდებს. თუ შემთხვევით დერეფანში გადავეყარე, უცებ გაშპება ხოლმე სადღაც. როცა ვსადილობთ, ჩემს მაგიდასთან აღარ ჯდება. იცი რა, მე მგონი... ჰო, მე მგონი... სულ აღარ ვაინტერესებ.

- მაგის გარდა, კიდევ რამდენი კაცია გარშემო. დაივიწყე ეგ ტიპი, პატარა. ნუ მიაჯინდები, სხვაზე გადაერთე.

- ძალიან მიჭირს მისი დავიწყება. უფრო სწორად, იმის, როგორც მექცეოდა.

- ფული რომ გაქვს, ეგ იცის?

- არა, ეგ არ მითქვამს, საიდან ეცოდინება.

- მაშინ რა ვიცი... თუ მაინცდამაინც ეგ კაცი გინდა...

- არა, არავითარ შემთხვევაში! ეგეთი ხერხებით დაბრუნება არ მჭირდება!

- კარგი, მაშინ არც არაფერი. კარგად იყავი, ჯოის!

- კარგად, ჰენკ.

დიდი დროც არ იყო ამის შემდეგ გასული, რომ ჯოისისგან წერილი მივიღე. ტეხასში დაბრუნებულა, ამის სათქმელად მწერდა. ბებიამისი გამხდარა ძალიან ავად, დიდი დღე აღარ უწერიაო. ნაცნობები სულ ჩემზე ეკითხებოდნენ თურმე. სიყვარულით, ჯოისი, და ასე შემდეგ და ასე შემდეგ. რაღაც ეგეთები.

წერილი მაგიდზე დავდე და თვალწინ ის ჯუჯა დამიდგა: გაოცებული ჩანდა, ეგეთი იაღლიში როგორ მომივიდაო. პატარა აწურული მამაძაღლი. არადა, გაქეჩილი ნაძირალა ვეგონე. ტეხავს, როგორ გავუცრუე კაცს მოლოდინი.

მერე ერთხელაც ძველ ფედერალურ განყოფილებაში დამიბარეს, კადრებში. მოსაცდელში ის სავალდებულო 45 წუთი თუ საათ-ნახევარი მაყურყუტეს.

მერე კი:

- მისტერ ჩინასკი! - გამომძახეს შიგნიდან.

- დიახ, - გავძახე.

- შემოდით.

ვიღაც კაცმა საწერ მაგიდასთან მიმაცილა. მაგიდას ქალი უჯდა. ასაკით სადღაც 38-სა და 39-ს შორის იქნებოდა, შემპარავი სექსუალურობა ჰქონდა, მაგრამ ისეთი განცდა გამიჩნდა, თითქოს ეს თავისი სექსუალური ამბიციის გვერდზე ჰქონდა გადადებული, ალბათ, რაღაც სხვა საქმეების საკეთებლად, ან, უბრალოდ, თრგუნავდა, როგორც შეეძლო.

- დაბრძანდით, მისტერ ჩინასკი.

დავჯექი.

ისე, ერთს კარგად გაგაჭენებდი, პატარავ-მეთქი, გავიფიქრე გუნებაში.

- მისტერ ჩინასკი, - მითხრა, - გვინდა ჩაგეკითხოთ, ნამდვილად სწორად გაქვთ შევსებული განაცხადი სამსახურში მიღებისას?

- ბატონო?

- კანონდარღვევათა გრაფა, უფრო ზუსტად რომ ვთქვათ.

და რაღაც ბლანკი გამომიწოდა. თვლებში მისხალი სექსი არ ეტყობოდა.

ცხრა თუ ათი გაწევ-გამოწევის ამბავი კი მქონდა ჩამოთვლილი, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა, სულ მიახლოებითი მონაცემები იყო. თარიღები ნაღდად აღარ მახსოვდა. გაგებაში არ ვიყავი, რა უნდა დამეწერა.



- მოკლედ, ჩინასკი: ნამდვილად ყველა შემთხვევა გაქვთ ჩამოთვლილი? - მკითხა ისევ.

- კარგი, დავფიქრდები... ჰმ... ჰმ...

- დიახ, გისმენთ, - მითხრა.

- აჰ. ღმერთო ჩემო...

- რაშია საქმე?

- კიდევ იყო ერთხელ რაღაც ეგეთი. მგონი, მანქანაში ვსვამდი. ან ნასვამი ვიჯექი საჭესთან, ახლა აღარ მახსოვს. მგონი, ოთხი წლის წინ იყო ეს ამბავი, რაღაც ეგრე. ზუსტი დრო აღარ მახსოვს.

- და მერე ეს ასე ადვილად დაგავიწყდათ?

- დიახ. ნამდვილად ასე იყო, თორემ ჩავწერდი.

- კეთილი. ჩაწერეთ.

ჩავწერე.

- საშინელი ბიოგრაფია გაქვთ, მისტერ ჩინასკი. ახლა მინდა, რომ აი, ამ ინციდენტებიდან სათითაოდ განმარტოთ ყველა და, თუ ეს შესაძლებელია, ჩვენ მიერ თქვენი დასაქმების გონივრულობა დაასაბუთოთ.

- კარგი.

- პასუხის დასაწერად ათი დღე გეძლევათ.

ახლა ჩემს სამუშაოზე ასეც კი არ ვგიჟდებოდი. მაგრამ ამ ქალმა ძალიან გამაღიზიანა.

იმ საღამოს სამსახურში დავრეკე და მეორე დღისთვის თავი გავითავისუფლე. ოფიციალური დოკუმენტაციისთვის შესაფერისი ზოლიანი ქაღალდი ვიყიდე და ლურჯი, ძალიან საქმიანი შესახედაობის საქაღალდე. ვისკი და ლუდი მოვიმარაგე, მერე საქმეს ჩავუჯექი და რაც საჭირო იყო, ყველაფერი ამ ქაღალდზე დავბეჭდე. იდაყვქვეშ ლექსიკონი მქონდა ამოდებული. სიტყვები რომ შემომაკლდებოდა, ამ ლექსიკონს გადავფურცლავდი, ყველაზე დიდ და გაუგებარ სიტყვას დავადგამდი თვალს და ერთ აბზაცში

ან წინადადებაში ვათამაშებდი. 42 გვერდი გავავსე. ნაწერი ასე მთავრდებოდა: „წინამდებარე განცხადების ასლები პრესის, ტელევიზიისა და სხვა საკომუნიკაციო მედიასაშუალებებისთვის გადასაცემად შეინახება“.

მოკლედ, სრულად და ერთიანად ძღრენი დავიდე თავზე.

იმდღევანდელი ქალი ჩემს დანახვაზე წამოდგა და ნაწერი პირადად ჩაიბარა. - მისტერ ჩინასკი?

- ბატონო?

დილის ცხრა საათი იყო. ერთი დღე იყო გასული მას შემდეგ, რაც ჩემი უწესობებისთვის თავის მართლება მომთხოვა. - ერთი წამით, - მითხრა.

ჩემი ორმოცდარგვერდიანი ნაწერი მაგიდაზე დადო და ჩაუჯდა. იკითხა, მაგრამ რა იკითხა, თავი არ აუწევია.

მერე ვიღაც მეორე ამოუდგა ბურგს უკან და კითხვა ერთად განაგრძეს; მეორეს - მესამე, მეოთხე; მერე მეხუთე ამოუდგა გვერდში, ყველა კითხულობდა. მერე მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე. ყველა.

ნეტავი რა ეტაკათ-მეთქი, გავიფიქრე.

მერე ამ შექუჩებული ხალხიდან ვიღაცის ხმა შემომესმა: „ყველა გენიოსი ლოთია, მოგეხსენებათ!“ გეგონება, ეგ ამბავი რაღაცას ამართლებდა ან განმარტებად გამოდგებოდა. რა ყველა ერთნაირადაა შემჯდარი ამ ფილმებზე.

ქალი ისევ წამოდგა, ჩემი ორმოცდაროი გვერდი ხელში ჰქონდა ჩაბლუჯული.

- მისტერ ჩინასკი?

- ბატონო, - ვუთხარი.

- თქვენი შემთხვევის განხილვა გაგრძელდება. აუცილებლად შეგეხმიანებით.

- მე მანამდე მუშაობა გავაგრძელო?

- თქვენ კი მანამდე მუშაობა გააგრძელეთ.

- კარგ დღეს გისურვებთ.

ერთ ღამეს სამუშაოდ ბუჩნერის გვერდით დამსვენს. ბუჩნერი ფოსტას არ ახარისხებდა, იჯდა უბრალოდ თავის ადგილზე და ენას არ აჩერებდა.

ერთხელ ახალგაზრდა გოგო შემოვიდა და რიგებს შორის, გასასვლელთან დაჯდა, სულ ბოლოში. ბუჩნერის ხმა გავიგონე: „ჰო, შენ გეუბნები, მუტელო! გინდა ხომ ჩემი გაბრიგინებული, გინდა ხომ? როგორ არა, ვიცი, რომ გინდა, მუტელო, რას არა?!“

მე ჩემი საქმე გავაგრძელე. ამასობაში მეთვალყურემ ჩაგვიარა. ბუჩნერმა თავიდან დაიწყო: „იცოდე, ჩემს სიაში გწერ, დედიკო! მაინც დაგიტრევე, ბინძურო ბოზო! დამპალო გარეწარო! ყლის მწოველო!“

მეთვალყურეები ბუჩნერს არასოდეს ეხებოდნენ. კაციშვილი არასდროს აწუხებდა ბუჩნერს.

ცოტა ხანში ისევ შემომესმა: „ერთი აქეთ გამომხედე, პატარა! აი, ეგ გამომეტყველება შენს სახეზე რაღაც ძალიან არ მომწონს! ჩემს სიაში ხარ, დედიკო, გესმის? სიის თავში ხარ. მალე დაგიტრევე, დამაცადე. ეი, შენ გელაპარაკებიან! გესმის, რას გეუბნები?“

ეს უკვე მეტისმეტი იყო. მთელი ჩემი ფოსტა მაგიდაზე დავაპირქვავე.

- კმარა, - ვუთხარი, - დაყარე კარტი! მთელი შენი დედამოხნული კარტი, პირველიდან უკანასკნელამდე! აქ გინდა ვილაპარაკოთ თუ გარეთ გამოხვალ?

ბუჩნერს შევხედე. ჭერს ელაპარაკებოდა, უგონო გამომეტყველებით:

„შენ გეუბნებიან, პირველი ხარ-მეთქი ჩემს სიაში! თავში ხარ, თავში! მოგწვდები, როცა იქნება, მაგრად გასიამოვნებ!“

ღმერთო ჩემო. აუჰ, ეს რა ვნახე-მეთქი, გავიფიქრე. რას წარმოვიდგენდი. კლერკები ძალიან წყნარად ისხდნენ. ვერც გაამ-

ტყუნებდი. ავდექი, წყლის დასალევად წავედი. მერე უკან მოვბრუნდი. გავიდა ოცი წუთი და ჩემი ათწუთიანი დასვენების დრომაც მოაწია. უკან რომ შემოვედი, ჩემი მეთვალყურე უკვე მიცდიდა. ორმოცდაათს გადაცილებული მსუქანი შავკანიანი კაცი იყო. დამიცაცხანა:

- ჩინასკი!

- რაშია საქმე, ძმაო? - ვკითხე.

- რაში და ოცდაათი წუთის განმავლობაში ორჯერ დატოვე შენი ადგილი!

- კი. პირველად რომ გავედი, ეგ წყლის დასალევად იყო. ოცდაათი წამი დამჭირდა. მეორეჯერ დასასვენებლად მეკუთვნოდა გასვლა.

- და მანქანასთან რომ მუშაობდე? მანქანას ოცდაათი წუთის განმავლობაში ორჯერ კი ვერ მიატოვებ!

ბრაზისაგან სახე მთლად აუპილპილდა. საოცარი რამე იყო. მე ამას, ალბათ, ვერასოდეს გავიგებ.

- ჯარიმას გიწერთ!

- მიდი, გამოწერე.

გამოვეცალე და ისევ ბუჩნერის გვერდით დავჯექი. მეთვალყურემ სულ სირბილით მომიტანა თავისი ჯარიმა. ხელით იყო გამოწერილი. ერთ ასოს ვერ ვარჩევდი, ისეთი გაცოფებული წერდა. ლაქებით და ნადღაბნებით იყო გავსებული.

ის ჯარიმა კოხტა კონვერტში ჩავუშვი და შარვლის უკანა ჯიბეში ჩავიდე.

- მოვკლავ მაგ ნაბიჭვარს! - თქვა ამ დროს ბუჩნერმა.

- ეჰ, ნეტავ შეგეძლოს ეგ, მსუქან, - ვუთხარი, - ნეტავ შეგეძლოს...

მოკლედ, ვცხოვრობდი ასე - ღამეში 12 საათი, ზედაც ეს მეთვალყურეები, ზედაც ის ამბავი, რომ ამ ხორცის კონსერვის ქილაში სუნთქვა ჭირდა, ზედაც კიდევ გამხმარ-გაფშიკებული საჭმელი ფოსტის უბადრუკ კაფეში.

ამას ქალაქის პირველი განყოფილება, ქგ 1 ემატებოდა. ჩემი ადრინდელი სამუშაო სქემა კანფეტი იყო ქალაქის პირველ განყოფილებასთან შედარებით, რომელშიც ქალაქის ქუჩების დაახლოებით ერთი მესამედი შედიოდა, თან იმის მიხედვით, რომელი სახლი რომელი ნომერი იყო, კიდევ ცალკეულ ზონებად იყოფოდა. ამერიკის ერთ-ერთ უდიდეს ქალაქში ვცხოვრობდი. აუარება ქუჩები იყო აქ. ამას ქგ 2 მოსდევდა, იმას - ქგ 3. თითოეულზე სამუშაოდ 90-დღიანი ტესტი იყო გასავლელი, რვა წუთის განმავლობაში 95- ან, მთლად უკეთესი, 100-კარტიანი შედეგით. ვერ ჩააბარებდი და „ჯენერალ მოტორსის“ პრეზიდენტობის მოსასინჯად გაგიშვებდნენ, როგორც მაშინ ის ტიპი გვეუბნებოდა. იმათთვის, ვინც ტესტს გაივლიდა, სქემაც ადვილი ასათვისებელი ხდებოდა. მაგრამ 12-საათიან ღამის ცვლაში მუშაობისა და გაუქმებული შვებულების დღეების წყალობით, ბევრი ჩვენგანისთვის ეს მეტისმეტი იყო. იმ 150 თუ 200 კაციდან, თავიდან სამსახურში ერთად რომ მიგვიღეს, ისედაც ჩვიდმეტნი თუ თვრამეტნიღა შემოვრჩით აქამდე.

- მითხარით, როგორ მოვახერხო 12 საათი ღამის ცვლაში მუშაობა, ძილი, ჭამა, ბანაობა, სამსახურში მოსვლა-წასვლა, სამრეცხაოდან სარეცხის გამოტანა, ბენზინის ყიდვა, ბინის ქირის გადახდა, საბურავების გამოცვლა - მოკლედ, ამ პატარ-პატარა, მაგრამ აუცილებელი საქმეების კეთება - და თან კიდევ ამ სქემის სწავლა? - ვკითხე ერთხელ ერთ ინსტრუქტორს.

- ძილი ამოაგდე, - მიპასუხა.

შევხედე. ხომ არ გგონიათ, რომ ამ დროს ტუჩის ჰარმონიკაზე „დიქსის“ უკრავდა? სერიოზულად მეუბნებოდა ეს წყეული ბრიყვი.

მივხვდი, რომ სამეცადინოდ მხოლოდ ძილის წინ თუ მოვიცლიდი. სახლში ყოველთვის ძალიან დაღლილი ვბრუნდებოდი და საუბრის მომზადების თავი არ მქონდა. ამიტომ გარეთ გავდიოდი და ლუდის ექვსქილიან კომპლექტს ვყიდულობდი, საწოლის გვერდით, სკამზე ვიდგამდი, ავადრობდი ქილას სახურავს, მოვსვამდი და თან სქემას გავშლიდი ხოლმე. დაკვირვებული ვიყავი, ლუდის მესამედს რომ ჩავცლიდი, სქემა ხელიდან მიცურდებოდა. ამაზე მეტი არც ერთი მეტეოდა მუცელში და არც მეორე - თავში. მერე, საწოლის კიდებზე ჩამომჯდარი, დანარჩენ ლუდს მოვიყუდებდი და თან კედელს ვუშტერებდი თვალს. ბოლო ქილის წრუპვისას მეძინებოდა. რომ გავიღვიძებდი, ზუსტად ტუალეტში შესვლას, შხაპის მიღებას და ჭამას ვასწრებდი, მერე მანქანას მოვაჯდებოდი და ისევ სამსახურში გავრბოდი.

შეჩვევით ამ რეჟიმს ვერანაირად ვერ შეეჩვეოდი, მართოდ დაღლილობა გემატებოდა. უკანა გზაზე ისევ ჩემს ექვსქილიანს ვყიდულობდი და ასე. ერთ დილას კი დავრწმუნდი, რომ მართლა მაგრად დამენძრა. კიბებზე ფეხით ავედი (ლიფტი იმ სახლში არ იყო) და გასაღები კარს მოვარგე. კარი ფრიალით გაიღო. ვიდაცას მთელი ჩემი ავეჯი გამოეცვალა, ახალი ნოხი დაეგო. ავეჯიც სულ ახალთახალი იდგა.

დივანზე ქალი იყო მიწოლილი. ძალიანაც შეეხედებოდა: ახალგაზრდა. კაი ფეხები. ქერა.

- გაუმარჯოს, - ვუთხარი, - ლუდი გინდა?
- სალამი, - მომიბრუნდა, - კი, ერთ ქილას დავლევ.
- მომწონს, კარგად მოუწყვიათ ბინა, კარგია, - ვუთხარი.
- მე თვითონ მოვაწყვე.
- გასაგებია, მაგრამ რატომ?
- ისე. უცებ ეგრე მომიხდა, - მიპასუხა.



ჩვენ-ჩვენი ლუდი მოვსვით.

- შენ მით უმეტეს არაფერი დაგეწუნება, - ვუთხარი. ლუდის ქილა ძირს დავდგი და ვაკოცე. მერე ხელი მუხლზე დავადე. მუხლიც მომეწონა.

მერე კიდევ მოვსვი ლუდი.

- ჰო, კი, - ვთქვი, - ნაღდად ძალიან მომწონს, ეს ბინა რაღაცას დაემსგავსა. გუნებ-განწყობისთვის ძალიან კარგია, ცოტას გამომიკეთებს.

- კი, კარგია. ჩემს ქმარსაც ძალიან მოსწონს.

- აჰ, და ნეტავი თქვენი ქმარი როგორ უყურებს... რაო? ქმარიო? ეს ბინა რა ნომერია?

- 309.

- 309? ღმერთო ჩემო! სართული შემეშალა. მე 409-ში ვცხოვრობ. თქვენი კარი ჩემი გასაღებით იღება.

- დაჯექი, საყვარელო, რას წამოხტი, - მითხრა ქალმა.

- არა, არა, როგორ...

ოთხ დარჩენილ ქილას დავწვდი.

- რას გარბიხარ, სად გეჩქარება? - მკითხა.

- ზოგ კაცს ჭკუა არ მოეკითხება, - ვთქვი და კარისკენ წავედი.

- რას გულისხმობ?

- იმას ვგულისხმობ, რომ ზოგს მართლა უყვარს თავისი ცოლი.

გაეცინა.

- არ დაგავიწყდეს, სად ვცხოვრობ.

კარი გამოვიხურე და კიბეს ზედა სართულისკენ ავუყევი. ჩემი კარი გავალე. ბინაში არავინ იყო. ავეჯი ძველი და გაქეჩილი იყო, ნოხი - თითქმის ფერდაკარგული. იატაკზე ლუდის ცარიელი ქილები ეყარა. ახლა კი იქ ვიყავი, სადაც ჩემი ადგილი იყო.

ტანზე გავიხადე, საწოლში მართო შევწექი და კიდევ ერთი ქილა გავხსენი.

დორსის განყოფილებაში რომ ვმუშაობდი, ბევრჯერ გამიგონია, როგორ ეკაიფებოდნენ „ბიგ დედის“ - „დიდ მამიკო“ გრეისტონს - როგორ იყო, სქემის სასწავლად მაგნიტოფონი რომ იყიდებო. „ბიგ დედი“ თურმე სქემას ნაწილ-ნაწილ კითხულობდა ფირზე ჩასაწერად, მერე ჩანაწერს უსმენდა და ასე იმახსოვრებდა. ბიგ დედის ეს მეტსახელი სრულიად კონკრეტული გარემოების გამო შეერქვა. სამი ქალი ჰყავდა საავადმყოფოში გასტუმრებული იმით, რაც ება. ახლა ერთი ნაშა ჰყავდა, მეტრაკე კარტერი. ეს კარტერიც კინალამ გაუხევია და იძულებული გამხდარან, ბოსტონის რომელიღაც საავადმყოფოში გადაეყვანათ. იცინოდნენ, ბიგ დედიმ იმისთანა დამართა, მისი სამყოფი ძაფი მთელ დასავლეთ სანაპიროზე არ მოიძებნაო. ბევრი რომ არ გავაგრძელო, გადავწყვიტე, მაგნიტოფონი მეც მომესინჯა. მოვსინჯე და საქმეც თითქოს წაღმა წამივიდა. ახლა შემეძლო, ჩანაწერი ჩამერთო და ისე დამეძინა. სადღაც გაგონილი მქონდა, რომ ქვეცნობიერს ძილის დროსაც შეუძლია სწავლა და დამახსოვრება. სწავლის ყველაზე იოლ ხერხად ეს მომეჩვენა.

მაგნიტოფონი და ფირი ვიყიდე. სქემას ამ ფირს ვუკითხავდი, მერე საწოლში შევწვებოდი და ვუსმენდი:

„ესე იგი, ჰიგინზი შემდეგნაირად იყოფა: ჰანტერის 42, მერკლის 67, ჰადსონის 71, ევერგლედისის 84! ახლა - კარგად მომისმინე, ჩინასკი, კარგად მომისმინე და დაიხსომე, როგორ იყოფა პიტსფილდი: ეშგროუვის 21, სიმონზის 33, ნიდლზის 46! მისმინე, ჩინასკი, მისმინე, უესტჰეივენი, აი, ასე იყოფა: ევეგრინის 11, მარკჰემის 24 და ვუდთრის 35! ჩინასკი! ყურადღებით, ჩინასკი! პერჩბლეიკი ასე იყოფა...“

არა, რაღაც არ გამომდიოდა. ჩემი საკუთარი ხმის გაგონება მანანავებდა და მაძინებდა. მესამე ქილის ჩაცლამდეც კი ველარ მიდიოდა საქმე.

ცოტა ხანში აღარც მაგნიტოფონს ვუსმენდი და აღარც სქემას ვსწავლობდი. ვსვამდი იმ ჩემს ექვს ქილას ბოლომდე და ვიძინებდი. თავს ველარაფერი მოვუხერხე.

ფსიქიატრთანაც კი ვაპირებდი მისვლას. ეს ვიზიტი გუნებაში დაახლოებით ასე წარმომედგინა:

- დიახ, გისმენთ, ჩემო ბიჭო.
- აი, ეგეთი რამეა, რა.
- მიდით, მოყევით. ტახტი გჭირდებათ?
- არა, გმადლობთ. ეგრევე დამეძინება.
- კეთილი. მოყევით, გთხოვთ.
- მოკლედ, ეს ჩემი სამსახური მჭირდება.
- გონივრული სურვილია.

- მაგრამ, რომ არ დაგვარგო, კიდევ სამი სქემის სწავლა და ჩაბარება დამჭირდება.

- სქემა? რას ნიშნავს ეს „სქემა“?

- აი, ხანდახან ადამიანები საკუთარ მისამართს რომ წერენ და ზონას არ მიუთითებენ. ეგეთი წერილები ვიღაცამ უნდა დაახარისხოს. ამ სქემების სწავლა ამისთვის გვჭირდება, თან 12-საათიანი ღამის ცვლის მერე.

- მერე?

- თავში არ შემდის ეს მარაზმი. ავიღებ თუ არა, ხელიდან მივარდება.

- ვერ სწავლობთ?

- ვერა. თან, გარდა ამისა, რვა წუთში ასი კარტი მაქვს შუშის ყუთში ჩასაგდები, სულ ცოტა, 95 პროცენტის სიზუსტით მაინც, თორემ მკრავენ წიხლს და გამომაგდებენ. მე კიდე მჭირდება ეგ სამსახური.

- კი, მაგრამ რა გახდა მაინც ამ სქემების დასწავლა?

- რომ ვერ ვსწავლობ, მაგიტომაც ვარ აქ მოსული. მაგას თქვენ გეკითხებით. ალბათ, გავგიჟდი და ეგაა. თითო სქემა რამდენი-ღაც ქუჩად იყოფა, თან სულ სხვადასხვანაირად. აი, შეხედეთ.

და ექვსგვერდიან სქემას ვუწვდი, გვერდები სტეპლერიითაა ერთად

შეკრული. ორივე მხარეს წვრილი შრიფტით აწერია მისამართები.

ფსიქოთერაპევტი სქემების ფურცვლას იწყებს.

- აი ეს ყველაფერი სულ დასახსომებელი გაქვთ?

- დიახ, ექიმო.

- აბა, რას გეტყვით, იცით, ჩემო ბიჭო, - თან ქაღალდებს უკან მიწვდის, - ის, რომ ამ სქემების სწავლა არ გინდათ, სულ არ ნიშნავს, რომ გაგიჟებულხართ. გიჟი მაშინ იქნებოდით, ამის სწავლა რომ მოგენდომებინათ. კეთილი, 25 დოლარი დაგიჯდებათ ჩემი სეანსი.

ამიტომ ჩემს გასაჭირს მე თვითონ ვაანალიზებდი და ფულიც არავისთვის მქონდა მისაცემი.

თუმცა რაღაც ხომ მაინც უნდა მექნა.

ჰოდა, ეგეთი რამე გავაკეთე: დილა იყო, ათის ათი წუთი, და-ახლოებით. ფოსტის ფედერალურ ოფისში დავრეკე. კადრების განყოფილებაში.

- მის გრეივზი, თუ შეიძლება. მის გრეივზს დამალაპარაკეთ.

- დიახ?

ის იყო. უსქესო წაკლა. სანამ ველაპარაკებოდი, ხელში ვათამაშებდი.

- მის გრეივზ, ჩინასკი ვარ. ახსნა-განმარტებითი ბარათი დავწერე ამას წინათ, ჩემს ცუდ ბიოგრაფიასთან დაკავშირებით. გახსოვართ?

- ყველას გვახსოვხართ, მისტერ ჩინასკი.

- რამე გადაწყვეტილება ხომ არ მიგიღიათ ჩემთან დაკავშირებით?

- ჯერ არა. როცა მივიღებთ, შეგატყობინებთ.

- კეთილი. გასაგებია. მაგრამ ამასობაში ერთი პრობლემა გამიჩნდა.

- გისმენთ, მისტერ ჩინასკი.

- ამჟამად ქვ 1-ს ვსწავლობ, - ვუთხარი და გავჩუმდი.

- დიახ, მერე?

- საკმაოდ ძნელი სასწავლია. თითქმის შეუძლებლად მეჩვენება ამ სქემის დამახსოვრება და მთელი ჩემი არასამუშაო დროის ამაზე ხარჯვა, როცა კაციშვილმა არ იცის, დავრჩები თუ არა ამ სამსახურში. ანუ, იმის თქმა მინდა, რომ შეიძლება საფოსტო სამსახურიდან დღეს თუ არა ხვალ დამითხოვონ. ჰოდა, ჩემი აზრით, მთლად სწორი ვერაა, ამ პირობებში სქემის დასწავლას რომ მთხოვენ.

- კეთილი, მისტერ ჩინასკი. სქემების განყოფილებაში დავრეკავ და მოვითხოვ, სანამ თქვენთან დაკავშირებით ამა თუ იმ გადაწყვეტილებას არ მივიღებთ, სქემების დასწავლის საჭიროებისგან გაგათავისუფლონ.

- დიდი მადლობა, მის გრეივზ.

- კარგ დღეს გისურვებთ, - მითხრა და ყურმილი დაკიდა.

მართლა კარგი დღე იყო. ტელეფონზე ბაასის და საკუთარ თავთან თომარის მერე გადაწყვიტე, 309-ე ოთახში ჩავსულიყავი, მაგრამ თან გარისკვაც რომ არ მინდოდა? ცოტა ბეკონი და ერბოკვერცხი დავიდე და ეს ამბავი კათხა ლუდით აღვნიშნე.

ბოლოს უკვე ექვსნი თუ შვიდნი დავრჩით. დანაჩენებისთვის ქგ 1 ძალიან ძნელი დასაძლევია გამოდგა.

- აბა, როგორაა საქმე, მიდის წინ, სწავლობ სქემებს, ჩინასკი?  
- მეკითხებოდნენ.

- მიდის, თითქოს უპრობლემოდ, - ვპასუხობდი.

- კეთილი. აბა, ვუდბერნ ავენიუ როგორ იყოფა?

- ვუდბერნი?

- დიახ, ვუდბერნი.

- იცით, რას გეტყვით? ძალიან არ მომწონს, რომ სამსახურში ყოფნისას, სამუშაო დროს აი, ამაზე მიწევს მოცდენა. უკვე ძალიან მოსაბეზრებელი ხდება ეს ამბავი. ყველაფერს თავისი დრო და ადგილი აქვს!

შობის წინა დღეს ბეტი მესტუმრა. ინდაური შეწვა, მერე დავლიეთ. ბეტის ყოველთვის უზარმაზარი საახალწლო ნაძვის ხეები უყვარდა. სიმაღლეში შვიდი ფუტი მაინც უნდა ყოფილიყო, სიგანეში - ამის ნახევარი, ზედაც ნათურები, ზონრები, წვიმები და ათასი ხარახურა. თითქმის მთელი ბოთლი ვისკი დავლიეთ, მერე სექსი გვექონდა, მერე ჩვენი ინდაურით ვისადილეთ და კიდევ დავლიეთ. ნაძვის ხის სადგარს ლურსმანი მოყანყალეული ჰქონდა, თვითონ სადგარიც ძალიან პატარა იყო ამოდენა ხისთვის. წამდაუწუმ ხელით მიწევდა გასწორება. ბეტი საწოლზე წამოწვა და ჩაეძინა. მე ნიფხვის ამარა იატაკზე ვიჯექი და ისე ვსვამდი. მერე მეც გავიშოტე. თვალები დავხუჭე. უცებ რაღაცამ გამომადვიდა. თვალი გავახილე და თურმე ძალიან დროულად - ეს უზარმაზარი ნაძვის ხე, თავისი გავარვარებული ნათურებით, ნელ-ნელა ჩემკენ იხრება, კენწეროზე ჩამოცმული წვერწამახული ვარსკვლავი ხანჯალივით მოიწევს. აზრზე ვერ მოვედი, რა ხდებოდა. ასე, უცებ, მოულოდნელად, მეორედ მოსვლას ჰგავდა. განძრევაც კი ვერ მოვასწარი. ნაძვის ხის მკლავები მომედო და მომეხვია. მთლიანად მის ქვეშ მოვექეცი. ნათურები წითლად ვარვარებდა.

- ღმერთო, ღმერთო ჩემო, მიშველეთ, მომაშორეთ! დამეხმარეთ, ღმერთო ჩემო, ვაიმე! მიშველეთ!

ნათურები ტანს მიწვავდა. მარცხნივ გადავგორდი, მაგრამ ვერ მოვიშორე ეს ნაძვის ხე. ბოლოს, როგორც იქნა, გამოვძვერი, მარჯვენა მხრიდან გორაობით გამოვეცალე.

- ფუჰ!

ბეტი უკვე ფეხზე იყო, თავზე მადგა.

- რა იყო? რა მოხდა?

- შენ თვითონ ვერ ხედავ? ამ დამპყალ ხეს ჩემი მოკვლა სდომებია!

- რაო?

- აბა ერთი კარგად შემომხედე!

მთელი ტანი წითელი ლაქებით მქონდა დაფარული.

- ჩემი საწყალი ბიჭი!

კედელთან მივედი და ნათურების ბმა ქსელიდან გამოვრთე. ნაძვის ხე უცებ ჩაბნელდა და მოკვდა.

- ჩემი საწყალი ნაძვის ხე!

- რაო?

- დიახაც! ძალიან ლამაზი ნაძვის ხე იყო!

- დილით თავიდან დავაყენებ ფეხზე. ახლა არ ვიბამ, ჯერ არ ვენდობი. დილამდე მოიცდის, ღამის ცვლიდან ვათავისუფლებ.

ბეტის ეს ამბავი არ მოეწონა. ვგრძნობდი, რომ ერთი პატარა წაკინკლავება კარზე იყო მომდგარი, ამიტომ შერისხული ნაძვის ხე სკამსა და კედელს შუა მოვაქციე და ნათურებიც ხელახლა ავანთე. ბეტისთვის რომ დაეწვა ტრაკი ან ძუძუები, ხომ ეგრევე მოისვრიდა ფანჯრიდან. არა, ხანდახან რა კეთილი ვარ-მეთქი, გავიფიქრე.

შობიდან რამდენიმე დღე იყო გასული, ბეტის მოსანახულებლად რომ შევეუბინე. იატაკზე იჯდა მთვრალი, დილაადრიან, ჯერ ცხრას თხუთმეტი წუთი აკლდა. მაინცდამაინც კარგად არ გამოიყურებოდა, თუმცა არც მე ვიყავი უკეთესი სანახავი. ოთახი სავსე იყო ყველაზე იაფფასიანი ღვინის, არყისა და ვისკის ბოთლებით. ყველგან ბოთლები ეწყო - გეგონებოდა, იმ სასტუმროს ყველა მცხოვრებმა თითო ბოთლი სასმელი მოუკითხა ბეტისო.

- ამათი დედები ვატირე სუყველასი! ამაზე უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს? რაც აქ გიწყვია, ყველაფერი რომ დალიო, მოგკლავს!



ბეტიმ შემომხედა, მეტი არაფერი უქნია. მის მზერაში იყო ყველაფერი, რის თქმაც შეეძლო.

ორი შვილი ჰყავდა, რომლებიც მის სანახავად არასოდეს მოდიოდნენ, წერილი რომ წერილია, ისიც კი არასდროს მოუწერიათ. მრეცხავად მუშაობდა ამ გაღლეტილ სასტუმროში. პირველად რომ შევხვდი, ძვირფას ტანსაცმელში იყო გამოწყობილი. კობტა კანჭებს თვალი რომ ჩავაყოლე, კარგა ძვირფასი ფეხსაცმელიც ეცვა. ადრე მკვრივი ტანი ჰქონდა, თითქმის ლამაზი ქალი ეთქმოდა. გიჟურად ლალი თვალები ჰქონდა. სულ იცინოდა. მდიდარ ქმარს გამოეცა, მერე გაეყარა, მერე ის კაცი ავარიაში მოყვა მთვრალი, ცოცხლად დაიწვა კონექტიკუტში. „არა ხარ შენ მაგ ქალის მომრჯულებელი“, - მეუბნებოდნენ ხოლმე.

ახლა კი აი, ასეთი გახდა. თუმცა ჩემამდე სხვებმაც არ დააკლეს.

- მისმინე, - ვუთხარი, - აი, ესენი სულ უნდა გავიტანო აქედან. არა, წავიღებ და შიგადაშიგ თითო-თითო ბოთლს მოგცემ ხოლმე. ამას გეუბნები, სხვას არაფერს. მე არ დაგიღევ.

- შეეშვი მაგ ბოთლებს, - თქვა ბეტიმ. ჩემთვის არც კი შემოუხედავს. მისი ოთახი სულ ზედა სართულზე იყო. ფანჯარასთან მიმდგარ სკამზე იჯდა და ქუჩის მოძრაობას გადაჰყურებდა.

მივუახლოვდი.

- მისმინე, წაშლილი ვარ დაღლილობისგან. უნდა წავიდე. მაგრამ თუ ღმერთი გწამს, აი, ამასთან ცოტა ფრთხილად, რა?!

- კარგი, - მიპასუხა.

დავიხარე და დასამშვიდობებლად ვაკოცე.

დაახლოებით კვირა-ნახევრის მერე კიდევ შევუარე. ვაკაკუნე, მაგრამ კარი არავინ გამიღო.

- ბეტი! ბეტი! კარგად ხარ?

სახელური გადავატრიალე. კარი ჩაკეტილი არ იყო. საწოლი არეული დამხვდა, ზეწარზე - სისხლის უზარმაზარი ლაქა.

- ოხ, ამის დედა ვატირე! - წამოვიძახე. ირგვლივ მიმოვიხედე. სასტუმროს მფლობელი, შუახნის ფრანგი ქალი დავინახე, კარში იდგა.

- საგრაფოს მთავარ საავადმყოფოში წევს ბეტი. ძალიან ცუდად იყო. წუხელ სასწრაფო მყავდაგამოძახებული.

- ესენი, რაც აქ არის, სულ დალია?

- სხვებიც ეხმარებოდნენ.

კიბებზე სწრაფად ჩავიბრინე და ჩემს მანქანაში ჩავჯექი. მივედი იმ საავადმყოფოში. იქაურობას ძალიან კარგად ვიცნობდი. პალატის ნომერი მითხრეს.

ერთ პატარა ოთახში ოთხი საწოლი იდგა. ერთ-ერთ საწოლზე ქალი იჯდა, ვაშლს ჭამდა და თავის ორ სტუმარ ქალს ელაპარაკებოდა სიცილით. ბეტის საწოლს შემოფარებული ფარდა გადავწიე, გვერდით მივუჯექი და მისკენ დავიხარე.

- ბეტი! ბეტი!

ხელზე შევეხე.

- ბეტი!

თვალები გაახილა. თვალები ისევ ლამაზი ჰქონდა. ულურჯესი, მშვიდი თვალები.

- ვიცოდი, რომ შენ იქნებოდი, - მითხრა.

მერე ისევ დახუჭა თვალები. ტუჩები დახეთქილი ჰქონდა. პირის მარცხენა კუთხეში ნერწყვი ყვითლად ჰქონდა შემხმარი. ხელსახოცი ავიღე და მოვწმინდე. სახე და ხელები ნაჭრით გავუსუფთავე, მერე პირ-ხახა ამოვუწმინდე. კიდევ ერთი ხელსახოცი ავიღე და ენაზე ცოტა წყალი დავაწურე. ცოტა ხანში - კიდევ. ტუჩები დავუნამე. თმა გავუსწორე. მესმოდა, როგორ იცინოდნენ ქალები ჩვენი გამყოფი ფარდის უკან.

- ბეტი, ბეტი, ბეტი. ცოტა წყალი დალიე, ძალიან გთხოვ. სულ ცოტა მოსვი. ბევრი არ გინდა. უბრალოდ მოსვი. მარტო ერთი ყლუპი.

არ მპასუხობდა. ათი წუთი ვცდილობდი, ამემოძრავებინა. არაფერი გამოვიდა ამ საქმიდან.

ტუჩის კიდეში ნერწყვი ისევ დაგროვებოდა. ხელახლა მოვწმინდე.

მერე ავდექი და ფარდად ჩამოკიდებული ზეწარი ხელის მოქნევით გადავწიე. იმ სამ ქალს მივაშტერდი.

ცოტა ხანს ასე ვუყურე, მერე დერეფანში გავედი და მაგიდასთან მიმჯდარ ექთანს მივაკითხე.

- მომხედეთ, 54 ჩოთახში ქალს რატომ არავინ აქცევს ყურადღებას? ბეტი უილიამსზე გეუბნებით.

- რაც შეგვიძლია, ყველაფერს ვაკეთებთ, სერ.

- მაგრამ მე რომ მოვედი, სულ მარტო იწვა.

- შემოვლა რეგულარულად კეთდება.

- კი, მაგრამ ექიმები სად არიან? ვერც ერთ ექიმს ვერ ვხედავ აქ.

- ექიმმა უკვე ინახულა, სერ.

- და ახლა ასე მარტო უნდა იწვეს, სხვა აღარაფერი სჭირდება?

- რაც შეგვეძლო, ყველაფერი გავაკეთეთ, სერ.

- სერ! სერ! სერ! მაგ სიტყვას შეეშვით და ცოტა აბრზე მოდით! ახლა აქ რომ პრეზიდენტი ან გუბერნატორი იწვეს, ან ვინმე ფულიანი კაცი, ექიმების ტევა არ იქნებოდა, თან გადაყვებოდნენ! ასე ბედის ანაბარა როგორ ტოვებთ ადამიანებს, სასიკვდილოდ გყავთ გამეტებული? რა, სიღარიბე ცოდვა გგონიათ?

- უკვე გითხარით, სერ, რაც ჩვენზე იყო დამოკიდებული, ყველაფერი გავაკეთეთ.

- კარგი. მე ორ საათში მოვბრუნდები.

- ქმარი ბრძანდებით მისი?

- ადრე ვიყავი. რაღაც ეგეთი.

- შეიძლება, თქვენი სახელი და ტელეფონის ნომერი ჩავიწერო?

ჩავაწერინე, რაც მთხოვა და გარეთ გავვარდი.

დასაფლავება დილის თერთმეტის ნახევარზე იყო დანიშნული, მაგრამ უკვე ძალიან ცხელოდა. უბრალო შავი კოსტიუმი მეცვა, სიჩქარეში ნაყიდი და ტანზეც ასე მორგებული. პირველად ჩავიცვი კოსტიუმი ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში. ბეტის შვილის მისამართი გავარკვით და მოვძებნე. მისი „მერსედეს-ბენცი“ მივედით სასაფლაოზე. ბეტისთან რაღაც ქალაქის ნაგლეჯზე მისი სიამარის ნომერი ვიპოვე მიჯღაბნილი, ასე მივაგენი. სულ ორი საქალაქთაშორისო ბარი დამჭირდა, ბევრი არ მიწვალა. მე რომ მომაკითხა, დედამისი უკვე მკვდარი იყო. სანამ მე ტელეფონი მეკავა და ვრეკავდი, ბეტი თურმე კვდებოდა. ეს ბიჭი, ლარი, წესებში და ურთიერთობებში ცოტა ვერ ეწერებოდა. ჩვევა ჰქონდა ეგეთი, თავის მეგობრებს მანქანებს ჰპარავდა, მაგრამ საქმეს როგორღაც მანამდე აყომარებდა, სანამ პოლიცია გაიგებდა. მერე ჯარში უკრეს თავი და იქ რაღაც სასწავლო პროგრამაში მოახერხა ჩაწერა, ამიტომ ჯარის მერე შემოსავლიანი სამსახურის პოვნა არ გასჭირვებია. აი, მაშინ შეწყვიტა დედამისთან ურთიერთობა - როგორც კი მაღალანაზღაურებადი სამსახური იშოვა.

- შენი და სად არის? - ვკითხე.

- არ ვიცი.

- კარგი მანქანა გყავს, ძრავის ხმა არც კი მესმის.

გაეღიმა ლარის. მოეწონა, რაც ვუთხარი.

სამნი მივდიოდით დასაფლავებაზე: ბეტის ბიჭი, მისი შეყვარებული და სასტუმროს მფლობელის არანორმალური ქალიშვილი. გოგოს მარშა ერქვა. მთელი გზა ჩუმად იჯდა, ხმა არ ამოუღია. ტუჩებზე შეყინული სულელური ღიმილით იჯდა და დუმდა. თეთრი, მინანქარით გაკრიალებული კანი ჰქონდა, მხრებზე დაყრილი უსიცოცხლო ყვითელი ჯაგარი და ზედაც - უხეირო, დიდი

შლაპა. სასტუმროს დიასახლისმა მარშა თავის მაგივრად გამოგზავნა. თვითონ სასტუმრო ჰქონდა მისახედი.

მე, როგორც ყოველთვის, წინა დღის ნალოთავეები ვიყავი. ყავის დასალევად გავჩერდით. დაკრძალვის ამბები უკვე მთლად ისე ვეღარ მიდიოდა, როგორც საჭირო იყო. ლარის კათოლიკე მღვდელთან ჩხუბი მოუვიდა. მღვდელს ეჭვი გასჩენოდა ბეტისთან დაკავშირებით - მგონი, კათოლიკე სულაც არ ყოფილაო და უარზე დადგა, პარაკლისს არ გადავუხდით. ბოლოს ნახევარპარაკლისზე ძლივს დაითანხმეს. სულ არაფერს მართლა ნახევარი პარაკლისის გადახდა ჯობდა.

ყვავილების ამბავშიც კი გავიჭედეთ. მე ვარდების თაიგული ვიყიდე, უფრო სწორად, სხვადასხვანაირი ვარდები, რომლებიც მერე ერთ გვირგვინად შემიკრეს. ამისთვის ყვავილების მაღაზიას მთელი დღე დასჭირდა. მეყვავილე ქალი ბეტის კარგად იცნობდა. რამდენიმე წლის წინ, აი, მე და ბეტის რომ ძალი გვყავდა, მაშინ ერთადაც კი სვამდნენ ხოლმე. დელსი ერქვა. მაშინ დელსის მიქინძვა მიხდოდა სულ, მაგრამ არ გამოვიდა ეგ საქმე.

ჰოდა, ამ დელსიმ დამირეკა: - ჰენკ, მითხარი ერთი, რა ჭირთ ამ ნაბიჭვრებს?

- რომელ ნაბიჭვრებს?

- აი, იმ ხალხს, დამკრძალავ ბიუროში.

- რა მოხდა?

- რა და, ბიჭი გავგზავნე ფურგონით, შენი გვირგვინის მისატანად. ჯერ საერთოდ არ უნდოდათ მისი შეშვება. ეუბნებოდნენ, მუშაობა დავამთავრეთ, დაკეტილიაო. არადა ხომ იცი, იქამდე რამხელა გზაა?

- კი, მერე, დელსი?

- ბოლოს, როგორც იქნა, გვირგვინი კი შეატანინეს, მაგრამ მაცივარში შენახვის უფლება არ მისცეს. რა ექნა ამ ბიჭს, კართან მოუხდა დატოვება. არა, მითხარი, რა ჭირს ამ ხალხს?

- არ ვიცი, რა გითხრა. რა ჭირთ ადამიანებს საერთოდ, ყველ-  
გან?

- მე დაკრძალვაზე ვერ ვიქნები. შენ როგორ ხარ, ჰენკ?

- რა იქნება, რომ მოხვიდე და აქ მანუგეშო?

- პოლის წამოყვანა მომიწევს.

პოლი მისი ქმარი იყო.

- მაშინ არ გინდა.

მოკლედ, ნახევარდაკრძალვაზე მივდიოდით.

ლარიმ ყავა მოსვა და ამომხედა. - საფლავის ქვაზე მერე მოგ-  
წერ. ახლა ფული საერთოდ არ მაქვს.

- კარგი, - ვუთხარი.

ლარიმ ყავის ფული გადაიხადა, მერე გავედით და ისევ „მერ-  
სედეს-ბენცში“ შევლაგდით.

- ერთი წუთი, - ვთქვი.

- რაშია საქმე? - მკითხა ლარიმ.

- მგონი, რაღაც დაგვაავიწყდა.

კაფეში შევბრუნდი.

- მარშა!

მარშა ისევ იმ მაგიდასთან იჯდა.

- მივდივართ უკვე, მარშა.

ადგა და გარეთ გამომყვა.

მღვდელი თავის სადუდუნოს დუდუნებდა. არც მისმენია. წინ  
კუბო გვედგა. კუბოში ბეტი იწვა. ძალიან ცხელოდა. მზე ერთ  
მთლიან ყვითელ ბეწრად იღვრებოდა. თავზე ბუბები დაგვებზუოდ-  
ნენ. შუა ნახევარპარაკლისის დროს ორი კომბინეზონიანი ბიჭი  
გამოჩნდა. ჩემი გვირგვინი მოჰქონდათ. მკვდარ ვარდებს (თუ  
სიცხეში მომაკვდავებს) თავები ჩამოეყარათ და ბიჭებმა გვირ-  
გვინი იქვე ახლოს, ხეს მიაყუდეს. ნახევარპარაკლისი სადაც იყო,  
უნდა დამთავრებულიყო, როცა გვირგვინი ნელ-ნელა გადმოყი-  
რავდა და ყვავილებიანი პირით დაემხო მიწას. არავის გაუსწო-

რებია. მერე დამთავრდა კიდევ ყველაფერი. მღვდელთან მივედი და ხელი ჩამოვართვი, გმადლობთ-მეთქი, ვუთხარი. გამიღიმა. ორნი იღიმებოდნენ: მღვდელი და მარშა.

მანქანისკენ რომ მივდიოდით, ლარიმ ისევ მითხრა:

- საფლავის ქვის თაობაზე მოგწერ.

იმ წერილს დღემდე ველოდები.



ჩემს 409-ე ოთახში ავედი, წყლიანი ვისკი დავლიე, ზედა უჯრიდან ცოტა ფული ამოვიღე, ისევ კიბეს დავუყევი, მანქანაში ჩავჯექი და დოღზე წავედი. იპოდრომზე რომ მივედი, პირველი წრე ახალი დაწყებული იყო, მაგრამ თამაშით არ მითამაშია, რადგან პროგრამის წაკითხვა ვერ მოვასწარი.

ბარში შევედი დასალევად და ზუსტად ამ დროს გვერდით მაღალ-მაღალმა მულატმა ქალმა ჩამიარა. ძველი საწვიმარი ლაბადა ეცვა. მართლა საშინლად ეცვა, მაგრამ რაკი მეც ზუსტად ეგრე ვგრძნობდი თავს, დავუძახე (ძალიან ხმამაღლაც არა - ისე, რომ ჩემი ხმა გაეგო, სანამ გვერდს ამივლიდა):

- ვაი, ლამაზო.

გაჩერდა, მოიხედა და ჩემკენ წამოვიდა.

- გაუმარჯოს. ჰენკ, როგორ ხარ?

ვაის ცენტრალური ფოსტიდან ვიცნობდი. ჩემს განყოფილებაში არასოდეს უმუშავია, მაგრამ ყოველთვის დანარჩენ თანამშრომლებზე უკეთ მხვდებოდა.

- მაგარი წაშლილი ვარ. ორი წლის განმავლობაში მესამე ახლობელი დავკარგე. ჯერ დედაჩემი გარდაიცვალა, მერე მამაჩემი, დღეს კი ჩემი ძველი მეგობარი ქალი დავასაფლავეთ.

რადაც შეუკვეთა.

- მოდი მეორე გარბენს მაინც ვუყუროთ.

ვაი ახლოს მომიჩოჩდა და ფეხითა და მკერდით მომეკრა. იმ საწვიმრის ქვეშ რადაც სასწაული ჰქონდა. დოღებზე მე სულ უცნობ ცხენებს ვარ დადარაჯებული, ისეთებს, ფავორიტების დამარცხება რომ შეუძლიათ. თუ დავინახავ, რომ ფავორიტის დამარცხებელი არ ჩანს, მაშინ ფსონს ფავორიტზე ვდებ.

წინა ორი დასაფლავების დღესაც ეგრევე დოღზე წავედი და ორივეჯერ მოვიგე. რადაც საიდუმლო იმალებოდა ამ დაკრძალ-

ვებში. რალაც-რალაცებზე თვალს გიხელენ. დღეში თითო დაკრძალვა მომცა და, ალბათ, მილიონერიც გავხდები.

წინა ერთმილიან გარბენში მეექვსე ნომერმა ცხენმა ფავორიტთან მთელი ერთი თავით წააგო. მეექვსეს გარბენის დასაწყისში ორი კორპუსის ფორა ჰქონდა, მაგრამ ფავორიტმა ბოლოს მაინც გაასწრო. მეექვსის კოეფიციენტი ამ დროისთვის 35/1 იყო. ფავორიტისა კი - 9/2. ეს ორივე ცხენი ერთსა და იმავე კატეგორიაში გადიოდა. ფავორიტმა ორი გირვანქა კიდევ აქაჩა - 116-დან 118-მდე (მეექვსეს კი ისევ 116 დარჩა), მაგრამ ჟოკეი მაინც გამოუცვალეს, ნაკლებად პოპულარულ მხედარს გადასცეს. სარბენი დისტანცია მილი და მილის მეთექვსმეტედი იყო. მაყურებელმა იფიქრა, თუ ფავორიტმა მეექვსე ნომერს ერთმილიანი გარბენის ბოლოს გაასწრო, დარჩენილ მეთექვსმეტედში ხომ საერთოდ შეჭამსო, და ეს ლოგიკურიც ჩანდა. მაგრამ დოღი, მოგეხსენებათ, ლოგიკას არ ექვემდებარება. მწვრთნელები ცხენებს, რასაც ჰქვია, არასასურველ პირობებს უქმნიან ხოლმე, ფული რომ სულ ერთ ცხენზე არ დაიდოს. დისტანციის შეცვლა და, ზედაც, ნაკლებად პოპულარული ჟოკეი - ყველაფერი კარგ ხეირზე მიუთითებდა. ტაბლოს გავხედე. დილით მორბენალი სტრიქონი 5-ს აჩვენებდა, ახლა ზედ 7/1 ეწერა.

- მეექვსე ნომერი გავა, - ვუთხარი ვაის.

- არა, არაა ეგ ცხენი გამქაჩავი, - მითხრა ვაიმ.

- ჰო, შეიძლება, - ვთქვი, მერე წავედი და ათი დოლარი დავდე მეექვსე ცხენზე.

მეექვსე სტარტიდანვე კარგად წამოვიდა, პირველ მოსახვევში დაბრკოლება მშვენივრად გადალახა, მერე კი, წრის მეორე ნახევარში, მთელი კორპუსით წაიწია წინ. დანარჩენი ცხენები ჯოგად დაედევნენ. თითქმის ყველა ჟოკეის ეგონა, რომ მეექვსე პირველ მოსახვევში გაასწრებდათ, მერე სწორ მონაკვეთზე ისინი წამოეწეოდნენ და გადაასწრებდნენ. ეს სტანდარტულ პროცედურა-

სავით იყო. მაგრამ მწვრთნელს ჟოკეისტვის სხვა მითითება ჰქონდა მიცემული. შუა მოსახვევში ბიჭმა სადავე მიუშვა და ცხენ-მაც აიწყვიტა. სხვა ჟოკეები ჯერ წესიერად უნაგირებსაც არ იყვნენ მორგებულები, როცა მეექვსე უკვე ოთხი კორპუსით წინ იყო წასული. სწორი მონაკვეთის დასაწყისში ბიჭმა ცხენს სული მოათქმევინა, უკან მოიხედა და მერე ისევ შეუბერა. გავიბადრე. მერე ფავორიტი, 9/5, გამოეყო დანარჩენებს და დააწვა, მაგრამ რას დააწვა მამაძაღლი, გავარდა წინ, ყლაპავდა მანძილს, კი არ ფარავდა. გიჟვით მიჰქროდა, ცოტაც, და ჩემს ცხენსაც უკან მოიტოვებს-მეთქი, გავიფიქრე. ფავორიტი მეორე ცხენი იყო. შუა გარბენზე მეორე მეექვსეს სულ რაღაც ნახევარი კორპუსით ჩამორჩებოდა და ამ დროს მეექვსის ჟოკეიმ მათრახი დააძრო, ფავორიტის ჟოკეი კი უკვე კარგა ხანი იყო, ფერდებზე უჭერდა ცხენს. ის მონაკვეთი ნახევარკორპუსიანი დისტანციის შენარჩუნებით გაირბინეს, და ფინიშის ხაზამდე ასე ირბინეს.

ისევ ბარში გავედით.

- ყველაზე მაგარმა ცხენმა ვერ მოიგო, - თქვა ვაიმ.

- მკიდია, რომელია ყველაზე მაგარი. მე პირველი ცხენის ნომერი მჭირდება. მიდი, შეუკვეთე.

ოფიციანტს შეკვეთა მივეცით.

- კარგი, ჭკუის კოლოფო. ვნახოთ, შემდეგ ჯერზე რა გამოგივა.

- გეუბნები, საყვარელო. დასაფლავებების მერე ყველაფერს მხეცივით ვაკეთებ.

ფეხით და მკერდით მომეკრა ისევ. სკოჩი დიდი ყლუპით მოვსვი და პროგრამა გადავშალე. მესამე გარბენი.

თვალი გადავაფლე. ეტყობა, დღეს აქ მოსული ხალხის დაგდება ჰქონდათ გადაწყვეტილი. გარბენი იმ ცხენმა მოიგო, რომელმაც ყველაზე ენერგიულად დაიწყო რბოლა. ხალხმაც მოტვინა, რომელი ცხენი იყო ყველაზე სწრაფი და დანარჩენები სულ ეკიდა. მაყურებელს მეხსიერება მარტო ერთ გარბენზე ჰყოფნის. ეს

ნაწილობრივ იმით შეიძლება აიხსნას, რომ გარბენებს შორის შესვენება 25 წუთია. ხალხი მარტო იმას იაზრებს, რაც მის თვალწინ ხდება ან წუთის წინ მოხდა.

მესამე გარბენი ექვსფარლონგიან დისტანციაზე ეწყობოდა. ამ დისტანციაზე სწრაფი ცხენი იყო ფავორიტი, რომელმაც წინა, შვიდფარლონგიანი გარბენი სულ ბოლო წამს წააგო. მთელი დისტანცია წინ იყო და ბოლო წუთს დაიწყო ჩამორჩენა. მერვე ნომერი სულ ბოლო მორბოდა. მესამე მონაკვეთი ისე ჩაამთავრა, ფავორიტს კორპუსნახევრით ჩამორჩებოდა. ხალხმა იფიქრა, ეს თუ ფავორიტს შვიდფარლონგიან დისტანციაზე ვერ დაეწია, ერთი ფარლონგით ნაკლებ დისტანციაზე რაღას დაეწევას. თუმცა მაყურებელი ყოველთვის იმედგაცრუებული რჩება. ის ცხენი, რომელმაც შვიდფარლონგიანი გარბენი მოიგო, დღევანდელ დოღში არ მონაწილეობდა.

- მერვე ნომერი მოიგებს, - ვუთხარი ვაის.

- ძალიან მოკლე დისტანცია დარჩა. ველარ მოასწრებს, - მითხრა ვაიმ.

მერვე ნომერი მწკრივში მეექვსე მორბოდა.

წინა გარბენის მოგება ავიღე და ათი დოლარი მერვე ცხენის მოგებაზე დავდე. თუ ცხენზე დიდ ფსონს დებ, ის ცხენი აგებს. ან, უფრო ხშირად, შენვე გადაიფიქრებ ხოლმე და ფული სხვა ცხენზე გადაგაქვს. ათიანი მოგებაზე - მშვენიერი ფსონია.

ფავორიტი კარგად გამოიყურებოდა. დისტანციაზე პირველი გამოვიდა, კიდისკენ წაიწია და ორი კორპუსით დაწინაურდა. მერვე ნომერი ბოლო ცხენის წინ მორბოდა, თანდათანობით ისიც კიდისკენ გადავიდა. სწორი მონაკვეთის დასაწყისში ფავორიტი ჯერ კიდევ კარგად გამოიყურებოდა. მერვეს ჟოკეიმ, რომელიც ახლა მეხუთე მორბოდა, იყოჩაღა და ცოტა მათრახი გადაუჭირა. სწორედ ამ დროს ფავორიტმა ნაბიჯს მოუკლო, პირველი მეოთხედი 22 და 4/5-ში გაირბინა, თუმცა შუა მონაკვეთში ჯერ კი-

დევ ორკორპუსიანი ფორა რჩებოდა, მაგრამ უცებ მერვემ გვერ-  
დით ქარივით ჩაუქროლა, გაასწრო და ორნახევარი კორპუსით  
გაუსწრო. ტაბლოს შევხედე. იქ წინანდებურად 9:1 ეწერა.

ბარში დავბრუნდით. ვაი უკვე მართლა მთელი ტანით დამაწ-  
ვა.

ბოლო ხუთი გარბენიდან სამი მოვიგე. იმ წლებში, ცხრის მა-  
გიერ, დღეში რვა გარბენი ეწყობოდა. ეგ არაფერი, მე რომ მკით-  
ხო, დღეში რვა გარბენიც სრულიად საკმარისია. ორი კოლოფი  
სიგარეტი ვიყიდე და ჩემს მანქანაში ჩავსხედით. ვაი იპოდრომზე  
ავტობუსით მოსულიყო. ვისკის საყიდლად გავჩერდი, მერე ჩემი  
ნაქირავები ბინისკენ დავაწექით.

ვაიმ ოთახს თვალი მოავლო.

- ნეტავი შენნაირი ბიჭი ეგეთ ოთახში როგორ აღმოჩნდა?
- ყველა გოგო მაგას მეკითხება, ხო იცი.
- მართლა საშინელი სორია და იმიტომ.
- სამაგიეროდ იაფი მიჯდება.
- წამო, ჩემთან წავიდეთ.
- კარგი, წავიდეთ.

მანქანაში ჩავსხედით და ვაიმ თავისი მისამართი მითხრა. მერე მაღაზიასთან გავჩერდით, რომ სტეიკი, ბოსტნეული და სასალათე რამე-რუმე, კარტოფილი, პური და მეტი სასმელი გვეყიდა.

სანამ მის ბინამდე მივალწევდით, დერეფანში აბრას ჩავუარეთ. ზედ ეწერა:

ხმაური და მეზობლების შეწუხება აკრძალულია. ტელევიზორები ღამის 10.00 საათზე უნდა გამოირთოს. ჩვენ აქ მომუშავე ხალხი გვყავს.

დიდი აბრა იყო, ასოები წითელი საღებავით გამოეყვანათ.

- აი, ეს ნაწილი მომწონს, ტელევიზორებზე, - ვუთხარი ვაის.

ლიფტით ავედით. ვაის მართლა კობტა ბინა ჰქონდა. სურსათიანი პაკეტები სამზარეულოში შევიტანე, ორი ჭიქა ვიპოვე და ვისკი ჩამოვასხი.

- ეგენი ამოაწყვე. მე ახლავე მოვალ.

ამოვაწყვე, რაც პაკეტებში იყო, სამზარეულოს ნიჟარაზე გავშალე. კიდევ დავლიე. ვაიც შემოვიდა, მორთული და გამოპრანჭული. საყურეები, მაღალქუსლიანი ფეხსაცმელი, მოკლე ქვედატანი. მაგრად გამოიყურებოდა. ცოტა ჩასხმული ტანი ჰქონდა, მაგრამ ტრაკ-ბაყვი და მკერდი - თვალწარმტაცი. ვაი საჭენაო ფაშატი.

- ოჰო, გაუმარჯოს, - ვუთხარი, - მე ვაის მეგობარი ვარ. ახლავე მოვალე, თქვა და გავიდა. მალე დაბრუნდება. დალევთ რამეს?

გაეცინა. მერე მისი სავსე სხეული მკლავებში მოვიგდე და საკოცნელად ვეძგერე. ტუჩები ალმასივით ცივი ჰქონდა, სამაგიეროდ, გემო ჰქონდა კარგი.

- ამასობაში მომშვივდა, - თქვა ვაიმ, - საჭმლის გასაკეთებლად მიმიშვი!

- მეც მშიერი ვარ, - ვუთხარი, - მოდი, შენ შეგვამ!

ისევ გაეცინა. ხანმოკლე კოცნით ვაკოცე, თან მისი ტაკო ჩავბლუჯე. მერე წინა ოთახში გავედი ჩემი ჭიქიანად, დავჯექი, ფეხები გავშალე, ამოვიოხრე.

რამე რომ იყოს, დარჩებოდა აქ კაცი-მეთქი, გავიფიქრე. ფულს დოლებზე გავაკეთებდი, მძიმე დღეებში ვაი დამარწევს და მომივლის, ტანში სურნელოვან ზეთებს შემაბნელს, საჭმელს გამიკეთებს, დამელაპარაკება, ჩემთან ერთად დაწვება და ადგება. რა თქმა უნდა, შიგადაშიგ ერთმანეთს წავეკიდებით. ეგეთია ქალის ბუნება. მოსწონთ ჭუჭყიანი საცვლების გაცვლა-გამოცვლა, ცოტა გაწინაბება, ცოტა დრამატიზმი. მერე შერიგება, ბოლოს - სიყვარულის ფიცის გაცვლა-გამოცვლა. მე ეგ საქმე მაინცდამაინც კარგად არ გამომდიოდა.

ნელ-ნელა გუნება გამომიკეთდა. გუნებაში გეგმები დავაწყვე, უკვე გადმოვედი ვაის ბინაში.

ვაი სამზარეულოში ერთ ამბავში იყო. თავისი ჭიქით ხელში გამოვიდა, კალთაში ჩამიჯდა, მაკოცა, ენა პირში შემისრიალა. ამიდგა და მის მკვრივ ტაკოს მიეკრა. ისევ ხელებში ჩავბლუჯე და მოვუჭირე.

- რაღაც მინდა გაჩვენო, - მითხრა.

- ვიცი, რომ გინდა, მაგრამ მოდი ცოტა მოვიცადოთ და სადილის მერე მაჩვენე, ასე ერთ საათში.

- ოჰ, არა, მაგას კი არ ვგულისხმობ!

მისკენ წავიწიე და ახლა მე შევეუყავი პირში ენა.

ვაი ჩემი კალთიდან წამოდგა.

- არა, არა, ჩემი გოგოს ფოტო მინდა გაჩვენო. დეტროიტშია, დედაჩემთან. მაგრამ შემოდგომაზე ჩამოვა, სასკოლოდ.

- რამდენი წლისაა?

- ექვსის.

- მამამისი სად არის?

- როის გავეყარე. დიდი ნაბიჭვარი იყო. სმის და დოღებზე სი-  
არულის გარდა, არაფერი გაუკეთებია.

- აუჰ.

საიდანღაც ფოტო გამოიტანა და ხელში ჩამიდო. ძალიან შე-  
ვეცადე, ზედ რამე გამერჩია. მარტო ბნელ ფონს ვხედავდი.

- მისმინე, ვაი, შენი გოგო მართლა შავი ყოფილა! ამის დედა  
ვატირე, რით ვერ მოიფიქრე, ფოტო ცოტა ღია ფონზე გადაგეღო?

- მამამისის შვილია. იქითა მხარეს სულ შავები არიან.

- ჰო. ვხედავ, რომ ეგრეა.

- ფოტო დედაჩემმა გადაუღო.

- დარწმუნებული ვარ, საყვარელი გოგო გეყოლება.

- კი, ძალიან საყვარელია. მართლა.

ვაიმ სურათი თავის ადგილას დააბრუნა და სამზარეულოში  
გაბრუნდა.

ეს ქალები და მაგათი მარადიული ფოტოები! როგორც ყო-  
ველთვის, ფოტოებს ვერ ავცდი. ყოველ ჯერზე ერთი და იგივე მე-  
ორდება. ვაი სამზარეულოს კარში იდგა.

- ახლა ძალიან ბევრსაც ნუ დაღევ! ხომ გახსოვს, მერე რაც  
გვაქვს გასაკეთებელი!

- ნუ ნერვიულობ, პატარა. შენთვის რაღაც მაქვს შენახული. მა-  
ნამდე დასალევი მომიტანე. მძიმე დღე მქონდა. ნახევარი სკოჩი,  
ნახევარი წყალი.

- თვითონ დაისხი შენი სასმელი. რას მბრძანებლობ.



სავარძელი შევატრიალე, ტელევიზორი ჩავრთე.

- თუ კიდევ ერთი ხეირიანი დღე გინდა დოღზე, გირჩევ ვისკი დაასხი, ქალო, და გამოუტანე, აქ რომ მბრძანებელი გიზის. სწრაფად, დათვლას ვიწყებ!

ვაიმ ბოლოს და ბოლოს ფსონი ჩემს ცხენზე დადო, მეხუთე გარბენზე. ფსონი 5/1 იყო, თან ისეთ ცხენზე, ორი წელი რომ წესიერი შედეგი არ უჩვენებია. ეს ფსონი მხოლოდ იმიტომ დავდე, რომ 5/1 იყო, არადა, ბარე ოციც შეიძლებოდა ყოფილიყო. ცხენმა პროჭიდან ნესტოებამდე დაძაგრულმა ირბინა, დანარჩენებს ექვსი კორპუსით გაასწრო და მხოლოდ ფინიშთან მოეშვა.

თავი ავწიე და ჩემკენ გამოშვერილი ხელი დავინახე, რომელიც ვისკიან ჭიქას მიწვდიდა.

- მადლობა, საყვარელო.

- ინებე, ჩემო მბრძანებელო, - გამიცინა ვაიმ.

ლოგინში კი ვგრძნობდი, რომ წინ რაღაც მეკიდა, მაგრამ მოხერხებით ვერაფერი მოვუხერხე. მართლ ვხვნიშობდი და ვხვნიშობდი გაუჩინებლად. ვეჩალიჩე, მაგრამ რა ვეჩალიჩე. დიდი მოთმინების უნარი ჰქონია ვაის. ძალიან მონდომებული კი ვიყავი და ბევრიც ვიქნიე, მაგრამ მეტისმეტი მქონდა დაღეული.

- მაპატიე, საყვარელო, - ვუთხარი, მერე გვერდზე გადავგორდი და დავიძინე.

ცოტა ხანში რაღაცამ გამომალვიდა. ვაი იყო. იმდენი უქნია, წამომიყენა და ახლა გემოდან იყო მომჭდარი.

- მიდი, საყვარელო, მიდი! - ვუთხარი.

შიგადაშიგ ზურგს წამოვუზნექდი ხოლმე, ვაი კი გემოდან პატარა გაუმაძღარი თვალებით დამყურებდა. შავტუხა ჯადოქარს ვყავდი ხელში ჩაგდებული და მაუპატიურებდა! რაღაც წუთებით ამ ამბავმა მეც წამომამგზნო.

მერე კი მაინც ვუთხარი: - კარგი, გადადი, პატარა. დღეს გრძელი და მძიმე დღე მქონდა. ამაზე უკეთესი დროც დაგვიდგება.

ვაი გვერდით გადავგორდა, მე კი ჩქაროსნული ლიფტის სისწრაფით დამივარდა.

დილით მისი ფეხის ხმა გავიგე. დადიოდა, დადიოდა წინ და უკან, არ ჩერდებოდა.

თერთმეტის ნახევარი იყო. გულისრევის შეგრძნება მქონდა. მაინცდამაინც არ მინდოდა, დავნახვებოდი. ვიფიქრე, კიდევ თხუთმეტი წუთი ვიწვები და მერე წავალ აქედან-მეთქი.

ნჯღრევა დამიწყო. - მისმინე, მინდა, რომ მანამდე წახვიდე, სანამ ჩემი მეგობარი გოგო დაბრუნდება.

- მოვიდეს, რა. იმასაც მოვტყნავ.

- ჰო, კი, - გაიცინა, - როგორ არა.

ავდექი. ხველა ამიტყდა, სუნთქვა მიჭირდა. აუჩქარებლად დავიწყე ჩაცმა.

- ისე ნუ მიყურებ, თითქოს რაღაც გადასაგდები ჩვარი ვიყო, - ვუთხარი, - მგონი, არც ეგეთი უვარგისი ვარ. რაღაც კარგიც ხომ უნდა იყოს ჩემში.

როგორც იქნა, ტანზე ჩავიცვი. სააბაზანოში შევედი და სახეზე ცოტა წყალი შევისხი, თმა დავივარცხნე. ნეტავი ამ სახის დავარცხნაც შეიძლებოდეს-მეთქი, გაივიფიქრე. მაგრამ სახის დავარცხნა შეუძლებელი იყო.

ოთახში გავედი.

- ვაი.

- ჰო.

- ეგეთი გაცოფებულისც ნუ ხარ. შენ არაფერ შუაში ხარ. გავიტარიტე. ადრეც დამმართნია ეგეთი რამე.

- კარგი, მაგრამ მაშინ უნდა იცოდე, რომ შენთვის ამდენის დაღევა არ შეიძლება. არც ერთ ქალს არ მოსწონს, როცა ბოთლს მასზე მეტ დროს უთმობენ.

- მერე რატომ დროზე არ დამიშალე?

- ოჰ, კარგი რა!

- მისმინე, ჩემო გოგო. ცოტა ფული ხომ არ გჭირდება?  
საფულის ამოსაღებად ჩავიყავი ჯიბეში ხელი, იქიდან ოცი დო-  
ლარი ამოვაძვრინე და ვაის გავუწოდე.

- ძალიან საყვარელი ხარ.

მისი ხელი ლოყაზე შემეხო. მერე სადღაც ტუჩის კუთხესთან  
მაკოცა.

- ფრთხილად ატარე, იცოდე.

- აბა რა, საყვარელო.

იპოდრომამდე მართლა სულ ფრთხილად ვატარე.

სამსახურში მისვლისთანავე განყოფილების უფროსის კაბინეტში ამოვყავი თავი, მეორე სართულზე, ერთ-ერთ უკანა ოთახში.

- აბა, ერთი კარგად დამენახვეთ, ჩინასკი!  
დაკვირვებით ამომხედა.

- ოჰო. საშინლად გამოიყურები. ჯობს, ერთი აბი მივიღო.

წამლის ქილა გახსნა და, თავდაჯერებული გამომეტყველებით, იქიდან აბი გადმოასრიალა.

- კეთილი. აბა, ჩინასკი, გვინდა, ვიცოდეთ, სად ბრძანდებოდით ბოლო ორ დღეს.

- ვგლოვობდი.

- გლოვობდით? რას გლოვობდით?

- ძველი მეგობრის დაკრძალვა იყო. პირველ დღეს ამბავი მოვაცომარეთ. მეორე დღეს ვგლოვობდი.

- მაგრამ სამსახურში არც კი დაგირეკავთ, ჩინასკი.

- ეგრეა.

- რაღაც მინდა გითხრათ, მისტერ ჩინასკი. ისე, შინაურულად. ჩვენ ორში რომ დარჩეს.

- გისმენთ.

- როცა ასეთ დროს სამსახურში არ რეკავთ, იცით, ამით რას გვეუბნებით?

- არა.

- მოგტყვნიათ პატრონიო, აი, ამას გვეუბნებით მთელ ფოსტის სამსახურს, მისტერ ჩინასკი.

- ვითომ?

- ჰო, ჩინასკი, და იცით, ეგ რას ნიშნავს?

- არა, რას ნიშნავს ნეტავი?

- ეგ იმას ნიშნავს, მისტერ ჩინასკი, რომ საფოსტო სამსახურიც მოგიტყნავთ პატრონს.

მერე უკან გადაიხარა და ამომხედა.

- მისტერ ფებერს, - ვუთხარი, - მაგრად მკიდია ეგ ამბავი.

- ნუ მეყოყლოჩინები, ჰენრი. თორემ ისე ვიზამ, სულ თავებელს გაწყევლინებ.

- თუ შეიძლება, თქვენობით მომმართეთ, სერ. ელემენტარულ პატივისცემას მოვითხოვ თქვენგან.

- ჩემგან პატივისცემას მოითხოვთ, თავად კი...

- დიახ. ვიცით, სად აჩერებთ მანქანას, მისტერ ფებერს.

- რაო? ეგ რას ნიშნავს, მემუქრებით?

- აქაურ შავკანიანებს ძალიან ვუყვარვარ, ფებერს. როცა მინდა, სულ ჩემს ჭკუაზე ვატარებ.

- შავებს ვუყვარვარო?

- თავისიანად მთვლიან. მაგათ ქალებსაც კი ვქინძავ, რომ იცოდეთ. ვცდილობ მაინც, როცა გამომდის.

- კარგი. უკვე ძალიან შორს შეტოპეთ. გთხოვთ, თქვენს სამუშაო ადგილს დაუბრუნდეთ.

და შვებულების ცნობა გამომიწოდა. ანერვიულდა საწყალი. არანაირი შავები ჩემს ჭკუაზე არ მიტარებია. არავინაც არ მიტარებია, მარტო ფებერსს გავაკეთებინე ის, რაც მანამდე აზრადაც არ მოუვიდოდა. რა ქნას კაცმა, ანერვიულდა. ერთი ჩვენი მეთვალყურე კიბიდან გადააგდეს. მეორეს ტრაკი დანით გადაუსერეს. ერთი შიგ ფაშვში დაჭრეს დღის სამ საათზე, როცა გადასასვლელთან იდგა და შუქნიშნის ანთებას ელოდებოდა. თან სად - ფოსტის მთავარი შენობის წინ. მას მერე თვალით აღარ გვინახავს.

ჩვენი საუბრიდან ცოტა ხნის შემდეგ ფებერსი მთავარი ოფისიდან გადავიდა. სად წავიდა - ეგ გუსტად არც ვიცი. აშკარად მთავარი შენობიდან ძალიან შორს.

ერთ დილას, დაახლოებით ათ საათზე, ტელეფონმა დარეკა: -  
მისტერ ჩინასკი!

ხმა ვიცანი და მაშინდელივით ხელში შეთამაშება დავიწყე.

- მმმ, - დავიბმუვლე პასუხად.

მის გრეივზი იყო, წაკლა.

- გეძინათ?

- დიახ, მის გრეივზ, მაგრამ გააგრძელეთ. ეგ არაფერი. ეგ არა-  
ფერი.

- თქვენი საკითხი დადებითად გადაწყდა.

- მმმმ, მმმმ...

- ამასთან დაკავშირებით, ინფორმაცია სქემების განყოფილე-  
ბას გადავეცით.

- აჰჰჰჰჰჰ.

- და, შესაბამისად, დღევანდელი დღიდან ორ კვირაში ქალა-  
ქის პირველი განყოფილების სქემა გექნებათ ჩასაბარებელი.

- რაო? მოითმინეთ, ერთი წუთით...

- სულ ესაა, მისტერ ჩინასკი. სასიამოვნო დღეს გისურვებთ.

და ყურმილი დაკიდა.

ჰოდა, მეც ავიღე ჩემი სქემა და სექსთან და ასაკთან დავიწყე იმ ყველაფრის დაკავშირება, რაც დასამახსოვრებელი იყო. ტიპი გამოვიგონე, რომელიც ერთ სახლში სამ ქალთან ერთად ცხოვრობდა. აქედან ერთს ქამრით სცემდა (ამ ქალის სახელი იმ ქუჩის სახელწოდება იყო, მისი ასაკი - სახლის ნომერი); მეორეს ულოკავდა (იგივე, რაც ზემოთ), მესამეს მარტივად, მამაპაპურად ტყნავდა (იგივე, რაც ზემოთ). კიდევ პედერასტები გამოვიგონე, ერთ-ერთს, მაგალითად, მანფრედი ერქვა (მანფრედ ავენიუს დასახსომებლად), 33 წლის იყო და ასე შემდეგ და ასე შემდეგ.

დარწმუნებული ვარ, ვინმეს რომ სცოდნოდა, მაგათი კარტის ყურებისას რაზე ვფიქრობდი, იმ შუშის ყუთამდე საერთოდ არ მიმიშვებდნენ. თითოეული კარტი ძველი მეგობარივით მყავდა.

მაგრამ ამაზე არ ვჩერდებოდი და ჩემს გამოგონილ ორგანებს უარესად ვახუჭუჭებდი. პირველივე ჯერზე 94 კარტი დავაწყვე სწორად.

ათი დღის მერე, სამსახურში რომ მივედი, სულ ზეპირად ვიცოდი, ვინ ვის სად რას უშვრებოდა.

ხუთ წუთში კარტის ასი პროცენტი დავაწყვე.

და ქალაქის ფოსტის უფროსისგან მოლოცვის წერილიც მივიღე.



ამის მერე ძალიან მალე შტატში ჩამსვეს და თორმეტსაათიანი ღამის ცვლა რვასაათიანით შემიცვალეს, რაც გადასარევი იყო. ამას ზედ შვებულებების ანაზღაურებაც დაემატა.

მერე ჩვენს განყოფილებაში დევიდ ჯანკო გავიცანი. ახალგაზრდა თეთრკანიანი ბიჭი იყო, ოც წელზე ბევრად მეტის არ იქნებოდა. მივქარე და კლასიკურ მუსიკაზე თუ რაღაც ეგეთზე დაველაპარაკე. მაშინ კლასიკურ მუსიკაზე ვიყავი შემჯდარი, იმიტომ რომ ეგ ერთადერთი რამე იყო, რის მოსმენაც, ჯერ არგათენებულზე, საწოლში ლუდის ბოთლით შეწოლილს, შემეძლო. თუ ყოველ დილას ერთსა და იმავე რაღაცას უსმენ, თანდათანობით ტვინში გიჯდება. ჯოისი რომ გამეყარა, შეცდომით „კლასიკოსი და თანამედროვე კომპოზიტორების ბიოგრაფიების“ ორივე ტომს ჩემს ჩემოდანში ჩავუძახე. ამ ადამიანების უმეტესობა სიცოცხლეში ისე ეწამა, რომ ამეების კითხვა სიამოვნებას მანიჭებდა. ვფიქრობდი, აჰა, მეც ამათსავით ჯოჯოხეთში ვცხოვრობ, თან მუსიკის წერაც არ მეხერხება-მეთქი.

მოკლედ, პირი მოვადე. ჯანკო და ვიღაც ერთ ტიპი კამათობდნენ და ერთმანეთთან მოვარიგე: ბეთჰოვენის დაბადების თარიღი და მესამე სიმფონიის დაწერის წელი დავუსახელე, თან ზოგადი (მაგრამ აბურდულ-დაბურდული) ინფორმაცია მივაწოდე იმაზე, თუ როგორ აფასებენ ამ სიმფონიას კრიტიკოსები.

ჯანკო ამაზე დაეცა და მაშინვე ნასწავლი კაცების სიაში შემიყვანა. გვერდზე მომიჯდა და დაიწყო ზუზუნის და წუწუნის (რაც იმ დღიდან ყოველ ღამე მქონდა გამოწერილი), საიდანაც უნდა გამეგო, რა აუწერელი სიღრმის განცდა იმალებოდა მის ნატანჯ და აწეწილ-დაწეწილ სულში. საშინლად ხმამაღლა იცოდა ლაპარაკი და თან რატომღაც უნდოდა, რომ მისი ხმა ყველას გაეგო. მე თან წერილებს ვაწყობდი, თან ვუსმენდი, ვუსმენდი და ვფიქრობ-

დი, მე რა ვქნა, მე, ან ამ პატარა გადარეულ ნაბიჭვარს რანაირად მოვაკეტინო-მეთქი.

სახლში ყოველდღამე გამოქლიავებული და თავბრუდახვეული ვბრუნდებოდი. ტიპი თავისი ხმით მკლავდა.

მუშაობას საღამოს 6:18-ზე ვიწყებდი. დეივ ჯანკო 10:36-ზე მოდიოდა, ამიტომ მთლად უარესს ავცდი. 10:06-ზე ოცდაათწუთიანი ლანჩი გვექონდა და უკან ზუსტად იმ დროისთვის ვბრუნდებოდით, როცა ჯანკო სამსახურში მოდიოდა და ჩემთან მოსაჩოჩებლად სკამს ეძებდა. დიდი მოაზროვნის როლში ხომ იყო შეჭრილი, თან მაგარი საყვარლის როლსაც ეგმანებოდა. მისთვის რომ დაგეჟერებინა, ლამაზი ქალები დერეფნებში და სადარბაზოებში უსაფრდებოდნენ, კუდში დაყვებოდნენ, მოკლედ, საწყალ ბიჭს თავს არ ანებებდნენ. მე კიდევ რატომღაც თვალის არასდროს მომიკრავს, რომ ჯანკო ქალს გამოლაპარაკებოდეს, ანდა პირიქით.

ოთახში შემოვიდოდა თუ არა: - ფრენკ, აუ, ძმაო, შენ არ იცი, დღეს რა მინეტით გამიმასპინძლდნენ!

თან კი არ ყვებოდა, ყვიროდა. მთელი ღამე ყვიროდა.

- აუჰ, კინაღამ მომაჭამა! ახალგაზრდა გოგო იყო, მაგრამ თან მაგარი პროფესიონალი, ძმაო!

მე სიგარეტს მოვუკიდე.

მერე მთელი ამბის მოსმენა მომიხდა, როგორ და სად შეხვდა:

- გარეთ ვიყავი გასასვლელი, პური მქონდა საყიდელი, ჰოდა...

ჰოდა, მერე, სულ წვრილ-წვრილად მიყვებოდა, გოგომ რა უთხრა, ამან რა უპასუხა, რა ქნეს და ასე შემდეგ.

იმ დროს ეგეთი კანონი იყო, საფოსტო სამსახურს ავალდებულებდა, იმ კლერკებისთვის, რომლებიც შტატში არ იყვნენ და პერიოდულად მუშაობდნენ, საათში საათ-ნახევრის ანაზღაურება გადაეხადა. ჰოდა იმათთვის რომ ზედმეტი არ ეხადა, ფოსტა მთელ დამატებით სამუშაოს საშტატო კლერკებს სტენიდა.

ჩემი ცვლის დამთავრებამდე რვა-ცხრა წუთით ადრე ინტერკომი ირთვებოდა:

„ყურადღება, ყურადღება! ყველა საშტატო კლერკს, რომელსაც სამუშაო 6 საათსა და 18 წუთზე ეწყება, დღეს ერთი სამუშაო საათი ემატება!“

ჯანკო ამ დროს იღიმებოდა, ჩემკენ იხრებოდა და თავის შხამს გულში მაწვეთებდა.

ჩემი მეცხრე საათის ამოწურვამდე რვა-ცხრა წუთით ადრე ინტერკომი ისევ ირთვებოდა:

„გთხოვთ, ყურადღებით მომისმინოთ! ყველა საშტატო კლერკს, რომელსაც სამუშაო 6 საათსა და 18 წუთზე ეწყება, დღეს ორი სამუშაო საათი ემატება!“

მერე, ჩემი მეათე სამუშაო საათის გასვლამდე რვა წუთი რომ დარჩებოდა, ინტერკომი კიდევ ერთხელ ჩაირთვებოდა:

„ყურადღება, ყურადღება! საშტატო კლერკებს, რომლებსაც სამუშაო 6 საათსა და 18 წუთზე ეწყებათ, დღეს სამი სამუშაო საათი ემატება!“

ჯანკო ამასობაში წუთით არ ჩუმდებოდა.

- აფთიაქში ვზივარ, რა. და უცებ ორი ხოშიანი გოგო შემოდის. შემოდინ, აქეთ-იქიდან მისხდებიან და...

ეს ბიჭი მართლა მკლავდა, მაგრამ მე ჯერ გამოსავალს ვერ ვპოულობდი. სხვა ადგილებს ვიხსენებდი, სადაც ოდესმე მიმუშავია. თითო ეგეთი შერყეული ყველგან იყო. და ყველა შერყეულს მე ვუყვარდებოდი.

მერე ჯანკომ თავისი რომანი შემომტენა. ბეჭდვა მაგან არ იცოდა, ამიტომ ტექსტი პროფესიონალი მბეჭდავის დაბეჭდილი იყო. რაღაც გადაპრანჭული შავი ტყავის ყდა გაეკეთებინა. სათაური მაგარი რომანტიკული ჰქონდა. წაიკითხე და შენი აზრი მითხარო, მოაყოლა. კაი-მეთქი, ვუთხარი.

სახლში წავიღე, ლუდის ბოთლი გავხსენი, საწოლში შევწეცი და დავიწყე.

თავიდან კარგად წავიდა. თვითონ ჯანკოს ამბავი იყო, როგორ ცხოვრობდა პატარა ნაქირავებ ოთახებში და როგორ შიმშილობდა, სანამ სამუშაოს ეძებდა. დასაქმების სამსახურებთან არასდროს უმართლებდა. მერე ერთხელ ბარში ბიჭი გაიცნო. რაღაც განათლებული და ნასწავლი ბიჭი ჩანდა, მაგრამ ერთი ნაკლი ჰქონდა - მისგან სულ ფულს სესხულობდა და მერე აღარ უბრუნებდა.

პატიოსნად დაწერილი რამე იყო.

იქნებ არც ვარ მართალი და ბიჭზე სწორი წარმოდგენა ვერ შევიქმენი-მეთქი, გავიფიქრე.

სანამ ვკითხულობდი, სულ ამის იმედი მქონდა. მერე ეს შენი რომანი სულ ნაწილ-ნაწილ დაიშალა. არ ვიცი, რატომ, მაგრამ როგორც კი რომანში ფოსტის ეპიზოდი შემოვიდა, დამაჯერებლობაც მაშინვე დაკარგა.

რაც მეტს ვკითხულობდი, მით უარესი და უარესი ხდებოდა ნაწერი. ამბავი ასე მთავრდებოდა: ბიჭი ოპერაში წავიდა. ანტრაქტის დრო მოვიდა. ბიჭმა დარბაზიდან გასვლა დააპირა, უნდოდა, უგულო, ყეყეჩ ადამიანებთან შეხვედრისთვის თავი აერიდებინა. ამ სურვილში მეც მის გვერდით ვიყავი. მერე, გასვლისას, რომელიღაც სვეტს შემოუარა და მოსახდენიც იქ მოხდა. თან ძალიან სწრაფად. ბიჭი ერთ დახვეწილ, კულტურულ, მშვენიერ არსებას შეეჯახა, კინაღამ წააქცია.

მერე დიალოგი ასე განვითარდა:

- ოჰ, დიდ ბოდიშს გიხდით!

- არაფერია, არაფერი...

- არ მინდოდა... მაპატიეთ... ძალიან ვწუხვარ!..

- ოჰ, გარწმუნებთ, საბოლოო არაფერია!  
- მაგრამ... ხომ ხვდებით, ვერ დაგინახეთ.. როგორ ვწუხვარ...  
- არაფერია, ნამდვილად არაფერი. საბოლოო არაფერი გაქვთ...

და აი, ეს დიალოგი გვერდ-ნახევრის განმავლობაში დაახლოებით ამნაირად გრძელდებოდა.

არა, მართლა გიჟი იყო საწყალი ბიჭი.

ბოლოს ირკვეოდა, რომ ქალი, მართალია, თეატრის სვეტებს შორის მარტო დაეხეტებოდა, სინამდვილეში ერთი ექიმის ცოლი იყო, ოღონდ ექიმს ოპერის არაფერი გაეგებოდა, ის კი არადა, ისეთი მარტივად აღსაქმელი მუსიკისაც კი არაფერი გაეგებოდა, როგორც რაველის „ბოლერო“ ან დე ფალიას „სამკუთხა ქუდია“. ამ ამბავში მე ექიმის გვერდით ვიყავი და მხარს ვუჭერდი.

ამ ორი მგრძნობიარე სულის შეხვედრას რაღაც გაგრძელებაც მოჰყვა. ერთმანეთს კონცერტებზე ხვდებოდნენ და მერე სადღაც-სადღაც ნაუცბათევეად იმასშვრებოდნენ კიდევ (ეს მთლად ასე პირდაპირაც არ ეწერა, უფრო იგულისხმებოდა, რადგან ორივე მეტისმეტად დახვეწილი იყო საიმისოდ, რომ მარტივად ეტყნაურათ).

ბევრი რომ არ გავაგრძელო, რომანიც დამთავრდა. საბრალო მშვენიერ ქმნილებას ქმარიც უყვარდა და რომანის გმირიც (ჯანკო). აღარ იცოდა, რა ექნა, და ამიტომ, რასაკვირველია, თავი მოიკლა. დატოვა ასე ეს ექიმი და ჯანკო მარტოები, თავ-თავიანთ სააბაზანოებში.

მეორე დღეს იმ ბავშვს ვეუბნები: „დაწყებით, ძალიან კარგად იწყება. მაგრამ ეს სვეტებთან მიხუჭუჭებულ-მოხუჭუჭებული დიალოგი კი უნდა ამოაგდო. არ ვარგა..“

- არა! ყველაფერი ისე დარჩება, როგორცაა! - მომახალა.

თვეები გადიოდა, რომანი კი დროდადრო კვლავ უკან მიბრუნდებოდა.

- ღმერთო ჩემო! - მითხრა ერთხელ, - ნიუ-იორკში ჩასვლაც კი არ შემიძლია, რომ გამომცემლები გავიცნო, ხელი ჩამოვართვა!

- მისმინე, ბავშვო, არ გინდა, რომ ამ სამსახურს შეეშვა? დაჯექი სადმე პატარა ოთახში და წერე შენთვის. გააშალაშინე.

- შენნაირ კაცს კი შეუძლია ეგ გააკეთოს, - მითხრა, - კაცი შემოგხედავს, ლოთს გავხარ. შენ სამსახურს ყველა მოგცემს, იმიტომ რომ ეგრევე მიხვდება, სხვა გამოსავალი არ გაქვს და მეორე დღეს არსად გაექცევი. მე კი არავინ ამიყვანს - შემომხედავენ, დაინახავენ, რომ გონიერი, განათლებული კაცი ვარ და იფიქრებენ, არაა ეს ამ სამსახურში დიდხანს გამჩერებელი, ამის აყვანას რა აზრი აქვსო.

- მაინც ამას გეტყვი, დაჯექი შენთვის ერთ პატარა ბინაში და წერე.

- ჰო, მაგრამ რაღაც დასაყრდენი ხომ მჭირდება!

- კიდევ კარგი, ყველა შენსავით არ ფიქრობდა. კარგია, რომ ვან გოგი არ ფიქრობდა ეგრე.

- ვან გოგს საღებავებით მისი ძმა ამარაგებდა! მომადახა ბალღმა.

მერე დოღზე ახალი სისტემა შევიმუშავე. კვირაში ორ-სამჯერ დავდიოდი სათამაშოდ და თვე-ნახევარში 3000 დოლარი მოვსხენი. ოცნებებში კარგი რამეების წარმოდგენა დავიწყე: აი, ზღვის პირას მდგარი პატარა სახლი, მე - მშვენივრად ჩაცმულ-დახურული, დამშვიდებული, დილაობით ადრე ვდგები, იმპორტულ მანქანაში ვჯდები და აუჩქარებლად მივუყვები იპოდრომის გზას; კიდევ... მზამზარეული სადილები, ბიფშტექსები და კაი-კაი სასმელები - სადილამდე და სადილის შემდეგ - ფერად-ფერად ჭიქებში ჩამოსხმული... ოფიციატებს ფულს ვჩუქნი. ძვირფას სიგარებს ვეწევი... და კიდევ ქალები, ქალები, რამდენიც გინდა, სულ და გულო. ეგეთ ფიქრებში გადავარდნა ძალიან ადვილია, როცა იპოდრომის სალაროდან მსხვილ-მსხვილ კუპიურებს გაწვდიან; როცა ერთ ექვსფარლონგიან გარბენზე კეთდები, და, ვთქვამთ, წუთსა და ცხრა წამში დაახლოებით იმდენს შოულობ, რამდენსაც სამუშაოზე მთელ თვეში გიხდიან.

ამჟამად კი მარშრუტების განყოფილების უფროსის კაბინეტში ვიდექი. კაბინეტის პატრონი საკუთარ მაგიდასთან იჯდა. მე პირში სიგარა მქონდა გაჩრილი და ვისკის ოხშივარს ვაფრქვევდი. ჯიბეში ფულს ვგრძნობდი და თვითონაც კაი ტკიცინა კუპიურასავით გამოვიყურებოდი.

- მისტერ უინტერს,- ვუთხარი იმ კაცს, - საფოსტო სამსახურისგან კარგის მეტი არაფერი მახსენდება, მაგრამ ახლა სამსახურის ფარგლებს გარეთ რაღაც ბიზნესინტერესები გამიჩნდა, მართალი გითხრათ, ვალდებულიც კი ვარ, იმ საქმეს მივხედო. თუ შევე-



ბულებას ვერ მომცემთ, იძულებული გავხდები, სამსახურს თავი დავანებო.

- კეთილი. ფორმა შეავსეთ, ჩინასკი, და მე ხელს მოვაწერ. მაგრამ მხოლოდ 90 სამუშაო დღით შემიძლია თქვენი გათავისუფლება.

- თანახმა ვარ, - ვუთხარი და ძვირფასი სიგარის ცისფერი კვამლი გრძელ შლექითად გამოვუშვი პირიდან.

ამასობაში იპოდრომის სარბენი ტრეკი სანაპიროს გაყოფე-ბაზე რამდენიმე ასეული მილით ქვემოთ გადაიტანეს. მე ქალაქში ნაქირავები ბინის ქირას მაინც ვიხდიდი. დოღზე წასვლას რომ გადავწყვეტდი, მანქანაში ვჯდებოდი და ისე მივდიოდი. ხანდახან - კვირაში ერთხელ ან ორჯერ - მანქანითვე ჩავდიოდი ქალაქში, ჩემს ფოსტას ვნახულობდი, ზოგჯერ ღამესაც ვათევდი, მერე კი ისევ უკან ვბრუნდებოდი.

კარგად ვცხოვრობდი მაშინ, კარგი ცხოვრებით, და მოგებაც მაგიტომ დავიწყე. თითოეული დოღის შემდეგ, საღამოობით, რამე მსუბუქ სასმელს გეახლებოდი და ბარმენსაც კარგ ფულს ვუტოვებდი. მეჩვენებოდა, რომ ახალი ცხოვრება დავიწყე. თითქოს ისეთს არაფერს ვაკეთებდი, რამე შემშლოდა და ყველაფერი გამეფუჭებინა.

ერთხელ ბოლო გარბენსაც კი აღარ დავლოდებივარ, პირდაპირ ბარში შევაჭერი.

ჩემი სტანდარტული ფსონი ნებისმიერ ცხენზე ორმოცდაათი დოლარი იყო. ორმოცდაათდოლარიანი ფსონის დადებას რომ შეეჩვევი, მერე თავს ისე გრძნობ, თითქოს 5 ან 10 დოლარს ხარ ჩამოსული.

- წყლიანი ვისკი მინდა, - ვუთხარ ბარმენს, - ამ გარბენს, ალბათ, რადიოთი მოვუსმენ.

- რომელ ცხენზე დადეთ ფსონი?

- „ლურჯ წინდაზე“, - ვუთხარი, - 50, გამარჯვებაზე.

- ეგ ცხენი ძალიან მძიმეწონიანია.

- შენ რა, ხუმრობ? კარგი ცხენი ექვსიათასდოლარიან გარბენში 122 გირვანქას ისე მოხვეტს, როგორც არაფერი. ეს კი, პირობების თანახმად, იმას ნიშნავს, რომ ცხენმა იმდენი მოახერხა, რაც ამ გარბენში არც ერთ ცხენს არ გაუკეთებია.

რა თქმა უნდა, „ლურჯ წინდაზე“ ფსონს ამის გამო არ ჩავსულვარ. ყოველთვის სხვების დაბნევას ვცდილობდი. არ მინდოდა, ჩემს არჩევანში მეწილე მყოლოდა.

იმ დროს იპოდრომებზე ჯერ შიდა ტელევიზორები არ ჰქონდათ. მხოლოდ ყურის გდება შეიძლებოდა, როგორ აცხადებდნენ ფსონებს. უკვე 380 დოლარი მქონდა მოგებული. უკანასკნელი გარბენი რომც წამეგო, 330 დოლარი მოგება მაინც მრჩებოდა. იმ დღეს მაგრად ვიმუშავე.

მე და ბარმენი ერთად ვუსმენდით. კომენტატორი გარბენში მონაწილე თითოეულ ცხენს ცალკე აცხადებდა, მართო „ლურჯი წინდა“ არ უხსენებია.

ვიფიქრე, ეტყობა, ჩემი ცხენი წაიქცა-მეთქი.

ცხენები სწორ მონაკვეთზე გამოვიდნენ, უკვე ფინიშს უახლოვდებოდნენ. ეს იპოდრომი იმით იყო ცნობილი, რომ ეს მონაკვეთი მოკლე ჰქონდა.

მერე კი, ზედ გარბენის დასრულების წინ, კომენტატორი უცებ აცხადებს:

„და აი, მოულოდნელად, „ლურჯი წინდა“ წინ იჭრება და ყველას ასწრებს! ყველას ასწრებს! ეს... „ლურჯი წინდაა!“

- ბოდიშს გიხდი, - ვუთხარი ბარმენს, - ამწუთას დავბრუნდები. კიდევ ერთი წყლიანი ვისკი დამისხი, ორმაგი.

- დიახ, სერ! - თავი დამიქნია ბარმენმა.

ტრიბუნის უკანა მხარეს გავედი, სადაც ფეხით სავალი გზის პირას პატარა ტოტალიზატორი იდგა. „ლურჯი წინდის“ გასწვრივ 9/2 ეწერა, რვა ან ათი ერთთან კი არა. მაგრამ მე გამარჯვებაზე ვდებდი ფსონს და არა ფასზე. ვიფიქრე, 250 დოლარს და რაღაც ხურდას ავიღებ-მეთქი. ბარში შევბრუნდი.

- ხვალ რომელზე აპირებთ ფულის დადებას, სერ? - მკითხა ბარმენმა.

- ხვალამდე ჯერ დიდი დროა, - ვუპასუხე.

ვისკი ბოლომდე ჩავისხი, ბარმენს დოლარი დავუტოვე და წამოვედი.

ყოველ საღამოს ერთი და იგივე ხდებოდა. მანქანით სანაპიროს მიუყვებოდი და სასადილოდ კარგ ადგილს ვარჩევდი ხოლმე. ძვირიან რესტორნებს ვეძებდი, ისეთებს, სადაც ბევრი ხალხი არ იქნებოდა. რესტორნის არჩევაში ყნოსვა გამომიმუშავდა. გარედან შევხედავდი და უკვე ვიცოდი, შიგნით რაც ხდებოდა. ყოველთვის ვერ იშოვიდი ისეთ მაგიდას, რომელიც პირდაპირ ოკეანეს გადასცქეროდა, მეტადრე, თუ დასალოდებლად არ გეცალა, მაგრამ ოკეანე და მთვარე მაინც მშვენივრად ჩანდა, შეგეძლო, უბრალოდ, დამჯდარიყავი და ეგრევე რომანტიკას მისცემოდი, საკუთარი თავისთვის ცხოვრებით ტკბობის უფლება მიგეცა. ყოველთვის ცოტაოდენ სალათს და სტეიკის დიდ ნაჭერს ვითხოვდი. ოფიციალტი ქალები კეკლუცად მიღიმოდნენ და ჩემს სიახლოვეს ტრიალებდნენ. ცხოვრებაში ძალიან გრძელი გზა გამოვიარე, სადღა იყო ის ბიჭი, სასაკლაოებზე რომ დაძვრებოდა, რკინიგზის მუშებთან ერთად ქვეყანას აღმა-დაღმა სერავდა, ძაღლების ორცხობილების ფაბრიკაში მუშაობდა, პარკებში ხის მერხებზე ეძინა და ამ ქვეყნის ათობით ქალაქში გროშების ფასად იწყვეტდა წელს.

სადილობას რომ მოვათავებდი, მოტელს ვუწყებდი ძებნას. ამასაც მანქანით ავლა-ჩამოვლა სჭირდებოდა. ჯერ სადმე ვისკის და ლუდის საყიდლად ვჩერდებოდი. ტელევიზორიან ადგილებს ვერიდებოდი. სამაგიეროდ, იყო გავკრიალებული თეთრეული, ცხელი შხაპი და კაი ცხოვრება. ჯადოსნური ცხოვრება მქონდა. ეგეთი ცხოვრება არ მდლიდა და არ მბეზრდებოდა.

ერთხელ, გარბენებს შორის შუალედში, ბარში ვიჯექი და ის ქალი დავინახე. ღმერთია თუ ვინც არის, სულ ნაირ-ნაირ ქალებს ქმნის და ქუჩაში კარტივით ყრის, ჰოდა, ზოგს ძალიან დიდი ტრაკი აქვს, ზოგს ძალიან პატარა ძუძუები, ვიღაცა გიჟია, ვიღაცა - გადარეული, ერთს რელიგიაზე აქვს კრამიტი დაცურებული, მეორე ჩაის ნაყენზე მკითხაობს, რომელიღაცა კუილს ვერ იკავებს, ვიღაცას ძალიან დიდი ცხვირი აზის, ვიღაცას გაძვალტყავებული ფეხები აქვს...

თუმცა ხანდახან ისეც ხდება, რომ გამოგეცხადება, მაგრამ რა გამოგეცხადება - ქალი კი არა, მწიფე ნაყოფი, იმისთანა, კაბა სადაცაა ტანზე თავისით რომ შემოეხევა... სექსისთვის შობილი ქმნილება, წყევლა, ყველაფრის წერტილი და დასასრული. გავიხედე და ზუსტად ეგეთი იჯდა სადღაც, ბარის მეორე ბოლოში. უკვე მაგრად იყო გატრეტილი და ბარმენი მომსახურებაზე უარს ეუბნებოდა, ქალი შარზე იყო და ბარის მეპატრონემ იპოდრომის პოლიცია გამოიძახა, პოლიციელები კი ქალს მკლავში ჩააფრნდნენ და გასასვლელისკენ ექაჩებოდნენ. თან რაღაც შელაპარაკებას ჰქონდა ადგილი.

მე სასმელი პირში ჩავიცალე და იმათ მივყევი.

- ოფიცერო! ოფიცერო!

პოლიციელი შეჩერდა და გამომხედა.

- ჩემი ცოლია. რამე დააშავა? - ვკითხე.

- დარწმუნებულები ვართ, რომ სასმელი ზედმეტი მოუვიდა, სერ. გასასვლელისკენ ვაპირებდით მის მიცილებას.

- რომელი გასასვლელისკენ, თან შემოსასვლელიც რომაა?

პოლიციელს გაეცინა. - არა, სერ. იპოდრომის გასასვლელისკენ.

- ახლა მე მივხედავ ამ საქმეს, ოფიცერო.

- კეთილი, სერ. მაგრამ თვალყური ადევნეთ, მეტი აღარ და-  
ლიოს.

აღარაფერი ვუპასუხე. ქალს მკლავში ხელი მოვკიდე და უკან  
შემოვიყვანე.

- მადლობა ღმერთს. გადამარჩინეთ, - მითხრა.

მისი თეძო ჩემსას ეხახუნებოდა.

- სამადლობელი არაფერია. ჰენკი მქვია.

- მე - მერი ლუ.

- მერი ლუ, მიყვარხარ.

გაეცინა.

- მართლა, ერთი ეს მითხარი, ოპერაში სვეტების უკან ხომ არ  
იმალები ხოლმე?

- მე არასდროს და არაფერს ვემალები, - მითხრა და ძუძუები  
წინ წამოზიდა.

- დალევ კიდევ რამეს?

- რა თქმა უნდა, მაგრამ ის ოფიციალური აღარ მომემსახურება.

- ამ იპოდრომზე ეს ერთადერთი ბარი კი არაა, მერი ლუ. მოდი  
ცოტა ზემოთკენ წავიდეთ. შენ ჩუმად იყავი, ხმა არ ამოიღო.  
ბურგს უკან დამიდექი და სასმელს მე შევუკვებთავ. რას დალევ?

- რასაც შეუკვებთავ.

- ვისკი წყლით წავა?

- რა თქმა უნდა.

დღის ბოლომდე რაღაცას ვსვამდით. მერი ლუმ იღბალი მო-  
მიტანა. სამი გარბენიდან ორი მოვიგე.

- მანქანით ხარ?

- არა, აქ ერთ გამოშტერებულ იდიოტთან ერთად მოვედი, -  
მითხრა, - დაივიწყე, ვითომ არც არსებობს.

- შენ თუ შეგიძლია დავიწყება, მე მით უმეტეს დავივიწყებ.

მანქანაში ერთმანეთს ჩავეხვიეთ და მისი ენა პირში ისე ამი-  
სავსავდა, როგორც პატარა გზააბნეული გველი. მერე ერთმა-

ნეთს მოვწყდით და სანაპიროს გავუყევი. იღბლიანი ღამე იყო. ოკეანისხედიანი მაგიდაც ვიპოვე, სასმელი შევუკვეთეთ და სტეიკს დაველოდეთ. რესტორანში ყველა მერი ლუს უყურებდა. წინ გადავიხარე, სიგარეტისთვის სანთებელა ავუნთე და თან იმაზე ვფიქრობდი, აი, ეს მართლა ძალიან კარგი იქნება-მეთქი. გარშემო ყველა ხვდებოდა, რაზე ვფიქრობდი, მერი ლუს ხვდებოდა, და მეც გავუღიმიე, სანამ ალი სახეს მინათებდა.

- ოკეანე, - ვუთხარი, - ნახე, იქით გაიხედე. ნაპირს ურტყამს, ეხახუნება. ამ ყველაფრის ქვეშ თევზებია, საცოდავი პატარა თევზები, ერთმანეთს ებრძვიან, თავს არ აჭმევიანებენ. ჩვენ აქეთა მხარეს ვართ, თორემ ზუსტად ამ თევზებივით ვართ. ერთი შეცდომა, ერთი არასწორი მოძრაობა და გათავებულია შენი საქმე. მაგარი შეგრძნებაა, როცა ჩემპიონი ხარ. მაგარია, როცა იცი, რა მოძრაობა გაქვს გასაკეთებელი.

კოლოფიდან სიგარეტი ამოვიღე და მოვუკიდე.

- დაგისხა კიდევ, მერი ლუ?

- კარგი, ჰენკ.



სადღაც იქვე ვიპოვეთ სასტუმროც. ოკეანეს გასწვრივ აეშენებინათ, პირდაპირ ზედ გადაჰყურებდა. ძველი აშენებული კი იყო, მაგრამ იქაურობას კლასი და დახვეწილობა ეტყობოდა. ზემოთ ოკეანის სუნთქვა და სუნი იგრძნობოდა, ისმოდა, როგორ აწყდებოდნენ მოქცევის ტალღები ნაპირს:

აქეთ-იქით, აქეთ-იქით.

ვისხედით, ვსვამდით, სად გვეჩქარებოდა. მერე მაგიდას შემოვუარე და სოფაზე გვერდით მივუჯექი. რაღაცას ვშვრებოდით ამ სიცილ-სიცილში, საუბარში და ტალღების ხმაურში. მე ტანზე გავიხადე, მერი ლუს არ გავახდევინე. მერე ხელში აყვანილი საწოლისკენ წავიყვანე, ზემოდან მოქცეულმა ჯერ ტანისამოსი შემოვაძარცვე სხეულზე და მერე შიგ შევადწიე. შეღწევა გამიჭირდა, მაგრამ ბოლოს მოდუნდა და მიმიშვა.

მართლა ძალიან მაგარი იყო. მესმოდა, როგორ აწყდებოდნენ ტალღები აქეთ-იქით და მეჩვენებოდა, რომ მთელ ოკეანესთან ერთად ვათავებდი, რომ ეს არასოდეს, არასოდეს დამთავრდებოდა. მერე მოვწყდი და გვერდზე გადავკორდი.

- ღმერთო ჩემო! - აღმომხდა, - ოჰ, ღმერთო ჩემო!

აზრბე არ ვარ, როგორ ახერხებს ღმერთი სულ ამნაირ ამბებში გახვევას.

მეორე დღეს მისი მოტელიდან რაღაც-რაღაცების წამოსაღებად წავედით. ოთახში ვიღაც პატარა შავ-შავი ტიპი დაგვხდა, ნესტოზე გარედან მეჭეჭი აჯდა. ცოტა საშიში გარეგნობა ჰქონდა.

- ამასთან ერთად მიდიხარ? - ჰკითხა მერი ლუს.

- კი.

- კარგი. ღმერთმა ხელი მოგიმართოს, - სიგარეტს მოუკიდა.

- გმადლობ, ჰექტორ.

ჰექტორიო? რა სახელია ეს ჰექტორი, სად იშოვა?

- ლუდს დაღევ? - მერე მე მკითხა.

რატომაც არა-მეთქი, ვუპასუხე.

ჰექტორი საწოლის კიდეზე იჯდა. სამზარეულოში გავიდა და სამი ქილა გამოიტანა. კარგი ლუდი იყო, იმპორტული, გერმანული. მერი ლუს ბოთლი გაუხსნა და მისი წილი ჭიქაში დაასხა. მერე მე გამომხედა:

- ჭიქით დაღევ?

- არა, გმადლობ.

ავდექი და ბოთლი გამოვართვი.

ვისხედით და ლუდს უხმოდ ვსვამდით.

მერე მითხრა:

- ეგეთი მაგარი ხარ, რო მე ქალი ამახიო?

- მაგდენი არ ვიცი. არჩევით ქალმა უნდა აირჩიოს. თუ შენთან დარჩენა უნდა, დარჩება. არ გინდა, თვითონ ჰკითხო?

- მერი ლუ, დარჩები ჩემთან?

- არა, - უპასუხა მერი ლუმ, - ამასთან ერთად მივდივარ, - და ხელი ჩემკენ გამოიშვირა.

თავი კაცად ვიგრძენი. იმდენი ქალი წამიგია სხვა კაცებთან ამ ცხოვრებაში, ახლა ძლივს პირიქით ხდებოდა და ეს განცდა ძაან

მეამა. სიგარეტს მოვუკიდე. მერე საფერფლის მოსაძებნად მივიხედ-მოვიხედე. კომოდზე დავინახე ერთი ცალი.

თვალი სარკისკენ გამექცა, თავის შეთვალეობა მომინდა, რომ დამენახა, როგორ გამოვიყურებოდი ასე ნამთვრალევი და ბუსტად ამ დროს დავინახე, რომ ჩემკენ გამოქანდა ისარივით. ხელში ჯერ ისევ ლუდის ბოთლი მეჭირა. გამოვტრიალდი, ხელი მოვუქნიე და იმ ბოთლმა პირდაპირ ღრანჭში უწია. პირი სისხლით და დამსხვრეული კბილებით აევსო. მუხლებზე დაეცა, აღმუვლდა ჰექტორი, ორივე ხელი პირზე აიფარა. ცალ ხელში სტილეთი დავუნახე. ფეხი ამოვარტყი, რომ გამეგდებინებინა, სტილეთი ავიღე და შევათვალეირე. ცხრაინჩიანი პირი მაინც ექნებოდა. ღილაკს თითი დავკარი და პირი ტარში შეიმალა, მერე ჩემს ჯიბეში ჩავუძახე.

ჰექტორი იატაკზე დამხობილი ტიროდა. მივედი და ტრაკში პანჩური ამოვარტყი. იატაკზე გაერთხა, ტირილი არ შეუწყვეტია. მისი ლუდის ბოთლი ავიღე და მოვსვი.

მერე მერი ლუს მივუახლოვდი და სახეში ვშვლიპე. შეჰყვირა.

- შენი მოწყობილია ეს ამბავი, არა, შე დედამოტყნულო? ამ მაკაკას აკვლევინებდი ჩემს თავს საცოდავი ოთხასი თუ ხუთასი დოლარისთვის?

- არა, არა! - დაიძახა მერი ლუმ, ისიც ტიროდა. ახლა უკვე ორივე ერთად ტიროდა.

ისევ გავულაწუნე.

- ამით ირჩენ თავს, შე ბობანდარა? ხალხს აკვლევინებ ფულის გულისთვის?

- არა, არა, ჰენკ, მე მიყვარხარ, მართლა მიყვარხარ!

იმ ლურჯი კაბის საყელოში ვწვდი და ცალ მხარეს წელამდე ჩამოვახიე. ლიფი არ ეცვა. არც სჭირდებოდა იმ ჩათლახს.

იქაურობას გამოვეცალე, გარეთ გამოვედი და მანქანით იპოდრომის გზას გავუყევი. ორი თუ სამი კვირა წამდაუწუმ მხა-

რუკულმა ვიყურებოდი და ყველანაირ ხმაურზე ვხტოდი. არც არაფერი მომხდარა. მას მერე მერი ლუ იპოდრომზე აღარ მინახავს. არც ჰექტორი გამოჩენილა.

მერე ფულმა ჩემს ჯიბეში ელვის სისწრაფით იწყო დნობა და მალე დოღზე სიარულს თავი დავანებე. ჩემს ნაქირავებ ბინაში ვიჯექი და შვებულების 90 დღის გასვლას ველოდებოდი. სმისა და დაძაბულობისგან ნერვები აღარ მივარგოდა. ვინ არ იცის, როგორ იპყრობენ ხოლმე ქალები კაცებს. გგონია, ეს არის, ცოტა სულს მოვითქვამო, და, გაიხედავ და საიდანღაც კიდევ ერთი გამოტყვრება. სამსახურში ორი დღის დაბრუნებული ვიყავი, როცა შემდეგი გამოჩნდა. ფეი ერქვა. ფეის ჭაღარა თმა ჰქონდა და სულ შავი ტანსაცმლით დადიოდა. მითხრა, ომის წინააღმდეგ გამოვდივარო. ფეის ომის გაპროტესტება თუ უნდოდა, მე მაგის საწინააღმდეგო რა უნდა მქონოდა. წაუმწერლებდასავით და შიგადაშიგ ლიტერატურულ სემინარებს ესწრებოდა. იდეები ჰქონდა, სამყაროს ხსნას აპირებდა. ჩემთვის მაინც რომ მოეხერხებინა ჩემი წილი სამყაროს ხსნა, ეგეც საქმე იქნებოდა. ყოფილი ქმრის ალიმენტებით ცხოვრობდა (სამი საერთო შვილი ჰყავდათ) და, მაგის გარდა, დედამისიც უგზავნიდა ფულს ხანდახან, თორემ ფეი ცხოვრებაში სულ ერთ თუ ორ ადგილას იყო ნამუშევარი.

ამასობაში ჯანკოს თავი ახალი ქაქით გამოეცხო. მის გამო ყოველ დილას თავგასიებული ვბრუნდებოდა შინ. იმ პერიოდში სულ საგზაო პოლიცია მაჩერებდა. საკმარისი იყო, მანქანის სარკეში ჩამეხედა, შიგ წითლად მოციმციმე შუქებს ვხედავდი. ხან პატრულის მანქანა იყო, ხან - ველოსიპედი.

ერთ ღამეს სახლში ძალიან გვიან დავბრუნდი. დაღლილობისგან ნაცემივით ვიყავი. გასაღების ამოღება და გადატრიალება კი ძლივს მოვახლაფორთე. საძინებელში შევედი და ფეი დავინახე, საწოლზე მიწოლილი „ნიუ-იორკერს“ კითხულობდა და შოკოლადს ჭამდა. გამარჯობაც კი არ უთქვამს წესიერად.

სამზარეულოში გავედი - ეგებ რამე საჭმელი მოვნახო-მეთქი. მაცივარი ცარიელი იყო. წყლის დაღვევა მომინდა. ჭიქა ავიღე და ნიჟარასთან მივედი. ნაგვით იყო სავსე. ფეის თავსახურიანი ცარიელი ქილების შენახვა უყვარდა. ნიჟარა ნახევრამდე ჭუჭყიანი თეფშებით იყო სავსე, ზემოდან კი, ქაღალდის თეფშებთან ერთად, ეს ქილები და თავსახურებიც ტივტივებდა.

გავბრუნდი ისევ საძინებელში. ზუსტად იმ დროს შევედი, როცა ფეი ახალ კანფეტს იღებდა პირში.

- მომხედე, ფეი, - ვუთხარი, - ვიცი, რომ მთელი სამყარო გყავს გადასარჩენი, ოღონდ არ შეიძლება, ეგ საქმე ამ სამზარეულოდან დაიწყო?

- სამზარეულო სულ არ არის მნიშვნელოვანი, - მიპასუხა.

ახლა ჭაღარა ქალს ხელის შემორტყმას როგორ ვაკადრებდი, ამიტომ უხმოდ გავედი სააბაზანოში და წყალი მოვუშვი. ცხელი აბაზანა ნერვებს ამშვიდებსო, ეგრე მქონდა გაგონილი. აბაზანა რომ აივსო, უცებ შიგ ჩაწოლა შემეშინდა. ისეთი გაფიჩინებული იყო ჩემი გასავათებული სხეული, შემეშინდა, არ ჩავიხრჩო-მეთქი.

წინა ოთახში გავედი, ცოტა ვიწვალე და, ბოლოს, როგორც იქნა, ყველაფერი გავიხადე: პერანგი, შარვალი, ფეხსაცმელი, წინდები. საძინებელში შევედი და ფეის გვერდზე მივუწეე. ადგილს ვერ ვპოულობდი, ყოველი განძრევა ტკივილს მაყენებდა.

- მარტო ველარ დარჩენილხარ ჩინასკი, - შეფიქვლე ჩემს თავს, - დიდი-დიდი, მანქანით სამსახურში წასვლა-მოსვლისას თუ გელირსება, შე საწყალო.

ბოლოს მუცელზე წოლა ვარჩიე. მთელი ტანი მტკიოდა, თან მალე ისევ სამსახურში ვიყავი წასასვლელი. გამოძინება ჯობდა, ეგებ ტკივილი ძილში მაინც გამყუჩებოდა. წამდაუწუმ ფურცლის შრიალი მესმოდა და შოკოლადიანი პირის წკლაპუნის ხმა. სწორედ ერთ-ერთი ისეთი საღამო იყო, როცა ლიტერატურული სემი-

ნარიდან გახლდათ დაბრუნებული. შუქი მაინც რომ გამოერთო, მადლს იზამდა, მაგრამ არ შვრებოდა.

- როგორ ჩაიარა სემინარმა? - ვკითხე პირქვე დამხობილმა.

- რობის ამბავი მაწუხებს.

- ოჰ, რაშია საქმე, შეემთხვა რამე?

რობი ბარე ორმოცი წლის კაცი იყო და ჯერაც დედამისთან ერთად ცხოვრობდა. მასზე მარტო ის ვიცოდი, რომ კათოლიკურ ეკლესიაზე საშინლად სასაცილო მოთხრობებს წერდა. ჟურნალები რობის ნაწერების გამოსაქვეყნებლად ჯერ არ იყვნენ მზად, თუმცა კანადაში რომელიღაც ჟურნალმა მაინც დაუბეჭდა რაღაც. რობი ერთ საღამოს გავიცანი, როცა სამსახურიდან დავეთხოვე. ფეი მანქანით წავიყვანე რომელიღაც ვილაში, სადაც მწერლები ერთმანეთს თავ-თავიანთ რაღაცებს უკითხავდნენ. „ოჰ, რობიც აქ ყოფილა! - მითხრა მაშინ ფეიმ, - ეგ ბიჭი კათოლიკურ ეკლესიაზე საშინლად სასაცილო მოთხრობებს წერს“.

ფეიმ ხელი გაიშვირა. რობი ჩვენკენ ბურგით იდგა. განიერი გავა ჰქონდა, უშველებელი და ფაფუკი, და სლაქსებიდან ჰქონდა გამობზევილი. ნუთუ ამ ტრავს ვერავინ ხედავს-მეთქი, გავიფიქრე.

- შენ არ შემოხვალ? - მკითხა ფეიმ.

- იქითა კვირას. ვნახოთ, - ვუთხარი.

ფეიმ კიდევ ერთი შოკოლადი გაიქანა პირისკენ.

- რობი ნერვიულობს. სამსახური დაკარგა. ამბობს, უსამსახუროდ წერაც არ შემიძლიაო. დაცულობის განცდა სჭირდება. ამბობს, რომ სანამ სამსახურს არ იპოვის, წერას ვერ შეძლებს.

- რობი ნახე! - ვთქვი, - ისე, თუ უნდა, მე ვუშოვი სამსახურს.

- სად? როგორ?

- ჩვენთან ფოსტაში ყველა აჰყავთ, ჯერ არავინ დაუწუნებიათ. თან ცუდადაც არ იხდიან.

-ფოსტაში? ბობი მგრძნობიარე ბიჭია, ფოსტაში როგორ იმუ-  
შავენს!

- ბოდიში, - ვუთხარი, - ვიფიქრე, მაინც შევთავაზებ-მეთქი. ძი-  
ლი ნებისა.

ფეიმ არ მიპასუხა. გაბრაზებული იყო.



პარასკევს და შაბათს დასვენების დღეები მქონდა, ამიტომ კვირაობით ყველაზე მძიმე დღე გამომდიოდა. ამას თან ისიც ემატებოდა, რომ მაიძულებდნენ, კვირაობით დილის ოთხის ნახევარზე გამოვცხადებულიყავი, ჩვეული ნ.18-ის მაგიერ.

იმ კვირასაც ასე მივედი და მაშინვე დოკუმენტაციის განყოფილებაში მივრეს თავი, რაც იმას ნიშნავდა, რომ იმ დღეს, სულ ცოტა, რვა საათი მაინც ფეხზე უნდა გამეტარებინა. ამასობაში ჩემს ტკივილებს თავბრუსხვევებიც დაემატა. თვალებში მიბნელებოდა, თითქოს სადაცაა გულიც უნდა წამსვლოდა, მაგრამ მერე თავს ვერეოდი.

ის დღე საშინელი გამოდგა. ფეის ვიღაც მეგობრები მოვიდნენ, დივანზე ჩამოლაგდნენ და აჭიკჭიკდნენ, რა მაგარი მწერლები ვართ, ამ ქვეყანას ჩვენნაირები ჯერ არ ღირსებიანო. ერთადერთი მიზეზი, რის გამოც დღემდე არაფერი ჰქონდათ გამოქვეყნებული, ის იყო (თვითონ ეგრე ამბობდნენ), რომ გამომცემლობებისთვის არაფერი დაეგზავნათ.

ერთი კი გავხედე ამ ხალხს. თუ ისევე წერდნენ, როგორც გამოიყურებოდნენ, როგორც ყავას წრუპავდნენ, ჭიხვინებდნენ და დონატებს იყრიდნენ მუცელში, მაშინ რა მნიშვნელობა ჰქონდა, გამომცემლობებში დაგზავნიდნენ თუ ტრაკში გაიკვეხებდნენ.

იმ კვირადღეს ჟურნალების დახარისხება მომიხდა. ყავის დაღევა მჭირდებოდა, ერთის კი არა, ორის, და თან მგელივით მშობოდა. მაგრამ ყველა მეთვალყურეს მაშინ მოუნდა ჩვენს განყოფილებაში რუბრუბი. უკანა გასასვლელიდან გადავწყვიტე გაძრომა. კაფე მეორე სართულზე იყო. მე მეოთხეზე ვმუშაობდი. კაცების ტუალეტის გასწვრივ კარი იყო. ზედ მიკრულ აბრაზე ეწერა: ყურადღება!

ამ კიბით არ ისარგებლოთ!

დიდი შებერტყილი ხალხი იყო, მაგრამ ეგ კეთილმოხსნულები ვერ მომატყუებდნენ. ეს წარწერა იმისთვის გააკრეს აქ, რომ ჰენრი ჩინასკისტანა ჭკვიან ბიჭებს კაფეში ჩუმ-ჩუმად ვერ ერბინათ. გამოვალე კარი და კიბეს დავუყევი. ზურგს უკან კარი ჯახუნით დაიკეტა. მეორე სართულზე ჩავედი. მივადექი სართულზე გამავალ კარს. რა ჯანდაბაა! კარი არ გაიღო. ჩაკეტილი იყო. ავიარე კიბე, მესამე სართული, მესამის კარი არ მომისინჯავს, ეგ რომ ჩაკეტილი იყო, ისევე, როგორც პირველი სართულის კარი, უკვე ვხვდებოდი. იმ დროს უკვე კარგად ვიცოდი, რას წარმოადგენდა საფოსტო სამსახური. აქ თუ შენთვის მახის დაგებას გადაწყვეტდნენ, ამას საფუძვლიანად აკეთებდნენ. აქედან გასვლის ერთადერთი შანსი მრჩებოდა. ავბრუნდი ისევ მეოთხე სართულზე. მივადექი კარს. ისიც დაკეტილი დამხვდა.

ვიფიქრე, კიდევ კარგი, კარი კაცების ტუალეტის გვერდითაა-მეთქი. ტუალეტში სულ ვიღაც შედიოდა და გამოდიოდა. დავიწყე ლოდინი. გავიდა ათი წუთი. მერე თხუთმეტი. მერე ოცი. ამის დედა ვატირე, დავიჯერო, არავის უნდა მოჯმა, მოფსმა ან, უბრალოდ, უსაქმოდ გამოწანწალება-მეთქი? ამასობაში ოცდახუთი წუთიც გავიდა. მერე ვიღაცის სახე დავინახე. ავუტეხე კარს ბრა-ხაბრუხი.

- ეი, მეგობარო! მეგობარო!

ჩემი ხმა ვერ გაიგონა, ან თავი მოიკატუნა, რომ ვერ გაიგონა. გამიარა და ტუალეტში შევიდა.

გავიდა კიდევ ხუთი წუთი. კიდევ ერთი სახე გამოჩნდა.

უარესი ბრაგუნი ავტეხე: - მეგობარო, მეგობარო! ეი, ბიჭო... შეყლო!

აი, ამან თითქოს გაიგონა. მომიახლოვდა და რკინის სალტეებს შორის შუშიდან გამომხედა.

- გააღე ეს კარი! ვერ ხედავ, რომ აქ ვდგავარ? ჩამეკეტა! კარი გამიღე, გამოშტერებულო! - ვულრიალე.

გააღო. გავედი. ტიპი მგონი ტრანსში ჩავარდა.

იდაყვზე ხელი მოვუჭირე.

- მადლობა, ძმაო.

დავუბრუნდი ისევ ჟურნალების ამბავს.

მერე განყოფილების მეთვალყურემ შემოიარა. ჩემთან გაჩერდა და შემომხედა. ტემპს ვუკელი.

- როგორა ხართ, მისტერ ჩინასკი?

ერთი შევუღრინე და ჟურნალი ჰაერში ავაფრიალე, აჰა, უკვე გავრეკე-მეთქი, მაგრამ იმან რაღაც ჩაიბურტყუნა და გავიდა.

ფეი დაფეხმძიმდა. თუმცა ამ ამბავს დიდად არ შეუცვლია - არც ფეი და არც საფოსტო სამსახური.

ისევ კლერკები ასრულებდნენ მთელ სამუშაოს, დამხმარე პერსონალი კი შორიახლო დაყანყალებდა და სპორტზე კამათობდა. ძირითადად მოხეული შავკანიანი ტიპები იყვნენ - პროფესიონალი მოჭიდავეებივით დაკუნთულები. როგორც კი ფოსტაში ვინმე ახალი გამოჩნდებოდა, ეგრევე დამხმარე პერსონალის ამ ჭრელ გუნდში უკრავდნენ თავს. ალბათ, ამიტომ იყო, რომ მეთვალყურეებს არავინ კლავდა. ამათ შეიძლება ჰყავდათ კიდევ მეთვალყურე, მაგრამ ის თვალთ არავის ენახა. დამხმარეებს მოჭქონდათ ფურგონებით ფოსტის შენობაში ყველა ტვირთი, რომელიც სატვირთო ლიფტით ზემოთ ამოდიოდა. საათში ხუთი წუთის სამუშაო იყო. ხანდახან მიღებულ წერილებს ითვლიდნენ ან ვითომ ითვლიდნენ. ძალიან მშვიდი და ინტელექტუალური გამომეტყველება ჰქონდათ ხოლმე, როცა ყურსუკან გაჩრილი გრძელი ფანქრით ანგარიშობდნენ თავისას. თუმცა დროის უმეტეს ნაწილს სპორტზე კამათში ატარებდნენ. ყველანი ექსპერტები იყვნენ და ყველანი ერთსა და იმავე სპორტულ კომენტატორებს კითხულობდნენ.

- კარგი, ძმაო, მაშინ მითხარი, შენთვის რომელია ყველა დროის ყველაზე მაგარი მოთამაშე აუტფილდში?

- რომელი? რავი, ძმაო. უილი მეისი, თედ უილიამსი, ქობი, ალბათ.

- რაო? რაო, რა თქვი?

- ეგრეა, ეგრე, ბიჭი.

- ბეიბზე რას იტყვი? ბეიბს რას უშვრები, ძმაო?

- კარგი. კარგი. მაშინ შენთვის ვინაა აუტფილდის ვარსკვლავი? ყველა

დროის.

- ველარ გავიგე, ყველა დროის თუ ვარსკვლავი?

- ჰო, კაი ეხლა, ხო მიხვდი, რასაც ვგულისხმობ. მშვენივრად მიხვდი!

- კაი. მაშინ მე მეისს, რუთს და დი მაჯიოს ვიტყვი!

- აუ, ძმაო. ორივე მაგარი გამოშტერებულები ხართ! ჰენკ აა-რონი, ბიჭო! ჰენკი არ უნდა გეხსენებინა?

ჰოდა, ერთხელ აი ეს ხალხი დაკვეთების განყოფილებაში დააყენეს სამუშაოდ. დაკვეთების ფორმები უფრო ხშირად უფროს-უმცროსობის მიხედვით ივსებოდა. დამხმარე პერსონალი რიგ-რიგობით შედიოდა და დაკვეთების წიგნიდან თითო განცხადებას იღებდა. მერე ისევ არაფერი ჰქონდათ საკეთებელი. ხმასაც ვერავინ იღებდა. მანქანების სადგომამდე სიბნელეში მარტოს ბევრი უნდა გევლო.

მერე თავბრუსხვევა გამიხშირდა. ვგრძნობდი ხოლმე, როგორ მიახლოვდებოდა ეს მდგომარეობა. ჩემ თვალწინ ყუთი იწყებდა ბზრიალს. დაახლოებით ერთ წუთს ასე გრძელდებოდა. ვერაფრით გამეგო, რა მჭირს. ყოველი მომდევნო წერილი უფრო და უფრო მძიმე მეჩვენებოდა. კლერკებს სახეზე მკვდრისფერი ედებოდათ. სკამიდან ვცურდებოდი ხოლმე. ფეხები თითქმის ველარ მიჭერდა. ეს სამუშაო ნელ-ნელა მკლავდა.

ჩემს ექიმს მივაკითხე და ყველაფერი ვუთხარი. ექიმმა წნევა გამისინჯა.

- არა, წნევა კარგი გაქვთ.

მერე სტეტოსკოპით გამსინჯა და ამწონა.

- ცუდს ვერაფერს გატყობთ.

მერე სისხლის სპეციალური ანალიზი გამაკეთებინა. სამჯერ ამიღო ვენიდან სისხლი და ყოველ მომდევნო ჯერზე უფრო მეტი მაცდევინა.

- მეორე ოთახში ხომ არ გირჩევნიათ მოცდა?

- არა, არა, გავალ, გავისეირნებ და დროზე დავბრუნდები.

- კარგი, მაგრამ დროზე დაბრუნდით.

სისხლის მეორე აღებისთვის მართლა დროზე მივედი. მესამე ჯერისთვის უფრო მეტი უნდა მომეცადა - ასე, 20 ან 25 წუთი. მეც ავდექი და ქუჩაში გავედი. ბევრი არაფერი ხდებოდა საინტერესო. აფთიაქში შევედი, რაღაც ჟურნალს გადავაავლე თვალი. მერე ჟურნალი დავდე, საათს ავხედე და გარეთ გამოვედი. და ქალი დავინახე, ავტობუსის გაჩერებაზე იჯდა. ისეთი ქალი იყო, იშვიათად რომ ნახავ. ფეხები ჰქონდა წინ გადმოყრილი, მაგრამ რა ფეხები. იმ ქალს თვალი ვერ მოვწყვიტე. ქუჩაზე გადავედი და დაახლოებით 20 იარღის მოშორებით დავდექი.

მალე წამოდგა. უნდა გავყოლოდი, სხვანაირად არ იქნებოდა. ეს დიდი ტრაკი მიხმობდა და მიტყუებდა. მოვინუსხე, რა. ქალი ფოსტაში შევიდა, მეც შევეყევი. გრძელ რიგში ჩადგა, მეც მის უკან ჩავდექი. ორი ღია ბარათი იყიდა. მე ავიაბარათი და ორი დოლარის მარკები ვიყიდე.

გარეთ რომ გამოვედი, უკვე ავტობუსში ჯდებოდა. უკანასკნელად შევაღწე თვალი მის ნერწყვისმომდენ ფეხებს და ტრაკს და მერე ავტობუსიც დაიძრა.

ექიმი მელოდებოდა.

- მოხდა რამე? ხუთი წუთით დაგაგვიანდათ!

- არ ვიცი, ექიმო. ალბათ, ჩემმა საათმა აურია.

- ეს ანალიზი დიდ სიზუსტეს მოითხოვს!

- მიდით, დაიწყეთ. აიღეთ სისხლი. რაც არის, არის.

დამარტო ექიმმა თავისი დიდი ნემსი...

რამდენიმე დღის მერე ანალიზის პასუხებმა აჩვენა, რომ სრულიად ჯანმრთელი ვიყავი. არ ვიცი, იმ ხუთმა წუთმა შეცვალა რამე, თუ რაში იყო საქმე, მაგრამ თავბრუსულ უფრო და უფრო ხშირად მესხმოდა. ოთხ საათს რომ ვიმუშავებდი, სამსახურიდან მოვდიოდი, თან არანაირ ფორმებს და ბლანკებს არ ვავსებდი.

სალამოს თერთმეტზე უკვე სახლში ვიყავი ხოლმე. იქ კი ფეი მხვდებოდა. საწყალი გაბერილი ფეი.

- რა ხდება? - მეკითხებოდა.

- მეტს ველარ ვუძლებ, - ვეუბნებოდი, - მგრძნობიარე ბიჭი ვარ...

დორსის ბიჭებმა ჩემს პრობლემებზე არაფერი იცოდნენ.

ყოველ საღამოს უკანა შესასვლელიდან შევიდოდი, სვიტერს ვმალავდი და ჩემი სამუშაო ბარათის ასაღებად მივდიოდი.

- ძმებო და დებო! - დავიძახებდი შესვლისას.

- ჰენკ, ძმაო!

- ჰენკს გაუმარჯოს!

თამაში გვექონდა ეგეთი - შავების და თეთრების - და ბიჭები ყოველთვის ხალისით მყვებოდნენ ხოლმე. მოვიდოდა ბოიერი, ხელზე შემეხებოდა და მეტყოდა: - არა, ძმაო, მე რომ შენი კანის ფერი მომცა, უკვე მილიონერი ვიქნებოდი!

- იქნებოდი, მა რა, ბოიერ. თეთრი კანი თუ გაქვს, მეტი რაღაა საჭირო ამ საქმისთვის. არც არაფერი.

მერე პატარა, ჩამრგვალებული ჰედლი მოვიდოდა:

- ერთი შავი მზარეული იყო გემზე. ერთადერთი შავი კაცი იმ გემზე. ტაპიოკათი აცხობდა პუდინგებს, კვირაში ორჯერ ან სამჯერ, მაგრამ რომ აცხობდა, მერე თან ზედ ანძრევდა. ეკითხება ეს ხალხი, რას უშვრები ამისთანას ამ პუდინგს, ჩვენც მოგვიყვიო. ჰოდა, ეს კაცი ეუბნებოდა, საიდუმლოა ეგ, ჩემი საკუთარი რეცეპტი მაქვს გამოგონილიო, ჰაჰაჰაჰაჰაჰა!

ყველანი ვიცინოდით, ვიხოცებოდით სიცილით. ვინ მოთვლის, რამდენჯერ მაქვს მაგ პუდინგის ამბავი მოსმენილი...

- შენა, საცოდავო მათხოვარო თეთრკანიანო! შენ გეუბნებიან, ბიჭი!

- შენი ბიჭი ვინ არის, ბიჭო! მე რომ შენთვის „ბიჭი“ მეძახებინა, ეგრევე დანას გამიყრიდი. წესიერად, ბიჭი.

- თეთრო, ფითქინა, რას იტყვი, ამ შაბათ საღამოს არ წავიდეთ სადმე ერთად? ისე, მაგარი ნაშა მყავს, ქერათმიანი.



- მე კიდევ შავი გოგო მყავს, ისიც ძალიან კარგია. ახლა, თმა რა ფერის აქვს, მაგას შენც გამოიცნობ.

- ხომ ტყნავთ თეთრები ჩვენ ქალებს რამდენიმე საუკუნე. ნელ-ნელა ჩვენც გეწევით მაგ საქმეში. წინააღმდეგი ხომ არ იქნები, შენს თეთრ გოგოს ჩემი შავი რომ შევუდო?

- თვითონ თუ უნდა, რატომაც არა. ინებოს.

- შენ ინდიელებს მიწა მოჰპარე!

- აბა რა, მე მოვპარე.

- შენ მე სახლში არ დამპატიჟებ. ანდა კი დამპატიჟებ, მაგრამ უკანა კარიდან შემიშვებ, ვინმემ რომ ჩემი კანის ფერი არ დაინახოს...

- პატარა სანთელს მაინც დავტოვებ ანთებულს.

მბებრდებოდა ეს ყბედობა, მაგრამ სხვა გზა არ მქონდა.

ფეის კარგი ორსულობა ჰქონდა, მისნაირი ბებრუცანას პირობაზე - ძალიანაც კარგი. ვისხედით სახლში და ველოდებოდით. ბოლოს დროც მოვიდა.

- ჯერ ადრეა, - მითხრა ფეიმ, - არ მინდა, იქ დროზე ადრე მივიდე.

გარეთ გავედი, მანქანა შევამოწმე. შემოვბრუნდი.

- ოლოოჰ, ოჰ, - ამოიკვნესა ფეიმ, - არა, არა, ჯერ მოვიცადოთ.

ვინ იცის, იქნება სამყაროც გადაერჩინა. ისე მშვიდად ეჭირა თავი, მისით ვამაყობდი. ის დაურეცხავი თეფშებიც ვაპატიე, „ნიუ-იორკერიც“ და ლიტერატურული სემინარებიც. ბებრუხანა რა - ერთი მარტოსული არსება იყო ამ უსულგულო სამყაროში, რომელსაც ფეხებზე ეკიდა.

- ახლა უკვე დროა, წავიდეთ, - ვუთხარი.

- არა, - თქვა ფეიმ, - არ მინდა, იქ დიდხანს გალოდინო. ხომ ვიცი, არ გრძნობ თავს კარგად.

- მე რა მოსატანი ვარ. ჯანდაბას ჩემი თავი. წავედით.

- არა, გთხოვ, ჰენკ.

იჯდა ასე, გაუნძრევლად.

- მითხარი, რა გაგიკეთო? - ვკითხე.

- არაფერი.

ათ წუთს ასე იჯდა. სამზარეულოში გავედი წყლის დასალევად. რომ

შემოვედი, მკითხა: - მზად ხარ? შეგიძლია მანქანის მართვა?

- რა თქმა უნდა.

- იცი სადაა საავადმყოფო?

- კი, აბა რა.

მანქანაში ჩავსვი. ერთი კვირით ადრე ვივარჯიშე და იქამდე მანქანით ორჯერ მივედი. მაგრამ საავადმყოფოს რომ მივადე-

ქით, გამახსენდა, რომ წარმოდგენა არ მექონდა, სად იყო მანქანების სადგომი. ფეიმ მისასვლელი გზისკენ გაიშვირა ხელი.

- იქით წადი. იქაა მანქანების სადგომი. შენობაში იქიდან შევალთ.

- არის, მემ, - ვუთხარი.

გზის მხარეს, უკანა ოთახში იწვა ფეი. სახე დაბრეცოდა. - ხელი ჩამჭიდე, - მითხრა.

ჩავჭიდე ხელი.

- ნუთუ მართლა მოხდება ეს? - ვკითხე.

- კი.

- ისე იოლად ლაპარაკობ ამაზე, - ვუთხარი.

- ძალიან კარგი ხარ. ეგ მეხმარება.

- მინდა, რომ ვიყო ძალიან კარგი. მაგრამ ეს ოხერი ფოსტა რას...

- ვიცი. ვიცი.

ჩაშავებული ფანჯრიდან გარეთ ვიყურებოდით.

- ამ ხალხს გახედე, - ვუთხარი, - წარმოდგენა არ აქვთ, რა ხდება აქ, ზემოთ. დადიან თავისთვის, ტროტუარს მიუყვებიან. სასაცილოა მაინც... თვითონაც ხომ ასე დაიბადნენ, თითოეული ამათგანი.

- ჰო, სასაცილოა.

ხელით ვგრძნობდი, როგორ თრთოდა მისი სხეული.

- უფრო მაგრად მომიჭირე, - მთხოვა.

- ჰო, კარგი.

- როგორ არ მინდა, რომ გახვიდე.

- სად არის ექიმი? სად არიან ყველანი? რა ჯანდაბაა!

- მოვლენ.

სწორედ მაშინ შემოვიდა ექთანი. კათოლიკური საავადმყოფო იყო და ექთანიც ძალიან ლამაზი იყო, შავგვრემანი. ესპანელი ან პორტუგალიელი.

- აი.. ახლა... უნდა... გახვიდე, - მითხრა.

ფეის გადაჯვარედინებული თითები დავანახვე და დაბრეცილი ტუნებით გავუღიმე. არა მგონია, დაენახა. ქვემოთ მიმავალ ლიფტში შევაბიჯე.

ჩემი გერმანელი ექიმი მომიახლოვდა. აი ის, სისხლის ანალიზი რომ ამიღო.

- გილოცავთ, - მითხრა და ხელი ჩამომართვა, - გოგოა. ცხრა გირვანქა, სამი უნცია.

- დედა როგორაა?

- დედაც კარგად იქნება. უპრობლემოდ იმშობიარა.

- როდის შევძლებ მათ ნახვას?

- შეგატყობინებენ. აქ იჯექით და დაგიძახებენ.

ექიმი წავიდა.

შემინულ კედელს მივადექი. ექთანმა ჩემი შვილი მაჩვენა, ბავშვს ძალიან წითელი სახე ჰქონდა და დანარჩენებზე ხმამაღლა ტიროდა. ოთახი ატირებული ბავშვებით იყო სავსე. რამდენი ბავშვი დაბადებულა! ექთანს, მგონი, ჩემი ყველაზე ძაან ეამაყებოდა. ყოველ შემთხვევაში, იმედი მქონდა, რომ სწორედ ჩემს შვილს ვუყურებდი. მერე ბავშვი ხელში აიყვანა და უკეთესად დავინახე. გავუღიმე, არ ვიცოდი, როგორ მოვქცეულიყავი. გოგომ სახეში შემომტირა. საწყალი, გავიფიქრე, ამის დედა ვატირე, საწყალი პატარა მაიმუნი-მეთქი. მაშინ რა ვიცოდი, რომ ერთ მშვენიერ დღეს ეს ბავშვი ულამაზეს გოგოდ იქცეოდა და თან მე დამემსგავსებოდა, ჰაჰაჰა.

ექთანს ჟესტებით ვანიშნე, საწოლში ჩააწვინე-მეთქი. მერე ორივეს ხელი დავუქნიე. კარგი ექთანი იყო. კაი ფეხები, კაი თეძოები, მშვენიერი ძუძუები.

ტუჩის მარცხენა კუთხეში სისხლის ლაქა ჰქონდა ფეის. სველი ნაჭერი ავიღე და მოვწმინდე. ქალები სატანჯველად არიან გაჩენილები; არ მიკვირს, რომ კაცისგან სულ სიყვარულის დამტკიცებას მოითხოვენ.

- მინდა, რომ ჩემი შვილი მომიყვანონ, - თქვა ფეიმ, - არ არის სწორი ჩვენი ასე დაშორება.

- ვიცი. ეტყობა, რაღაც მიზეზი ჰქონდათ.

- კი, მაგრამ მაინც არა მგონია, სწორი იყოს.

- არა, სწორი ვერ არის. მაგრამ ბავშვი მშვენივრად გამოიყურებოდა. ყველაფერს გავაკეთებ, რომ რაც შეიძლება მალე დაგიბრუნონ. დაახლოებით ორმოცი ბავშვი ჰყავთ იქ. ყველა დედას შენსავით აცდევინებენ. ალბათ ელოდებიან, როდის მოლონიერდებიან. ამისთვის კეთდება ეს. გარწმუნებ, ჩვენი ბავშვი ძალიან ძლიერი ჩანს. გეხვეწები, არ ინერვიულო.

- ძალიან ბედნიერი ვიქნები ჩემს პატარასთან ერთად.

- ვიცი, ვიცი. ბევრიც აღარ დარჩა, მალე მოგიყვანენ.

- სერ, - შემოვიდა ამ დროს მსუქანი მექსიკელი ექთანი, - უნდა გთხოვოთ, რომ აქედან გახვიდეთ.

- კი, მაგრამ მე მამა ვარ.

- ვიცი, მაგრამ თქვენს ცოლს დასვენება სჭირდება.

ფეის ხელზე ხელი მოვუჭირე, შუბლზე ვაკოცე. თვალები დახუჭა და თითქოს ჩაეძინა. პატარა გოგოც აღარ იყო. შეიძლება სამყარო ვერ გადაარჩინა, მაგრამ ერთი ძალიან დიდი სიკეთე კი შემატა, მის სახელზე იყოს ეს ამბავი.

მარინა ლუიზა - ეს სახელი დაარქვა ფეიმ ჩვენს ბავშვს. ესეც შენი მარინა ლუიზა ჩინასკი. იწვა სარწეველაში, ფანჯარასთან. ხეებზე ფოთლებს ათვალიერებდა და ჭერზე გამოსახულ მოყვანე ილობებს. მერე უცებ ატირდებოდა. იყო ბავშვთან ერთად წინ და უკან სიარული და ჭუკჭუკი. პატარა გოგოს დედიკოს ძუძუ უნდოდა, მაგრამ დედიკო ყოველთვის მზად ვერ იყო, მე კიდე დედიკოს ძუძუ არ მება. თან სამსახური აკიდებული, მერე ეს არეულობებიც დაიწყო. ქალაქის მეთავედი ცეცხლში გაეხვია...

ზემოთ მიმავალ ლიფტში ერთადერთი თეთრკანიანი მე გამოვდექი. უცნაურად მომეჩვენა ეს ამბავი. არეულობებზე ლაპარაკობდნენ, მე ვის ვახსოვდი, ზედ არ მიყურებდნენ.

- ღმერთო, - თქვა ნახშირივით შავმა ბიჭმა, - რა იყო ეს მაინც? ხალხი ქუჩაში გალენილი მთვრალი დადის, ყველას ხელში ვისკის ბოთლი აქვს ჩაბღუჯული. კოპები კი მანქანებით მიდი-მოდინან, იქიდან ცხვირს არ ყოფენ, ეს გამომტყვრალი ხალხი რომ არ შეაწუხონ. დღისით, მზისით ხდება ეს. ვიღაც-ვიღაცეები მოპარული ტელევიზორებით და მტვერსასრუტებით დარბიან, მთელი ამბავი. რა ხდება, გაგიჟდება კაცი.

- ეგრეა, ძმაო.

- შავებს კაფეებსა და მაღაზიებში აბრები აქვთ გამოდებული, „სისხლისმიერი ძმებიო“. თეთრებსაც ეგრე. მაგრამ თეთრები ხალხს ვეღარ გააცურებენ. ყველამ იცის, სად რა ეკუთვნით თეთრებს...

- კი, ძმაო, ეგრეა.

მერე ლიფტი მეოთხე სართულზე გაჩერდა და გარეთ ერთად გამოვედით. ვიგრძენი, ჩემთვისვე ჯობდა, იმწუთას ხმა არ ამომეღო.

არ გასულა დიდი ხანი და ინტერკომიდან ქალაქის საფოსტო სამსახურის უფროსის ხმა გაისმა:

„ყურადღება! ქალაქის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაწილი ბარიკადებითაა გადაკეტილი. მხოლოდ ვინაობადადგენილ პირებს აქვთ გადაადგილების უფლება. საღამოს შვიდი საათიდან კომენდანტის საათი ცხადდება. საღამოს შვიდი საათის შემდეგ ქალაქის ამ ნაწილში არავის გაატარებენ. ბარიკადირებულია არეალი ინდიანა სტრიტიდან ჰუვერ სტრიტამდე; ასევე უოშინგტონ ბულ-



ვარიდან 135-ე პლაზამდე. ამ არეალში მცხოვრები თანამშრომლები დროებით თავისუფლდებიან სამსახურიდან.

წამოვდექი და ჯიბისკენ წავიღე ხელი ბარათის ამოსაღებად.

- ეი! საით გაგიწევია? - მკითხა მეთვალყურემ.

- გაიგონე, რა გამოაცხადეს?

- კი გავიგონე, მაგრამ შენ არა ხარ...

მარცხენა ხელი ჯიბეში ჩავიყავი.

- რა არა ვარ? ჰო, რა არა ვარ?

მეთვალყურე მომაშტერდა.

- რა იცი ახლა ვითომ შენ ჩემზე, თეთრტრაკა? - ვკითხე.

სამუშაო ბარათი ამოვიღე, ქვემოთ გავატარე და სამსახურიდან გასვლა აღვანიშნინე.

არეულობა დამთავრდა, ბავშვი დაწყნარდა, მე კი ჯანკოსგან თავის დახსნის ხერხს მივაგენი. მაგრამ თავბრუსხვევის შეტევები მიგრძელდებოდა. ექიმმა რეცეპტი გამომიწერა ლიბრიუმის თეთრ-მწვანე კაფსულების მისაღებად და ამან ცოტა მიშველა.

ერთ ღამეს წყლის დასაღევად ავდექი. მერე შემოვბრუნდი, კიდევ ნახევარ საათს წავიმუშავე და ჩემს კუთვნილ ათწუთიან შესვენებაზე გავედი.

დაჯდომა ვერ მოვასწარი, რომ ჩემბერსი, ერთ-ერთი მეთვალყურე, - მაღალი, ყვითელკანიანი მულატი - მორბის.

- ჩინასკი, აი, ახლა კი დაგერხა ბოლოს და ბოლოს! 40 წუთით დატოვე სამუშაო ადგილი!

ამას წინათ, საღამოს, ჩემბერსი იატაკზე დაეზღართა, პირიდან დუჟი გადმოუვიდა და კრუნჩხვები დაეწყო. საკაცით გაიტანეს სამსახურიდან. მეორე საღამოს ჩვეულებრივად დაბრუნდა, ახალ პერანგზე ჰალსტუხმოჭერილი, თითქოს წინა დღით არც არაფერი მომხდარიყოს. ახლა, ეტყობა, გადაწყვიტა, ცოტა სხვებისთვის გაეჩმახებინა.

- ყური მიგდე, ჩემბერს, შეეცადე, ცოტა ტვინი გაანძრიო. ავდექი, წყალი დავლიე, დავჯექი, ოცდაათი წუთი ვიმუშავე და მერე ჩემს შესვენებაზეც გავედი. ათი წუთი არ ვიყავი სულ აქ, არც მეტი, არც ნაკლები.

- არა, გაები-მეთქი, ჩინასკი! გაიჩალიჩე! 40 წუთით იყავი გასული! შვიდი მოწმე მყავს!

- შვიდი მოწმე გყავს, ესე იგი.

- ჰო, შვიდი!

- გეუბნები, სულ ათი წუთით ვიყავი-მეთქი გასული.

- ჩაგავლეთ, ჩინასკი! ამჯერად კი ნაღდად გაები!

ბოლოს მომბებრდა ეს ამბავი. ჩემბერსის სიფათის ყურება მომბებრდა და ვუთხარი:

- კარგი, რაკი ეგრეა - ორმოცი წუთით ვიყავი გასული. მიდი, ქენი ახლა რამე. გამოწერე, რაც გაქვს გამოსაწერი.

ჩემბერსი სულ ხტუნვა-ხტუნვით გაიქცა.

რამდენიმე წერილი კიდევ დავაბინავე. მერე სართულის მეთვალყურე მოვიდა. ხმელი კაცი იყო, თეთრკანიანი, ჭაღარა გაბურძგნილი თმა ორივე ყურს მთლიანად უფარავდა. ერთი ავხედე და კიდევ რამდენიმე წერილს მოვუძებნე ადგილი.

- მისტერ ჩინასკი, დარწმუნებული ვარ, იცით საფოსტო სამსახურის წესები და რეგულაციები. ყველა კლერკს ეძლევა ათწუთიანი შესვენების უფლება, ერთი სადილამდე, ერთიც - სადილის შემდეგ. ეს ხანმოკლე შესვენებები მენეჯმენტით თქვენთვის მონიჭებული დამატებითი უფლებაა: მხოლოდ ათი წუთი. ათი წუთი კი არის ის დრო...

- რა ჯანდაბაა, ბოლოს და ბოლოს! - დანარჩენი წერილები მაგიდაზე დავყარე. - მომბებრდა და ვაღიარე, ორმოცი წუთით ვიყავი გასული-მეთქი, რომ თქვენი ახირება დამეკმაყოფილებინა და ტრაკში შერჭობილი ხიჭვივით მომეშორებინეთ! მაგრამ თავსაც რომ არ მანებებთ? მორჩა, უკან მიმაქვს ჩემი ნათქვამი! სულ ათი წუთით ვიყავი გასული! ახლა თქვენი შვიდი მოწმის ნახვა მინდა! გამოიყვანეთ!

ორი დღის შემდეგ დოღზე ვიყავი. თავი ავწიე და კბილებით სავსე ღიმილს ვხედავ, მაგრად მიღიმის, თვალებიც უბრწყინავს, თან მაგარი კეთილგანწყობით. ვინ არის-მეთქი, კარგად დავაკვირდი. ჩემბერსი იყო, მე მიყურებდა, მიღიმოდა და თან ყავის რიგიდან არ გამოდიოდა. ცალ ხელში ლუდი მეჭირა. ნაგვის ყუთთან მივედი და ისე, რომ მისთვის თვალი არ მომიშორებია, გადავაფურთხე. იქაურობას გავეცალე. ჩემბერსს მეტად აღარ შევუწუხებია.

პატარა გოგომ კი ამასობაში ფორთხვა დაიწყო - სამყაროს აღმოჩენა და დაკვირვება. ღამლამობით მარინას ჩვენს საწოლში ეძინა. იყო მარინა, იყო ფეი, კატა და კიდევ ვიყავი მე. კატასაც კი საწოლში ვიწვენდით. შეხედე ერთი ამათ, ეს სამი არსება შენგვა დამოკიდებული-მეთქი, თავს ვეუბნებოდი. დიდი უცნაური ამბავი იყო. ვიჯექი და დავყურებდი მძინარეებს.

მერე ორი ღამე ზედიზედ გამთენიისას ვბრუნდებოდი. ფეი კი იჯდა და საბინაო განცხადებებს კითხულობდა.

- ჯანდაბა, რა ძვირია ეს ბინები, - მითხრა ახალდაბრუნებულს.

- ეგრეა, აბა!

მეორე ღამით, როცა ისევ გაგეთის კითხვა დაიწყო, ვკითხე:

- აქედან გადასვლას აპირებ?

- კი, - მითხრა ფეიმ.

- კარგი. ხვალ ბინის პოვნაში დაგეხმარები. მანქანით მოგატარებ.

შევთანხმდით, რომ ყოველთვე რაღაც ფულს მივცემდი ხოლმე. კარგიო, მითხრა.

ფეის პატარა გოგო დარჩა, მე - კატა.

ჩემგან რვა თუ ათ კვარტალში ვიპოვეთ ბინა. გადასვლაში დავეხმარე. პატარა გოგოს დავემშვიდობე და მანქანით უკან წამოვედი.

კვირაში ორჯერ თუ სამჯერ მარინას სანახავად დავდიოდი. ვიცოდი, სანამ ბავშვის ნახვა შემეძლო, ჩემს ცხოვრებაში ყველაფერი კარგად იქნებოდა.

ფეის ჯერ კიდევ შავები ეცვა ომის გასაპროტესტებლად. სამშვიდობო დემონსტრაციებზე დადიოდა, „სიყვარულით გაფიცვებზე“, იქ, სადაც პოეზიას კითხულობდნენ, სემინარები და კომუნისტური პარტიის მიტინგები ტარდებოდა; სულ ჰიპების კაფეებში

იჯდა ხოლმე. თუ სახლში იყო, სავარძელში იჯდა მოკალათებული, სიგარეტს სიგარეტზე ეწეოდა და კითხულობდა. შავ ზედატანზე საპროტესტო სამკერდე ნიშნებს იბნევდა. მაგრამ უფრო ხშირად სახლში არ მხვდებოდა, პატარა გოგოსთან ერთად სადღაც იყო ხოლმე წასული.

ერთ მშვენიერ დღესაც შინ დამხვდა. მზესუმზირიან იოგურტს ჭამდა. კიდევ პური გამოეცხო თავისი ხელით, მაგრამ მაინცდამაინც არ იჭმებოდა.

- ენდი გავიცანი, მძლოლად მუშაობს, სატვირთო მანქანა დაჰყავს, - მითხრა, - როცა დრო რჩება, ხატავს. აი, მისი ნახატია, - დაამატა და კედლისკენ გაიშვირა ხელი.

მე პატარა გოგოს ვეთამაშებოდი. ავხედე ნახატს. ხმა არ ამომიღია.

- დიდი ყლე აქვს, - მითხრა ფეიმ, - ერთხელ ღამით იყო მოსული და მეკითხება, - აირჩიე, როგორ გინდა ამ ჩემი დიდით? ჰოდა, ვირჩევ, სიყვარულით-მეთქი, ვუთხარი.

- არისტოკრატი კაცის სიტყვებია, - ვუთხარი.

კიდევ ცოტა ხანს ვეთამაშე პატარა გოგოს, მერე წამოვედი. მალე სქემა მქონდა ჩასაბარებელი, გამოცდა კარზე იყო მომდგარი.

დიდი დრო არ იყო გასული, რომ ფეისგან წერილი მივიღე. ბავშვთან ერთად ნიუ-მექსიკოს ჰიპების კომუნაში გადავედიო, მატყობინებდა. ძალიან კარგი ადგილიაო, მწერდა. მარინა აქ თავისუფლად ისუნთქებსო. წერილს თან ნახატი ჰქონდა დართული, რომელიც პატარა გოგომ მე დამიხატა.

## • ხუთი •

საფოსტო სამსახურის დეპარტამენტი  
დოკუმენტის ტიპი: გაფრთხილების წერილი  
ვის: მისტერ ჰენრი ჩინასკის

ჩვენს სამსახურში შემოვიდა ინფორმაცია, რომლის თანახმად, 1969 წლის 12 მარტს თქვენ ლოს-ანჯელესის პოლიციის დეპარტამენტმა ლოთობის ბრალდებით დაგაპატიმრათ.

ამასთან დაკავშირებით, თქვენს ყურადღებას მივაპყრობთ საფოსტო სამსახურის ზოგადი ინსტრუქციების 744.12 მუხლს, რომლის თანახმადაც:

„საფოსტო სამსახურის თანამშრომლები საზოგადოების მსახურები არიან და მათი ქცევა, რიგ შემთხვევებში, მეტ შეზღუდვას უნდა დაექვემდებაროს, უფრო მაღალ სტანდარტებს უნდა შეესაბამებოდეს, ვიდრე ნებისმიერი სხვა დაქირავებული პირისა. სამუშაო საათებში თუ არასამუშაო დროს საფოსტო სამსახურის თანამშრომელს ისეთი ყოფაქცევა მოეთხოვება, რომელიც სასიკეთოდ აისახება საფოსტო სამსახურზე. მიუხედავად იმისა, რომ საფოსტო დეპარტამენტის პოლიტიკა თანამშრომლების პირად ცხოვრებაში ჩარევას არ გულისხმობს, გემოაღნიშნული პოლიტიკა მოითხოვს, რომ ფოსტის პერსონალი პატიოსანი, სანდო, საიმედო, სასიამოვნო ხასიათის და კარგი რეპუტაციის მქონე პირებისგან შედგებოდეს.“

მართალია, თქვენ შედარებით უმნიშვნელო ბრალდებით დაგაკავეს, მაგრამ თვით ფაქტი იმაზე მეტყველებს, რომ საფოსტო სამსახურისთვის მისაღები ქცევის ნორმები თქვენთვის უცხოა. წინამდებარე წერილის მეშვეობით თქვენ გეძლევათ გაფრთხილება, რომ ამგვარი უმსგავსობის, ან პოლიციასთან უთანხმოების განმეორების შემთხვევაში, ჩვენს დეპარტამენტს, თქვენ მი-

მართ დისციპლინარული ზომების მიღების გარდა, სხვა გამოსავალი აღარ დარჩება.

შეგიძლიათ, წერილობით წარმოადგინოთ ამ შემთხვევასთან დაკავშირებული ახსნა-განმარტება, თუ ამის სურვილი გექნებათ.

საფოსტო სამსახურის დეპარტამენტი

დოკუმენტის ტიპი: შეტყობინება სავარაუდო სადამსჯელო ზომების შესახებ

ვის: მისტერ ჰენრი ჩინასკის

წინამდებარე წერილი წარმოადგენს წინასწარ შეტყობინებას იმის შესახებ, რომ შესაძლოა, თქვენ ჩამოცილებულ იქნეთ სამუშაოდან სამი (3) დღით, აღნიშნული დღეების აუნაზღაურებლად; ან თქვენ წინააღმდეგ გამოყენებულ იქნეს სხვა დისციპლინარული ზომები, რომლებიც მოცემული შემთხვევისთვის შესაფერისად იქნება მიჩნეული. ხსენებული ზომები მიღებულ იქნება სამსახურის მუშაობის შედეგიანობის ხელშესაწყობად და განხორციელება ამ წერილის მიღებიდან არა უგვიანეს 35 კალენდარული დღისა.

თქვენდამი წაყენებული ბრალდება და ბრალდების გამამყარებელი გარემოებები შემდეგია:

ბრალდება N1

თქვენ ბრალი გედებათ იმაში, რომ შვებულების დღის გაუფორმებლად არ გამოცხადდით სამუშაო ადგილზე 1969 წლის 13 მაისს, 1969 წლის 14 მაისს, 1969 წლის 15 მაისს.

გემოაღნიშნულის გარდა, თუკი მოცემული ბრალდება ძალაში დარჩება და დისციპლინარული ზომების მისადაგება თქვენ მიმართ საჭიროდ იქნება მიჩნეული, გადამწყვეტი მნიშვნელობა მიენიჭება თქვენი ძველი ნამსახურობის ნუსხიდან მოყვანილ შემდეგ ფაქტს:

1969 წლის 1 აპრილს თქვენ გაფრთხილების წერილი მიიღეთ საპატიო მიზგზის გარეშე სამსახურში გამოუცხადებლობის გამო.

უფლება გეძლევათ, ბრალდებას უპასუხოთ როგორც სიტყვიერად, ისე წერილობით, ან ორივე ფორმით, და ასეთ შემთხვევა-



ში თავად აირჩიოთ თანმხლები პირი, როგორც თქვენი წარმომადგენელი. თქვენი პასუხი დღევანდელი დღიდან ათი (10) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა იყოს წარმოდგენილი. შეგიძლიათ, წერილობით პასუხს თქვენი სიმართლის დამადასტურებელი წერილობითივე მტკიცებულებები დაურთოთ. თითოეული წერილობითი ჩვენება გადაეგზავნება საფოსტო სამსახურის უფროსს, ლოს-ანჯელესი, კალიფორნია, 90052. თუკი საპასუხო წერილის შესადგენად დამატებითი დრო დაგჭირდებათ, ამის მიზანშეწონილობა თქვენი წერილობითი თხოვნის საფუძველზე დადგინდება.

თუ გსურთ, ბრალდებებზე პასუხი პირადად გასცეთ, შეგიძლიათ, მოითხოვოთ დაქირავებისა და სერვისების განყოფილების ხელმძღვანელთან, ელენ ნორმელთან ან დაქირავების სამსახურის ოფიცერთან, ვ. ტ. შეიმასთან, შეხვედრა. ტელეფონი: 289-2222.

იმ ათდღიანი ვადის გასვლის შემდეგ, რომელიც თქვენ საპასუხოდ გეძლევათ, თქვენი საქმის თითოეული ფაქტი, იმ პასუხის ჩათვლით, რომელიც წარმოსადგენი გაქვთ, განსახილველად გადაეცემა შესაბამის პირებს. გადაწყვეტილება მხოლოდ ხსენებული განხილვის შემდეგ იქნება მიღებული და მის შესახებ წერილობითი ფორმით გეცნობებათ. წერილი განგიმარტავთ, თუ რა მიზეზის ან მიზეზების გამო იქნა მიღებული ესა თუ ის გადაწყვეტილება.

საფოსტო სამსახურის დეპარტამენტი

დოკუმენტის ტიპი: შეტყობინება გადაწყვეტილების შესახებ  
ვის: მისტერ ჰენრი ჩინასკის

წინამდებარე შეტყობინება ნახსენები იყო თქვენ მიერ 1969 წლის 17 აგვისტოს მიღებულ წერილში, რომელშიც შემოთავაზებული იყო დისციპლინარული სასჯელის ზომა სამი დღით სამუშაოდან თქვენი ჩამოცილების შესახებ, ანაზღაურების გარეშე, ბრალდება N1-ის საფუძველზე, რაზეც ხსენებულ წერილში იყო მითითებული. დადგენილი ვადის ფარგლებში სამსახურს თქვენგან პასუხი არ მიუღია. საქმის საფუძველიანი განხილვის შედეგად გადაწყდა, რომ ბრალდება N1, რომელსაც მართებულად მიჩნეული ჩვენება ადასტურებს, ძალაში დარჩება და მას სამუშაო ადგილიდან თქვენი დროებითი ჩამოშორება მოჰყვება. შესაბამისად, თქვენ თავისუფლდებით სამი (3) დღის ვადით, შესაბამისი ანაზღაურების შეუნარჩუნებლად.

სამუშაო ადგილიდან თქვენი ჩამოშორების პირველი დღე იქნება 1969 წლის 17 ნოემბერი; სამუშაო ადგილიდან თქვენი ჩამოშორების უკანასკნელი დღე იქნება 1969 წლის 19 ნოემბერი.

თქვენი ძველი ნამსახურობის ნუსხის ის ფაქტი, რომელზეც დეტალურად იყო ლაპარაკი დისციპლინარული სასჯელის სავარაუდო ზომების შემცველ წერილში, ასევე იქნა განხილული თქვენ მიმართ სასჯელის მისადაგების პროცესში.

უფლება გეძლევათ, გაასაჩივროთ ეს გადაწყვეტილება საფოსტო სამსახურის დეპარტამენტში, ან ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო სამსახურის კომიტეტში, ან ჯერ საფოსტო სამსახურის დეპარტამენტში, შემდეგ - სამოქალაქო სამსახურის დეპარტამენტში და ბოლოს - სამოქალაქო სამსახურის კომიტეტში, შემდეგის გათვალისწინებით:

თუკი მოცემულ გადაწყვეტილებას ჯერ სამოქალაქო სამსახურის კომიტეტში გაასაჩივრებთ, ასეთ შემთხვევაში კარგავთ უფლებას, გასასაჩივრებლად მიმართოთ საფოსტო სამსახურის დეპარტამენტს. სამოქალაქო სამსახურის კომიტეტში საჩივარი უნდა წარადგინოთ შემდეგ მისამართზე: რეგიონალური დირექტორი, სან-ფრანცისკოს რეგიონი, ამერიკის შეერთებული შტატების სამოქალაქო სამსახურის კომიტეტი, 450, გოლდენ გეით ევენიუ, ს/ყ 36010, სან-ფრანცისკო, კალიფორნია 94102. განცხადება გასაჩივრების მოთხოვნით (ა) წარდგენილი უნდა იყოს წერილობითი ფორმით; (ბ) მასში მოყვანილი უნდა იყოს ის მიზეზები, რომელთა საფუძველზეც ასაჩივრებთ სამუშაო ადგილიდან თქვენს ჩამოცილებას, რასაც თან უნდა დაერთოს ყველა მტკიცებულება და სხვა დოკუმენტი, რომელთა წარმოდგენაც შესაძლებელი იქნება; (გ) გასაჩივრება დასაშვებია სამუშაო ადგილიდან თქვენი ჩამოცილებიდან არა უგვიანეს 15 დღისა. სათანადო ფორმით შედგენილი განცხადების მიღების შემდეგ კომიტეტი განიხილავს თქვენ წინააღმდეგ მიღებული ზომების საფუძვლიანობას და თქვენთვის მისადაგებული პროცედურების მართებულებას, თუკი თქვენ არ წარადგენთ მტკიცებულებებს, რომ მისადაგებულ ზომებს საფუძვლად დაედო პოლიტიკური მოსაზრებები და გამოირიცხავს პოლიტიკურ მიზეზებს, ისე, როგორც ამას კანონი მოითხოვს; ასეთივე იქნება პროცედურა, თუკი თქვენ შეძლებთ დაასაბუთოთ, რომ სამუშაო ადგილიდან თქვენი ჩამოცილება დისკრიმინაციული იყო - გამოწვეული თქვენი ოჯახური მდგომარეობით ან ფიზიკური ნაკლით. თუ გასაჩივრების მოთხოვნით საფოსტო სამსახურის დეპარტამენტს მიმართავთ, ასეთ შემთხვევაში კარგავთ სამოქალაქო სამსახურის კომიტეტში გასაჩივრების უფლებას, იმ მომენტამდე, სანამ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილება პირველ დონეზე არ იქნება გამოტანილი. ამ მომენტიდან თქვენ გაქვებათ არჩევანი - გაასაჩივროთ მოცემული გადაწყვეტილება

საფოსტო სამსახურის დეპარტამენტის უფრო მაღალ დონეებზე თუ მიმართოთ სამოქალაქო სამსახურის კომიტეტს. ამასთან, თუკი პირველ დონეზე გადაწყვეტილება თქვენ მიერ საჩივრის შეტანიდან სამოცი (60) დღის განმავლობაში არ იქნა გამოტანილი, უფლება გექვსათ, დეპარტამენტში თქვენ მიერ შეტანილი საჩივრის მსვლელობა შეწყვიტოთ და გასაჩივრების განცხადებით სამოქალაქო სამსახურის კომიტეტს მიმართოთ.

თუკი საფოსტო სამსახურის დეპარტამენტს გასაჩივრების მოთხოვნით თქვენ მიერ მოცემული გადაწყვეტილების მიღებიდან ათი (10) კალენდარული დღის განმავლობაში მიმართავთ, ასეთ შემთხვევაში სამუშაო ადგილიდან თქვენი ჩამოშორება მანამდე ვერ მოხდება, სანამ გასაჩივრების მოთხოვნაზე მიღებული გადაწყვეტილების შესახებ უწყებას საფოსტო სამსახურის რეგიონალური დირექტორისგან არ მიიღებთ. შემდგომ ამისა, თუ გასაჩივრების მოთხოვნით კვლავ დეპარტამენტს მიმართავთ, უფლება გექვსათ, საქმის გარჩევასას თან გახლდეთ თქვენს წარმომადგენლად და მრჩევლად თქვენ მიერ არჩეული პირი. თქვენ და თქვენს წარმომადგენელს პროცესის მსვლელობაში გენიჭებათ შეუზღუდავი თავისუფლება, რაც ჩარევისგან, დისკრიმინაციისგან, ნებისმიერი ტიპის ზეწოლისგან თქვენს დაცულობას გულისხმობს. პროცესისთვის მოსამზადებლად თქვენ და თქვენს წარმომადგენელს გექვსათ გონივრული ხანგრძლივობის სამუშაო დრო.

საფოსტო სამსახურის დეპარტამენტში გასაჩივრება შესაძლებელია წინამდებარე წერილის მიღებიდან ნებისმიერ დროს, თუმცა სამუშაო ადგილიდან ჩამოშორებიდან არა უგვიანეს 15 კალენდარული დღისა. განცხადება უნდა შეიცავდეს თხოვნას თქვენი საქმის ხელახლა მოსმენის შესახებ, ან განაცხადს, რომ ამგვარი მოსმენა არაა სასურველი. განაცხადის ადრესატის კორდინატები ქვემოთაა მოცემული:

რეგიონალური დირექტორი.  
საფოსტო სამსახურის დეპარტამენტი  
631 ჰოვარდ სტრიტი  
სან-ფრანცისკო, კალიფორნია  
94106

იმ შემთხვევაში, თუ გასაჩივრების განაცხადის შეტანას რეგიონალური დირექტორის სახელზე, ან სამოქალაქო სამსახურის კომიტეტში გადაწყვეტთ, გთხოვთ, განაცხადის ხელმოწერილი ასლი გამოგიგზავნოთ მე, და ჩემთან ერთად, რეგიონალურ დირექტორს ან სამოქალაქო სამსახურის კომიტეტს.

თუკი გასაჩივრების პროცედურასთან დაკავშირებით კითხვები გაგიჩნდებათ, გთხოვთ, დაუკავშირდეთ რიჩარდ ნ. მართს, დაქირავებისა და შეღავათების განყოფილების ხელმძღვანელის მოადგილეს, დაქირავებისა და შეღავათების განყოფილებაში, ოთახი 2205, ფედერალური ოფისი, 300 ნორს ლოს-ანჯელეს სტრიტი, მიღების საათები: 8.30:16.00, ორშაბათიდან პარასკევის ჩათვლით.

საფოსტო სამსახურის დეპარტამენტი

დოკუმენტის ტიპი: შეტყობინება სავარაუდო სადამსჯელო ზომების შესახებ ვის: მისტერ ჰენრი ჩინასკის ეს წერილი წინასწარ გატყობინებთ, რომ შემოსულია წინადადება საფოსტო სამსახურიდან თქვენი დათხოვნის ან სათანადოდ მიჩნეული სხვა დისციპლინარული სასჯელის შესახებ. შეფარდებული ზომები მიიღება საფოსტო სამსახურის მუშაობის შედეგიანობის ამაღლების მიზნით და ძალაში შევა თქვენ მიერ წინამდებარე წერილის მიღებიდან არა უგვიანეს 35 კალენდარული დღისა.

შეგახსენებთ თქვენთვის წაყენებულ ბრალდებასა და მისი საფუძვლიანობის დამადასტურებელ მიზეზებს:

თქვენ საპატიო მიზეზის გარეშე გააცდინეთ სამუშაო საათები ქვემოთ მოყვანილი ოდენობით:

გემოთ ჩამოთვლილის გარდა, იმ შემთხვევაში, თუკი წაყენებული ბრალდება ძალაში დარჩება, შემდგომი დისციპლინარული სასჯელის შერჩევისას გადამწყვეტი იქნება თქვენი ნამსახურობის ნუსხის ქვემოთ მოყვანილი ფაქტები:

1969 წლის 1 აპრილს თქვენ გადმოგეცათ გაფრთხილების წერილი საპატიო მიზეზის გარეშე სამუშაო ადგილზე არყოფნის გამო.

1969 წლის 17 აგვისტოს თქვენ გადმოგეცათ შეტყობინება სავარაუდო სადამსჯელო ზომების შესახებ სამუშაო დღეების არასაპატიო მიზეზით გაცდენის გამო. ხსენებული ბრალდების გამო თქვენ სამუშაო ადგილს სამი დღით იქენით ჩამოცილებული: 1969 წლის 17 ნოემბრდან 1969 წლის 19 ნოემბრის ჩათვლით, შესაბამისი ანაზღაურების გამოქვითვით.

თქვენ უფლება გაქვთ, პასუხი გასცეთ ხსენებულ ბრალდებას, როგორც წერილობით, ისე სიტყვიერად, ან ორივე ფორმით; უფ-

ლება გაქვთ, პირადად წარდგენის შემთხვევაში თან იყოლიოთ თქვენივე სურვილით საკუთარ წარმომადგენლად არჩეული პირი. თქვენი საპასუხო წერილი ამ უწყების მიღებიდან ათი (10) კალენდარული დღის განმავლობაში უნდა იქნას წარმოდგენილი. ასევე შეგიძლიათ, საპასუხო წერილს თან დაურთოთ წერილობითი მტკიცებულებები, რომლებიც თქვენი პასუხის დასასაბუთებლად გამოდგება. წერილობითი სახით წარმოსადგენი ნებისმიერი პასუხი უნდა გადაეგზავნოს საფოსტო სამსახურის უფროსს, ლოს-ანჯელესი, კალიფორნია, 90052. თუკი საპასუხოდ დამატებითი დრო დაგჭირდებათ, ამის აუცილებლობა თქვენი წერილობითი განაცხადის საფუძველზე განიხილება.

თუკი ბრალდებაზე პასუხის გაცემას პირადად გადაწყვეტთ, ასეთ შემთხვევაში, გთხოვთ, შეხვედრაზე შეუთანხმდეთ ელენ ნორმელს, დასაქმებისა და შეღავათების განყოფილების უფროსს, ან კ. ტ. შეიმასს, დაქირავების სამსახურის ოფიცერს. ტელეფონი: 289-2222.

საპასუხოდ განსაზღვრული ათდღიანი ვადის ამოწურვის შემდეგ და საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, სრულად განიხილება თქვენი საქმის ყოველი ფაქტი, თქვენი პასუხის ჩათვლით, რომლის წარდგენაც შესაბამის უწყებებში შეგიძლიათ. გადაწყვეტილების შესახებ წერილობითი ფორმით გეცნობებათ. თუკი მიღებული გადაწყვეტილება სადამსჯელო ზომებია, შეტყობინების წერილში მოყვანილი იქნება მიზეზი ან მიზეზები, რომელთა საფუძველზეც მოცემული გადაწყვეტილება იქნა მიღებული.

# • ექვსი •

## 1

ახალგაზრდა გოგონას გვერდით ვიჯექი, რომელმაც თავისი სქემა კარგად არ იცოდა.

- 2900, როუთფორდი სად ვეძებო? - მკითხა დაბნეულმა.

- ოცდამეცამეტე სცადეთ, - ვუპასუხე.

მერე მეთვალყურე გამოელაპარაკა.

- თქვენ ამბობთ, რომ კანზას-სითიდან ხართ, ხომ? ჩემი ორივე მშობელი კანზას-სითიშია დაბადებული.

- მართლა? - თქვა გოგონამ.

მერე მე მკითხა:

- 8400, მაიერსს რა ვუყო?

- მეთვრამეტეში ჩადეთ.

ცოტა ფუშფუშა გოგო იყო, თუმცა ყველაფერზე წამომსვლელი. მე - პას. ქალებს ცოტა ხნით ჩამოვშორდი.

მეთვალყურე ზედმეტად ახლოს ედგა.

- სამსახურიდან შორს ცხოვრობთ?

- არა.

- მოგწონთ თქვენი სამუშაო?

- ოჰ, რა თქმა უნდა.

მერე მე მომიბრუნდა.

- 6002, ოლბანი - რა ვქნა?

- მეთექვსმეტეშია.

ჩემი ყუთი რომ დავცალე, მეთვალყურემ მე დამიწყო ლაპარაკი:

- ჩინასკი, მაგ ყუთის დასაცლელად დრო მქონდა თქვენთვის დანიშნული. ოცდარვა წუთი მონდომეთ.



არ ვუპასუხე.

- იცით, ყუთის დასაცლელად გამოყოფილი სტანდარტული დრო რამდენია?

- არა, არ ვიცი.

- რამდენი წელია, რაც აქ მუშაობთ?

- თერთმეტი წელი.

- თერთმეტი წელია, რაც აქ მუშაობთ და სტანდარტი არ იცით?

- დიახ, სწორია, გამოიცანით.

- წერილებს ისე აწყობთ შიგნით, თითქოს თქვენი საქმე არ გაინტერესებთ.

გოგოს ჯერ აუარება წერილები ეწყობ ყუთში. ამ დროს ორივემ ერთად დავიწყეთ დახარისხება.

- და თან გვერდით მჯდომ ქალბატონს ელაპარაკებით.

სიგარეტს მოვუკიდე.

- ჩინასკი, ერთი წუთით აქ მოდით.

თუნუქის ყუთებს შორის იდგა და რაღაცაზე ხელით მანიშნებდა. დანარჩენი კლერკები ძალიან სწრაფად მუშაობდნენ. ვხედავდი, რა შეშლილივით იქნევდა თითოეული მარჯვენა ხელს. ფუშფუშა გოგომაც კი სწორად დაიწყო ყველაფრის ჩაწყობა.

- ხედავთ ყუთების კიდევში მიწერილ რიცხვებს?

- აჰა, კი.

- ეს რიცხვები აღნიშნავს, რამდენი წუთის განმავლობაშია დასახარისხებელი. ორგირვანქიანი ყუთი ოცდასამ წუთში უნდა დაიცალოს. თქვენ ნორმას ხუთი წუთით ჩამორჩით, - თქვა და 23-ს მიადო თითი, - ოცდასამი წუთია სტანდარტი.

- ეგ ოცდასამი არაფერს ნიშნავს, - ვუთხარი.

- რას გულისხმობთ?

- რას ვგულისხმობ და ერთხელ მოვიდა ვიღაც ტიპი საღებავის ქილით და ამ ყუთს ეს ოცდასამი მიაწერა.

- როგორ გეკადრებათ, ეს დროში გამოცდილი სტანდარტია. წლების განმავლობაში გამოცდილი და დადგენილი.

რა აზრი ჰქონდა ამასთან კამათს? არაფერი აღარ მითქვამს.

- ეს ჩამორჩენაც უნდა მოგაწეროთ, ჩინასკი. ამის შესახებ უწყებით გეცნობებათ.

ისევ ჩემს ადგილს დავუბრუნდი. თერთმეტი წელი! დუიმი არ შემატებია ჩემს ჯიბეს მას შემდეგ, რაც აქ შემოვდგი ფეხი. თერთმეტი წელი. მერე რა, რომ ღამეები აქ უგრძესი იყო, დრო მაინც სწრაფად გავიდა. შეიძლება ღამის ცვლებში მუშაობა იყო ამის მიზეზი. არ ვიცოდი, რა ჯობდა. ქვიჯასგან, მაგალითად, ყველაფერი მოსალოდნელი იყო, წინასწარ ვერ გამოიცნობდი. აქ ის მაინც იცოდი, რომ სიურპრიზები არ გელოდა.

თერთმეტი წელი. ამ დროის განმავლობაში ბევრჯერ ვნახე, როგორ ხრავს ადამიანს სამსახური. თითქოს დნებოდნენ. ჯიმი პოტსი გამახსენდა, დორსის განყოფილებაში იყო ეგეთი კაცი. პირველად რომ მოვხვდი იქ, ერთი ბრგე ტიპი იყო, თეთრი მაისური ეცვა ხოლმე. ახლა უკვე მკვდარია. სკამი იატაკამდე დაადაბლა და მის ფეხებს ებლაუჭებოდა ხოლმე ფეხებით, რომ არ გადმოვარდნილიყო. ისე იღლებოდა, თმის შეჭრის თავიც აღარ ჰქონდა და სამი წელი ერთი და იგივე შარვალი ეცვა. პერანგებს კვირაში ორჯერ იცვლიდა და ძალიან ნელა დადიოდა. მოკლეს კაცი. ორმოცდათხუთმეტი წლის იყო. პენსიამდე შვიდი წელი ჰქონდა დარჩენილი.

- იქამდე მაინც ვერ მივაღწევ, - მეუბნებოდა.

ჰო, ადამიანები დნებოდნენ ან სუქდებოდნენ - სუქდებოდნენ კი არა, სივდებოდნენ, განსაკუთრებით, მუცელი და ტრაკი ებრდებოდათ. ალბათ, ჯდომისაგან, ერთი და იმავე მოძრაობებისგან, ერთსა და იმავე თემაზე ლაპარაკისგან. მეც ხომ ეგ დამემართა: თავბრუსხვევა, გამუდმებული ტკივილები ხელებში, ზურგში, მკერდში - ყველგან. მუშაობასა და მუშაობას შორის მთელი დღე-

ები მეძინა ხოლმე. შაბათ-კვირას უნდა გამოვმტყვრალიყავი, რომ ეგ ყველაფერი დამვიწყებოდა. მუშაობა რომ დავიწყე, 185 გირვანქას ვიწონიდი. ახლა 223 გირვანქა ვარ. აბა რა იქნება, როცა მარჯვენა ხელის ქნევის გარდა, არაფერი მოგეთხოვება.

მრჩევლის კაბინეტში შევედი. მაგიდასთან ვინმე ედი ბივერი იჯდა. ფოსტის კლერკები „გამწლიკულ თახვს“<sup>1</sup> ეძახდნენ. წაწვეტებული თავი ჰქონდა, წაწვეტებული ცხვირი, წაწვეტებული ნიკაპი. თავიდან ფეხებამდე კუთხოვანი იყო და ურთიერთობაშიც სულ წვეტებს ეძებდა.

- დაჯექით, ჩინასკი.

ბივერს ხელში რაღაც ქაღალდები ეჭირა და კითხულობდა.

- ჩინასკი, მატყობინებენ, რომ ერთი ყუთის დაცლას, ოცდასამი წუთის მაგიერ, ოცდარვა წუთი მოანდომეთ.

- აუჰ, გამეხვრიტა ტვინი ამდენი სისულელით. დავიღალე.

- ჩინასკი, აქ თქვენს დასახმარებლად და რჩევის მოსაცემად ვარ, რომ იცოდეთ!

ამოვიოხბრე. - კარგი, გააგრძელეთ. გავიგოთ ერთი, რა წერია მაგ ქაღალდებში.

- ჩვენ აქ სამუშაო გრაფიკი გვაქვს შესასრულებელი, ჩინასკი.

- კი.

- ჰოდა, თქვენ რომ საკუთარ გრაფიკს ვერ ასრულებთ, ეგ იმას ნიშნავს, რომ თქვენი წერილების დახარისხება სხვას მოუწევს. ეგ კი იმას ნიშნავს, რომ ვიღაცას სამუშაო დრო არ ეყოფა.

- თქვენ, ალბათ, იმას გულისხმობთ, აქ ბევრს თავის სამუშაო დროზე სამი და მეტი საათით მეტხანს რომ უწევს ყოველდამე ყოფნა?

- მისმინეთ, ოცდასამწუთიან ყუთს ოცდარვა წუთი მოანდომეთ, სულ ეს არის, მეტი არაფერი.

- როგორც თქვენ იტყვით. და ისე, ეგ ყუთები ორი ფუტი სიგრძისაა, ზოგიერთში კი დანარჩენებზე ორჯერ, სამჯერ, ხანდახან

<sup>1</sup> Beaver - თახვი (ინგლ.)

ოთხჯერ მეტი წერილი აწყვია. კლერკები ისეთებს სტაცებენ ხოლმე ხელს, „მსუყე“ ყუთებს რომ ეძახიან. მე ეგ ამბავი მკიდა. ვიღაცამ ხომ უნდა დაცალოს მჭიდროდ დატენილი ყუთები. მაგრამ თქვენ, ოქროებო, მარტო ის იცით, რომ თითოეული ყუთი ორი ფუტის სიგრძისაა და ყოველი ყუთი ოცდასამ წუთში უნდა დაიცალოს. ოღონდ ჩვენ ყუთებს კი არ ვახარისხებთ, წერილებს ვაწყობთ თავ-თავის ადგილას.

- არა, გამორიცხულია! ამ ყუთების დაცლისთვის საჭირო დრო ათასჯერაა გამოცდილ-დადგენილი!

- შეიძლება როდისღაც იყო, თუმცა, ეჭვი მეპარება. მაგრამ როცა ვიღაცას ამ საქმეზე დროს უნიშნავთ, დასკვნებს მარტო ერთი ყუთით ნუ გააკეთებთ. ათი ყუთის დაცლაზე დაკვირვებით უნდა იმსჯელოთ ამ დროზე, ან მთელ ღამეში შესრულებული სამუშაოს მიხედვით. შიგადაშიგ ბეიბ რუტიც კი იჭრება ხოლმე. თქვენ კიდევ, იცით, რას აკეთებთ? ამ შედეგების გამო მარტო იმათ უჩმახებთ, ვინც თვალში არ მოგდით.

- კარგი. თქვენ უკვე თქვით თქვენი სათქმელი, ჩინასკი. ახლა მე გეტყვით: თქვენ ერთი ყუთის დაცლას ოცდარვა წუთს ანდომებთ. ხელში, აი, ეს ამბავი გვიჭირავს. თუ კიდევ ერთხელ წაგასწრეს ბოზინზე, მაშინ ჩვენი გაუმჯობესებული განმარტებითი კონსულტაციების კურსის გავლა მოგიწევთ!

- კაი. ერთი კითხვა ხომ შეიძლება?

- კარგი. მკითხეთ.

- წარმოვიდგინოთ, რომ უცებ იოლად დასაცლელი ყუთი მხვდება ხელში. ამნაირ ყუთს ხანდახან რვა წუთში ვცლი. თუ თქვენი ნორმებით ვიმსჯელებთ, ათასჯერ გამოცდილი და დადგენილი რომაა, გამოდის, რომ ფოსტისთვის თხუთმეტი წუთის ეკონომია გამიკითვია. ახლა ეს მაინტერესებს, შემიძლია, იმ თხუთმეტი წუთით ქვემოთ, კაფეში ჩავიდე, ნამცხვარი შევჭამო, ნაყინი დავაყოლო, ტელევიზორს ვუყურო და უკან დავბრუნდე?

- არა! დაუყოვნებლივ უნდა სტაცოთ ხელი მომდევნო ყუთს და ფოსტის დახარისხება გააგრძელოთ!

მოვაწერე ხელი რაღაც ქაღალდს, რომელზეც ეწერა, რომ განმარტებითი სამუშაო ჩემთან ჩატარებულია. მერე გამწლიკულმა თახვმა გაცდენილ საათებზე საშვებულებო ფორმა გამომიწერა, ზედ თარიღი მიაწერა და ისევ უკან, ჩემს ადგილას მიმავლინა, რაც შეიძლება მეტი წერილის დასახარისხებლად.

მაგრამ იმ სამსახურში რაღაც-რაღაცები ჯერ მაინც ხდებოდა. იმ კიბეზე, მე რომ ხაფანგივით გამომიჭირა, კიდევ ერთ ტიპს წაასწრეს. თან იმ დროს წაასწრეს, თავი თანამშრომელი გოგოს კაბის ქვეშ რომ ჰქონდა შერგული. მერე რომელიღაც გოგომ, რომელიც კაფეში მუშაობდა, მთავარ განმწესებელს და სამ ფოსტალიონს უჩივლა, ორალური დაგრილებისთვის შეპირებული ფული არ გადამიხადესო. გოგო და სამი ფოსტალიონი სამსახურიდან დაიქნიეს, მთავარი განმწესებელი კი მეთვალყურის პოზიციამდე ჩამოალაბორანტეს.

მერე მე ფოსტას ხანძარი გავუჩინე.

მესამე კლასის დოკუმენტების დასახარისხებლად ვიყავი გამწესებული და სიგარას ვაბოლებდი, თან ხელის ურიკიდან წერილების შეკრულ დასტებს ვიღებდი და მაგიდაზე ვაწყობდი. ჰოდა, ბუსტად ამ დროს ერთი მოვიდა და მეუბნება: - ეი, შენი ფოსტა იწვის!

უკან მივიხედე. მართლა იწვოდა. მაგიდის თავზე ცეცხლის სუსტი ალი

მოცეკვავე გველივით იკლაკნებოდა. ეტყობა, მანამდე ჩემს სიგარას ანთებული თუთუნი მოსწყდა და ზედ ფოსტას დაეცა.

- ოხ, შენი დედა ვატირე!

ცეცხლი სწრაფად ღვივდებოდა. ვტაცე რაღაც კატალოგს ხელი და სულ ბრტყლად ვურტყი, დედა ვუტირე. ყარა აქეთ-იქით ნაპერწკლები. ჩამოცხა. ერთ დიდ დასტას რომ ჩავაქრობდი, ცეცხლი მეორეზე გადადიოდა.

ხმა მომესმა:

- ე, ცეცხლის სუნია!

- ცეცხლის სუნი კი არ არის, - ვუღრიალე, - ბოლის სუნია!

- აუ, აქედან უნდა გავასწრო, სანამ დროა!

- მიდი მერე, შენი კარგიც მოვტყან! - ვუყვირე, - დაახვიე! ალი ხელებს მწვავდა, არადა, ამერიკის შეერთებული შტატების ფოსტა მქონდა გადასარჩენი, მესამე კლასის მაკულატურა!

ბოლოს, როგორც იქნა, მოვერიე. ვკარი ფეხი მაგიდას, რაც ზედ იყო ახორხლილი, იატაკზე გადმოვყარე და ნაკვერცხლებივით მოღულუნე ფერფლს ფეხით შევდექი.

მოვიდა მეთვალყურე. ეტყობა, რაღაცის თქმა უნდოდა ჩემთვის. მე ის ნახევრად დამწვარი კატალოგი მეჭირა ხელში და ველოდებოდი. ერთი შემომხედა და წავიდა.

მერე ამ მესამე ხარისხის მაკულატურის დახარისხება გავაგრძელე. რაც დაიწვა, განზე გადავაწყვე.

სიგარა ჩამიქრა. მეორეჯერ აღარც მომიკიდებია.

ამასობაში ვიგრძენი, რომ ხელები მეწვოდა და სასმელი წყლის შადრევანთან მივედი, ხელები შევუშვირე. ვერ მიშველა.

მეთვალყურე ვიპოვე და ექიმის კაბინეტში წასასვლელად დავეთხოვე.

ის ექთანს დამხვდა, ჩემს კართან რომ მოდიოდა ხოლმე და მეკითხებოდა: „ახლა რაღა გეტაკათ, მისტერ ჩინასკი?“

- გახსოვართ, ჰა? - ვკითხე.

- აჰ, როგორ არა, ღამლამობით ერთ ამბავში იყავით.

- კი, ეგრე იყო.

- კიდევ გყავთ ბინაში ქალები? - მკითხა.

- კი. თქვენ თუ გყავთ კიდევ კაცები თქვენს ბინაში?

- კარგი, შევეშვათ ამას, მისტერ ჩინასკი. რა დაგემართათ?

- ხელები დავიწვი.

- აქ მოდით. ხელები როგორ დაიწვით?

- მაგას რამე მნიშვნელობა აქვს? დავიწვი კია.

ხელები რაღაც სითხით დამიმუშავა. თან ცალ ძუძუს მიგლასუნებდა.

- როგორ დაგემართათ ეს, ჰენრი?



- სიგარის ამბავია. მესამე კლასის ფოსტას ვედეცი გვერდით. ვტყობა, ფერფლი დაეცა და ააღდა.

ისევ მომადლო ჰიქანი.

- ხელებს ნუ ამოძრავებთ, ძალიან გთხოვთ!

მერე, სანამ რაღაც მაღამოს მისვამდა, მთელი წინა ფლანგი ზედ შემომაწყო. მე მის წინ სკამზე ვიჯექი.

- რაშია საქმე, ჰენრი? ძალიან დაძაბული მეჩვენებით.

- ჰმ... ხომ იცით, როგორც ხდება ეს საქმე, მარტა.

- მე მარტა არა ვარ. ჰელენი მქვია.

- ცოლად გამომყევით, ჰელენ.

- რა?

- ახლა ამ ხელებით მუშაობას როდის შევძლებ-მეთქი, ჰელენ? ამასობაში ჰელენი ხელს ბინტით მიხვევდა.

- შეგიძლიათ, ახლავე შეუდგეთ, თუ ვერ ითმენთ.

- ახლა ბევრად უკეთ ვარ.

- წერილებს ნუღარ დაწვავთ.

- რა წერილები. ნაგავი იყო ისედაც.

- ნებისმიერი ფოსტა ერთნაირად მნიშვნელოვანია.

- კარგი, ეგრე იყოს, ჰელენ.

თავისი მაგიდისკენ წავიდა, მე - კუდში მივყევი. საშვებულებო ფორმა შემივსო. ექთნის თეთრი ქუდით ძალიანაც ეშხიანად გამოიყურებოდა. რამენაირად აქ მოსაბრუნებელი მიზგზი უნდა მომეფიქრებინა.

არ გამოჰპარვია, როგორ ვათვალისწინებდი მის სხეულს.

- კეთილი, მისტერ ჩინასკი. მგონი, კარგი იქნება, სამუშაო ადგილს თუ

დაუბრუნდებით.

- აჰ, ჰო. მართალია. ...კარგი, დიდი მადლობა ყველაფრისთვის.

- რისთვის, მე ჩემს სამუშაოს ვასრულებ.

- რა თქმა უნდა.

ერთი კვირის თავზე ყველა კედელზე ნიშნები იყო უკვე გაკრული: „შენობის ამ ნაწილში მოწევა აკრძალულია“. კლერკებს სხვაგანაც არ აწევინებდნენ, თუ იქვე საფერფლე არ იდო. მერე სულაც ვიღაცას დაუკვეთეს ეს საფერფლეები. საკმაოდ სიმპათიურები გამოვიდა. ყოველ საფერფლეზე ამოეტვიფრათ: „შეერთებული შტატების მთავრობის საკუთრება“. კლერკების უმეტესობა იპარავდა და იმიტომ.

მოწევა აკრძალული იყო.

მე, ჰენრი ჩინასკიმ, მარტომ, დაუხმარებლად მოვახდინე რევოლუცია მთელს საფოსტო სისტემაში.

მერე ვილაც ტიპები მოვიდნენ და სასმელი წყლის ყოველი მეორე შადრევანი ამოძირკვეს.

- ერთი იმათ შეხედეთ, რა ჯანდაბას აკეთებენ, ხომ არ იცით? - ვიკითხე.

ამ ამბით არავინ დაინტერესებულა.

მესამე კლასის ჩაშვებულ სექციაში ვმუშაობდი. გავიხედე, გამოვიხედე და მეორე კლერკს მივადექი.

- მომხედე, - ვეუბნები, - ჩვენი წყალი მიაქვთ!

ერთი გახედა წყლის შადრევნებს და თავისი მესამე კლასის ფოსტის დახარისხება გააგრძელა.

სხვა კლერკების აყოლიება ვცადე. იმათაც ამასავით ეკიდათ. რატომ, არ მესმოდა.

ჩემი პროფკავშირის წარმომადგენელი მოვითხოვე - ის, რომელიც ამ უბანს ემსახურებოდა.

კარგა ხნის ლოდინის მერე გამოცხადდა - პარკერ ანდერსონი. ოდესღაც პარკერს ძველ, მაგრად ნახმარ მანქანაში ეძინა ხოლმე. გასაპარსად, თავის მოსაწესრიგებლად და მოსაჯმელად კი ისეთ ბენზინგასამართ სადგურებში დადიოდა, თავიანთ ტუალეტებს უცხოებს რომ არ უკეტავდნენ. მანამდე ძალიან ეცადა, სუტენიორი გამხდარიყო, მაგრამ რაღაც არ გამოუვიდა. ჰოდა, მოვიდა მერე ფოსტაში, შევიდა აქაურ პროფკავშირში და მის შეკრებებზე დაიწყო სიარული, მერე პროფკავშირის წარმომადგენელი გახდა, მერე კი ვიცეპრეზიდენტადაც აირჩიეს.

- რა ხდება, ჰენკ? ვიცი შენი ამბავი, ამ თქვენს მეთვალყურეებს შენ უჩემოდაც კარგად მოუვლი.

- უშნოდ ნუ მეტენები, ბიჭი. თორმეტი წელია, პროფკავშირებს საწევროს ვუხდი და თქვენგან ჯერ არაფერი მომითხოვია.

- კაი. მითხარი მაშინ, რაშია საქმე?

- წყლის შადრევნებშია საქმე.
- წყლის შადრევნებში რა აღარ მოგწონს ახლა?
- არა, ამის დედაც. შადრევნებს არაფერი ჭირს. იმათ ჭირთ, ვინც ახლა ამ შადრევნებს აქედან ხსნის. იქით გაიხედე.
- გავიხედო? საით?
- იქით!
- ვერაფერსაც ვერ ვხედავ!
- საქმეც მაგაშია, მაგაშია მთელი მუღამი, ძმაო! დღემდე მანდ სასმელი წყლის შადრევნები იდგა!
- წაუღიათ, ხომ? მერე რა, მაგის დედაც!
- მისმინე, პარკერ. ერთი ცალი რომ წაეღოთ, ხმასაც არ ამოვიღებდი. მაგრამ ესენი ყოველ მეორეს ხსნიან და მიაქვთ. თუ ახლა არ გავაჩერეთ, მალე ტუალეტებსაც ერთის გამოტოვებით მიახურავენ. ჰოდა, მერე რას იზამენ, აზრზე არა ვარ...
- კარგი, - თქვა პარკერმა, - ჩემგან რა გინდა, რა გავაკეთო, ეს მითხარი.
- მინდა, რომ ტრაკი აწიო და გაარკვიო, ამ შადრევნების დახსნა რატომ გადაწყვიტეს.
- კარგი, ხვალ მოვალ და გნახავ.
- ვიცი, რომ მოხვალ. თორმეტი წელი თქვენი საწევრო ჯამში კაი სამას თორმეტი დოლარია.
- მეორე დღეს პარკერის ძებნა მე თვითონ მომიხდა. ჩემთვის შესატყობინებელი არაფერი ჰქონდა. იმ დღეს ასე იყო. მესამე დღესაც. ვუთხარი, ნელ-ნელა მბებრდება შენი ლოდინი-მეთქი. კიდევ ერთი დღე მივეცი.
- მეორე დღეს, ყავის დასალევად რომ ვარ გასული შესვენებაზე, გავიხედოთ და, პარკერიც მოდის.
- აჰა, ჩინასკი, ყველაფერი გაგირკვიე.
- ჰოო?

- 1912 წელს, როცა ეს შენობა შენდებოდა...

- 1912 წელს? ნახევარი საუკუნეა მას მერე გასული! ახლა აღარ მიკვირს, აქაურობა სულ კაიზერის ბორდელს რომ მაგონებდა!

- კაი, გეყო. მოკლედ: 1912 წელს, როცა ეს სახლი შენდებოდა, კონტრაქტით გარკვეული რაოდენობის შადრევანი იყო გათვალისწინებული. ახლა ფოსტას შეუმოწმებია და აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში იმაზე ორჯერ მეტი შადრევანი ყოფილა დაყენებული, ვიდრე კონტრაქტი მოითხოვდა!

- კარგი. ეგრე იყოს, - ვუთხარი, - ოღონდ ორჯერ მეტ შადრევანს რა ზიანის მოყენება შეუძლია? კლერკები მაინც იმდენ წყალს დაღვევენ, რამდენსაც აქამდე სვამდნენ.

- კი. მაგრამ ეს შადრევნები თურმე ცოტა გამოშვერილად დგას და გამვლელ-გამომვლელს ხელს უშლის.

- მერე?

- ახლა მისმინე. წარმოიდგინე, რა მოხდება, რომელიმე აქაური კლერკი, რომელსაც კაი შებერტყილი ადვოკატი ყავს, ეგეთ შადრევანს რომ მიეჯახოს. ან, მაგალითად, ჟურნალებით დატვირთულმა მძიმე ურიკამ შადრევანს რომ მიაჭყლიტოს.

- აჰა, ახლა გასაგებია ყველაფერი. ესე იგი, მანდ შადრევნები არ უნდა იდგეს. ფოსტას დააჯარიმებენ, თანამშრომლებზე რომ არ ზრუნავს.

- აი, ზუსტად!

- გასაგებია. გმადლობ, პარკერ.

- როგორ გეკადრება. ჩემს საქმეს ვაკეთებ.

თუ ეგ ამბავი გამოიგონა, მაშინ სამას თორმეტ დოლარზე მეტიც ეკუთვნოდა. „ფლეიბოიში“ ამაზე ბევრად უარესებიც მინახავს დაბეჭდილი.

მერე აღმოვაჩინე, რომ თავბრუსხვევის ერთადერთი წამალი ის ყოფილა, ხანდახან თუ ადგები და ჰაერზე გაისეირნ-გამოისეირნებ.

ერთხელაც ფაზიომ, რომელიც იმ ხანებში ჩვენს მეთვალყურედ მუშაობდა, დამინახა, როგორ მივსეირნობდი შეხალვათებული შადრევნებისკენ.

- მომხედე, ჩინასკი. როცა არ უნდა გამოვიხედო, სულ აქ მიდმოდიხარ. რაშია საქმე?

- ეგ რა არის, - ვუთხარი ფაზიოს, - როცა არ უნდა გამოვიხედო, შენც სულ დადიხარ და დადიხარ.

- ეგ ჩემი სამსახურია, მომეთხოვება. სიარული ჩემს მოვალეობაში შედის.

- ახლა, ასე ჩემს მოვალეობებშიც შედის, - ვუთხარი, - მეც სულ წინ და უკან უნდა ვიარო. იმიტომ რომ ამ სკამზე კიდევ ცოტა ხანს თუ დავეკვრები, ნაღდად აი, იმ თუნუქის ყუთებზე შევხტები და პროტით „დიქსის“ სტვენას დავიწყებ, წინიდან, სხვა ნახვრეტით კი ამას ავაცოლებ: „ერბოიანი პური უყვართ დედიკოს შვილიკოებს“.

- ჰო, კარგი, კარგი, ჩინასკი. გავატარეთ.

ერთ საღამოს ცოტა კაფეში ვილაყბე და ზემოთ ამოვდივარ, გამოვუხვიე კუთხიდან და ვილაც მოდის - სახე მეცნო.

ტომი მოტო იყო, აზრზე მოდიო! ის ტიპი, ქვიჯასთან მუშაობი-სას ვისი შემცვლელიც ვიყავი!

- ოჰ, მოტო, შე ძველო! - შევძახე.

- ჰენკ!

ერთმანეთს ხელი ჩამოვართვით.

- ხშირად მახსენდებოდი ხოლმე, რომ იცოდე! პენსიაზე გადის ჯონსტონი თვის ბოლოს. ჰოდა, ვიფიქრე, შევიკრიბოთ და გაცი-ლება მოვუწყოთ-მეთქი. თევზი უყვარდა მაგას ყოველთვის, ხომ იცი. ახლა გვინდა, რომ სათევზაოდ წავიყვანოთ სადმე ნავით. იქ-ნებ შენც წამოხვიდე ჩვენთან ერთად, კრავ სადმე ხელს, გადაად-გებ ნავიდან და დაიხრჩობა. ერთი კაი ღრმა ტბა ვიცი!

- მოიცა რა, მაგის სიფათის დანახვაც არ მინდა.

- ხო, მაგრამ დაპატიჟებული ხარ უკვე!

გაფხედე, იკრიჭება მოტო, პროჭიდან წარბებამდე აქვს პირი გახეული. მერე უცებ მისი პერანგისკენ გამექცა თვალი: მეთვალ-ყურის ნიშანი ებნია გულზე.

- კარგი რა, ტომ, - ვუთხარი.

- ოთხი შვილი მყავს, ჰენკ. ოჯახი ხომ უნდა ვარჩინო.

- გასაგებია, ტომ, - ვუთხარი და გზა გავაგრძელე.

აზრზე არ ვარ, ამ ხალხს რა ემართება. მეც ხომ ალიმენტს ვიხდიდი, მერე დასალევისთვისაც მჭირდებოდა ფული, ბინის ქირისთვის, ახალი ფეხსაცმლის, წინდების, რა ვიცი, ათასი რამის საყიდლად. როგორც სხვას ყველას, ძველი მანქანა მაინც მჭირდებოდა, სასმელ-საჭმელი, კიდევ რაღაც წვრილმანები..

ქალები, მაგალითად.

ანდა იპოდრომზე დღის გატარება.

ყველაფერი მოსაპოვებელი გაქვს და თან გამოსავალი არც ჩანს, მაგრამ ეგეთი რამე მაინც არ მოგივა კაცს აზრად.

მანქანა ფედერალური შენობის წინ დავაყენე და შუქნიშნის ანთებას დაველოდე. მერე მეორე მხარეს გადავედი. თალიან გასასვლელში გავიარე. ისე მექაჩებოდა შიგნით რაღაც, როგორც რკინის ნაჭერს მაგნიტი. თავს ვერაფერს ვუხერხებდი.

მესამე სართულზე ავედი და კარი შევადლე. ყველანი თავ-თავიანთ ადგილას დამხვდნენ. ფედერალური ოფისის კლერკები. ერთი გოგო შევნიშნე, საწყალი, მარტო ცალი ხელი ჰქონდა. ეგ აქ დარჩება სამუდამოდ. ყველაფერი ისე იქნება, როგორც ჩემნაირი ბებერი ლოთის ცხოვრებაში ხდება. ახლა რას იზამ, როგორც ბიჭები იტყვიან ხოლმე, სადმე ხომ უნდა იმუშავო. ეს ხალხი საკუთარ ცხოვრებას მოცემულობად აღიქვამდა. ასეთია მონური სიბრძნე.

ახალგაზრდა შავკანიანი გოგო მომიახლოვდა. კარგად ეცვა და ეტყობოდა, რომ ამ გარემოცვით კმაყოფილი იყო. ღმერთმა გაუმარჯოს. მე იმ გოგოს ადგილას გავგიჟდებოდი.

- გისმენთ? - მომმართა.

- მე ფოსტის კლერკი ვარ, - ვუთხარი, - სამსახურიდან წასვლა მინდა.



მაგიდის ქვეშ ხელი შეჰყო და იქიდან რაღაც ქაღალდები გამოიღო.

- ამდენი უნდა ვწერო?

გოგონამ გამიღიმა: - თქვენ არ გაგიჭირდებათ, ასე მგონია.

- მაგის დარდი ნუ გაქვთ, - ვთქვი, - ნამდვილად არ გაგიჭირდება.

თურმე რომ იწყებ, მაშინ არ გაწერინებენ იმდენს, რამდენსაც მერე, როცა ამთავრებ.

პირველი ფურცელი, რომელიც წინ დამიდეს, ქალაქის მთავარი ფოსტმაისტერის მიმართვა გამოდგა.

მიმართვა ასე იწყებოდა:

„ძალიან ვწუხვარ, რომ ფოსტაში თანამდებობაზე მუშაობას ასრულებთ და...“ და ა. შ. და ა. შ. და ა. შ.

ნეტავ როგორ წუხდა ახლა ეს კაცი? არც კი მიცნობდა.

იქვე იყო კითხვების ჩამონათვალი.

„თვლით თუ არა ჩვენს მეთვალყურეებს გამგებიან ადამიანებად? იოლი იყო მათთან ურთიერთობა?“

დიახ-მეთქი, ვუპასუხე.

„ხომ არ შეგინიშნავთ მეთვალყურეებში გარკვეული წინასწარგანწყობა რასობრივი, რელიგიური კუთვნილების, წარსულის ან მსგავსი ფაქტორების გამო?“

არა-მეთქი, დავწერე.

კიდევ ასეთი კითხვა იყო: „ურჩევდით თქვენს ნაცნობებ-მეგობრებს ფოსტაში მუშაობის დაწყებას?“

რა თქმა უნდა-მეთქი.

„გქონდათ თუ არა სირთულეები ან დაუკმაყოფილებლობის განცდა ფოსტაში მუშაობისას? თუ შეიძლება, ჩამოთვალეთ ისინი ფურცლის მეორე მხარეს“.

დაუკმაყოფილებლობის გრძნობა არ მქონია-მეთქი, მივუწერე პასუხი.

მერე შავკანიანი გოგოც დაბრუნდა.

- უკვე დაამთავრეთ?

- დავამთავრე.

- არ მახსოვს, ვინმეს ეს ქაღალდები ასე ჩქარა შეეხსოს.

- ჩქარა არა, სწრაფად, - გავუსწორე.
- სწრაფად? - მკითხა, - ჩქარა არა? რას გულისხმობთ?
- რას და, ახლა რა უნდა ვქნათ?
- ახლა იქ შებრძანდით, თუ შეიძლება.

საწერი მაგიდების რიგებს შუა მის ტრავს მიყვებოდი და თითქმის დერეფნის ბოლომდე ასე ვდიე.

- დაბრძანდით, - მითხრა მამაკაცმა.

ცოტა ხანს ჩემს ქალაქებს კითხულობდა. მერე ამომხედა.

- შეიძლება, გკითხოთ, რატომ მიდიხართ სამსახურიდან? თქვენ წინააღმდეგ დაწყებული დისციპლინარული პროცედურის გამო?

- არა.

- მაშინ რა არის თქვენი წასვლის მიზეზი?

- კარიერის გაგრძელების სურვილი.

- კარიერის გაგრძელების სურვილი?

ისევ შემომხედა. ორმოცდამეათე დაბადების დღემდე რვა თვე მიკლდა. ვიცოდი, რაზეც ფიქრობდა ახლა.

- შეიძლება გკითხოთ, როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი შემდგომი კარიერა?

- დიახ, გეტყვით, რატომაც არა. ხაფანგების დაგების სეზონი ბაიუში დეკემბრიდან თებერვლამდე გრძელდება. ერთი თვე უკვე დავკარგე.

- ერთი თვე? კი მაგრამ, აქ თერთმეტი წელი იმუშავეთ.

- მერე, გამოდის, თერთმეტი წელი წყალში გადამიყრია. ბაიულა-ფურში ხაფანგების დაგებით სამ თვეში ათიდან ოცი ათასამდე დოლარს გავაკეთებ.

- რას საქმიანობთ?

- ხაფანგებს ვაგებ! ონდატრაზე, ნუტრიაზე, წავზე, წაულაზე ვნადირობ... ხანდახან ენოტზეც. ონდატრის ტყავში დოლარ-ნახევარს მიხდიან, წაულაში - სამს, მთიხვში - ოთხს, ნუტრიაში -

ერთ-ნახევარს და წავშიც - ხუთ დოლარს. ონდატრის ხორცს, რომელიც სიგრძეში ოთხი ფუტია, კატის საჭმლის დამამზადებელ ფაბრიკას ვაბარებ, თითოს ხუთ ცენტად იღებენ, გატყავებულ ნუტრიას - ოცდახუთ ცენტად. ჰო, ღორები, ქათმები და იხვებიც მყავს მოშენებული. რა უნდა ამათ მოშენებას, მე...

- კარგი, არ აქვს მნიშვნელობა, მისტერ ჩინასკი, რაც თქვით, ისიც საკმარისია.

საბეჭდ მანქანაში ქაღალდი ჩადო და ბეჭდვა დაიწყო.

მერე თავი ავწიე და ჩემ წინ პარკერ ანდერსონი დავინახე, ჩემი პროფკავშირის კაცი, ის ძველი ოქრო, მანქანებში რომ იძინებდა და ბენზინგასამართების ტუალეტებში იპარსავდა და ჯვამდა. პარკერი იყო სწორედ და პოლიტიკოსის სათნო ღიმილით მიღიმოდა.

- სამსახურიდან მიდიხარ, ჰენკ? ისე, მახსოვს, თერთმეტი წელი სულ ამას იმუქრებოდი...

- კი, სამხრეთ ლუიზიანაში მივდივარ, მაგარი დესერტი მელოდება.

- მერე იქ იპოდრომი აქვთ ნეტავი?

- რაო? მშვენიერი იპოდრომია, ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაში!

პარკერს თან თეთრკანიანი ბიჭი ახლდა - გზააბნეულთა ნევროტიკული ტომის წარმომადგენელი - ბიჭს ცრემლების ფენა ლიბრივით ჰქონდა თვალებზე გადაკრული, თითო თვალში თითო დიდი ცრემლი ედგა. ედგა, მაგრამ გადმოსვლით არ გადმოდიოდა. საოცარი რამე იყო. რამდენი ქალი მჯდარა ჩემ წინაშე ამნაირი თვალებით, სანამ აიწყვეტდნენ, აყვირდებოდნენ, ნაძირალა და გარეწარი ხარო. ეს ბიჭი, როგორც ჩანს, პარკერის დაგებული მახეებიდან ერთ-ერთში იყო გაბმული და ახლა პარკერს ხელის ბიჭად ჰყავდა. აბა ამას კი არ დააკარგვინებდა სამუშაოს.

იმ კაცმა კიდევ ერთი ქალაქი მომცა ხელმოსაწერად და მერე იქიდან წამოვედი.

- აბა, შენ იცი, ძველო! - დამიძახა პარკერმა, როცა გამოვდიოდი.

- მადლობა, ბიჭუნი, - ვუპასუხე.

სრულებით ვერ ვგრძნობდი, რამე თუ შეიცვალა ჩემს ცხოვრებაში. მაგრამ ვიცოდი, რომ ძალიან მალე ვიგრძნობდი, როგორც ზღვის ფსკერიდან უცებ ამოსული ადამიანი. ძალიან მალე დიდი რყევები დამეწყებოდა. ჯოისის თუთიყუშებივით, დიდხანს ვიცხოვრე გალიაში, მერე ხვრელი ვიპოვე და გამოვფრინდი, როგორც ცაში გასროლილი ტყვია. ცა იყო ვითომ? რას გაიგებ.

რყევებიც დაიწყო. აღრინდელზე უარესად დავიწყე სმა. აღარ ვფხიზლდებოდი. ისე ვცხოვრობდი, როგორც დაშტერებული სკუნსი განსაწმენდელში. ერთხელ, ღამით, სამზარეულოში, ყასბის დანა დავიდე ყელზე, მაგრამ მერე თავს ვუთხარი: რა დღეში ხარ, ბიჭო, ჭკუით, გონს მოდი, იქნებ შენს პატარა გოგოს მოუნდეს, ზოოპარკში წაიყვანო, ნაყინი აჭამო, შიმპანზეები აჩვენო, ვეფხვები, მწვანე და წითელი ჩიტები, მთელი ამბავი, მერე მზე დაეშვება და კეფაზე აუბრჭყვიალდება, დაეშვება მზე, მკლავებზე მოგეფერება და ბანჯგვლებში შეგიძვრება... აზრზე მოდი-მეთქი.

თვალში რომ გამოვიხედე, ჩემი ბინის წინა ოთახში ვიჯექი, ნოხზე ვაფურთხებდი ნარწყევს, სიგარეტს მაჯაზე ვიქრობდი და ვიცინოდი. შევიშალე მარტის კურდღელივით. თავი ავწიე. წინ მედიკოსი სტუდენტი მეჯდა. ჩვენ შორის, ყავის მაგიდაზე, მომრგვალებულ ქილაში გული იდო - ქილას გულის ყოფილი პატრონის სახელი ეწერა - „ფრენსის“. გარშემო ვისკის და ლუდის ცარიელი ბოთლები, საფერფლები და ნაგავი ეყარა. ერთ ბოთლს ვწვდი და ლუდის და ფერფლის ჯოჯოხეთური ნაზავი მოვსვი. ორი კვირა არაფერი მეჭამა. ვიღაც ტიპები დაუსრულებელ ნაკადად მოდიოდნენ და მიდიოდნენ. ამ დროის განმავლობაში შვიდჯერ თურვაჯერ გადარეული სმა და ძიგძიგი მოეწყო ჩემს ბინაში, მე, მახსოვს, სასმელი, მეტი სასმელი, დასალევი მოიტათ-მეთქი, ვყვიროდი; მე ცისკენ ვიჭრებოდი, დანარჩენები ლაპარაკობდნენ და ერთმანეთს სამოსქვეშ ხელებს უფათურებდნენ.

- ჰო, - შევეხმიანე მედიკოს ახალგაზრდას, - აბა, მოყვით, რა გინდათ ჩემგან?

- მე თქვენი პირადი ექიმი ვიქნები.

- კარგი, ექიმო, ახლა პირველი, რაც მინდა, რომ გააკეთოთ - აი, ეს ადამიანის გული მოაშორეთ აქედან, ამის დედაც!

- აჰ! აჰ!

- რა იყო, რა ხდება?

- ეგ გული მანდ უნდა იდოს.

- მომისმინე, ძმაო, შენი სახელი არ ვიცი...

- უილბერტი.

- ჰო, უილბერტ, ამრზე არა ვარ, ვინ ხარ ან აქ როგორ მოხვდი, მაგრამ ფრენსისი აქ არ დამიტოვო!

- არა, ფრენსისი აქ უნდა დაგიტოვოთ.

მერე აიღო თავისი საბავშვო ჩანთა, ამოიღო იქიდან რეზინის სამკლავური, მოუჭირა ხელი რეზინის ბურთს და სამკლავურიც გაიბერა.

- ცხრამეტი წლის ბიჭის წნევა გაქვთ, - მითხრა.

- ერთი მაგის დედაც. მისმინე, კანონიერი საქციელია ახლა ეს, ადამიანის გულს რომ მაგიდაზე მიტოვებ?

- მოვალ მერე და წავიღებ. ახლა ჩაისუნთქეთ!

- მეგონა, ფოსტა მაგიჟებდა, ახლა შენ გამაგიჟებ.

- დაწყნარდით! მშვიდად ჩაისუნთქეთ!

- ახალგაზრდა ტრაკი მინდა, ქორფა ხორცის ნაჭერი, გამიგეთ, ექიმო? სხვა არაფერი მჭირს.

- თოთხმეტ ადგილას გაქვთ ხერხემალი დეფორმირებული, ჩინასკი. რაც იწვევს დაძაბულობას, იმბეცილიზმს, ხანდახან - სიგიჟესაც.

- არც გაატრაკო!

არ მახსოვს, როდის წავიდა ის ჯენტლმენი. ჩემს დივანზე რომ გავიღვიძე, ორის ათი წუთი იყო - სიკვდილი შუადღის შემდეგ - და ცხელოდა, მზის სხივები ჩემს დაძენძილ ფარდებში აღწევდა და ყავის მაგიდის შუაგულში მდგარ ქილას ეფინებოდა. ფრენსისი მთელი ღამით დარჩენილა ჩემთან, ალკოჰოლის წათხში იფაფუკებდა თავს, უსიცოცხლო დიასტოლის ლორწოვან ლაბაში თანთალებდა.

შემწვარი ქათამივით გამოიყურებოდა, დავაბუსტებ - ქათამი რომ შეწვამდე გამოიყურება, ბუსტად ისე.

მოვკიდე ხელი, ტუალეტში გავიტანე და დახეული პერანგი გადავაფარე. მერე აბაზანაში გავედი და ვარწყიე. მერე სარკეს სახით მივეკარი. გრძელი შავი თმა სახეს თითქმის მთლიანად მიფარავდა. სრულიად მოულოდნელად მოჯმაც მომიხდა. კარგი გამომცხვარი გამოვიდა.

ვიღაცამ კარზე ზარი დარეკა. ტრაკის გამოხოცვა დავამთავრე, რაღაც ძველი ტანსაცმელი მივიცვ-მოვიცვი და კარის გასაღებად გავედი.

- დიახ?

ახალგაზრდა ბიჭი იყო, გრძელი ქერა თმა სახეზე ჰქონდა ჩამოყრილი. შავკანიანი გოგო ახლდა, ისე იღიმებოდა, გიჟს ჰგავდა.

- ჰენკ?

- ვინ ხართ, ბიჭებო?

- ეს ქალია, ჰენკ. მოიცა, არ გახსოვართ? იმდღევანდელი გნი-ასიდან, შენთან ვიყავით. აჰა, ყვავილი მოგიტანეთ.

- უჰ! შემოდით.

ყვავილი მოიტანეს - რაღაც მოწითალო-მონარინჯისფრო, მწვანელეროიანი, და ეს უფრო გასაგები იყო, ვიდრე ბევრი რამ, რაც გარშემო ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ყვავილი მოკლეს. ლარნაკი ვიპოვე, ყვავილი შიგ ჩავდე, მერე ღვინო გამოვიტანე და ყავის მაგიდაზე დავდგი.

- ეს აღარ გახსოვს? - მკითხა ბიჭმა, - იმ დღეს თქვი, რომ ამის გაჟიშვა გინდა.

გოგოს გაეცინა.

- ძალიან კარგი, ოღონდ ახლა არა.

- ჩინასკი, ახლა ფოსტის გარეშე როგორ იცხოვრებ?



- აზრზე არა ვარ. იქნებ შენ მოგტყნა, ან თავი მოგატყვნევილო. ჯანდაბა, აზრზე არ ვარ.

- შეგიძლია ჩვენთან მოხვიდე ნებისმიერ დროს, იატაკზე დაიძინო.

- შეიძლება, სანამ თქვენ იხერხავებთ, მე გიყუროთ?

- კი, აბა რა.

დავლიეთ. ამასობაში იმ ორის სახელი დამავიწყდა. გული ვაჩვენე. ვთხოვე, ეს საშინელება წაიღეთ და აქედან მომაშორეთ-მეთქი. მთლად გადაგდება მომერიდა, უცებ იმ სტუდენტ მედიკოსს არ დასჭირდეს და გამოცდის წინ არ მოაკითხოს, ან სამედიცინო ბიბლიოთეკაში ჩაბარების დრომ არ უწიოს-მეთქი.

მერე გავედით და სადღაც სტრიპტიზმოს ვუყურეთ, ვსვით, ენა მოვიქავეთ, ვიხორხობოცეთ. არ ვიცი, ფული ვის ჰქონდა, მგონი, თითქმის ყველაფერი ბიჭმა გადაიხადა, ამჯერად ასე იყო და ძალიანაც კარგი. ამ სიცილ-სიცილში გოგოს ტრაკი და თეძოები დავუჯმუჯნე და ვეზასავე, მაგრამ ყველას ეკიდა. მოკლედ, როცა ფული აღარ გაქვს, ცხოვრებაც აღარ გაქვს.

სახლში მანქანით მომიყვანეს, კარს მივაღეჭი, გამოვაღე, დავემშვიდობე და გოგოც და ბიჭიც გავისტუმრე. რადიო ჩავრთე, სადღაც ნახევარი პინტა ვისკი ვიპოვე, დავლიე, ვიცინე, გამოვიდარე, როგორც იქნა, მოვდუნდი, მოვეშვი, გავთავისუფლდი, სიგარის მონარჩენით თითები დავიწვი, მერე საწოლი გამახსენდა, მის კიდემდე მივბარბაცდი, წავბორძიკდი, ლეიბს ზედ გადავემხე და დამეძინა... და მეძინა და მეძინა და მეძინა...

\*\*\*

დილით კი დილა იყო და მეც ჯერ ვტოკავდი.  
იქნებ რომანი დამეწერა-მეთქი, გავიფიქრე.  
ჰოდა, დავწერე.